(უ)თანასწორობა საქართველოში

სტატიების კრებული

საზოგადოების კვლევის
ცენტრი

(უ)თანასწორობა საქართველოში

სტატიების კრებული

საზოგადოების კვლევის
ცენტრი

2021

UDC (უაკ) 338(479.22)
უ–29

კრებული გამოიცა ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით. კრებულში წარმოდგენილია ავტორთა პირადი მოსაზრებები. დაუშვებელია ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ გამოცემული მასალების კომერციული მიზნით გამოყენება ფონდის თანხმობის გარეშე.

The project is supported by the Friedrich-Ebert-Stiftung.The views expressed in this publication belong to the experts. Commercial use of all media published by the FES is not permitted without the written consent of the Friedrich-Ebert-Stiftung.

კვლევის ავტორები: ალექსანდრე ცაგარელი
გია ჟორჟოლიანი
გუგა დუდუჩავა
იოსებ არჩვაძე
მარინა მუსხელიშვილი

© Friedrich-Ebert-Stiftung, 2021

ISBN 978-9941-499-23-4

ავტორთა შესახებ

ალექსანდრე ცაგარელი – ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტის (თსუ) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი. ფლობს თსუ-ის ბაკალავრისა და მაგისტრის წოდებას სოციოლოგიაში და ბარსელონას Pompeu Fabra-ს უნივერსტეტის მაისტრის წოდებას სოციოლოგიასა და დემოგრაფიაში. იგი გახლავთ ლექტორი თსუ-ის, ქართულ-ამერიკული და კავკასიის უნივერსტეტის საერთო პროგრამებზე.

გია ჟორჟოლიან – დოქტორი, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, პოლიტიკური პარტია „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის“ თავმჯდომარე 2010-2020 წლებში საქართველოს სამი მოწვევის (1992, 2012, 2016) პარლამენტის წევრი. არის არაერთი აკადემიური პუბლიკაციის, მათ შორის, სტატიებისა და სახელმძღვანელოს ავტორი.

გუგა დუდუჩავა – სოციალური პოლიტიკის მკვლევარი.

იოსებ არჩვაძე – ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი. აქვს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურში ხელმძღვანელ თანადებობებზე და საქართველოს პარლამენტის აპარატში მუშაობის გამოცდილება. არის არაერთი მონოგრაფიის, სახელმძღვანელოსა და სამეცნიერო და პუბლიცისტური სტატიის ავტორი.

მარინა მუსხელიშვილი – თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოების კვლევიც ცენტრის“ ხელმძღვანელი. მიიღო განათლება და დაიცვა დისერტაცია მათემატიკაში, შემდგომში შეიცვალა სპეციალობა საზოგადოებრივი მეცნიერებებით. არის მრავალი აკადემიური პუბლიკაციის ავტორი, მათ შორის სტატიების, სახელმძღვანელოების და მონოგრაფიებისა.

სარჩევი

ავტორებისგან 7

(უ)თანასწორობა – იგნორირებული პრობლემა 9

თავისუფლება და (უ)თანასწორობა 9

ძალაუფლება და (უ)თანასწორობა 22

ვინ, რას, როგორ იღებს და ფლობს 40

გია ჟორჟოლიანი, გუგა დუდუჩავა

უთანაბრობის სამი ასპექტი 70

უთანაბრობა ხარჯების მიხედვით 70

უთანაბრობა შემოსავლებისა და ხელფასების მიხედვით 77

უთანაბრობა ეკონომიკის ცალკეული დარგების განვითარებაში 84

იოსებ არჩვაძე

გენდერული უთანასწორობის ეკონომიკური ასპექტები თანამედროვე საქართველოში 90

იოსებ არჩვაძე

ისინი, ვინც დაბრა არიან 100

მარინა მუსხელიშვილი

რომელ სკოლაში სწავლობ და რომელ „კლასში“ ხარ? 126

ალექსანდრე ცაგარელი

ავტორებისგან

ჩვენი მიზანი იყო, გაგვეგო სიმართლე ჩვენი საზოგადოების შესახებ, დაგვენახა ის სინამდვილე, რომელიც დაფარულია. რა თქმა უნდა, ყველამ ვიცით, რომ საქართველოში ცხოვრობენ მდიდრები, ღარიბები, ძალიან ღარიბები, შედარებით შეძლებულები. მაგრამ როგორია ჩვენი საზოგადოება? ვის და რამდენს, რა შეუძლია? ვის და რამდენს, რა ზეგავლენა აქვს მთლიანად საზოგადოებაზე ან ადამიანთა გარკვეულ ჯგუფებზე? ვის და რამდენს, რა უფლებები აქვთ და რა შესაძლებლობები ამ უფლებების რეალიზებისთვის? ამ და სხვა მსგავს კითხვებზე პასუხის არქონის შემთხვევაში, ჩვენი შესაძლებლობები საზოგადოებრივი, პოლიტიკური თუ ეკონომიკური ვითარების ანალიზისა, უკიდურესად მწირია და პროგნოსტიკული პოტენციალი – უკიდურესად შეზღუდული. მრუდე სარკეში დამახინჯებულ, ილუზორულ სინამდვილეს ვხედავთ და ილუზიებით ვიკვებებით. ამ კრებულში მკითხველი ვერ იპოვის საბოლოო და ამომწურავ პასუხებს, თუმცა ჩვენი ამოცანა იყო ფართო აკადემიური და საზოგადოებრივი მსჯელობის დღის წესრიგში შემოგვეტანა (უ)თანასწორობის პრობლემა.

ავტორები მადლიერებას გამოხატავენ ფრიდრიხ ებერტის ფონდის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობის მიმართ, რომლის მხარდაჭერის გარეშეც წინამდებარე პუბლიკაცია ვერ გამოიცემოდა.

აგრეთვე, გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით: საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს (სოციალურ და ეკონომიკურ დეპარტამენტებს), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების მაძიებელთა აღრიცხვის სამმართველოს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების, აგრეთვე უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტებს, ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურს.

ხსენებული უწყებების თანამშრომელთა გულისხმიერმა დამოკიდებულებამ და მათ მიერ მოწოდებულმა მონაცემებმა მნიშნელოვნად შეუწყო ხელი ჩვენს კვლევას.

(უ)თანასწორობა – იგნორირებული პრობლემა

გია ჟორჟოლიანი
გუგა დუდუჩავა

თავისუფლება და (უ)თანასწორობა

თუ XX საუკუნის ბოლო ორ ათწლეულში პოლიტიკურ დღის წესრიგში (ასევე სოციალურ მეცნიერებებში) მთავარი საკითხი და პრობლემა დემოკრატია და საბაზრო ეკონომიკა (ერთდროულად) იყო, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნის პირველ ორ ათწლეულში იგი (უ)თანასწორობამ ჩაანაცვლა.

თანამედროვე მკვლევრებისა თუ აკადემიის სხვა წარმომადგენლების უთანასწორობის პრობლემის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ისეთი მკვლევრების ნაშრომები, როგორებიცაა: ჯოზეფ სტიგლიცი, გორან თერბორნი, ენტონი ატკინსონი, ბრანკო მილანოვიჩი, ტომას პიკეტი და სხვა. უფრო ადრეული პერიოდიდან თანასწორობის იდეის გააზრებისთვის ასევე მნიშვნელოვანია ჯონ როულზის „სამართლიანობის თეორიის“ აღნიშვნა. უფრო გვიანი პერიოდიდან კი აღსანიშნავია ამარტია სენის მოსაზრებები. დღეს უთანასწორობის პრობლემა უკვე ფართოდ არის წარმოჩენილი ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევების დღის წესრიგში, როგორებიცაა: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი. ზემოთ ხსენებული მეცნიერებისა თუ საერთაშორისო ორგაზანიციათა კვლევების მიხედვით, უთანასწორობა განხილულია, როგორც ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი, თუ არა ყველაზე მნიშვნელოვანი, დამაბრკოლებელი ფაქტორი.

მაგრამ უთანასწორობას გააჩნია არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური, არამედ სხვა ასპექტებიც. მსოფლიო ისტორიის სხვადასხვა პერიოდში უთანასწორობის პრობლემა განსხვავებული სიმწვავით ვლინდებოდა. თავის

მხრივ, თანასწორობის იდეა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იდეაა, რომლის გარშემო საუკენეების მანძილზე ვითარდებოდა სხვადასხვა მოვლენები.

კაცობრიობის ისტორიაში, თანასწორობის იდეის განვითარების კუთხით, ორ ყველაზე მნიშვნელოვან და გავლენიან მოვლენად შეგვიძლია მივიჩნიოთ ქრისტიანობის გავრცელება და განმანათლებლობის ეპოქა, რომელიც შემდგომ ფრანგული რევოლუციით დაგვირგვინდა. ქრისტიანული რელიგია ეყრდნობა ღმერთის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის იდეას, რაც გულისხმობს, რომ ყველა ადამიანი ერთნაირი მნიშვნელობისაა, რადგან ისინი ყველანი ღვთის შვილები არიან და ერთნაირად აგებენ პასუხს საკუთარ ცოვრებაზე და ერთმანეთის მსგავსად განისჯებიან. რასაკვირველია, მსგავსი მსოფლმხედველობა არ ნიშნავდა სოციალურ-ეკონომიკურ თანასწორობას ან საზოგადოებაში სტატუსების მიხედვით დაყოფის გათანაბრებას, მაგრამ, ვინაიდან, ქრისტიანობის მიხედვით, ამქვეყნიური ცხოვრება წარმოადგენს მხოლოდ დროებით ნაწილს ადამიანის მარადიული ცხოვრებისა, საბოლოო ჯამში, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ქრისტიანული მოძღვრება ეყრდნობა საყოველთაო თანასწორობის იდეას.

თანასწორობის იდეის წინ წამოწევაზე შეგვიძლია ვისაუბროთ უფრო ადრეულ პერიოდში, ანტიკურ საბერძნეთში დემოკრატიული მმართველობის ფორმის შექმნის შემდეგ. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ანტიკურ საბერძნეთში არ არსებობდა პიროვნების, როგორც დამოუკიდებელი, ავტონომიური არსების გაგება, არამედ ის წარმოადგენდა მთელის ნაწილს. ამდენად, ძველ საბერძნეთში ვერ ვისაუბრებთ პიროვნებების თანასწორობაზე. შესაბამისად, შეგვიძლიათ ჩავთვალოთ, რომ პიროვნებების თანასწორობის იდეა პირველად სწორედ ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში გაჩნდა, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ადამიანის აზროვნების განვითარებაზე.

მეორე მოვლენა, რომელსაც ასეთივე დიდი გავლენა ჰქონდა თანასწორობის იდეის განვითარებაზე, იყო საფრანგეთის დიდი რევოლუცია. ფრანგული რევოლუციის დევიზი ისე, როგორც არასდროს ხაზს უსვამს თანასწორობის იდეის მნიშვნელობას: ძმობა, ერთობა, თავისუფლება (ფრანგ. liberte, egalite, fraternite), სადაც ერთობა ნიშნავს ერთნაირობას ანუ თანასწორობას.

ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, საუბარი იყო სწორედ სტატუსურ თანასწორობაზე, რაც ნიშნავდა, რომ ადამიანი არ უნდა ყოფილიყო შეზღუდული იმდროინდელ საზოგადოებაში არსებული იერარქიის გამო და ყველა შესაძლებლობა ყველა ადამიანისთვის უნდა გახსნლიყო. რევოლუცია, რა თქმა

უნდა, მიმართული იყო არისტოკრატიის პრიორიტულ მდგომარეობაში ყოფნის წინააღმდეგ. თუმცა ქონებრივი უთანასწორობა ამის შემდეგაც ასრულებდა მნიშვნელოვან როლს, რადგან შემდგომშიც თუნდაც საარჩევნო ხმის უფლება დამოკიდებული იყო ქონებრივ მდგომარეობაზე. ამ პერიოდში ჯერ კიდევ საუბარია მხოლოდ მამაკაცთა შორის თანასწორობაზე და გენდერული თანასწორობის იდეა იგნორირებულია.

ამის მიუხედავად, ფრანგული რევოლუცია უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო თანასწორობის იდეის განვითარების კუთხით და წარმოადგენს თანასწორობის ლიბერალური გაგების მთავარ საფუძველს, რომელიც გულისხმობს ე.წ. „ნეგატიურ თავისუფლებას“ – არავინ არის შეზღუდული საზოგადოებაში თავისი სტატუსით, რაც ნიშნავს სხვადასხვა აკრძალვების გაუქმებას, რომელიც შესაძლებლობების თანასწორობას უშლის ხელს.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ორივე შემთხვევაში (ქრისტიანობაშიც და ფრანგულ განმანათლებლურ-რევოლუციურ მსოფლმხედველობაში) თანასწორობის იდეა უმჭიდროვესად არის დაკავშირებული თავისუფლების იდეასთან: ეს ორი იდეა ურთიერთკომპლემენტარულია.

შემდგომში, XX საუკუნეში, მნიშვნელოვანი გავლენა მოიპოვა საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბებულმა თანასწორობის გაგებამ, რომელიც ყოვლისმომცველ თანასწორობას ითვალისწინებდა თავისუფლებასთან კომპლემენტარულობის გარეშე. აღნიშნულმა მსოფლმხედველობამ დიდი გავლენა მოახდინა დასავლეთ ევროპაზეც და მსოფლიოს სხვა რეგიონებზეც. საბჭოთა კავშირში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წესრიგს და თანასწორობის გაგებას მნიშვნელოვანი ლეგიტიმაცია მისცა II მსოფლიო ომში გამარჯვებამ, თუმცა შემდგომში თანდათან იწყება მისი კრიტიკაც.

დასავლეთ ევროპაში თანასწორობის იდეამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, თუმცა 70-იანი წლებიდან მოყოლებული იწყება ე.წ. „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ კრიტიკა, რომელიც თანასწორობის იდეებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

80-იანი წლებიდან მოყოლებული თანასწორობის იდეა, ლიბერალური და უფრო კონკრეტულად – ნეოლიბერალური იდეების აღზევების ფონზე (რეიგან-ტეტჩერის პოლიტიკის მეშვეობით), კარგავს თავის მნიშვნელობას და ნაკლებად პრიორიტეტული ხდება.

თანასწორობის იდეამ კიდევ უფრო დიდი დარტყმა მიიღო საბჭოთა კავშირის დანგრევასთან ერთად, რამდენადაც მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში –

იგი დაიყვანება მხოლოდ შესაძებლობების თანასწორობაზე და თანასწორობა მხოლოდ ნეოლიბერალური თავისუფლების გაგების ჩარჩოებში განიხილება.

90-იანი წლებიდან თანასწორობის იდეის მნიშვნელობამ რადიკალური დისკრედიტაცია განიცადა საქართველოშიც, სადაც ის განიდევნა არა მხოლოდ საზოგადოებრივ-პოლიტიკური დისკურსიდან, არამედ აკადემიური სივრციდანაც.

რატომ ხდება, გადაუჭარბებლად თუ ვიტყვით, ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის იგნორირება საქართველოში როგორც პოლიტიკურ, ისე საზოგადოებრივ და აკადემიურ დისკურსში?

რატომ არ გვაღელვებს (უ)თანასწორობის პრობლემა?

სამი ათწლეული გავიდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ იმ დროს ყველას (ან თითქმის ყველას) მიაჩნდა, რომ 30 წლის შემდეგ საქართველო ბევრად უფრო განვითარებული ქვეყანა იქნებოდა, ცხოვრების ბევრად უკეთესი პირობებით, ვიდრე დღეს გვაქვს. რატომ არ მოხდა ასე, რამ შეგვიშალა ხელი, რა უნდა გავაკეთოთ, რომ შევცვალოთ ცხოვრება? შეუძლებელზე ხომ არ ვფიქრობთ? შესაძლებელია კი გაუმჯობესება? როგორ? კარგი ლიდერების და პარტიების არჩევით?

საზოგადოებას მიეცა შესაძლებლობა ხელისუფლების არჩევისა, მაგრამ ყველა ახალი არჩევანის საფუძველი იყო ძველი არჩევანის უარყოფა.

ჩაითვალა, რომ წარსულის უარყოფა თავისთავად წინსვლას ნიშნავს. ფიქრი, აზრი და მსჯელობა პოლიტიკაზე დარჩა მსჯელობად ადამიანებზე, პერსონებზე – კარგ და ცუდ ლიდერებზე. ამან პოლიტიკას და პოლიტიკურ დისკუსიას შინაარსი გამოაცალა, პოლიტიკა იქცა მხოლოდ ვიწრო პოლიტიკური ჯგუფებისა და პოლიტიკოსების ძალაუფლებისათვის ბრძოლის სივრცედ, სადაც ხალხისთვის, მოქალაქეებისთვის უმთავრესი მნიშვნელობის საკითხები ან სრულიად გაქრა, ან მეორეხარისხოვანი ადგილი დაიკავა.

მოქალაქეები იქცნენ მხოლოდ ამომრჩევლებად და მონაწილეობა დავიდა მაყურებლობაზე. იდეები ან მიზნები, რომლებიც დროდადრო გამოკრთება ხოლმე უკომპრომისო პერსონალისტურ ბატალიებში, ერთდროულად პოპულისტური, ეფემერული და ზედაპირულია (ნატოში გაწევრიანება, განაცხა-

დი ევროკავშირში, უცხოური ჯგუფების შეთქმულებები საქართველოს წინააღმდეგ და ა.შ.).

საბჭოთა იდეოლოგიის უარყოფასთან ერთად, თითქოს, უარყოფილ იქნა საერთოდ იდეების როლი საზოგადოების ცხოვრებასა და განვითარებაში, თუმცა, სინამდვილეში, ეს ასე არ არის.

დღევანდელი საზოგადოებრივი წესრიგი ეფუძნება იდეოლოგიას, რომელიც არ ხდება განსჯისა და დისკუსიის საგანი და მიიჩნევა არა იდეოლოგიად, არამედ ბუნებრივ (და, შესაბამისად, რაციონალურ) წესრიგად, რომელსაც ალტერნატივა არა აქვს არც რაციონალური, არც პრაგმატული, არც თეორიული და არც მორალური თვალსაზრისით. ეკონომიკური და პოლიტიკური ელიტა, საზოგადოებრივი აზრის ლიდერები და მედია სივრცე ამ წესრიგს უალტერნატივოდ მიიჩნევენ და მისი ეჭვის ქვეშ დაყენება არალეგიტიმურად ითვლება.

თუ ცხოვრების წესებზე, საზოგადოებრივ მოწყობაზე, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ინსტიტუტებზე საზოგადოება არ იმსჯელებს, მათ ავკარგიანობას არ შეაფასებს, რჩება მხოლოდ ადამიანების განსჯა ყოფითი საზომებით: კეთილია თუ ბოროტი, პატიოსანი თუ უპატიოსნო, ჭკვიანი თუ სულელი, კარგი თუ ცუდი ორატორი, ლამაზი თუ შეუხედავი და ა.შ.. იმისთვის, რომ არსებული ვითარება შეიცვალოს, პოლიტიკას უნდა დაუბრუნდეს შინაარსი, იდეები. დისკუსიის და განსჯის საგანი უნდა გახდეს იდეები, ნაცვლად ცალკეული პერსონების ავკრგიანობისა.

დღეს გაბატონებული იდეოლოგია – თავისუფლება და ინდივიდუალიზმი რადიკალური ფორმით (ეკონომიკური სარგებლის მაქსიმალიზება), რომელსაც ეფუძნება არსებული საზოგადოებრივი წესრიგი, არის ნეოლიბერალიზმის ნაზავი პოსტსაბჭოთა სინამდვილესთან. საბჭოთა პერიოდში იგნორირებულმა თავისუფლების იდეამ ჰიპერტროფიული ადგილი დაიკავა დღევანდელ იდეოლოგიაში, ხოლო საბჭოთა ტიპის თანასწორობის უარყოფის გამო, ზოგადად, თანასწორობის იდეა იქნა უგულებელყოფილი.

საბჭოთა ტიპის ყოვლისმომცველი სახელმწიფოს მიმართ დაპირისპირებამ ხელი შეუწყო სახელმწიფოს იდეის მთლიანად დისკრედიტაციას და ე.წ. „მცირე სახელმწიფოს“ ან „მინიმალური სახელმწიფოს“ იდეის დამკვიდრებას, რაც თანდათან უკიდეგანო ინდივიდუალიზმის გაფეტიშებამდე და კოლექტიური მოქმედებისა და საჯარო სიკეთეების ღირებულების უარყოფამდე მივიდა.

კერძო საკუთრებისადმი საბჭოთა ნეგატიური დამოკიდებულების უარყ-

ოფამ მეორე უკიდურესობა – საკუთრების თითქმის რელიგიური თაყვანისცემა მოიტანა.

დაიგმო რა მბრძანებლური, გეგმიური სოციალისტური ეკონომიკა, დამკვიდრდა არა კოორდინირებული და სოციალური საბაზრო ეკონომიკა, არამედ ქაოტური და ველური ჰიპერკაპიტალიზმი.

გაუქმდა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა, მაგრამ არ შეიქმნა პირობები სიტყვის თავისუფლების რეალიზებისთვის. სიტყვის თავისუფლება (ამ უფლების რეალიზება) გახდა ვიწრო ჯგუფის პრივილეგია. ძირითადი ეკონომიკური რესურსების კონცენტრირება მოხდა მოსახლეობის ძალიან მცირე ჯგუფის (1%) ხელში, ხოლო 99%-ის მდგომარეობა აღმოჩნდა სავალალო.

დემოკრატია, როგორც ყველა მოქალაქის თანასწორი მონაწილეობით განხორციელებული ხალხის მმართველობა, არ დამკვიდრდა. პოპულიზმი და მანიპულაცია ფასადური და ილუზორული „დემოკრატიული წესრიგის“ მთავარ ბურჯად იქცნენ.

თუ დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო უმცირესობის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა უმრავლესობის დიქტატისაგან, დღეს აშკარაა, რომ მოსახლეობის პრივილეგირებული 1% სრულად მანიპულირებს და მართავს მოსახლეობის პრაქტიკულად უუფლებო უდიდეს უმრავლესობას ზემოთხსენებული ინსტრუმენტების მეშვეობით. ეს ყველაფერი შეუძლებელს ხდის ქვეყნის განვითარებაში მოქალაქეთა სრულფასოვან ჩართულობას და, შესაბამისად, ასუსტებს განვითარების პოტენციალს. საქართველო სულ უფრო მეტად ჩამორჩენილი ქვეყანა ხდება. იმისთვის, რომ არსებული ვითარება შეიცვალოს, საჭიროა ფუნდამენტურ საკითხებთან დაბრუნება.

შეუძლებელია, ყველა ყველაფერზე შეთანხმდეს, მაგრამ შეიძლება შეთანხმება მსჯელობისა და პაექრობის წესებზე.

დღევანდელობას ვერ უპასუხებს დოგმატური, ერთხელ და სამუდამოდ აღიარებული, უალტერნატივო იდეოლოგია, მაგრამ აუცილებლად საჭიროა საზოგადოებრივ წესრიგზე, ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკაზე საჯარო მსჯელობა.

ეს უნდა გაკეთდეს არა ცალკეულ, ვიწრო საკითხებზე ფოკუსირებით, არამედ მოვლენათა ფართო ხედვით, რაც საზოგადოებას მისი მოწყობისა და ფუნქციონირების დიდ პანორამას დაანახებს.

ამ მსჯელობაში დღის წესრიგის ერთ-ერთ უმთავრეს ადგილს თავისუფლებისა და თანასწორობის ურთიერთმიმართება დაიკავებს.

80-იანი წლებიდან თავისუფლების იდეამ ისეთი ტემპებით დაიწყო გავრცელება, რომ ამ დროიდან მოყოლებული იგი გახდა მსოფლიო წესრიგის დასაყრდენი. რატომ ვსაუბრობთ დღეს ამ წესრიგის ცვლილებაზე? რატომ ვერ გახდა იგი მიმზიდველი საზოგადოების ყველა წევრისათვის?

საქმე იმაშია, რომ დროთა განმავლობაში თავისუფლების იდეამ მიიღო იმდენად ჰიპერტროფული ფორმა, რომ გადაულახავ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა კაცობრიობის კიდევ ერთ დიად იდეასთან – თანასწორობის იდეას. ამან ის შედეგი გამოიღო, რომ თავისუფლების რეალიზების შესაძლებლობა მიეცა მხოლოდ ადამიანთა ძალიან ვიწრო ჯგუფს, რამაც გამოიწვია თავისუფლების საყოველთაობის იდეის კრიზისი, ეს კი თავისთავად წარმოშობს არათავისუფლებას. თავისუფლების ასეთი რეალიზების პირობებში, ადამიანების ვიწრო ჯგუფმა მიაღწია ისეთ წარმატებას, რომ მათ ხელში აღმოჩნდა რესურსების ძალიან დიდი ნაწილი. ამან კი შესაძლებლობა მისცა მათ, შეეზღუდათ სხვების თავისუფლებები, რასაც წარმატებით აკეთებდნენ წარსულში და აკეთებენ დღესაც.

შედეგად ჩამოყალიბდა საზოგადოება, სადაც ზოგიერთისათვის არსებული თავისუფლება სხვებისათვის ნიშნავს არათავისუფლებას. ეს კი ამ სხვებში, ანუ უდიდეს უმრავლესობაში, იწვევს უსამართლობის ძლიერ განცდას.

ყველა იდეა, რომელიც გასულ ათწლეულებში ეძებდა ამ პრობლემის მოგვარებას, ცდილობდა, ეს გაეკეთებინა ისევ ამ წესრიგის, თავისუფლების ამგვარი გაგების ჩარჩოებში. ამიტომ იყო, რომ ყველა ეს მცდელობა, ძირითადად, ტექნიკურ და ლოკალურ ხასიათს ატარებდა. მათ ვერ მოახერხეს ადამიანების ცხოვრების ძირეული გაუმჯობესება და ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან არცერთი მათგანი არ იყო მიმართული ამ გლობალური წესრიგის ცვლილებისაკენ.

სახეზეა პარადოქსული ვითარება: ერთი მხრივ, საზოგადოების დიდ ნაწილს აქვს უსამართლობის განცდა, მაგრამ, მეორე მხრივ, თავისუფლების ამგვარი საკრალიზაციის გამო, იმავე საზოგადოებას მიაჩნია, რომ თავისუფლების რეალიზების უფლება არა აქვს შეზღუდული.

პანდემია და (უ)თანასწორობა

პანდემიის პირობებში, როდესაც ადამიანები ხმამაღლა გამოხატავენ თავიანთ წუხილს პანდემიით გამოწვეული კრიზისის გამო, მათი წუხილის საგანი ხშირ შემთხვევაში არის არა ის, თუ რა გზებით მოხდება ამ კრიზისის დაძლევა, არამედ ის, თუ როდის დაუბრუნდებიან იმ ცხოვრებას, რომელიც პანდემიამდე ჰქონდათ, მიუხედავად იმისა, ცუდი იყო ის ცხოვრება თუ კარგი.

სხვადასხვა ტიპის კრიზისები მუდმივად გასდევს საზოგადოებას, მაგრამ თანამედროვე კრიზისი ეპოქალური მნიშვნელობისაა, რაც გულისხმობს, რომ ის ცხოვრება, რომელიც ამ კრიზისამდე იყო, არასოდეს დაბრუნდება. რაც უფრო ადრე მოხდება ამ აზრთან შეგუება, მით უფრო სწრაფად მოხერხდება კრიზისის დაძლევა. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია კრიზისის შედეგების გახანგრძლივება, რაც უფრო მტკივნეული იქნება და, რაც მთავარია, ადრინდელი ცხოვრება მაინც არასოდეს დაბრუნდება.

რა იძლევა ასეთი ამბიციური დასკვნის გაკეთების საფუძველს? ეს არის, პირველ რიგში, საზოგადოების უდიდესი ნაწილის მიერ უკიდურესად გამწვავებული უსამართლობის განცდა.

დღეს ვითარება შეიცვალა იმგვარად, რომ მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისთვის ფიზიკურად გადარჩენის პრობლემა დგას.

ეს ყველაფერი გაზრდილი უთანასწოროების ფონზე ხდება – როდესაც საზოგადოების ერთი ნაწილის ცხოვრებას გაუარესების არაფერი დატყობია (თუმცა ძალიან ცოტას) მაშინ, როდესაც მეორე ნაწილი, რომელიც ძალიან დიდია, გადარჩენის პრობლემის წინაშე დგას.

მართალია, პანდემიამდე არსებულ წესრიგშიც ძალიან მაღალი იყო უთანასწორობა, მაგრამ ეს მაშინ სამართლიანად იყო მიჩნეული (რაც თავისთავად ძალიან სადავო საკითხია), რადგან ითვლებოდა, რომ ადამიანების მცირე შემოსავლები მათი ნაკლები უნარების, მათი ნაკლები შრომისმოყვარეობის შედეგი იყო. მაგრამ მაშინ ადამიანების უდიდესი უმრავლესობისათვის უფრო ცუდად ცხოვრების პრობლემა იდგა და არა გადარჩენის, რადგან საარსებო მინიმუმის შოვნის საკითხი მეტ-ნაკლებად მოგვარებული იყო.

პანდემიის მიერ შექმნილი მდგომარეობა არ არის დაკავშირებული ადამიანების ცუდად ან კარგად მუშაობასთან: ვიღაცა თუ მეტად დაზარალდა და ვიღაცა ნაკლებად, ეს მათი ბრალი არ არის. თუ ტურიზმის, კვების, ვაჭრობის, ტრანსპორტისა და სხვა სფეროებში დასაქმებული ადამიანების შემოსავლები შემცირდა, ეს მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მოხდა, თან, რაც მთავარია, ეს იყო მათი საარსებო შემოსავლები. ამ შემოსავლების შეკვეცა ნიშნავს ამ ადამიანების პირდაპირ გაწირვას: თუ ეპიდემიამდე მათი ცხოვრება ცუდი იყო, დღეს იგი გაუსაძლისი გახდა.

ეპოქა, რომელიც დაიწყო გასული საუკუნის 80-იან წლებში, დასრულდა პანდემიის დადგომასთან ერთად. ამან მოიტანა იმის შეგრძნება, რომ ის წესრიგი, რომლითაც მსოფლიო ეპიდემიის გავრცელებამდე ცხოვრობდა, აუცილებლად შეიცვლება.

მართალია, პანდემიამ გაზარდა უთანასწორობა, მაგრამ ნათელია, რომ უთანასწორობის საერთო ზრდა დამახასიათებელი იყო პანდემიამდელი ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში გაბატონებული ეკონომიკური მოდელისთვის, როდესაც სულ უფრო მცირდებოდა გადანაწილება და იზრდებოდა ეკონომიკის (რესურსების და შემოსავლების) კონცენტრაცია ვიწრო ჯგუფების ხელში. შესაბამისად, უთანასწორობა პანდემიამდე უკვე იყო სტრუქტურული პრობლემა, რომელიც სტრუქტურულ გადაწყვეტილებებს მოითხოვდა.

მთელ მსოფლიოში ბოლო ორი წლის განმავლობაში სახეზეა მნიშვნელოვანი ცვლილებები. როგორც მოწინავე ეკონომიკის ქვეყნებში, ისე მთელ მსოფლიოში სულ უფრო ხშირად ჩნდება აქამდე გაბატონებული პოლიტიკების ალტერნატივები. საფუძველი ერყევა მარგარეტ ტეტჩერის ცნობილ მაქსიმას TINA (There Is No Alternative): „ალტერნატივა არ არსებობს“.

პანდემიამ რადიკალურად გაზარდა სახელმწიფოს როლი. ნეოლიბერალური მცირე, სუსტი, უპასუხისმგებლო სახელმწიფო და რადიკალური თავისუფალი ბაზარი ვერ პასუხობენ ეპიდემიის გამოწვევებს.

პრაქტიკაში უკვე ვხედავთ სახელმწიფოს როლის და პასუხსიმგებლობის ზრდას (მათ შორის საქართველოში). პანდემია საჭიროებს გლობალურ პასუხებს, მაგრამ ამ გლობალური (შეთანხმებული) პასუხის შექმნისა და რეალიზების მთავარი სუბიექტებიც სახელმწიფოები არიან და არა სხვა აქტორები.

უნდა თუ არა ცალკეულ ადამიანს, რომ ყველა ადამიანი თანასწორი იყოს?

თუ ამოვალთ ადამიანის ბუნებითი, ეგზისტენციალური, არსებითი თვისებებიდან, ადამიანი მიისწრაფის თვითრეალიზაციისკენ (სრული ფუნქციონირებისკენ).[1] მისთვის მნიშვნელოვანია სრულყოფილი ფუნქციონირების მდგომარეობის მიღწევა და, შესაბამისად, ამ მდგომარეობის მიღწევის გზაზე წარმოშობილი შეზღუდვების დაძლევა. ცალკეული ადამიანისთვის არ არის მნიშვნელოვანი და ღირებული ან ნაკლებად მნიშვნელოვანია სხვისი (სხვა ადამიანების) მდგომარეობა – ანუ, თუ სხვა ადამიანებს აქვთ უკეთესი (ან უა-

რესი) მდგომარეობა – ეს არ არის პირდაპირი მოტივატორი, ადამიანის მოქმედებაზე ზეგავლენის მომხდენი, მისთვის მთავარია, თავად მიაღწიოს სასურველ მდგომარეობას. ანუ, ჩემი მიზანია არა ყველას თანაბრად ჰქონდეს რესურსები, არამედ მე მქონდეს რესურსები, რომელიც მე მჭირდება. სხვისი სიმდიდრე კი არ მაწუხებს, არამედ ის, რომ მე არ მაქვს საჭირო რესურსები. შესაბამისად, გადანაწილებისკენ მისწრაფება კი არ მამოძრავებს, არამედ სასურველი რესურსების მოპოვება. გარკვეული იდეოლოგიური და პროპაგანდისტული მანიპულაციის შედეგად ადამიანს შესაძლოა გაუჩნდეს განწყობა, რომ მნიშვნელოვანია (მისთვის) არა (მხოლოდ) შეზღუდვების დაძლევა, არამედ სხვებისთვისაც მსგავსი შეზღუდვების დაწესება (ანუ გათანაბრება, არა თავისუფლების დაწესებაში, არამედ თავისუფლების შეზღუდვაში). ადამიანისთვის, რომლის პიროვნული მისწრაფება ორიენტირებულია შეზღუდვების დაძლევაზე, ძლიერი მოტივატორი შეიძლება იყოს ისეთი ბუნებითი ან ბუნებითთან მიახლოებული მენტალური, ყოვლისმომცველი მსოფლმხედველობით განპირობებული შეზღუდვები, რომლებსაც შეიძლება ვუწუდოთ სტატუსური, მაგალითად: გენდერული, წოდებრივი, კონფესიური, ნაციონალური და ა.შ.. ეს ხდება იდენტობის განცდის საფუძველზე როგორც ჯგუფებს შიგნით, ასევე ჯგუფებს შორის თანასწორობის მოთხოვნის განცდის გაძლიერებით.

ამგვარი შეზღუდვების დაძლევა შეუძლებულია სოციუმის ორგანიზაციულ-კონსტიტუციური, სისტემური წესრიგის ფუნდამენტური ცვლილების გარეშე, რაც არ ხელეწიფება ცალკეულ ადამიანს – ეს მოითხოვს კოლექტიურ ძალისხმევას, კოლექტიურ მოქმედებას, ისეთი სოციალური (და პოლიტიკური) ჯგუფების მოქმედებას, რომელთაც ექნებათ ზემოქმედების და გავლენის მნიშვნელოვანი ძალა არსებული წესრიგის ცვლილებისა.

ამგვარი ჯგუფების ფორმირება უპირატესად ხდება ამ შეზღუდვების დაძლევის მოსურნე ადამიანების გაერთიანებითა და ერთობლივი მოქმედებით – ასეთი ჯგუფების ფორმირების საფუძველი უმეტესწილად არის ბუნებითი ან ბუნებითთან მიახლოებული მახასიათებლები, რომლებიც აისახება ამ ადამიანების იდენტობის მენტალურ განცდაში, მაგალითად: გენდერული, წოდებრივი, კონფესიური, ნაციონალური ან კლასობრივი, პროფესიული და სხვა ტიპის იდენტობები.

ასე რომ, თუ ადამიანის ქცევის მოტივაციას და მოქმედების ინსპირაციას დავიყვანთ საზოგადოებისგან სრულად მოწყვეტილი ინდივიდის იმპულსებ-

ზე, (მარგარეტ ტეტჩერის ცნობილი გამონათქვამისა არ იყოს: „არ არსებობს საზოგადოება, არსებობენ მხოლოდ ინდივიდები“), თანასწორობის იდეა ვერ დაიკავებს მნიშნელოვან ადგილს საზოგადოებრივ დისკურსში და ვერ მიიღებს შესაბამის ლეგიტიმაციას.

ტრადიციული ან ხისტი, სქოლასტიკურად გაგებული იდეოლოგიები ვერ პასუხობენ დღევანდელ გამოწვევებს. თუ ლიბერალიზმს გავიგებთ როგორც იდეოლოგიას, რომელიც პრიორიტეტულ მნიშნელობას ანიჭებს ადამიანის თავისუფლებას, ოღონდ თავისუფლებას ყველა ადამიანისა, მათ შორის მომავალი თაობებისთვის, რომლებიც ჯერ ბავშვობის ასაკში არიან, ან ჯერ კიდევ არ დაბადებულან, მაშინ ნათელია, რომ უნდა გავატაროთ პოლიტიკა (პოლიტიკები, პოლისები), რომლებიც ევროპულ ტრადიციაში უმთავრესად დაკავშირებულია სოციალ-დემოკრატიულ პოლიტიკასთან. ამას უნდა დაემატოს ჯანსაღი კონსერვატიზმი ბუნებითთან მიახლოებული უფლებების რეალიზებისთვის.

(უ)თანასწოროება და სამართლიანობა

თუ გვსურს, რომ (უ)თანასწორობა გახდეს საზოგადოებრივად კრიტიკული მნიშვნელობის საკითხი, უნდა გავიაზროთ, როგორ უკავშირდება ის სამართლიანობას.

თუ უთანასწორობას უსამართლობად აღვიქვამთ, იგი მიუღებელი და არალეგიტიმურია. შესაბამისად, ჩვენ მივისწრაფით მისი აღმოფხვრისკენ და ვმოქმედებთ და ვიბრძვით ამისთვის.

თუ უთანასწორობას უსამართლობად არ აღვიქვამთ, იგი მისაღები და ლეგიტიმურია. შესაბამისად, ჩვენ არ მივისწრაფით მისი აღმოფხვრისკენ და არ ვმოქმედებთ და არ ვიბრძვით ამისთვის.

საზოგადოების მეტ-ნაკლებად სტაბილური ფუნქციონირებისთვის აუცილებელია, რომ მის წევრებს ჰქონდეთ მეტ-ნაკლებად გაზიარებული სამართლიანობის განცდა და რწმენა (განწყობა), რომ არსებული წესრიგი ამ ხედვას ეფუძნება.

პირობითად შეიძლება გამოვყოთ უთანასწორობის რამდენიმე ტიპი:

1. **ბუნებითი უთანასწორობა** – ვიტალური მახასიათებლები, თვისებები

(ფიზიკური ძალა, გონებრივი ნიჭი), გენდერული მახასითებლები (სქესი);

2. **სტატუსური** – ბუნებითთან მიახლოებული მახასიათებლები, იდენტობები, რომლებსაც ადამიანი იძენს, როგორც თითქმის გაუცნობიერებლად, ასევე გაცნობიერებულად: რელიგიური, ეთნიკური (ეროვნული), კულტურული პატერნები, კასტური, კლასობრივი (გლეხი, ფეოდალი, მონა)...

3. **რესურსული, ეკონომიკური** – შემოსავლები, ქონება (სიმდიდრე), ძალაუფლებრივი...[2]

უთანასწორობის ეს ტიპები ურთიერთზემოქმედებენ სხვადასხვა ფორმითა და დონით. პირველი ტიპის ბუნებითი უთანასწორობები არის მოცემულობა, რომლის შეცვლაც შეუძლებელია და ისინი უნდა განვიხილოთ გადაულახავ განსხვავებებად, რომელთა თანასწორი და სრულყოფილი რეალიზება უნდა იყოს ამოცანა – (ანუ) ყველას უნდა მიეცეს თანასწორად სრულყოფილი რეალიზების (ფუნქციონირების) შესაძლებლობა.

როულზის სამართლიანობის პრინციპი გულისხმობს, რომ უფრო სუსტებს მიეცეთ საზოგადოებისგან მეტი მხარდაჭერა უფრო ძლიერებთან შედარებით, როგორც გამონაკლისი, ხოლო მთლიანობაში, ერთნაირად, ანუ თანასწორად მოპყრობა ყველას მიმართ უნდა იყოს საყოველთაო ნორმა.[3] ეს გამონაკლისი ეხება, უპირველეს ყოვლისა, ბუნებით უთანასწორობებს (განსხვავებებს), მაგალითად, შშმ პირებისთვის უნდა არსებობდეს სპეციალური პირობები, შესაძლოა პრივილეგიებიც კი ხშირ შემთხვევაში. მაგრამ ასევე აუცილებელია საზოგადოების სპეციალური ძალისხმევა თუ გვინდა, რომ უთანასწორობების მეორე და მესამე ტიპების მინიმიზება მოხდეს და უფრო სამართლიანი და, შესაბამისად, თანასწორობაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი წესრიგი ჩამოყალიბდეს, სადაც ყველა ადამიანს აქვს შესაძლებლობა და პირობები თავისი პიროვნების სრულყოფილი თვითრეალიზებისა, ან, ამარტია სენის სიტყვებით თუ ვიტყვით, სრულყოფილი ფუნქციონირებისა.

სამართლიანი საზოგადოების მთავარი პრინციპია: თითოეული ინდივიდი ერთდროულად თავისუფალიცაა და თანასწორიც:

- მხოლოდ თავისუფლების იდეა (ნეგატიური) ქმნის თავისუფლების რეალიზების არათანასწორ საშუალებებს თითოეული ინდივიდისათვის და საბოლოოდ შეუძლებელს ხდის თავად თავისუფლების პრინციპის რეალიზებას ყველასთვის;

- მხოლოდ თანასწორობის პრინციპის დამკვიდრება, ზღუდავს რა თანასწორობის დარღვევას ვინმეს მიერ (ე.ი. ზღუდავს განსხვავებული ადამიანების – ადამიანები კი განსხვავებულნი არიან – თვითრეალიზების შესაძლებლობას), შეუძლებელს ხდის საბოლოოდ თანასწორობას, ანუ თითოეული ინდივიდის თანასწორად რეალიზებას;
- ორივე უნდა იყოს ერთდროულად რეალიზებული: თავისუფლების რეალიზების შესაძლებლობა თითოეულისათვის და არა მხოლოდ უფლება.

თავისუფალი, თანასწორი და სამართლიანი საზოგადოების წესრიგი მოითხოვს ფუნდამენტური საკითხების გადააზრებას ახლი სოციალური კონტრაქტის საფუძველზე:

- საზოგადოების ცხოვრება ორგანიზებულია გაზიარებული ფუნდამენტური საბაზისო წესების, თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპების რეალიზების საფუძველზე;
- ამ წესების შემუშავება ხდება ყველას, ანუ თავისუფალი და თანასწორი ინდივიდების მიერ;
- სამართლიანი საზოგადოების წესები განისაზღვრება (სოციალური კონტრაქტი იდება) დემოკრატიულად.

ძალაუფლება და (უ)თანასწორობა

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს და საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდგომ პერიოდში დემოკრატია, ალბათ, ყველაზე გავლენიანი იდეა იყო, რომელიც ახდენდა ფართო მასების მობილიზებას პოსტსოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანაში. დემოკრატია უკავშირდებოდა არა მხოლოდ მმართველობის ფორმას, არამედ ასევე ორი უდიდესი გავლენის მქონე იდეას: თავისუფლებას და დამოუკიდებლობას:

– თავისუფლებას, რამდენადაც დემოკრატია გულისხმობდა შეზღუდვების მოხსნას ადამიანისთვის, მიეღო მონაწილეობა საჯარო გადაწყვეტილებაში, როგორც აზრის გამოთქმის, ასევე უშუალოდ საკითხებზე თავისი პოზიციის დაფიქსირებისა და ზეგავლენის მეშვეობით, მათ შორის მმართველობაში უშუალო ჩართვით. ყველა ეს შესაძლებლობა საბჭოთა სისტემაში ადამიანთა პრაქტიკულად უდიდესი უმრავლესობისთვის მიუღწეველი იყო და წარმოადგენდა მხოლოდ ლიდერთა უკიდურესად ვიწრო ჯგუფის პრივილეგიას. ამგვარად, არსებული შეზღუდვების მოხსნა და ადამიანების სწრაფვა მნიშვნელოვან მოტივაციურ და მობილიზაციურ ფაქტორს წამოადგენდა ერთდროულად;

– დამოუკიდებლობას, რამდენადაც დემოკრატია გულისხმობს ხალხის (ერის, ქვეყნის, მოქალაქეების) მიერ თვითმართვის განხორციელებას ან სუვერენიტეტს (როგორც ხშირად ამბობდნენ იმ დროს). ანუ, ამ თვალსაზრისით, დემოკრატია ითვალისწინებდა შეზღუდვების მოხსნას ადამიანთა ჯგუფებისთვის, რომლებიც ერთიანდებოდნენ გარკვეული იდენტობის (იმ დროის და ვითარებისთვის პრიორიტეტული იდენტობის) საფუძველზე. მრავალი ფაქტორის გამო უმრავლესობისთვის იდენტობის განცდა, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდებოდა ეროვნულ იდენტობას, რომლის სრულფასოვანი რეალიზებისთვის საბჭოთა სისტემა ქმნიდა გადაულახავ შეზღუდვებს. ამ შეზღუდვათა დაძლევა, ისევე როგორც, ზოგადად, თავისუფლების შეზღუდვებისა, წარმოადგენდა მნიშნელოვან მობილიზაციურ და მოტივაციურ ფაქტორს იმავდროულად.

ე.ი. როგორც პიროვნული, ისე ეროვნული თავისუფლებისკენ ეს ორივე მისწრაფება სტიმულირებულია ადამიანის ბუნებითი (ცალკეული ინდივიდის შემთხვევაში) ან ბუნებითთან გათანაბრებული იდენტობის (ეროვნების შემთხვევაში) თვისებების რეალიზების მოთხოვნილებით, რაც უშუალოდ და

პირდაპირ არ უკავშირდება თანასწორობის იდეას. მეტიც, პოსტსოციალისტურ სივრცეში განვითარებული პროტესტი, როგორც ერთი საზოგადოების (ან ეროვნული ერთობის) შიგნით, ასევე ურთიერთობები და კონფლიქტები სხვადასხვა ერებს (იდენტობის მქონე ჯგუფებს) შორის, მიზნად სრულიადაც არ ისახავდა თანასწორობის დამკვიდრებას პროცესში მონაწილე მხარეებს შორის, არამედ უპირატესად ორიენტირებული იყო საკუთარ ინტერესებზე.

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეებისგან განსხვავებით, დემოკრატია უშუალო და პირდაპირ კავშირშია თანასწორობასთან.

დემოკრატიის თეორიაში სიღრმისეული წიაღსვლების გარეშეც შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ თანასწორობის იდეა (პრინციპი) კრიტიკული მნიშვნელობის მქონეა. დემოკრატიული, ძალაუფლებრივი წესრიგის სფეროში ხალხის, დემოსის (პოლიტიკური ერთობის) ყველა წევრი თანასწორად მონაწილეობს საჯარო გადაწყვეტილებების (ან საერთო გადაწყვეტილებების) მიღებაში, რომელიც ლეგიტიმურად არის მიჩნეული ხალხის მიერ.

დემოკრატიის საყოველთაო ლეგიტიმაციის პირობებში პოლიტიკური თანასწორობა იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას და მისკენ სწრაფვა ხდება მნიშვნელოვანი მოტივატორი ადამიანებისთვის.

განსხვავებით ეკონომიკის სფეროსგან, სადაც ადამიანს ამოძრავებს მისწრაფება თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისკენ, დამოუკიდებლად იმისგან, თუ სხვები რა დონეზე იკმაყოფილებენ საკუთარ მოთხოვნილებებს (თანასწორად, უარესად თუ უკეთესად), ძალაუფლებრივ სფეროში დემოკრატიული წესრიგი აუცილებლობით გულისხმობს, რომ ყველა თანასწორი იყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ანუ დემოკრატიულ პროცესში მონაწილე ადამიანი მიისწრაფის, რომ მას არ ჰქონდეს სხვაზე ნაკლები ძალაუფლება და მზად არის, არც მას თავად ჰქონდეს სხვაზე მეტი ძალაუფლება: არავინ (ან ძალიან ცოტა) აპროტესტებს ქონებრივ ან საშემოსავლო განსხვავებას პრინციპულად მაშინ, როდესაც ყველა (ან თითქმის ყველა) აბსოლუტურად მიუღებლად მიიჩნევს თანასწორობის პრინციპის დარღვევას დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღებისას (მაგალითად, არჩევნები).

ყველა საზოგადოებაში, მათ შორის საქართველოშიც, სადაც დემოკრატია აღიარებულია ძალაუფლებრივი წესრიგის სამართლიან და ლეგიტიმურ ფორმად, მოქალაქეთა თანასწორობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში აუცილებელ პირობად აღიქმება. მაგრამ ამ საყოველთაო აღიარების პირობებში არსებობს ძლიერი განცდა, რომ ეს პრინციპი – თანასწორობა ძა-

ლაუფლებაში – არ არის დამკვიდრებული და მუდმივად (ან ძალიან ხშირად) ირღვევა. უმეტესწილად ეს უკმაყოფილება ფოკუსირდება არჩევნებზე და მიიჩნევა, რომ მთავარი მექანიზმი დაკავშირებულია კანონების დარღვევასთან. ანუ თუ არსებული საარჩევნო კანონები არ დაირღვევა ჩვენ მივიღებთ დემოკრატიულ პროცესს, სადაც ყველა თანასწორად მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღებაში.

ამ ილუზიის გასაფანტად უფრო სიღრმისეულად უნდა განვიხილოთ ზოგიერთი საკითხი.

არჩევნები და დემოკრატია

არჩევნები ხშირად თანამედროვე, უფრო სწორად, მოდერნული ეპოქის დემოკრატიის უმთავრეს გამოვლინებად მიიჩნევა და საქართველოც ამ თვალსაზრისით გამონაკლისს არ წარმოადგენს. მართლაც, თანამედროვე წარმომადგენლობით დემოკრატიებში ეს უმთავრესი და ერთადერთი (თუ რეფერენდუმებს არ მივიღებთ მხედველობაში, რომლებსაც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, შეუდარებლად უფრო მცირე ზეგავლენა აქვთ საზოგადოების ცხოვრებაზე) პროცესი ან ეპიზოდია, როდესაც ხალხი (ანუ დემოსი), მოქალაქეები უშუალოდ და პირდაპირ მონაწილეობენ საჯარო გადაწყვეტილებების მიღებაში. დემოკრატია ასეა განსაზღვრული არა მხოლოდ აკადემიურ სივრცეში: დალთან, შუმპეტერთან, პოპერთან და სხვათა თეორიულ ნაშრომებსა თუ უამრავ ელექტორალურ კვლევაში, არამედ საზოგადოებრივ აღქმაშიც.

მაგრამ გადაწყვეტილება დემოკრატიულად რომ ჩაითვალოს, დაცული უნდა იქნეს რიგი პირობებისა, რომლებიც მას ლეგიტიმურად აქცევს. დემოკრატიის თეორიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კლასიკოსი რობერტ დალი ხუთ ასეთ პირობას, კრიტერიუმს გამოყოფს: 1. თანასწორი კენჭისყრა; 2. ეფექტური მონაწილეობა: სიტყვის, აზრის გამოთქმის თავისუფლება; 3. ინფორმირებულობაზე დაფუძნებული გაგება (გადასაწყვეტი საკითხისა); 4. დღის წესრიგის კონტროლი; 5. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა. ეს პირობები უნდა იყოს უზრუნველყოფილი თანასწორად ყველა მოქალაქისთვის, რაც ეხება როგორც ამომრჩევლებს, ისე ასარჩევ კანდიდატებს.[4]

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში? რამდენად აკმაყოფილებს და

შეესაბამება საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესი ზემოხსენებულ კრიტერიუმებს?

ცხადია, მათი აბსოლუტური ფორმით რეალიზება მხოლოდ იდეალურ შემთხვევაშია შესაძლებელი და რობერტ დალიც ამგვარ წესრიგს სწორედ „იდეალურ დემოკრატიას“ უწოდებს. მაგრამ, თუ მნიშვნელოვანწილად პრაქტიკულად უგულებელყოფილია (არარეალიზებულია) ხსენებული კრიტერიუმები, მაშინ კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ მოქალაქეების მიერ თანასწორობის პრინციპის დაცვით დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღების მოლოდინი ილუზიაა და ზოგიერთი (ხშირად არცთუ გადამწყვეტი მნიშნელობის მქონე) კანონდარღვევის ზედაპირული კრიტიკა ამ ილუზიას მხოლოდ გააძლიერებს და არ მოგვცემს საშუალებას, გავიაზროთ ფსევდოდემოკრატიული წესრიგის გაბატონების სიღრმისეული მიზეზები. რასაკვირველია, საქართველო არ წარმოადგენს უნიკალურ შემთხვევას და დღეს ყველაზე უფრო დემოკრატიულად მიჩნეულ ქვეყნებშიც კი დემოკრატიის ეროზია და ხშირად ილუზორულობა ფართოდ არის აღიარებული აკადემიურ სივრცეში (მაგალითად, პოპულიზმის ზრდისა და დემოკრატიული წესრიგის ტრანსფორმირების შესახებ იხილეთ მ. მუსხელიშვილის სტატია ამავე კრებულში).

სპეციალური კვლევის გარეშეც აშკარაა, რომ ყველა ზემოხსენებული კრიტერიუმი საარჩევნო პროცესში დიდწილად არ არის დაცული და მოქალაქეები არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან.

კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს უთანასწორობები?

ილუსტრაციისთვის განვიხილოთ, მაგალითად, აზრის თავისუფალი გამოხატვის თანასწორი შესაძლებლობები, რასაც კრიტიკული ზეგავლენა აქვს ამომრჩეველთა მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე. ცხადია, ვისაც აქვს მეტი ხელმისაწვდომობა პროპაგანდის საშუალებებზე, ის სარგებლობს პრივილეგიით. ეს არის: ტელევიზია, ბეჭდური რეკლამა, ინტერნეტ-პროპაგანდა, დაქირავებული აქტივისტ-პროპაგანდისტები და სხვა. ეს ყველაფერი მოითხოვს უპირველესად ფინანსურ (მატერიალურ) რესურსებს, განსაკუთრებით ახალ (მათ შორის პოსტსაბჭოთა) დემოკრატიებში. აღსანიშნავია, რომ ამგვარი უთანასწორობები დაკავშირებულია ისეთ საკანონმდებლო რეგულაციებთანაც, რომლებიც გარკვეულ (ძალიან მნიშვნელოვან) პრივილეგიებს ანიჭებს არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს წინა არჩევნების შედეგების მიხედვით (დაფინანსება, უფასო საეთერო დრო...) და, შესაბამისად, უზღუ-

დავს შესაძლებლობებს ახალ სუბიექტებს, ანუ არღვევს ინკლუზიურობას და არათანასწორ პირობებში აყენებს მათ.

გადასაწყვეტი საკითხის გაგებისა და მასზე საკუთარი აზრის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი პირობა ინფორმირებულობაა. ამ შესაძლებლობის შემზღუდველი სხვადასხვა ფაქტორები შეიძლება იყოს, (მაგალითად: ინტერნეტის სრულად თანასწორი ხელმისაწვდომობა, საჯარო განათლების გარკვეული დონე და სხვა), მაგრამ ამჯერად მხოლოდ ერთ, ძალიან აშკარა შეზღუდვაზე გავამახვილებთ ყურადღებას.

საქართველოს ამომრჩეველთა დაახლოებით 14%-ს ეროვნული უმცირესობები შეადგენენ და საიდუმლო არ არის, რომ მათი უმრავლესობა არ ფლობს ქართულ ენას იმ დონეზე, რომ ეფექტურად მიიღოს ინფორმაცია, რომელიც ქართულ ენაზეა ხელმისაწვდომი და, რომელიც აუცილებელია საკითხზე საკუთარი პოზიციის ჩამოსაყალიბებლად. რასაკვირველია, ამ შეზღუდვის დაძლევისთვის პრაქტიკულად უმნიშვნელოა უშუალოდ საარჩევნო კამპანიის პერიოდში ერთჯერადად საპროპაგანდო მასალების გავრცელება ამ ამომრჩეველთა მშობლიურ ენაზე. ცხადია, რომ ამგვარი შეზღუდვა თავისთავად ქმნის ისეთივე ძლიერ ბარიერებს აზრის გამოთქმის (პროპაგანდის) და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის თვასაზრისითაც.

ამგვარი ტიპის შეზღუდვები ამომრჩეველთა დიდი, შთამბეჭდავი რაოდენობისთვის (თუნდაც ეს იყოს 10%, თუმცა, სავარაუდოდ, უფრო მეტია) კრიტიკულად მნიშნელოვან საკითხს წარმოადგენს საზოგადოდ მთელი პოლიტიკური ერთობის (დემოსის) მასშტაბით დემოკრატიის პრინციპის რეალიზებისთვის.

რასაკვირველია, ინფორმირებასა და თავისუფალი აზრის გამოხატვაში უთანასწორობა მხოლოდ ენობრივი ბარიერით არ არის შეზღუდული. ეს დაკავშირებულია კომპეტენციის, განათლების თანასწორ პირობებთან, მედია ინსტრუმენტებთან და ასევე სხვა ფაქტორებთანაც, რომელთა უმეტესობა პირდაპირ ან ირიბად მიემართებიან ეკონომიკურ რესურსებთან.

რესურსული უთანასწორობა არჩევნებში: ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსები

ადმინისტრაციული რესურსი

არჩევნებთან მიმართებაში ერთ-ერთი ყველაზე ხშირად ხაზგასმული საკითხი, რომელიც როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე მიიჩნევა დემოკრატიული წესებისა და პროცედურების უხეშ დარღვევად, არის ე.წ. „ადმინისტრაციული რესურსის“ გამოყენება, ანუ მმართველი პოლიტიკური ჯგუფის (პარტიის) მიერ განხორციელებული ზეწოლა საჯარო მოხელეებზე და სახელმწიფო უწყებებში დასაქმებულ ადამიანებზე. რასაკვირველია, ეს ქმნის სერიოზულ უთანასწორობას არჩევნებში როგორც ასარჩევი, ისე ამრჩევი სუბიექტებისთვის.

თუ გამოვრიცხავთ უშუალო და პირდაპირ საკანონმდებლო (სამართლებრივ) დარღვევებს, ჩნდება კითხვა, როგორ უნდა მიაღწიოს შედეგს მმართველი პარტიის ზეწოლამ საჯარო მოხელეებზე? პროპაგანდა, მოწოდება, შეპირება, თუნდაც მოთხოვნა, რომ ამომრჩეველმა (მათ შორის საჯარო მოხელეებმა) დაუჭირონ მხარი, შეიძლება განახორციელოს არა მხოლოდ მმართველმა, არამედ ნებისმიერმა სხვა პარტიამ.

აქ მნიშვნელოვანი საკითხია არა უშუალოდ არჩევნებთან დაკავშირებით, არამედ მთლიანად პოლიტიკური (და მმართველობითი) სისტემის შესახებ: საკითხი პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და ბიუროკრატიის ურთიერთმიმართების შესახებ. თუ მათ შორის კავშირი ძლიერია და ეყრდნობა ლოიალობის პრინციპს (სისტემის და საზოგადოების დიდი ნაწილის მიერაც ლეგიტიმურად მიიჩნევა ამავდროულად), მაშინ ბიუროკრატიის დიდი (ან მნიშვნელოვანი) ნაწილისთვის რაციონალურია, რომ მმართველობაში იყოს ის პოლიტიკური პარტია, რომელთანაც მას ასეთი კავშირი გააჩნია. ანუ, არჩევნების შემთხვევაში მმართველი პოზიცია შეინარჩუნოს არსებულმა ხელისუფლებამ (მმართველმა პარტიამ), რამდენადაც ეს იქნება დიდწილად გარანტია ბიუროკრატიის მიერ არსებული მდგომარეობის შენარჩუნებისა.

ამგვარი სისტემის პირობებში (ლოიალობის პრინციპზე დამყარებული ურთიერთობა მმართველ პოლიტიკურ ძალასა და ბიუროკრატიას შორის) ამომრჩევლის ქცევისთვის (საჯარო მოხელის არჩევანისთვის) განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არა პროგრამული, ღირებულებრივი, იდეური, თემატური საკითხები, არამედ მოლოდინი იმის თაობაზე, თუ ვინ დაიკავებს

მმართველ პოზიციას. ეს საკითხი, ანუ შესაბამისი მოლოდინის გაჩენა და გავრცელება, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა არჩევნებში მონაწილე პარტიებისთვის (უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე პროგრამული საკითხები), რაც განაპირობებს სოციოლოგიური გამოკითხვებით (უმეტესწილად ანგაჟირებული) მანიპულაციასაც: ანუ, თუ საჯარო მოხელე დაიჯერებს, რომ მმართველი პარტია გაიმარჯვებს, ის ენთუზიაზმით დაუჭერს მას მხარს არჩევნებში, ხოლო თუ ის ეჭვობს, მისი მხარდაჭერის ინტენსივობა მნიშვნელოვნად კლებულობს. სწორედ ამიტომ, კონკურენტები ცდილობენ, შექმნან მოლოდინი მმართველი პარტიის დამარცხებისა (ხშირად იგივე ტიპის მანიპულაციური ხერხებით).

ამგვარ სისტემაში, პოლიტიკური ძალების (პარტიების) რადიკალური დაპირისპირების, სრული შეუთავსებლობის პირობებში, ბიუროკრატია, თავისი არსებული მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით, იძულებულია, ლოიალობის პრინციპით დაკავშირებულ პარტიას დაუჭიროს მხარი. სხვა პარტიის მმართველობის შემთხვევაში ის კარგავს არსებულ პოზიციას, ან ძალიან სუსტდება. ახალი ლოიალური კავშირების დამყარების პირობებში, მისი ძველი ლოიალობის გამო, ის სუსტი კონკურენტი ხდება თავისი ადგილის შენარჩუნებაში ახალი პარტიის ლოიალურ კანდიდატებთან.

იქმნება შემდეგი უთანასწორობები:

– მმართველ პარტიას აქვს უპირატესობა ბიუროკრატიაზე ზემოქმედებისთვის, პროპაგანდისთვის და ა.შ.;

– ირღვევა ინკლუზიურობა: ახალი სუბიექტები არ ფლობენ ბიუროკრატიაზე ზემოქმდების (პროპაგანდის) საშუალებებს.

ეს არის პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია არა არჩევნების დროს არსებულ ხარვეზებთან, არამედ ხელისუფლების ფუნქციონირების წესებთან, სისტემურ ურთიერთმიმართებასთან პოლიტიკურ ხელმძღვანელობასა და ბიუროკრატიას შორის: ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება არჩევნების დროს კი არ არის მთავარი პრობლემა (თუმცა ამასაც აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც ხელისუფლებისთვის უფრო ხელმისაწვდომი და ადვილია მთელი რიგი წესების უგულებელყოფა), არამედ არჩევნებამდე არსებული ხელისუფლება-ბიუროკრატიის ურთიერთმიმართება.

ანუ, ეს ძალაუფლებრივი უთანასწორობა ვლინდება არა მხოლოდ (და არა უპირატესად) არჩევნებში, არამედ მუდმივად პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ფული და არჩევნები

არჩევნები არაადექვატურად გამოხატავს ხალხის ნებას არა მხოლოდ იმის გამო, რომ წესები ირღვევა, არამედ იმის გამო, რომ არჩევნების არსებული წესები არ ვარგა. ეს წესები არ იძლევა შესაძლებლობას, რომ ხალხის ნება ადექვატურად იქნეს გამოხატული. დემოკრატიული პროცესის განხორციელებისთვის, კერძოდ, არჩევნებისთვის, ძალიან სერიოზული მნიშვნელობა აქვს ფინანსებს. დროებით თავი დავანებოთ წესების დარღვევას, მოსყიდვას, არაფორმალური ურთიერთობებისათვის ფინანსების გამოყენებას და ა.შ. და, პირველ რიგში, განვიხილოთ მხოლოდ ის ფინანსები, რომლებიც წესების შესაბამისად მობილიზდება და იხარჯება. ფინანსები საჭიროა იმისთვის, რომ დამყარდეს კომუნიკაცია, კანდიდატებმა თავიანთი შეხედულებები გააცნონ ამომრჩევლებს და ა. შ.. ეს არის აგრეთვე ტრანსპორტის, მედიის, ბეჭდვის და ა.შ. ხარჯები. განვიხილოთ, ვინ რა რაოდენობის ფინანსებს ხარჯავს საქართველოში არჩევნებში და შევადაროთ ზოგიერთ სხვა ქვეყანაში გაწეულ შესაბამის ხარჯებს. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ოფიციალურად დაიხარჯა დაახლოებით 40 მილიონამდე ლარი.[5] ყველა საარჩევნო სუბიექტი თანხას ხარჯავდა ფონდების გავლით, რაც ასახულია აუდიტის სამსახურების მიერაც. ამ 40 მილიონიდან დაახლოებით ნახევარი, 48% დახარჯულია „ქართული ოცნების“ მიერ, შემდეგ მოდის „ლელო“, „ნაციონალური მოძრაობა“ 6 მილიონამდე და 2 მილიონიდან – 3 მილიონამდე აქვთ დახარჯული „სტრატეგია აღმაშენებელს“, „ევროპულ საქართველოს“, „პატრიოტთა ალიანსს“. დანარჩენი პარტიების ხარჯები ბევრად უფრო დაბალია. მაგალითად, „სოციალ-დემოკრატებმა საქართველოს განვითარებისთვის“ დაახლოებით 200 ათას ლარამდე ხარჯი გასწიეს. 200 ათასი 20 მილიონზე 100-ჯერ ნაკლებია.

როგორ ხდება პარტიების მიერ ფინანსების მობილიზება და რა განაპირობებს ამგვარ რადიკალურ განსხვავებას? პარტიები ფინანსდებიან ძირითადად შემოწირულობებისა და სახელმწიფო დაფინანსების მეშვეობით. სახელმწიფო დაფინანსება წინა არჩევნებში მიღებული შედეგების მიხედვით გაიცემა, ხოლო შემოწირულობებს განსაზღვრავს კანონმდებლობა. მაგალითად, 60 ათასამდე შემოწირულობა წელიწადში შეუძლია განახორციელოს ფიზიკურ პირს, ხოლო 100 ათასამდე – იურიდიულ პირს. საპარლამენტო არჩევნებში გაწეული ხარჯებიდან დაახლოებით 10% სახელმწიფო დაფინანსებიდან, ხოლო თითქმის 90% შემოწირულობებიდან იყო. ჩვეულებრივ ამ

შემოწირულობებს ახორციელებენ ის სუბიექტები, ფიზიკური თუ იურიდიული პირები, რომლებსაც ძალიან მაღალი შემოსავლები აქვთ. ცხადია, ისინი ამ ხარჯებს წევენ თავისი ინტერესებისათვის და, შესაბამისად, ვიღებთ პოლიტიკას, რომელიც მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის არ არის მისაღები, მაგრამ ის მხარს უჭერს იმას, რის შესახებაც ცოდნა აქვს. საზოგადოების დიდმა უმრავლესობამ იცის, რომ ფორმალურად გაწეული ხარჯები მხოლოდ მცირე ნაწილია იმ სახსრებისა, რომელიც რეალურად იხარჯება არჩევნების პერიოდში. შეიძლება ვივარაუდოდ, რომ სულ მცირე 3-ჯერ, 4-ჯერ უფრო მეტია არაფორმალურად გაწეული ხარჯები, რაც ოფიციალურად არსად არ აისახება და ზოგჯერ კანონის დარღვევით ან არ დარღვევით, მაგრამ ყველა შემთხვევაში არჩევნებისათვის გამოიყენება. ასეთი ხარჯები ევროპულ ქვეყნებთან შედარებით საქართველოში ბევრად მეტია. იქ თუ არაფორმალური ხარჯები მთელ გაწეულ ხარჯებში 10%-ია, ჩვენთან ეს შესაძლოა, საერთო გაწეულ ხარჯებში 70-80%-ს იკავებდეს.

ახლა განვიხილოთ, რამდენი იხარჯება თითოეულ ამომრჩეველზე, მაგალითად, საფრანგეთში ან დიდ ბრიტანეთში. საფრანგეთში ერთ ამომრჩეველზე საშუალოდ იხარჯება 1,5 ევრო, დიდ ბრიტანეთში – ნახევარი ევრო[6]. ეს განსხვავება იმითაა განპირობებული, რომ საფრანგეთში მეტი პარტია მონაწილეობს არჩევნებში. საქართველოში, სულაც რომ მხოლოდ 40 მილიონი ვიანგარიშოთ, ერთ ამომრჩეველზე 13 ლარზე მეტი გამოდის, ანუ, დაახლოებით 6-ჯერ მეტი, ვიდრე დიდ ბრიტანეთში და 3-ჯერ მეტი, ვიდრე საფრანგეთში. თუ ამას დავუმატებთ რადიკალურ განსხვავებას არაფორმალურად გაწეულ ხარჯებში ევროპასა და საქართველოში, გამოვა, რომ აქ 10-ჯერ ან 15-ჯერ მეტი თანხა იხარჯება ერთ ამომრჩეველზე, ვიდრე ევროპაში.

აქ არ არის აღწერილი ის ხარჯები, რომლებიც დამატებით მედიას ხმარდება, და არა მარტო საარჩევნო პერიოდში, არამედ პერმანენტულად. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ მთელი რიგი ტელევიზიები, რომლებიც საქართველოში არსებობს, რეალურად წარმოადგენენ პოლიტიკურ ტელევიზიებს და პოლიტიკური პარტიების მხარდამჭერებს. ამ ვითარებაში სრულიად წარმოუდგენელია, ჩვენ იმედი გვქონდეს, რომ მოსახლეობა და ამომრჩეველი მიიღებს იმ გადაწყვეტილებას, რომელსაც ის მიიღებდა იმ შემთხვევაში, თუკი თანაბრად იქნებოდა ინფორმირებული ყველა იმ შეხედულებაზე, რომელიც ამა თუ იმ პარტიას აქვს. ამიტომ აშკარაა, რომ არჩევნების გაყალბება ხდება არა მხოლოდ არჩევნების დღეს, არამედ მანამდე – ჩვენში არსებული არჩევ-

ნების წესით. დაფინანსების არსებული წესი აშკარად აჩვენებს, რომ ჩვენ არც ერთ შემთხვევაში არ გვყავს თანაბარუფლებიანი ამომრჩეველი.

როგორ მივაღწიოთ იმას, რომ ამომრჩევლები იყვნენ თანასწორნი თავისი ნების გამოხატვისას?

როგორც მაგალითი შეიძლება, განვიხილოთ პარტიების დაფინანსების წესის თაობაზე 2018 წლის პარლამენტში „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის“ პარტიის მიერ წარდგენილი წინადადება, რომელმაც მხარდაჭერა ვერ მიიღო. ინიციატივა გულისხმობდა, რომ პარტიების დაფინანსება უნდა განხორციელებულიყო ამომრჩევლების გადაწყვეტილების შესაბამისად: ყოველწლიურად ყველა ამომრჩეველს თავად გამოეხატა პრეფერენცია, ანუ მიეთითებინა ის პარტია, რომლის შეხედულებებიც მასთან ახლოსაა და დაახლოებით იგივე რაოდენობის თანხა, რომელიც მისი გადასახადებიდან მიდის ამ პარტიების დაფინანსებისათვის, წასულიყო იმ პარტიასთან, რომელიც მას მოსწონს. დღეს არსებული წესის მიხედვით, ბიუჯეტიდან, რომელიც წარმოადგენს მოქალაქეთა გადასახადების ნაკრებს, პარტიები მიღებული ხმების შესაბამისად იღებენ დაფინანსებას, მაგრამ ამას იღებენ 4 წლის წინანდელი არჩევნების შედეგების მიხედვით. წესის ცვლილება გამოიწვევდა, პირველ რიგში, იმას, და სამართლიანი იქნებოდა იმ თვალსაზრისით, რომ ადამიანები, რომლებიც იხდიან გადასახადებს, მაგრამ არც ერთ პარტიას არ უჭერენ მხარს, არ გააძლიერებდნენ იმ პარტიებს, რომლებიც არ უნდათ, რომ გაძლიერდნენ. მეორე, თუ ამომრჩეველმა მისცა ხმა იმ პარტიას, რომელმაც ბარიერი ვერ გადალახა და ვერ მიიღო დაფინანსება იმ წესების და შეზღუდვების გამო, რომლებიც არსებობს, დაფინანსების არსებული წესების პირობებში გამოდის, რომ ასეთი ამომრჩეველი ფინანსურად მხარს უჭერს მისი შეხედულებების საწინააღმდეგო პოლიტიკურ პოზიციას, რაც ასევე უსამართლოა. წარდგენილი ინიციატივის მიხედვით, თანხები უფრო სამართლიანად განთავსდებოდა და პოლიტიკურ პროცესში ამომრჩეველთა შეხედულებების გავლენის გაძლიერებას შეუწყობდა ხელს. ამავე დროს, ეს შექმნიდა შესაძლებლობას ახალი იდეების და ახალი პოლიტიკური ორგანიზაციების გაჩენისათვის, რომლებიც შეიძლება, არ არსებობდა 4 წლის წინ და შეიქმნა არჩევნების შემდგომ წელს.

მეორე მექანიზმი, რომელიც ასევე უნდა შეიცვალოს, არის ე.წ. „შემოწირულობების მექანიზმი“, რომლებიც ან სრულად უნდა აიკრძალოს, ან უნდა გახდეს მინიმალური, რაც მინიმალურ შესაძლებლობებს მისცემს პარტიებს,

მიიღონ ეს დამატებითი რესურსები თავისი ორგანიზაციების გაძლიერებისა და შეხედულებების პროპაგანდირებისათვის. როგორც ზემოთ უკვე ვახსენეთ, ჩვენთან შემოწირულობა შეიძლება, განახორციელონ როგორც ფიზიკურმა, ასევე იურიდიულმა პირებმა. ევროპის ბევრ ქვეყანაში, მაგალითად, საფრანგეთში, ბელგიაში და ა.შ... კომპანიების შემოწირულობები აკრძალულია და იზღუდებიან ფიზიკური პირებიც: მაგალითად, საფრანგეთში 7500 ევრო, ხოლო ბელგიაში, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა საქართველოზე დაახლოებით 2,5-ჯერ მეტია – 500 ევრო. კომპანიების მიერ შემოწირულობის აკრძალვის მთავარი არგუმენტი შემდეგია: კომპანიაში არ მუშაობენ ერთი და იგივე შეხედულების მქონე ადამიანები, ამიტომ კომპანიის საერთო შემოსავლებიდან და მოგებიდან თუ გადაირიცხება შემოწირულობა რომელიმე პარტიის მიმართულებით, ეს ნიშნავს, რომ ამომრჩევლის შეხედულების საწინააღმდეგოდ შეიძლება წავიდეს, დაფინანსება. იმ ქვეყნებში, მაგალითად, გერმანიაში, სადაც კომპანიების შემოწირულობა დაშვებულია, არსებობს სხვადასხვა ტიპის ფორმალური და ტრადიციული (მყარი არაფორმალური) რეგულაციები. მაგალითად, ისეთი გიგანტი, როგორიც არის „მერსედეს ბენცი“, ახორციელებს წელიწადში 200 ათას ევროს შემოწირულობას, მაგრამ, რადგან იგულისხმება, რომ მისი თანამშრომლები სხვადასხვა პარტიებს უჭერენ მხარს, კომპანიაც სწორედ ამ სხვადასხვა პარტიებს უნაწილებს ამ 200 ათასს: „სოციალ-დემოკრატებს“, „ქრისტიან-დემოკრატიულ კავშირს“, „ქრისტიან-სოციალურ კავშირს“, „მწვანეთა პარტიას“, „მემარცხენეთა პარტიას“ და ა.შ., თითქმის ყველა პარტიას, რომელიც გერმანიაშია, ანუ დაცულია პრინციპი, რომ ამომრჩევლის ფული სხვაგან არ წავიდეს მისი შეხედულებების მხარდაჭერის ნაცვლად. მაგრამ უფრო უკეთესი მექანიზმია, თუკი აიკრძალება კომპანიების მიერ შემოწირულობების განხორციელება.

რაც შეეხება ფიზიკური პირების შემოწირულობებს, შესაძლოა დაწესდეს გონივრული ზღვარი. თავიდან, ალბათ, გონივრული იქნებოდა საქართველოში დაწესებულიყო ზღვარი 100-დან 150 ლარამდე. პარალელურად საბიუჯეტო დაფინანსებისა, რომელიც შეიძლება ყოფილიყო 10 ან 15 ლარი ერთ მხარდამჭერზე. კერძო შემოწირულობის დაშვება ლოგიკურია იმიტომ, რომ, როდესაც ახალი პარტრია იწყებს საქმიანობას, არავითარი სახელმწიფო დაფინანსება მას არ ექნება, მაგრამ შეიძლება ყავდეს, მგალითად, 500 მომხრე, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა, 20-30 ლარის შემოწირულობა განახორციელონ. ეს ახალ პარტიას საშუალებას მისცემს, გაზარდოს კომუნიკაცი-

ური რესურსი და, შესაბამისად, მომავალ წელს მიიღოს დაფინანსება ბიუ-ჯეტიდან იმ მხარდამჭერთა გადასახადების ხარჯზე, რომლებიც გაეცნენ პარტიის შეხედულებებს და მზად არიან, მხარი დაუჭირონ ამ პოლიტიკურ ორგანიზაციას. ეს ყველა შემთხვევაში უნდა განხორციელდეს ანონიმურად. ტექნიკურად ეს მარტივად შესაძლებელია, ყველა მოქალაქეს ყოველწლი-ურად შეუძლია ანონიმურად მიუთითოს საშემოსავლო დოკუმენტაციაში ის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის მხარდასაჭერადაც ის მზად არის, გარკვეული რაოდენობის თანხები გაიღოს. ეს არის გზა იქითკენ, რომ ხალხ-ის ნება რეალურად გამოიხატოს და როგორც ამომრჩევლები, ისე ასარჩევე-ბი თანასწორნი იყვნენ საარჩევნო პროცესში.

ცხადია, რომ თუ პოლიტიზირებული კერძო მედიის პრობლემა არ გადაი-ჭრება, მხოლოდ პარტიების დაფინანსების წესის ცვლილება არასაკმარისად ეფექტიანი იქნება და ვერ უზრუნველყოფს დიდი ფინანსური რესურსების დომინირების შესუსტებას დემოკრატიულ პროცესში.

არჩევანის უფლება: მორალი და გადარჩენა

დღეს საქართველოში დაახლოებით 600 ათასი ადამიანი იღებს სოციალურ დახმარებას, დაახლოებით 50 ლარის ოდენობით თვეში. 730 ათასი ადამიანი პენსიონერია, ხოლო პენსიის ოდენობა 100 დოლარს ვერ აღწევს თვეში (300 ლარზე ნაკლებია). დასაქმებულთა მედიანური ხელფასი დაახლოებით 600 ლარია (დარიცხული) თვეში, რაც დღეში 5-6 დოლარი და ნაკლებია 600 ათა-სი დასაქმებულისთვის (შემოსავლების განაწილების შესახებ უფრო დეტალ-ური ინფორმაცია იხილეთ შემდეგ პარაგრაფში). ამგვარი მწირი რესურსების პირობებში აშკარაა, რომ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის თითქმის ნახ-ევარი პრაქტიკულად მოკლებულია შესაძლებლობას, სრულფასოვანი მონაწ-ილეობა მიიღოს დემოკრატიულ პროცესში: ეს ეხება როგორც ინფორმირებისა და სოციალური სინამდვილის გაგებისა და გაცნობიერების საკითხებს, დღის წესრიგის ფორმირებაში მონაწილეობას, ისე მატერიალურ შესაძლებლობებს პროპაგანდისტულ თუ აქტივისტურ საქმიანობაში.

დღის წესრიგით პერმანენტულად მანიპულირების პირობებში (ელიტები, უმცირესობები, გარე აქტორები, თანამედროვე ტექნოლოგიები, სკანდალე-ბი, ცალკეულ საკითხებზე და არა მასშტაბურ დიდ იდეებზე ფოკუსირებული

თემები და სხვა) დღის წესრიგის განმსაზღვრელი უმრავლესობის ფორმირება ძალიან რთულდება – შეუძლებელიც კი ხდება. ფაქტიურად, უმრავლესობა ემორჩილება უმცირესობის მიერ განსაზღვრულ დღის წესრიგს.

ვიწრო უმცირესობის მიერ მონოპოლიზებული ინსტრუმენტების მეშვეობით მანიპულირებული უმრავლესობა იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც აღიქმება და ფორმირდება როგორც უმრავლესობის გადაწყვეტილება, თუმცა, რეალურად, შესაძლოა (და უმეტეს შემთხვევაში ასეცაა), ეწინააღმდეგებოდეს უმრავლესობის არსებით ინტერესებს. შემდეგ, უკვე უმრავლესობის და, შესაბამისად, დემოკრატიის სახელით ხდება „სხვა“ უმცირესობების ინტერესების და პოზიციების იგნორირება, დელეგიტიმაცია და მაქსიმალური მარგინალიზება.

რასაკვირველია, დემოკრატია გულისხმობს უმრავლესობის მიერ მმართველი გადაწყვეტილებების მიღებას, მაგრამ, იმავდროულად და თანაბრად, დემოკრატია გულისხმობს კონსტიტუციონალიზმს და არსებული უმრავლესობის შეცვლის შესაძლებლობასაც სხვა, ახალი უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით. ამავე დროს, არსებითია, რომ გადაწყვეტილებები მიღებული იყოს დემოკრატიულად, შესაბამისი კრიტერიუმების (იხ. ზემოთ მოცემული რობერტ დალის 5 კრიტერიუმი) მაქსიმალურად რეალიზების პირობებში.

აქ ძალიან არსებითია დროითი განზომილება: ყოველთვის (გარკვეული პერიოდულობით) უნდა იყოს შესაძლებელი პრინციპულად და პროცედურულად დემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღება. წინააღმდეგ შემთხვევაში, დემოკრატიულად ფორმირებული უმრავლესობა მიდრეკილი ხდება ავტორიტარულობისკენ: უმრავლესობის სახელით იზღუდება დემოკრატია.

დროითი განზომილების გათვალისწინებით შესაძლებელია ერთგვარი პარალელი გავავლოთ დემოკრატიასა და თავისუფალი ბაზრის ფუნქციონირებასთან ეკონომიკის სფეროში. თეორიულად თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური სუბიექტები თავისუფალნი და თანასწორნი (თანასწორად თავისუფალნი) არიან თავის საქმიანობაში. მაგრამ ფუნქციონირების გარკვეული დროის შემდეგ მოსალოდნელია, რომ ზოგიერთმა ეკონომიკურმა სუბიექტმა დაიკავოს მონოპოლიური პოზიცია და, შესაბამისად, შეზღუდოს თანასწორად თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობები. პრაქტიკულად ეს გარდაუვალია. ამ ვითარების თავიდან ასაცილებლად იქმნება სახელმწიფო რეგულაციების სხვადასხვა მექანიზმები, კონკურენციის საა-

გენტოები, ანტიმონოპოლიური სამსახურები. ბუნებრივად ხდება არსებული ეკონომიკების სტრუქტურული ტრანსფორმაცია, ტექნოლოგიური ცვლილებები, ომები, რევოლუციები, პანდემიები თუ სხვა ტიპის კატაკლიზმები, რომლებიც ერთგვარად ანეიტრალებენ არსებულ ეკონომიკურ წესრიგს და არყევენ მონოპოლისტების მდგომარეობას. რა თქმა უნდა, რეგულირების ინსტიტუტები სრულად (შეიძლება ითქვას, ფუნდამენტურად, არსებითად) ვერ უზრუნველყოფენ თანასწორად თავისუფალი მოქმედების პირობების დამკვიდრებას, მაგრამ გარკვეული პერიოდების განმავლობაში ისინი პოზიტიურ როლს თამაშობენ ინკლუზიური ეკონომიკური წესრიგის დამკვიდრებაში და თანასწორად თავისუფალ პრინციპებზე დაფუძნებულ კონკურენციაში, რაც, თავის მხრივ, ხელშემწყობია ინოვაციისა და განვითარებისთვის.

თუ გვინდა, რომ დემოკრატიამ მეტ-ნაკლებად ეფექტიანად იფუნქციონიროს და დაძლეულ იქნეს მმართველობის მონოპოლიზებისკენ მიმართული უმრავლესობის მისწრაფება, აუცილებელია, შეიქმნას ბევრად უფრო ძლიერი და მულტიგანზომილებიანი ანტიმონოპოლიური რეგულირების მექანიზმები დემოკრატიისთვის: ერთგვარი ანტიმონოპოლიური სამსახური დემოკრატიისთვის.

უკიდურესი რესურსული უთანასწორობის პირობებში (იხ. შემდეგი პარაგრაფი) პრივილეგირებული ვიწყო ჯგუფი (დაახლოებით 1%) მანიპულირების უდიდესს შესაძლებლობებს ფლობს. ეს არა მხოლოდ დიდ მატერალურ რესურსებში აისახება, არამედ უკვე ინსტიტუციონალიზებულია დემოკრატიულ მექანიზმებსა და წესებში.

მოდერნული ეპოქის დემოკრატიაში არჩევნები წარმოადგენდა სოციალური შინაარსის მქონე სიღრმისეული კონფლიქტების გადაწყვეტის გზა. მაგრამ შეიქმნა ახალი ვითარება – საზოგადოებაში არსებული სიღრმისეული კონფლიქტი არ ხდება დებატების საგანი და, შესაბამისად, არჩევნებიც არ არის პაექრობა ამ საკითხის, ამ კონფლიქტის თაობაზე. ამის გამო არჩევნების შედეგები კონფლიქტს კი არ წყვეტს, მას ტოვებს ისევ ისე, როგორც იყო.

თავისუფლება – ეს არ არის პრაქტიკული და/ან მხოლოდ სამართლებრივი ცნება. ეს არის მდგომარეობა, რომელიც განპირობებულია ადამიანის ცხოვრებისეული გარემოებებით, რომელთა შორის ეკონომიკური დომინირება ერთი ნაწილისა (ზოგიერთებისა) და დაუცველი (მოწყვლადი) პოზიცია მეორე ნაწილისა (სხვებისა) თამაშობს საკვანძო როლს.

შესაძლებლობების რეალიზების (რესურსული) უთანასწორობა ხელს უწ-

ყობს ფუძემდებლური ადამიანური ღირებულებების ეროზიას. ამის მკაფიო მაგალითად შეგვიძლია, განვიხილოთ ამომრჩეველთა მოსყიდვა – დომინანტური ჯგუფებიც (მომსყიდველი) და დაუცველი ჯგუფებიც (მოსყიდულები) ცინიკურად არიან განწყობილნი თავისუფლების, ღირსების, სამართლიანობის მიმართ. მხარდაჭერილია სიცრუე, ღალატი, დომინირება, ძალადობა.

თუ დილემა არის მორალი ან გადარჩენა, ბევრი აკეთებს ან გააკეთებს არჩევანს მორალის საწინააღმდეგოდ და გადარჩენის სასარგებლოდ. სიცოცხლის ან სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობების სასარგებლოდ არჩევანის გაკეთება თავისთავად არ ეფუძნება ამორალურ მისწრაფებას ბუნებითი მოთხოვნილებების (სიცოცხლის შენარჩუნების, რეალიზების) დაკმაყოფილებისკენ. ნებისმიერი ქცევისთვის, მათ შორის მორალური ქცევისთვის, აუცილებელია სუბიექტის ფიზიკური არსებობა – მორალი აქვთ ცოცხალ ადამიანებს.

ამ ვითარებაში ადამიანები თავიანთ საქციელს ამორალურად აღარ მიიჩნევენ და შინაგანად ამართლებენ: ხდება ცინიკური დამოკიდებულების ლეგიტიმაცია.

სიღრმისეული მიზეზების გააზრებისა და მათზე ადექვატური რეაგირების გარეშე, ზედაპირული, მორალისტური, მენტორული შეგონებებითა და „მაღალი მორალისკენ“ მოწოდებებით ან წმინდა ლეგალისტური მიდგომებით და იმგვარი რეგულაციების შემოღებით, რომლებიც მოვლენის მიზეზს კი არა, შედეგს ებრძვიან, ხსენებული ცინიკური დამოკიდებულების აღმოფხვრა შეუძლებელია.

* * *

ფრენსის ფუკუიამას იმედების (ისტორიის დასასრულისა და ბოლო ადამიანის – ლიბერალურ-დემოკრატიული ადამიანის შესახებ) საპირისპიროდ, ჩვენ არ ვცხოვრობთ საყოველთაო დემოკრატიის ეპოქაში. პირიქით, დემოკრატია ბევრ ქვეყანაში არ არის მყარი (კონსოლიდირებული) და მეტიც, საფრთხის (რისკის) ქვეშაა.[7]

საქართველოში რომ ჩამოვიდეს ბევრად უფრო განუვითარებელი, უთანასწორო, არადემოკრატიული, ავტორიტარული, ღარიბი ქვეყნის მოქალაქე, შეიძლება, ჩვენი ვითარება იდეალად მოეჩვენოს და არავითარი საფუძველი არ გაუჩნდეს უკმაყოფილებისთვის. მაგრამ, მნიშვნელოვანია, თუ რას ვართ მიჩვეული, რას ვადარებთ, რა მოლოდინები გვაქვს და როგორია რეალობა.

დასავლური დემოკრატიების გარდაუვალობის და საბოლოო მიზნის სახით წარმოდგენის აბსურდულობას პრაქტიკული ისტორია ადასტურებს. ყველა დემოკრატია სპეციფიკური მოცემულობების და პროცესების შედეგია – არა ტელეოლოგიური, არამედ ეს არის კომპლექსური ფაქტორებით განსაზღვრული განვითარების ისტორიულად დეტერმინირებული გარკვეული პოლიტიკური ორგანიზაციული ფორმა. მას აქვს დადებითი და უარყოფითი მახასიათებლები ზოგადად ჰუმანისტური, ადამიანური ფუნქციონირების იდეალური, საუკეთესო, მისაღები ფორმის თვალსაზრისით.

ამავე დროს, ზოგადად, დემოკრატიისა და არჩევნების უარყოფა დასავლური დემოკრატიის ხარვეზების (თუნდაც ფუნდამენტურის) გამო, არ არის გზა მეტი თავისუფლებისა და თანასწორობისკენ (ზოგადად, სამართლიანი დემოკრატიული საზოგადოებისკენ – ადამიანის სრულფასოვანი ფუნქციონირებისკენ), რასაც ადასტურებს საბჭოთა და მსგავსი ტიპის ტოტალიტარული და ავტორიტარული რეჟიმების ისტორია.

დემოკრატიის მამოძრავებელი პოლიტიკური კონფლიქტის კლასობრივი სტრუქტურა შესაბამისი პარტიების ტიპით და სისტემით ჩამოყალიბდა და გაბატონდა დასავლეთში II მსოფლიო ომის შემდეგ. მას გააჩნდა შესაბამისი სოციალური განზომილებაც: პოლიტიკური კონფლიქტი ასახავდა შესაბამის სოციალურ სტრუქტურას, შესაბამის სოციალურ დაყოფებს და პოლიტიკური ორგანიზაცია – პარტიები, მას შეესებამებოდნენ. სამი ძირითადი საკითხი, რომელებზეც შეთანხმება იმ პერიოდში არსებობდა, იყო:

1. სახელმწიფოს როლი – ეტატიზმი, მის მიმართ არსებობდა მეტი კონსენსუალობა;
2. დისტრიბუცია, გადანაწილება, რაც შედარებით ნაკლები, მაგრამ მაინც კონსენსუალობისკენ მიდრეკილი იყო;
3. დელიბერაცია და დიალოგი სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის – როგორც ეროვნული თანხმობის მიღწევის გზა პლურალისტური საზოგადოების პირობებში.

დღევანდელ სამყაროში 40-50 წლის წინანდელი სოციალური სტრუქტურა, სოციალური დაყოფები და, შესაბამისად, პოლიტიკური კონფლიქტის საკითხები შეიცვალა. პოლიტიკური ორგანიზაციის იგივე ფორმები (პარტიები) ამ ცვლილების შედეგად ადრინდელ, ჩვეულ შინაარსს და ფუნქციას კარგავს, სხვა ფუნქციას და შინაარსს იძენს.

ამ ცვლილებების გაცნობიერების გარეშე ვიღებთ სულ სხვა ფუნქციისა და შინაარსის პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმებს, რომლებიც დემოკრატიას კი არ უზრუნველყოფენ, არამედ პირიქით, აზიანებენ, ხოლო ზოგჯერ ანგრევენ და ანადგურებენ კიდეც მას.

ერთი და იგივე წამლით განსხვავებულ ავადმყოფობას ვერ უმკურნალებ, მეტიც, შეიძლება ავნო.

განსხვავებული საგნების გასამართად და შესაკეთებლად სხვადასხვა ინსტრუმენტებია საჭირო.

განუზომლად კიდევ უფრო მეტად, კრიტიკულად ეს ეხება პოსტკომუნისტურ, განსაკუთრებით კი პოსტსაბჭოთა რეჟიმებს, ვიდრე „დასავლეთს“.

მიუხედავად უკიდურესად მწვავე გამოწვევებისა, ძალაუფლებრივი თანასწორობის – დემოკრატიის რეალური დამკვიდრებისთვის აუცილებელია სიღრმისეული დებატების დაწყება ფუნდამენტურ საკითხებზე:

– თავისუფალი და თანასწორი სრული თვითრეალიზების შესაძლებლობის მაქსიმიზება (ადამიანის ფუნქციონირების შესაძლებლობების მაქსიმიზება ყველასთის);

– ფართო საჯარო სიკეთეებთან საზოგადოების ყველა წევრის წვდომის შესაძლებლობის მაქსიმიზება;

– წაგებულებისთვის მაქსიმალური შესაძლებლობების ხელშემწყობი (მაკომპენსირებელი) პირობების შექმნა;

– დელიბერაცია, დიალოგი და მეტი კონსენსუალობა, როგორც საშუალებაც და მიზანიც.

საჭიროა დემოკრატიის მაქსიმიზება თანასწორი და სამართლიანი საზოგადოების პრინციპების გაძლიერებისა და განმტკიცების მიზნით: 1. არა საბჭოთა ტიპის (ტოტალიტარული) სოციალიზმი, რომელიც ზიანს აყენებს თანასწორობის ბევრ ასპექტს (ზღუდავს რა თავისუფლებას უპირველეს ყოვლისა). 2. არა რადიკალური ინდივიდუალიზმი, რომელიც ასუსტებს კოლექტიურ ძალისხმევას (განსაკუთრებით სახელმწიფო დონეზე) და აზიანებს საჯარო სიკეთეების შექმნას (რაც აუცილებელია თანასწორობისთვის). 3. არა სრული დეცენტრალიზაცია, რაც ასუსტებს საერთო ძალისხმევას (განსაკუთრებით სახელმწიფო დონეზე) და აზიანებს საჯარო სიკეთეების შექმნას (თანასწორობისთვის განსაკუთრებით მნიშნელოვანი კეთილდღეობის ინსტიტუტებს). 4. არა ზედმეტად ძლიერი ეტატიზმი (ძალაუფლების ზეკონცენტრაცია და

ზეცენტრალიზაცია), რაც ასუსტებს თანასწორობისთვის აუცილებელ თავისუფლების შემადგენელს.

ზომიერი წილით, ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპები აუცილებელია თანასწორობისთვის – სამართლიანი საზოგადოებისთვის და, შესაბამისად, დემოკრატიისთვის.

პრაქტიკული რეალიზების სირთულეებმა არ უნდა დაამცირონ ამ საკითხებზე ინტელექტუალური დებატების მნიშვნელობა. იმისთვის, რომ მკაფიოდ და ადექვატურად გავაანალიზოთ რეალობა, მოვახდინოთ რეფლექსია და დავინახოთ ალტერნატივები, აუცილებელია დავუბრუნდეთ ეგზისტენციური მნიშვნელობის საკითხებს. მხოლოდ ასე შეიძლება დავინახოთ არსებული ინსტიტუტების ირაციონალობა და დეკლარირებულ მიზნებთან შეუსაბამობა (ხშირად რადიკალური წინააღმდეგობა).

მოკლევადიანი მიზნების მიღწევისთვის მხოლოდ არსებული დღის წესრიგის თაობაზე დებატები არ შეიძლება მიიჩნეოდეს ერთადერთ ლეგიტიმურ დებატებად. სინამდვილის შემეცნებისთვის აუცილებელია რეალური ინტელექტუალური დებატები, თუნდაც ვიწრო სივრცეში და უკიდურესად შეზღუდული ზეგავლენით არსებულ რეალობაზე.

რეალური პროგრესი სამართლიანი, დემოკრატიული საზოგადოების მიმართულებით შესაძლებელია მხოლოდ კოლექტიური დელიბერაციითა და დემოკრატიით, მაგრამ ინსპირირება მხოლოდ პრაქტიკული მოქმედებებით არ არის აუცილებლად შეზღუდული. რეფლექსია, თუნდაც თავდაპირველად ვიწრო სივრცეში, აუცილებლად იქნება ღირებული დიდი ან მცირე (მაგრამ არსებითი) ზომით და მოკლე ან ხანგრძლივ ვადაში.

უმეტესი, თუ არა ყველა, ინტელექტუალური ინოვაცია, იდეა და შეხედულება სწორედ ვიწრო სივრცეში იბადებოდა და შემდგომ, ხშირად, საკმაოდ გვიან იძენდა აქტუალობას.

ვინ, რას, როგორ იღებს და ფლობს

სხვადასხვა ტიპის უთანასწორებები ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანმაპირობებელია. ჩვენ განვიხილეთ უთანასწორობის ზოგიერთი ფორმა პოლიტიკური ძალაუფლების სფეროში, სადაც აშკარაა არსებული უთანასწორობების პირდაპირი კავშირი და დამოკიდებულება მატერიალურ რესურსებთან. თუმცა ეკონომიკურ სფეროში არსებულ უთანასწორობებს თავისთავადი მნიშვნელობა გააჩნია ადამიანის სრულყოფილი თვითრეალიზებისთვის.

რა მდგომარეობაა ამ თვალსაზრისით საქართველოში? როგორც უკვე შესავალ ნაწილში ვახსენეთ, ზოგადად უთანასწორობა და განსაკუთრებით ეკონომიკის სფეროში უთანასწორობა (უთანასწორობა მატერიალური რესურსების თვალსაზრისით) საზოგადოებრივი, პოლიტიკური თუ აკადემიური დისკუსიის დღის წესრიგში პრაქტიკულად არ დგას და, შესაბამისად, ინფორმაცია და მონაცემებიც მნიშვნელოვნად შეზღუდულია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მწირი მონაცემებიც კი, რომელიც ხელმისაწვდომია, იძლევა საშუალებას, დავინახოთ უკიდურესად მწვავე უთანასწორობა, რომელიც საქართველოშია და რომელიც ძალიან სერიოზულ (თითქმის გადაულახავ) წინააღმდეგობებს ქმნის სტაბილური სოციალური და პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური განვითარებისთვის.

ბოლო 30 წლის განმავლობაში ჩვენი საზოგადოება დრამატულად შეიცვალა, მათ შორის ეკონომიკური უთანასწორობის მიმართულებით. სრულიად სხვა სიმწვავე შეიძლება ჰქონდეს უთანასწორობის საკითხს დაბალი ეკონომიკური უთანასწორობის პირობებში იმ ვითარებასთან შედარებით, როდესაც ეკონომიკური უთანასწორობა ძალიან მაღალია. ასეთი ვითარების შემთხვევაში, იგი არა მხოლოდ ძალიან მძიმე მდგომარეობას ქმნის ადამიანთა დიდი უმრავლესობისთვის ეკონომიკური ცხოვრების სფეროში, არამედ გადაედინება პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში და აყალიბებს საზოგადოების შიგნით ერთმანეთისგან განსხვავებულ (გარკვეულწილად ერთმანეთთან დაპირისპირებულ) საზოგადოებრივ ჯგუფებს.

უთანასწორობის გაზომვა: კოეფიციენტები, მეთოდოლოგია, ცნებები

სოციალურ-ეკონომიკური (უ)თანასწორობის გაზომვისა და შედარებისთვის, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნებს შორის, სხვადასხვა ტიპის მონაცემებს, შეფასებებსა და მაჩვენებლებს იყენებენ. სხვადასხვა ქვეყნების ერთმანეთთან შედარება არანაკლებ მნიშვნელოვანია, რამდენადაც ეს ბევრად უფრო მკაფიოდ აჩვენებს იმ მონაცემთა არსსა და რაობას, რომელიც ქვეყნის შიდა ვითარებას ახასიათებს.

ერთ-ერთი ყველაზე უფრო ხშირად გამოყენებადი მონაცემი ქვეყნებს შორის უთანასწორობის წარმოსაჩენად არის მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე, როგორც ნომინალური, ისე შეწონილი (PPP) განზომილებით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საქართველოს და მსოფლიოს სხვა ქვეყნების (რეგიონების) შედარება მშპ-ის მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე.

ცხრილი №1. სხვადასხვა ქვეყნების და რეგიონების მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ნომინალური და PPP – 2020 წ.). (წყარო: მსოფლიო ბანკი)*

ქვეყანა (რეგიონი)	მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ნომინალური) (აშშ დოლარი)	მშპ ერთ სულ მოსახლეზე (PPP) (აშშ დოლარი)
ევროკავშირი	34,149	44,766
აშშ	63,414	63,414
ნორვეგია	67,390	63,287
პორტუგალია	22,176	34,091
პოლონეთი	15,721	34,406
უკრაინა	3,727	13,056
იაპონია	40,193	41,733
მონღოლეთი	4,061	12,362
მსოფლიო	10,910	17,083
საქართველო	4,267	14,762

ასეთივე შინაარსისაა მაგალითად, საშუალო ხელფასის, საშუალო მთლიანი შემოსავლის, მედიანური ხელფასის და სხვა შედარებები. აღნიშნულ მონაცემებზე დაკვირვება აშკარად წარმოაჩენს რა ქვეყნებს შორის უთანასწორობას, იწვევს ნაციონალური იდენტობის განცდის გაძლიერებას, შესაბამისად

* GDP per capita, PPP (current international $) იხ.: https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.PP.CD

ეს აძლიერებს იდენტობებს შორის დაპირისპირებებს და ხელს უწყობს თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში სხვადასხვა დაძაბულობების გამწვავებას: მიგრაციული კრიზისებითა და ნაციონალისტური პოპულიზმით დაწყებული, კონფლიქტებით და ძალადობრივი აქტებით დამთავრებული. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის კრიზისების წარმოშობის მიზეზები და ინტენსიფიკაციის ტრაექტორიები მულტიფაქტორული და კომპლექსურია, უთანასწორობის (ქვეყნებს შორის) უგულებელყოფა ან არაჯეროვანი ყურადღების მიპყრობა და მეორეხარისხოვნად ჩათვლა მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოშობს ანალიზსა და დასკვნებში.

მსყიდველობითი უნარის პარიტეტი (Purchasing Power Parity – PPP)

შემოსავლების (ასევე ქონების) განაწილების შედარება ქვეყნებს შორის წარმოშობს გარკვეულ სირთულეებს, რადგან არსებობს განსხვავებები ფასებში, გადასახადებში, სხვადასხვა ტიპის საჯარო სარგებელში და ა. შ..

ამ სირთულეებს მეტ-ნაკლებად ამცირებს ე.წ. PPP მაჩვენებელი, რომელიც შემდეგნაირად იანგარიშება: კონკრეტული მოცულობის სამომხმარებლო კალათა იანგარიშება ადგილობრივი ღირებულებით, ადგილობრივ ფულის ერთეულში და შემდეგ ხდება შედარება სხვადასხვა ქვეყნებში იგივე კალათის ღირებულებასთან და დგინდება ამ ფასების მიმართება აშშ დოლართან. მაგ. PPP 1 ამერიკული დოლარი საქართველოში არის არა 3, არამედ მიახლოებით 9 ლარი, ხოლო მშპ ერთ სულ მოსახლეზე წლიურად დაახლოებით 14,700 აშშ დოლარია, მაშინ როცა ნომინალური მშპ ერთ სულ მოსახლეზე წლიურად 4,300 დოლარს შეადგენს. ეს ნიშნავს, რომ 4,300 დოლარად საქართველოში შესაძლებელია იგივე მოცულობის სამომხმარებლო კალათის უზრუნველყოფა, რაც აშშ-ში 14,700 დოლარად.

თუმცა, ცხადია, არც ეს მეთოდიკაა ზუსტი, სხვადასხვა ქვეყნებში, ბუნებრივია, განსხვავდება სამომხმარებლო კალათების მოცულობა, კონკრეტული საქონლის პრიორიტეტულობის ან მოხმარების სიხშირის მიხედვით, აგრეთვე სხვა ფაქტორებითაც.

საქართველოში ხშირად ქვეყნდება სხვადასხვა რაოდენობრივი მონაცემები თუ რეიტინგები, რომლებიც წესით უნდა გვაძლევდეს ცოდნას ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა თუ საზოგადოების მდგომარეობის თაობაზე. შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტები აქვეყნებენ ისეთ მაკრო მონაცემებს, როგორიცაა მშპ, მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ნომინალური და PPP), მშპ-ის პროცენტული ზრდა, საშუალო ხელფასი და ა.შ.

ეს მონაცემები, მართალია, გვაწვდის ინფორმაციას ეკონომიკის საერთო მოცულობის და ზრდის შესახებ, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რამდენად გრძნობენ ცვლილებებს, ზრდას თუ სტაგნაციას ცალკეული ადამიანები და ჯგუფები. პერიოდულად სხვადასხვა ფორმით და ინტერპრეტაციებით ჩნდება ცნობები ყველაზე ღარიბი (განსაზღვრული სიღარიბის ზღვრის მიხედვით*) ან ყველაზე მდიდარი ჯგუფების შესახებ (მილიონზე მეტი შემოსავლით, ან ყველაზე მეტი სიმდიდრის მქონე რამდენიმე ათეული სუბიექტის შესახებ), მაგრამ თითქმის სრულიად არ ვრცელდება (და პრაქტიკულად არც იზომება) შემოსავლების და სიმდიდრის (ქონების) განაწილების შესახებ ინფორმაცია საზოგადოების ცალკეული ჯგუფების მიხედვით (იშვიათი გამონაკლისია ზოგიერთი კვლევა, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ ავსებს ამ ხარვეზს[8]). ამიტომაც, როდესაც ეკონომიკა იზრდება, დიდწილად უცნობია, ვისთვის უმჯობესდება ეკონომიკური მდგომარეობა, როგორ გადანაწილდება ეს ზრდა მოსახლეობაზე.

თეორიულად, ეკონომიკური ზრდა შეიძლება, დაფიქსირდეს იმ შემთხვევაშიც, თუ მხოლოდ უკიდურესად ვიწრო ჯგუფის შემოსავლები და ქონება იზრდება რადიკალურად, ხოლო დიდი უმრავლესობის შემოსავლები და ქონება იგივე რჩება, ან შეიძლება მცირდებოდეს კიდეც.

სიღარიბის დონის შესაფასებლად გამოიყენება ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები.[9] ბოლო მონაცემებით, ყოველი მეხუთე ადამიანი საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. სიღარიბის აბსოლუტური ზღვრის** ქვემოთ 2020 წელს მთლიანი მოსახლეობის 21,3% იყო. რაც შეეხება სიღარიბის საერთაშორისო სტანდარტის*** მიხედვით საქართველოში არსებულ ვითარებას: 2019 წელს მოსახლეობის 3,8% დღეში 1,9 დოლარზე ნაკლებს ხარჯავდა (2011 წლის PPP მაჩვენებლის მიხედვით). 3,2 დოლარზე ნაკლებს 14,8%, ხოლო 5,5 დოლარზე ნაკლებს 41,9%.

---

* საერთაშორისო სიღარიბის ზღვრად მსოფლიო ბანკის მიერ დადგენილია 1,9 აშშ დოლარი დღიური დანახარჯი, ასევე გამოიყენება ორი სხვა ზღვარი: 3,2 აშშ დოლარი დღეში და 5,5 აშშ დოლარი დღეში.

** სიღარიბის აბსოლუტური ზღვარი გულისხმობს საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მიერ ყოველთვიურად განსაზღვრულ საარსებო მინიმუმს, რომელიც გამოითვლება ყოველთვიურად, 2020 წელს სხვადასხვა თვეების მიხედვით ის მერყეობდა 182 ლარიდან 206 ლარამდე.

*** საერთაშორისო სიღარიბის ზღვარი ითვლება დღიური ხარჯის მიხედვით, ამავე დროს გამოიყენება ე.წ. PPP მაჩვენებლი – *მსყიდველობითი უნარის პარიტეტი*, რაც ითვალისწინებს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული განსხვავებული ფასებისა და ვალუტის კურსის გათვალისწინებით არსებულ მდგომარეობას.

ცხრილი №2. სიღარიბის აბსოლუტური ზღვრის ქვემოთ მოსახლეობის წილი ბოლო წლებში (წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

წელი	მოსახლეობის წილი სიღარიბის აბსოლუტური ზღვრის ქვემოთ
2020	21,3%
2019	19,5%
2018	20,1%
2017	21,9%

ცალკეული სოციალური ჯგუფების მდგომარეობაზე პასუხი შეიძლება მივიღოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სპეციალურად შევისწავლით ეკონომიკის (მშპ-ის), შემოსავლების, ქონების და სხვა ტიპის სარგებლის მთელ საზოგადოებაში გადანაწილების მდგომარეობას: ვინ, რას, რამდენს და რამდენად თანასწორად იღებს არსებული ეკონომიკიდან და მისი ზრდისგან.

უთანასწორობის გაზომვის ყველაზე გავრცელებული მექანიზმი არის ე.წ. „ჯინის ინდექსი“, რომელიც წარმოადგენს რაოდენობრივ გამოსახულებას 0-დან და 1-მდე (ან 1%-დან 100%-მდე), რაც უფრო ნაკლებია მისი მნიშვნელობა მით უფრო დაბალია უთანასწორობა საზოგადოებაში და პირიქით, რაც უფრო მაღალია ჯინის ინდექსი, მაღალია უთანასწორობაც შემოსავლებისა და ქონების გადანაწილების თვალსაზრისით.

ცხრილი №3. ჯინი-ს ინდექსი სხვადასხვა ქვეყნებში 2018-2019წწ. (წყარო: მსოფლიო ბანკი)*

ქვეყანა	ჯინის ინდექსის მაჩვენებელი
სლოვენია	24,6%
ბრაზილია	53,4%
აშშ	41,4%
შვედეთი	30,0%
ლატვია	35,1%
საფრანგეთი	32,4%
დანია	28,2%
ჩეხეთი	25,0%
რუსეთის ფედერაცია	37,5%
სომხეთი	29,9%
საქართველო	35,9%

* Gini index (World Bank estimate) იხ.: https://data.worldbank.org/indicator/SI.POV.GINI

ჯინის ინდექსის მაჩვენებლის შედარება საქართველოსა და სხვა ქვეყნებში აშკარად გვიჩვენებს, რომ საქართველოსა და ევროპის ქვეყნებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯინის ინდექსის დაზუსტებული მაჩვენებლის მიხედვით, რომელიც განსხვავებული მეთოდოლოგიით იანგარიშება*, საქართველო 2017 წლის მონაცემებით ყველაზე უთანასწორო ქვეყნების ათეულში შედის[10] და ეს მაჩვენებელი 47,6%-ს შეადგენს[11]. ამავე დროს, ჯინის ინდექსი ახასიათებს მხოლოდ ზოგად მდგომარეობას სხვა ქვეყნებთან მიმართებით. იგი არაფერს გვეუბნება კონკრეტულად როგორ და რომელ ჯგუფებში ნაწილდება შემოსავლები და ქონება, როგორია განსხვავება ამ ჯგუფებს შორის და ა. შ..

ამიტომაც, ბოლო წლებში სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ კვლევებში სულ უფრო აქტიურად გამოიყენება ისეთი მაჩვენებლები, რომლითაც შემოსავლებისა და ქონების სხვადასხვა ჯგუფებში გადანაწილება იზომება. მაგალითად ე.წ. „პალმას ინდექსი“**: ყველაზე მაღალშემოსავლიანი 10%-ის და ქვედა 40%-ის შეფარდება, ასევე სხვადასხვა საშემოსავლო ჯგუფების განაწილების სხვა ტიპის ვარიაციები: ზედა 10%, შუა 40%, ქვედა 50%. კიდევ უფრო მწვავედ აჩვენებს უთანასწორობის გავლენას, არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ საზოგადოების ცხოვრების ბევრ სხვადასხვა სფეროსა და ასპექტზე, ზედა 1%-ის შეფარდება ქვედა 50%-თან.

ამ ტიპის კვლევებმა განსაკუთრებული აღიარება და პოპულარობა მოიპოვა ფრანგი მეცნიერის ტომას პიკეტის ცნობილი ნაშრომების გამოქვეყნების შემდეგ (*Capital in the Twenty-First Century*, *Capital and Ideology*). *ჩვენს მიერ წარმოდგენილი მონაცემებიც და მეთოდოლოგიაც დიდწილად პიკეტის ბოლო წიგნში[12] წარმოდგენილ იდეებსა და მონაცემებს ეყრდნობა.*

უფრო ფართოდ და სიღრმისეულად მსგავსი მეთოდოლოგიით წარმოდგენილი მონაცემების გაცნობა შესაძლებელია პლატფორმა WID-ზე (world inequality database[13]), რომელიც ასევე ტომას პიკეტის ხელმძღვანელობით ორგანიზებული მრავალი ქვეყნის მკვლევართა ჯგუფის მიერ არის შექმნილი.

* აღნიშნული მეთოდოლოგიით უფრო სრულყოფილად ხდება რეალური უთანასწორობის გაზომვა.

** კემბირჯის უნივერსიტეტის პროფესორის გაბრიელ პალმას მიერ დამკვიდრებული ინდიკატორია. მას ეკუთვნის ათობით ნაშრომი და კვლევა უთანასწორობის შესახებ.

შემოსავლების უთანასწორობა

ნებისმიერ ქვეყანაში უთანასწორობის (თანასწორობის) მდგომარეობის შეფასების ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი შემოსავლების განაწილებაა. ცხრილ №4-ში მოცემულია საქართველოში შემოსავლის მიმღებ პირთა განაწილება მთლიანი წლიური შემოსავლის* მიხედვით, სხვადასხვა საშემოსავლო ჯგუფებში. ასევე მოცემულია პროცენტული განაწილება შესაბამისი საშემოსავლო ჯგუფის მიხედვით.

ცხრილი №4. შემოსავლების განაწილება საშემოსავლო ჯგუფების მიხედვით (საშემოსავლო გადასახადის გადახდამდე, პენსიებისა და სოციალური დახმარების გამოკლებით). (წყარო: შემოსავლების სამსახური)

შემოსავლების განაწილება სხვადასხვა საშემოსავლო ჯგუფების მიხედვით (წლიური შემოსავალი – 2019წ.)				
წლიური შემოსავალი – ყველა სახის შემოსავალი (ლარი)	შემოსავლის მიმღებ პირთა რაოდენობა	ჯამური შემოსავალი საშემოსავლო ჯგუფის მიხედვით	პირთა წილობრივი განაწილება	კუმულაციური პროცენტი
0-1200	247,149	106,777,684	19.08%	19.08%
1200-2400	117,240	209,198,773	9.05%	28.13%
2400-3600	95,416	285,027,464	7.37%	35.50%
3600-4800	83,471	349,965,427	6.44%	41.95%
4800-6000	76,002	410,688,152	5.87%	47.81%
6000-7200	66,872	440,980,944	5.16%	52.98%
7200-9600	118,634	989,559,771	9.16%	62.14%
9600-12000	98,467	1,062,927,891	7.60%	69.74%
12000-15000	95,235	1,274,631,369	7.35%	77.09%
15000-20000	101,479	1,758,546,275	7.84%	84.93%
20000-25000	58,858	1,310,812,050	4.54%	89.47%
25000-30000	33,775	922,221,341	2.61%	92.08%
30000-40000	36,911	1,270,236,290	2.85%	94.93%
40000-50000	19,373	863,121,722	1.50%	96.43%
50000-60000	11,842	647,095,472	0.91%	97.34%

* წლიური შემოსავალი მოიცავს ყველა სახის შემოსავალს, რომელიც ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადის გადახდას და აღრიცხულია შემოსავლების სამხურის მიერ. შემოსავლის სახეები: ხელფასი, მომსახურების ანაზღაურება, დივიდენდი, პროცენტი და სხვა სახის შემოსავლები.

60000-70000	7,522	486,584,085	0.58%	97.92%
70000-80000	5,386	402,653,105	0.42%	98.34%
80000-90000	4,029	341,380,477	0.31%	98.65%
90000-100000	2,920	276,464,069	0.23%	98.87%
100000-ზემოთ	14,596	4,505,127,507	1.13%	100.00%
ჯამი	1,295,177	17,913,999,866	100%	

2019 წელს შემოსავალი მიიღო 1 295 177-მა ადამიანმა. საშუალო წლიური შემოსავალი კი 13 831 ლარს შეადგენს. ცხრილის მიხედვით ჩანს, რომ მოსახლეობის მხოლოდ 10%-ს აქვს 25 000 ლარზე მეტი წლიური შემოსავალი. შემოსავლის მიმღებთაგან დაახლოებით 3,5%-ს აქვს 50 000 ლარზე მეტი წლიური შემოსავალი, ხოლო თითქმის 48%-ს წლიური შემოსავალი 6000 ლარზე ნაკლები აქვს, რაც ნიშნავს, რომ მოსახლეობის თითქმის ნახევარს (შემოსავლის მიმღებ პირებს) ყოველთვიურად საშუალოდ 500 ლარზე ნაკლები შემოსავალი აქვს. არსებული მონაცემების მიხედვით, საშუალო თვიური შემოსავალი დაახლოებით 1152 ლარს შეადგენს, შესაბამისად, შემოსავლის მიმღებ პირთა ოდენობის თითქმის 50%-ის ყოველთვიური შემოსავალი ორჯერ და უფრო მეტად ნაკლებია საშუალო თვიური ხელფასის მაჩვენებელზე. მედიანური და საშუალო შემოსავლის ასეთი სხვაობა ძალიან დიდი მნიშვნელობის მქონე უთანასწორობაზე მეტყველებს.

სოციალური დანახარჯები სახელმწიფო ბიუჯეტიდან

ასაკობრივი პენსია

2020 წელს ასაკობრივი პენსიის მიმღებ პირთა რაოდენობა 783 705 იყო. იმავე წელს ასაკით პენსიონერთა უზრუნველყოფისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაიცა 2 130 ათასზე მეტი ლარი. 70 წლამდე პენსიონერთათვის 2020 წელს პენსიის მოცულობა ყოველთვიურად განსაზღვრული იყო 220 ლარით (2021 წლის 1 იანვრიდან ის გაიზარდა 240 ლარამდე, ხოლო 2022 წლის იანვრიდან იზრდება 260 ლარამდე), ხოლო 70 წელს ზემოთ პენსიონერები ყოველთვიურად 250 ლარს იღებდნენ (2021 წლიდან გაიზარდა 275 ლარამდე, ხოლო 2022 წლის იანვრიდან – 300 ლარამდე).

ასაკის მიხედვით ისინი შემდეგნაირად ნაწილდებიან:

ცხრილი №5. ასაკობრივივ პენსიის მიმღებთა რაოდენობა ასაკის მიხედვით 2020 წ. (წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო)

ასაკი	პირთა რაოდენობა
60-64 (ქალი)	155,325
65-69 (ქალი, კაცი)	214,510
70-74 (ქალი, კაცი)	162,864
75-79 (ქალი, კაცი)	89,919
80-90 (ქალი, კაცი)	103,416
90-მეტი (ქალი, კაცი)	11,482
სულ	783,705

სოციალური დახმარება (საარსებო შემწეობა)

2020 წელს საარსებო შემწეობის სახით სახელმწიფოსგან დახმარება მიიღო 146 619 ოჯახმა (524 598 პირმა – ოჯახის წევრების რაოდენობა). 2020 ამ ოჯახებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახმარების სახით გაიცა 339 277 444 ლარი.

№4 ცხრილში წარმოდგენილ მონაცემებში არ შედის სახელმწიფოსგან სოციალური უზრუნველყოფის სახით მიღებული შემოსავალი, როგორიცაა ასაკობრივი პენსია და სოციალური დახმარება, რაც, რასაკვირველია, არსებულ უკიდურესად მძიმე სურათს ნაწილობრივ შეცვლიდა უკეთესობისკენ, მცირედით გააუმჯობესებდა დაბალშემოსავლიანთა მდგომარეობას. სამწუხაროდ ხსენებული მონაცემების უფრო ზუსტი ასახვა პრაქტიკულად შეუძლებელია. სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფოს ხარჯებზე საუბრისას მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ საქართველოში არ არის დაწესებული უმუშევრობის კომპენსაცია, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გავრცელებული პრაქტიკაა.

შეგვიძლია ასევე დავაკვირდეთ შემოსავლების განაწილებას ქვედა ორ საშემოსავლო ჯგუფში შემავალი ადამიანების და ჯამური შემოსავლის გამოკლებით. ამის მიზეზი ისაა, რომ წლიური 2400 ლარი იმდენად მიზერული შემოსავალია, სავარაუდოა, რომ ამ ადამიანებს გააჩნიათ სხვა ტიპის დამატებითი შემოსავალიც (იგულისხმება, როგორც სოციალური უზრუნველყოფის სახით მიღებული თანხა, ასევე ეს შეიძლება იყოს გზავნილები საზღვარგარეთიდან ან სხვა ტიპის არაფორმალური შემოსავალი). შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსგავსი ტიპის შემოსავლების არქონის შემთხვევაში, ეს ადამიანები ვერ შეძლებდნენ მინიმალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასაც კი.

ცხრილ №6-ში მოცემულია შემოსავლების განაწილება დეცილური ჯგუფების* მიხედვით, აგრეთვე საშუალო წლიური შემოსავალი თითოეული დეცილური ჯგუფისთვის, რაც იძლევა კარგ წარმოდგენას შემოსავლების განაწილების შესახებ.

ცხრილი №6. მთლიანი შემოსავლის განაწილება დეცილური ჯგუფების მიხედვით (მომზადებულია შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე)

მთლიანი შემოსავლის განაწილება დეცილური ჯგუფების მიხედვით (2019წ.)			
დეცილური ჯგუფები		ჯამური შემოსავალი დეცილური ჯგუფების მიხედვით (ლარი)	საშუალო წლიურიშემოსავალი დეცილური ჯგუფების მიხედვით
I	1-10%	55,956,658	432
II	11-20%	72,031,754	556
III	21-30%	260,173,932	2,009
IV	31-40%	457,135,229	3,530
V	41-50%	703,060,674	5,428
VI	51%-60%	1,012,986,617	7,821
VII	61%-70%	1,338,952,457	10,338

* დეცილური ჯგუფი შედგება მთლიანი პოპულაციის – შემოსავლის მიმღებ პირთა საერთო რაოდენობის 10%-ისგან. დეცილურ ჯგუფებზე დაკვირვება კარგი მეთოდია შემოსავლების უთანასწორობის აღსაქმელად. მოცემულ შემთხვევაში თითოეულ დეცილურ ჯგუფში შემავალი პირების ჯამური შემოსავალი დათვლილია მიახლოებით, შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელშიც წარმოდგენილია წლიური შემოსავლის განაწილება სხვადასხვა საშემოსავლო დიაპაზონის მიხედვით (ცხრილ №6-ში წარმოდგენილი ინფორმაცია).

VIII	71%-80%	1,882,041,825	14,531
IX	81%-90%	2,603,514,527	20,102
X	91%-100%	9,528,146,193	73,566
ზედა 1%		3,997,698,786	308,655
ჯამი		17,913,999,866	

ზედა დეცილური ჯგუფის საშუალო შეფარდება ქვედა დეცილური ჯგუფის საშუალო შემოსავალთან შეადგენს 170-ს, ანუ საშუალოდ ყველაზე მაღალი შემოსავლის მქონე 10%-ში შემავალი ადამიანის შემოსავალი 170-ჯერ მეტია ყველაზე დაბალშემოსავლიან 10%-ში შემავალი ადამიანის შემოსავალზე, ხოლო ზედა 1%-ში შემავალი ადამიანების საშუალო წლიური შემოსავალი 714-ჯერ მეტია ქვედა 10%-ში შემავალი ადამიანების საშუალო წლიურ შემოსავალზე.

როგორც უკვე ვახსენეთ, ქვედა ორი დეცილური ჯგუფისთვის საშუალო წლიური შემოსავალი იმდენად მცირეა, რომ, ბუნებრივია, ამ ადამიანებს სხვა სახის დამატებითი შემოსავალიც უნდა ჰქონდეთ. ამის მიუხედავად, მნიშვნელოვანია ამ მონაცემების ანალიზიც.

სახელფასო შემოსავალი

2019 წელს ხელფასის სახით შემოსავალი მიიღო 1 124 679 ადამიანმა. საშუალო წლიური ხელფასი 13 036 ლარს შეადგენდა, შესაბასამისად, საშუალო თვიური ხელფასი 1086 ლარი იყო (საქსტატის მიხედვით, 2019 წელს საშუალო ხელფასი 1130 ლარს შეადგენდა, თუმცა აღნიშნული სხვაობა განსხვავებული მეთოდოლოგიით აიხსნება).

ხელფასის მიმღებ პირთა 49,31%-ს წლიური ხელფასი 7200 ლარზე ნაკლები აქვს, შესაბამისად, საშუალოდ თვიური ხელფასი 600 ლარზე ნაკლებია, რაც თითქმის ორჯერ ნაკლებია საშუალო ხელფასის თვიურ მაჩვენებელზე.

ცხრილი №7. სახელფასო შემოსავლების განაწილება საშემოსავლო ჯგუფების მიხედვით (წყარო: შემოსავლების სამსახური)

სახელფასო შემოსავლების განაწილება სხვადასხვა საშემოსავლო ჯგუფების მიხედვით (წლიური ხელფასი – 2019წ.)				
წლიური შემოსავალი (ხელფასი) (ლარი)	სახელფასო შემოსავლის პირთა რაოდენობა	ჯამური სახელფასო შემოსავალი საშემოსავლო ჯგუფის მიხედვით	პირთა წილობრივი განაწილება	კუმულაციური პროცენტი
0-1200	142,499	81,324,992.6	12.67%	12.67%
1200-2400	105,162	188,707,041.1	9.35%	22.02%
2400-3600	89,347	267,192,380.1	7.94%	29.96%
3600-4800	79,968	335,696,627.5	7.11%	37.08%
4800-6000	73,463	397,016,530.2	6.53%	43.61%
6000-7200	64,094	422,889,471.6	5.70%	49.31%
7200-9600	116,522	972,790,375.0	10.36%	59.67%
9600-12000	95,377	1,029,908,315.9	8.48%	68.15%
12000-15000	91,511	1,224,799,635.1	8.14%	76.28%
15000-20000	95,398	1,653,009,772.4	8.48%	84.77%
20000-25000	54,819	1,220,774,521.9	4.87%	89.64%
25000-30000	30,871	843,010,039.9	2.74%	92.38%
30000-40000	32,863	1,130,037,836.6	2.92%	95.31%
40000-50000	16,966	756,156,856.2	1.51%	96.82%
50000-60000	10,046	549,104,914.2	0.89%	97.71%
60000-70000	6,245	403,704,459.9	0.56%	98.26%
70000-80000	4,418	330,375,320.4	0.39%	98.66%
80000-90000	3,164	268,015,957.5	0.28%	98.94%
90000-100000	2,286	216,304,371.9	0.20%	99.14%
100000-ზემოთ	9,660	2,371,477,193.9	0.86%	100.00%
ჯამი	1,124,679	14,662,296,613.9	100%	

25 000 ლარზე მეტი წლიური სახელფასო შემოსავალი აქვს დაახლოებით ხელფასის მიმღებ პირთა 10%-ს. ხოლო 50 000 ლარზე მეტი წლიური სახელ-ფასო შემოსავალი 3,2%-ს. 100 000 ლარზე მეტი სახელფასო შემოსავალი ხელ-ფასის მიმღებ პირთა 0,86%-ს აქვს მაშინ, როცა 30%-ს წლიური ხელფასი 3600 ლარზე ნაკლები აქვს (თვეში საშუალოდ 300 ლარი).

სახელფასო შემოსავლის მედიანური მაჩვენებელი

ამ დროისთვის საქართველოში შესაბამისი სამსახურების მიერ არ ხდება სახელფასო შემოსავლის მედიანური მაჩვენებლის გამოთვლა, რომელიც გაცილებით ზუსტად ასახავს, თუ როგორ არის ხელფასები გადანაწილებული ხელფასის მიმღებ პირთა შორის, განსხვავებით საშუალო ხელფასის მაჩვენებლისგან.

2019 წელს ხელფასის მიმღებ პირად საქართველოში რეგისტირებული იყო 1 124 679 ადამიანი. 554 533 ადამიანის (ხელფასისი მიმღებ პირთა 49,31%-ს) წლიური სახელფასო შემოსავალი ჰქონდა 7200 ლარზე ნაკლები. მედიანური მაჩვენებელი 562 440-ე პირის ხელფასს ემთხვევა. შესაბამისად, მედიანური მაჩვენებელი ახლოს არის 7200 ლართან. ჩვენი გამოთვლებით 2019 წელს წლიური ხელფასის მედიანური მაჩვენებელი იყო 7360 ლარი, რაც თვიურად საშუალოდ 613 ლარს შეადგენს. იმავე წლის საშუალო თვიური ხელფასი საქსტატის მიხედვით 1130 ლარი იყო.

ცხრილ №8-ში მოცემულია სახელფასო შემოსავლების განაწილება დეცილური ჯგუფების მიხედვით, აგრეთვე საშუალო სახელფასო შემოსავალი თითოეული დეცილური ჯგუფისთვის. ყველაზე მაღალი ხელფასის მქონე 10%-ში შემავალი ადამიანის საშუალო ხელფასი 105-ჯერ მეტია ყველაზე დაბალი ხელფასის მქონე 10%-ში შემავალი ადამიანის საშუალო ხელფასზე.

ცხრილი №8. სახელფასო შემოსავლის განაწილება დეცილური ჯგუფების მიხედვით (მომზადებულია შემოსავლების სამსახურის მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე)

სახელფასო შემოსავლის განაწილება დეცილური ჯგუფების მიხედვით (2019წ.)			
დეცილური ჯგუფები		ჯამური სახელფასო შემოსავალი დეცილური ჯგუფების მიხედვით (ლარი)	საშუალო წლიური სახელფასო შემოსავალი დეცილური ჯგუფებისთვის
I	1-10%	64,186,130	571
II	11-20%	165,067,225	1,468
III	21-30%	309,633,423	2,753
IV	31-40%	511,814,314	4,551
V	41-50%	707,303,124	6,289

VI	51%-60%	948,139,178	8,430
VII	61%-70%	1,268,362,175	11,278
VIII	71%-80%	1,670,127,035	14,850
IX	81%-90%	2,260,127,078	20,096
X	91%-100%	6,757,536,933	60,084
ზედა 1%		2,521,641,253	224,206
ჯამი		14,662,296,614	

შემოსავლების განაწილება სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით

შემოსავლების უთანასწორობაზე კარგ წარმოდგენას გვიქმნის დაკვირვება, თუ როგორ არის განაწილებული მთლიანი შემოსავალი სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით. ცხრილ №9 და №10-ში წარმოდგენილია მთლიანი შემოსავლების და სახელფასო შემოსავლების განაწილება სხვადასხვა საშემოსავლო ჯგუფების მიხედვით.

ცხრილი №9. მთლიანი შემოსავლების განაწილება სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით (2019 წ.)

საშემოსავლო ჯგუფები	წილი მთლიან შემოსავლებში
ზედა 10%	53%
შუა 40%	38%
ქვედა 50%	9%
ზედა 1%	22%

ცხრილი №9 აჩვენებს სხვადასხვა საშემოსავლო ჯგუფების წილს მთლიან შემოსავლებში. ცხრილიდან ჩანს, რომ ყველაზე მაღალი შემოსავლის მქონე 10%-ის წილი მთლიანი შემოსავლის ნახევარზე მეტია, ხოლო ზედა 1%-ის შემოსავალი თითქმის მეოთხედის ტოლია მაშინ, როცა ქვედა 50%-ის შემოსავლის წილი მთლიან შემოსავალში 9%-ია.

ცხრილი №10. სახელფასო შემოსავლების განაწილება სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით (2019 წ.)

საშემოსავლო ჯგუფები	წილი მთლიან შემოსავლებში
ზედა 10%	46%
შუა 40%	41%
ქვედა 50%	13%
ზედა 1%	17%

სახელფასო შემოსავლების მიხედვით უთანასწორობა შედარებით მცირეა, თუმცა ზედა 10% ასევე იღებს მთლიანი სახელფასო შემოსავლის თითქმის ნახევარს, ხოლო ზედა 1% კი მთლიანი სახელფასო შემოსავლის – 17%-ს.

შემოსავლების განაწილება სხვადასხვა საშემოსავლო ჯგუფებს შორის: საქართველო და მსოფლიო

ცხრილებში №11 და №12 წარმოდგენილია სხვადასხვა საშემოსავლო ჯგუფების წილობრივი შეფარდება მთლიან შემოსავალში საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებსა თუ რეგიონებში. თუ დავაკვირდებით შემოსავლების განაწილების ტენდენციას, საქართველო ყველაზე ახლოს შუა აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნებთანაა.

*ცხრილი №11. ქვედა 50%-ის და ზედა 1%-ის წილები მთლიან შემოსავალში სხვადასხვა ქვეყნების და რეგიონების მიხედვით**

ქვეყანა (რეგიონი)	ქვედა 50%	ზედა 1%
ევროპა	21%	11%
ჩინეთი	14,4%	14%
აშშ	13,3%	18,8%
შუა აღმოსავლეთი	9%	30%
რუსეთი	17%	21,4%
პოლონეთი	19,5%	14,8%
ლიეტუვა	18,1%	10,9%
საქართველო	9%	22%

* უცხო ქვეყნების მონაცემები მოცემულია მსოფლიო უთანასწრობის მონაცემთა ბაზის პლატფორმის საფუძველზე – World Inequality Database. იხ.: https://wid.world/data/

ცხრილი №12. ქვედა 50%-ის, შუა 40%-ის და ზედა 10%-ის წილები მთლიან შემოსავალში

ქვეყანა (რეგიონი)	ქვედა 50%	შუა 40%	ზედა 10%
ევროპა	20%	45%	35%
ჩინეთი	14,4%	44%	41,7%
აშშ	13,3%	41%	45,7%
შუა აღმოსავლეთი	9%	27%	64%
რუსეთი	17%	36,6%	46,5%
პოლონეთი	19,5%	42,9%	37,5%
ლიეტუვა	18,1%	45,4%	36,5%
საქართველო	9%	38%	53%

უთანასწორობის გასააზრებლად ასევე კარგ წარმოდგენას ქმნის სხვადასხვა საშემოსავლო ჯგუფების საშუალო შემოსავლების შეფარდებაზე დაკვირვება. ბუნებრივია, რაც უფრო მაღალია უთანასწორობა, მით უფრო მაღალი იქნება ყველაზე მაღალი საშემოსავლო ჯგუფების საშუალო შემოსავლის შეფარდება სხვა საშემოსავლო ჯგუფების საშუალო შემოსავალთან. ცხრილებში №13 და №14 სწორედ ეს მაჩვენებელია წარმოდგენილი. საქართველოში ყველაზე მაღალი შემოსავლის მქონე 10%-იანი ჯგუფის საშუალო წლიური შემოსავალი 31-ჯერ აღემატება ქვედა 50%-ში შემავალი წლიური შემოსავლის მქონე ჯგუფს. იგივე მაჩვენებელი ევროპაში 8 უდრის. ამ მხრივ, საქართველოში თითქმის ოთხჯერ უფრო მაღალი მაჩვენებელია. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ მაჩვენებლის მიხედვით, საქართველოში ევროპის ქვეყნების საშუალო მაჩვნებელთან შედარებით ოთხჯერ უფრო დიდი უთანასწორობაა.

ცხრილი №13. ზედა 10%-ის და ქვედა 50%-ის საშუალო შემოსავლების შეფარდება, საქართველო და სხვა ქვეყნები (მსოფლიოს რეგიონები)*

ქვეყანა (რეგიონი)	ზედა 10%-ის და ქვედა 50%-ის საშუალო შემოსავლების შეფარდება
ევროპა	8
ჩინეთი	14

* უცხო ქვეყნების მონაცემები მოცემულია შემდეგ წიგნში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე: Pikkety, Thomas (2020) *Capital and ideology*. The Belknap Press of Harvard University Press.

რუსეთი	14
აშშ	19
ინდოეთი	19
ბრაზილია	20
შუა აღმოსავლეთი	34
საქართველო	31

ცხრილში №14 მოცემულია ყველაზე მაღალი 1%-იანი საშემოსავლო ჯგუფის საშუალო წლიური შემოსავლის შეფარდება ქვედა 50%-იანი საშემოსავლო ჯგუფის საშუალო წლიურ შემოსავალთან. საქართველოში ყველაზე მაღალი შემოსავლის მქონე 1%-იანი ჯგუფის წლიური შემოსავალი საშუალოდ 308 655 ლარია. შესაბამისად, ეს მაჩვენებელი 129-ჯერ მეტია ქვედა 50%-იანი ჯგუფის საშუალო წლიურ შემოსავალზე. აქაც საქართველო ყველაზე ახლოს შუა აღმოსავლეთის რეგიონთანაა. ევროპაში ანალოგიური მაჩვენებელი 25-ის ტოლია.

ცხრილი №14. ზედა 1%-ის და ქვედა 50%-ის საშუალო შემოსავლების შეფარდება, საქართველო და სხვა ქვეყნები (მსოფლიოს რეგიონები)

ქვეყანა (რეგიონი)	ზედა 1%-ის და ქვედა 50%-ის საშუალო შემოსავლების შეფარდება
ევროპა	25
ჩინეთი	46
რუსეთი	61
აშშ	80
ინდოეთი	72
ბრაზილია	85
ახლო აღმოსავლეთი	161
საქართველო	129

აქვე გვინდა, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ, როგორც ზემოთ ვახსენეთ, პენსიების და სოციალური დახმარების გათვალისწინება მცირედით გააუმჯობესებდა დაბალშემოსავლიანთა მაჩვენებლებს, მაგრამ არსებითად არ შეცვლიდა იმ უკიდურეს სიმწვავეს უთანასწორობისა, რომელსაც ვხედავთ წარმოდგენილ მონაცემებში.

ქონების განაწილება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომლითაც ქვეყანაში არსებული უთანასწორობის შეფასება შეიძლება მოხდეს. ჩვენ ამ ეტაპზე არ ვფლობთ საქართველოში ქონების განაწილების შესახებ სრულფასოვან ინფორმაციას. მოცემულ კვლევაში ვეყრდნობით ორ ძირითად სტატისტიკურ მონაცემს ქონების განაწილების შესახებ: სასოფლო-სამეურნეო მიწების განაწილებას და ქონების გადასახადის გადამხდელთა განაწილებას მათ საკუთრებაში არსებული ქონების ღირებულების მიხედვით, ასევე მათ საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განაწილებას ფართობის მიხედვით.

ცხრილი №15. ფიზიკური პირების ქონების ღირებულება (გარდა მიწისა) (მომზადებულია შემოსავლების სამსახურის ინფორმაციის საფუძველზე)

ქონების ღირებულების დიაპაზონები (ლარი)	გადამხდელთა რაოდენობა	დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულება (ლარი)	ქონების საშუალო ღირებულება (ლარი)	ქონების გადასახადის გადამდელთა წილი	ქონების ღირებულების წილი	კუმულაციური პროცენტი
0<-≤100 000	23, 340	1,127,747,840	48,318	52.43%	15.20%	15.20%
100 000< –≤300 000	15,764	2,688,130,270	170,523	35.41%	36.24%	51.44%
300 000 < –≤600 000	3,680	1,516,295,711	412,037	8.27%	20.44%	71.88%
600 000 < –≤ 1 000 000	1,082	815,531,002	753,726	2.43%	10.99%	82.87%
1 000 000 < –≤5 000 000	625	1,059,195,364	1,694,713	1.40%	14.28%	97.15%
5 000 000 <	22	211,435,234	9,610,692	0.05%	2.85%	100.00%

მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია ქონების გადასახადის გადამხდელთა საკუთრებაში არსებული დეკლარირებული ქონების ღირებულების შესახებ, გარდა მიწისა. ამ ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები, რა თქმა უნდა, ვერ გადმოსცემს საქართველოში ქონების გადანაწილების სრულყოფილ სურათს, შესაბამისად, რთულია ამის საფუძველზე ვიმსჯელოთ

ქონებრივ უთანასწორობაზე. 2020 წელს ქონების გადასახადის გადამხდელად სულ რეგისტრირებული იყო 44 513 ადამიანი. ცხადია, აქედან გამომდინარე, რთულია, განაზოგადო აქ წარმოდგენილი მონაცემები მთლიანად საქართველოზე, თუმცა გარკვეული შთაბეჭდილების შექმნა მაინც შესაძლებელია. ქონების გადასახადის გადამხდელთა შორისაც იგრძნობა ძალიან მაღალი უთანასწორობა. ქონების გადასახადის გადამხდელთა 4% ფლობს ჯამურად დეკლარირებული ქონების 28%-ს.

ცხრილში №16 წარმოდგენილია ქონების გადასახადის გადამხდელთა საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის განაწილება, ფართობის მიხედვით. ამ შემთხვევაში უთანასწორობა კიდევ უფრო მეტად იგრძნობა. არასასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებაში ფლობის გათვალისწინებით, ქონების გადასახადის გადამხდელთა 0,88% ფლობს ჯამურად დეკლარირებული მიწის ფართობის 36,98%-ს.

ცხრილი №16. ფიზიკური პირების საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწები (მომზადებულია შემოსავლების სამსახურის ინფორმაციის საფუძველზე)

მიწის ფართობის დიაპაზონები (კვ.მ.)	გადამხდელთა რაოდენობა	ფართობი (კვ.მ.)	საკუთრებაში არსებული საშუალო ფართობი	ქონების გადასახადის გადამხდელთა წილი	წილი საერთო ფართობში	კუმულაციური პროცენტი
0<n≤500	50,760	6,998,464.5	138	73.22%	12.52%	12.52%
500<n≤1 000	9,330	6,534,656.0	700	13.46%	11.69%	24.22%
1 000<n≤5 000	7,757	15,637,896.3	2016	11.19%	27.98%	52.20%
5 000<n≤10 000	874	6,048,798.1	6921	1.26%	10.82%	63.02%
n>10 000	607	20,663,008.5	34041	0.88%	36.98%	100.00%

სასოფლო-სამეურნეო მიწების გადანაწილება

სასოფლო-სამეურნეო მიწების განაწილებაზე დაკვირვება ყველაზე მძაფრად წარმოაჩენს უთანასწორობას. მეურნეობათა საერთო რაოდნების 0,8%-ის საკუთრებაში არის სასოფლო სამეურნეო მიწების 52%, ხოლო მეურნეობათა რაოდენობის 77% ფლობს კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების 21,5%-ს. აღნიშნული მეურნეობების საკუთრებაში არსებული მიწების ფართობი 1 ჰექტარზე ნაკლებია. 124 მეურნეობის, რაც მეურნეობათა რაოდენობის 0,022%-ია, საკუთრებაშია მიწების 15%.

ცხრილი №17. სასოფლო-სამეურნეო მიწის განაწილება მეურნეობების მიხედვით (მომზადებულია 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის საფუძველზე)*

სასოფლო-სამეურნეო მიწის განაწილება მეურნეობების მიხედვით						
ფართობების გრადაცია (ჰა.)	მეურნეობების განაწილება ფართობის მიხედვით	წილი მეურნეობების მთლიან რაოდენობაში	კუმულაციური პროცენტი	მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის ფართობი	მიწის ფართობის წილი მთლიან მიწის ფართობში	1 მეურნეობაზე საშუალო ფართობი (ჰა.)
<0.1	86,988	15.15%	15.15%	3,516	0.45%	0.04
0.1-0.19	61,332	10.68%	25.84%	8,423	1.07%	0.14
0.2-0.49	139,914	24.37%	50.21%	45,229	5.74%	0.32
0.5-0.99	154,306	26.88%	77.09%	112,013	14.23%	0.73
1-1.99	95,399	16.62%	93.71%	123,922	15.74%	1.3
2-2.99	17,915	3.12%	96.83%	42,995	5.46%	2.4
3-3.99	6,349	1.11%	97.93%	21,599	2.74%	3.4
4-4.99	3,297	0.574%	98.51%	14,615	1.86%	4.4
5-9.99	4,505	0.785%	99.29%	29,490	3.75%	6.5
10-19.99	1,630	0.284%	99.57%	21,715	2.76%	13
20-49.99	965	0.168%	99.74%	29,195	3.71%	30
50-99.99	538	0.094%	99.84%	37,137	4.72%	69
100-199.99	428	0.075%	99.91%	58,219	7.39%	136
200-499.99	387	0.067%	99.98%	116,917	14.85%	302
500≤	124	0.022%	100.00%	122,429	15.55%	987
სულ	574,077	100.00%		787,414	100.00%	

თანამედროვე კვლევების უმეტესობა ადასტურებს, რომ (უ)თანასწორობის მთავარი განმსაზღვრელი არის სიმდიდრის (ქონების) განაწილება საზოგადოებაში. მართალია (უ)თანასწორობაზე ასევე დიდ ზეგავლენას ახდენს შემოსავლების განაწილება, მაგრამ ისიც მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ქონების განაწილებაზე, რამდენადაც თავად შემოსავლებში მნიშვნელოვანი წილი უკავია ქონების ეკონომიკური ფუნქციონირებიდან მიღებულ შემოსავლებს უშუალოდ შრომის ანაზღაურებიდან მიღებულ შემოსავლებთან ერ-

* საქართველოს სტატისტიკის სამსახურის 2014 წელს მიერ ჩატარებული სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, მეურნეობაში იგულისხმება ყველა ის შინამეურნეობა ან იურიდიული პირი, რომელიც ფლობდა საკუთრებაში სასოფლო-სამეურნეო მიწას.

თად. გარდა პირდაპირი მატერიალური (ფინანსური) განზომილებისა, ქონებრივი უთანასწორობა ირიბად ზემოქმედებას ახდენს უთანასწორობაზე ძალაუფლებისა და საზოგადოდ ცხოვრების სხვა სფეროებშიც, მათ შორის ქცევის ტიპებსა და ყოფით ურთიერთმიმართებებზე სოციუმში. გასათვალისწინებელია, რომ XXI ს-ში უთანასწორობის ზრდაში ქონებრივი უთანასწორობა წამყვან როლს ასრულებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ქონებრივი უთანასწორობის საკითხი კრიტიკული მნიშნელობისაა უთანასწორობის ანალიზისთვის.

პრივატიზაცია

საქართველოში ქონებრივი (უ)თანასწორობის დღეს არსებული მდგომარეობა უპირატესად განპირობებულია 1990-იან წლებში განხორციელებული პრივატიზაციის შედეგებით.

პრივატიზაციის პროცესმა ძალიან სწრაფი ზემოქმედება მოახდინა ქონებრივ (უ)თანასწორობაზე საქართველოში ისევე, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და ამავდროულად მან ხელი შეუწყო ქონების ძალიან სწრაფად კონცენტრაციას.

აქ პრივატიზაცია დაიწყო სრულიად განსხვავებულ ვითარებაში იმ საზოგადოებისგან განსხვავებით, სადაც საკუთრების (და, შესაბამისად, ქონების განაწილების) რადიკალურად განსხვავებული ინსტიტუციური წესრიგი არსებობდა, ვიდრე საბჭოთა (კომუნისტურ) სამყაროში.

სსრკ-ში, საკმაოდ შეზღუდული ფორმით, მაგრამ მაინც არსებობდა პირადი საკუთრება, რომელიც ძირითადად მეპატრონის უშუალო მოხმარებისთვის გამოიყენებოდა. მაგალითად, უძრავი ქონება: საცხოვრებელი (სოფლად – დიდი წილი, ე.წ. საკარმიდამო მცირე ნაკვეთები – მაქსიმუმ 0,5 ჰა-მდე, ქალაქად – უკიდურესად მცირე წილი), პირადი მოხმარების ტრანსპორტი თუ სხვა ნივთები. რაც შეეხება საკუთრებას წარმოების საშუალებებზე (რაც არის სწორედ საკუთრების განმსაზღვრელია, როგორც კაპიტალის ეკონომიკური ფუნქციონირებისთვის) – ეს პრაქტიკულად არ არსებობდა (მხოლოდ სხვადასხვა არალეგალური ფორმით გამოიყენებოდა ჩრდილოვანი ეკონომიკის სფეროში). შესაბამისად, საბჭოთა პერიოდში, სავარაუდოდ, ქონებრივი უთანასწორობა ბევრად უფრო დაბალი უნდა ყოფილიყო, ვიდრე საშემოსავლო უთანასწორობა.

საცხოვრებლის (ბინების) პრივატიზაციას და მიწის განაწილებას დიდი

ზეგავლენა არ უნდა მოეხდინა და პრაქტიკულად ამ რეფორმამ ალბათ შეინარჩუნა უთანასწორობის ის დონე, რომელიც მანამდე იყო (ან ცოტათი უმნიშვნელოდ გაზარდა).

რადიკალური ცვლილებები იწყება წარმოების საშუალებების განკერძოებით – ჯერ ფლობა-იჯარა, შემდეგ პრივატიზაცია და შემდეგ უკვე თავისუფალი მიმოქცევა ბაზარზე.

სამწუხაროდ, შესაბამისი მონაცემები საკმაოდ შეზღუდულია და მათთვის რაოდენობრივი ფორმის მიცემა ძალიან რთულდება.

პირველი ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია გულისხმობდა პირადი საკუთრების ოჯახების უმრავლესობისთვის უსასყიდლო გადაცემას: ეს იყო საცხოვრებელი ბინები, რომლებიც მოქალაქეთა უდიდესს უმრავლესობას პრაქტიკულად შეუზღუდავ მფლობელობაში ჰქონდა (მათ შორის, არაფორმალურად ნებისმიერი განკარგვის ფორმით – გაყიდვის ჩათვლით) და მცირე მიწის ნაკვეთები სოფლად. პრივატიზაციის ამ აქტს შედეგად (უ)თანასწორობის არსებითი, რამდენადმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ მოჰყოლია და უთანასწორობა თითქმის ისეთსავე დაბალ დონეზე შენარჩუნდა, როგორც ეს იყო სსრკ-ის დროს.

რაც შეეხება წარმოების საშუალებების პრივატიზებას, ეს რამდენიმე ფორმით განხორციელდა: ვაუჩერული, იჯარა-გამოსყიდვა, კოლექტივებზე მიყიდვა (უპირატესი წესით) და აუქციონის წესით გაყიდვა. ყველა ამ ფორმას ჰქონდა თავისი ლეგიტიმაცია – არგუმენტაცია და შესაბამისი შედეგებიც.[14]

პრივატიზაციიის ლეგიტიმაცია ორ ძირითად იდეურ ბურჯს, დაშვებას ეყრდნობოდა, რომლებიც ერთმანეთთან პირდაპირ არ იყვნენ დაკავშირებული:

1. საკუთრების, როგორც თავისუფლების აუცილებელი და უმთავრესი ატრიბუტის დამკვიდრებას – საკუთრების არსებობა და ხელშეუხებლობა – აუცილებელ პირობად მიიჩნეოდა თავისუფლების დამკვიდრებისა და ფუნქციონირებისთვის.

2. ლეგიტიმაცია ეკონომიკური ეფექტურობის თვალსაზრისით – კერძო საკუთრება და მისი ეკონომიკურ აქტივობაში ჩართვა აუცილებელ ატრიბუტად განიხილებოდა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისთვის. მიიჩნეოდა, რომ მხოლოდ კერძო საკუთრების (როგორც ეკონომიკური რესურსის) პრაქტიკულად თუ ერთადერთ არა, უმთავრეს ფორმად ქცევა (კოლექტიურისა და საერთო, სახელმწიფო საკუთრების მაქსიმალური მინიმიზების პირობებში) უზრუნველყოფდა საბაზრო ეკონომიკის მთავარი მამოძრავებლების –

ეკონომიკურ სუბიექტთა მოტივაციისა და კონკურენციის სრულფასოვან ამოქმედებას, შესაბამისად, ეფექტური საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებას და შემდგომ განვითარებას.

ერთჯერადი პრივატიზების შედეგად წარმოშობილი უთანასწორობის და ქონების კონცენტრაციის შთამბეჭდავ ზრდას კიდევ უფრო აქტიური და სწრაფი ტემპებით ვხედავთ, როდესაც გადანაწილებული ქონება ერთვება საბაზრო ურთიერთობებში.

რეფორმის კომპლექსურობამ, და არა მხოლოდ ქონების გადანაწილების, არამედ განკარგვის და ამუშავების მექანიზმების მოქმედებამ, შესაძლოა ნაწილობრივ, მაგრამ არა არსებითად, გაანეიტრალოს ეს ეფექტი და ხელი შეუწყოს უთანასწორობის ზრდის ტემპის შენელებას.

ქონებრივი უთანასწორობის შემცირების მიზნით შესაძლებელია აგრეთვე განხორციელდეს ერთჯერადი ხელახალი გადანაწილება ან ერთჯერადი დაბეგვრის რეჟიმი მაღალი საგადასახადო ტარიფებით დიდ ქონებაზე, მაგრამ ქონებრივი უთანასწორობის შემცირებისთვის ბევრად უკეთესს შედეგს იძლევა პერმანენტული პროგრესიული გადასახადი ქონებაზე.

გადასახადები

უთანასწორობის აღმოფხვრაში სახელმწიფოს როლის შესაფასებლად მნიშვნელოვანი ინდიკატორია სახელმწიფო ხარჯების (სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობის, რომლის ძირითადი წყარო ნებისმიერი სახლემწიფოს შემთხვევაში გადასახადებია) შეფარდება ქვეყნის მშპ-თან. ცხრილში №18 წარმოდგენილია, თუ როგორია ევროკავშირის თუ ევროპის სხვა ქვეყნებში საბიუჯეტო ხარჯების შეფარდება ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან. ცხრილიდან ჩანს, რომ საქართველოს შემთხვევაში საბიუჯეტო ხარჯების წილი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ნებისმიერი სხვა ევროპული სახელმწიფოს ანალოგიურ მაჩვნებელს, ხოლო ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს თითქმის ორჯერ ჩამორჩება. ეს ნიშნავს სახელმწიფოს პასიურ როლს სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაში. შესაბამისად, პასიურ როლს და ნაკლებ ზეგავლენას სახელმწიფოს მხრიდან უთანასწორობის შესამცირებლად.

*ცხრილი №18. საბიუჯეტო ხარჯების შეფარდება მშპ-თან ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოში (2018წ.) (წყარო: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის – OECD ბაზა)**

ქვეყანა	საბიუჯეტო ხარჯების შეფარდება მშპ-თან
ევროკავშირი (საშუალო)	46,7%
ბელგია	52,1%
ბულგარეთი	36,5%
ჩეხეთი	40,7%
დანია	50,9%
გერმანია	44,6%
ესტონეთი	39,1%
საფრანგეთი	56,0%
საბერძნეთი	47%
იტალია	48,4%
ლატვია	38,5%
ლიეტუვა	34%
უნგრეთი	46,7%
ნიდერლანდები	42,1%
სლოვენია	43,5%
ფინეთი	53,1%
გაერთიანებული სამეფო	40,9%
საქართველო	25,5%

ნებისმიერი სახელმწიფოსთვის გადასახადები უმნიშვნელოვანესი მექანიზმია თანასწორობის უზრუნველყოფისთვის. ამავე დროს, მნიშვნელოვანია თუ გადასახადის რომელ ტიპს ენიჭება წამყვანი როლი სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების მობილიზებაში. საქართველოს ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლებზე დაკვირვებით ჩანს, რომ არაპირდაპირი გადასახადებით მიღებული შემოსავლის წილი მნიშვნელოვნად აღემატება პირდაპირი გადასახადებით მიღებულ შემოსავალს. არაპირდაპირი გადასახადები თავისი არსით რეგრესული ხასიათისაა, რაც ნიშნავს იმას, რომ დაბალშემოსავლიან მოსახლეობას თავიანთი შემოსავლებიდან უფრო მაღალი წილის გადახდა უწევთ გადასახადებში. საქართველოში ასევე არ არსებობს პროგრესული საშემოსავლო საგა-

* OECD data on General government spending. იხ.: https://data.oecd.org/gga/general-government-spending.htm

დასახადო სისტემა, რომელიც უთანასწორობის შემცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია სახელმწიფოს ხელში.

სახელმწიფოსთვის გადასახადები არსებითი ინსტრუმენტია, რომლითაც უთანასწორობაზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. გადასახადების მობილიზების საფუძველზე სახელმწიფო იღებს ფინანსურ რესურსებს, რომელთა მეშვეობითაც ის აწარმოებს „საჯარო სიკეთეებს", „საჯარო პროდუქტს" (public goods).

„საჯარო პროდუქტის" უდიდესი ნაწილი ყველა მოქალაქისთვის თანაბრად ხელმისაწვდომია და, შესაბამისად, ხელს უწყობს თანასწორობის ზრდას (უთანასწორობის შემცირებას), მაგალითად, თავდაცვა, სასამართლო, საზოგადოებრივი წესრიგი, ინფრასტრუქტურა, განათლება (საჯარო წილი), ჯანდაცვა (საჯარო წილი) და სხვა „კეთილდღეობის ინსტიტუტები". ე. ი., რაც უფრო მაღალია „კეთილდღეობის ინსტიტუტების" წილი ადამიანის ფუნქციონირებაში (ცხოვრებაში), მით უფრო იზრდება თანასწორობა (მცირდება უთანასწორობა).

„საჯარო პროდუქტი" – ორი ტიპის შეიძლება იყოს: ა) უნივერსალური; ბ) მიზნობრივი. მიზნობრივი „საჯარო პროდუქტი" უზრუნველყოფს ადამიანის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი საჭიროებებზე ხელმისაწვდომობას იმათთვის, ვისთვისაც ინდივიდუალური ძალისხმევით (ჯიბიდან გადახდა) ეს „პროდუქტი" ხელმიუწვდომელია (მაგალითად, განათლების ან ჯანდაცვის ხარჯები...). ანუ, ეს არის ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც იზრდება თანასწორობა (მცირდება უთანასწორობა) ასეთი ადამიანებისა მათთან, ვისთვისაც შესაბამისი „პროდუქტი" ხელმისაწვდომია ინდივიდუალურად (შეუძლია ჯიბიდან გადახდა).

მობილიზებული გადასახადები შესაძლებელია მიზნობრივად მიმართულ იქნეს განვითარებაზე, რაც გაზრდის ეკონომიკას (მათ შორის ინკლუზიურადაც) და მთლიანობაში უნივერსალურად გააუმჯობესებს ქვეყნის (მათ შორის ცალკეულ მოქალაქეთა) ფუნქციონირების შესაძლებლობებს.

საქართველოში მოქმედი გადასახადების ძირითადი ტიპებია:

ა) არაპირდაპირი გადასახადები: დღგ, აქციზი;

ბ) პირდაპირი: საშემოსავლო, ქონების;

გ) სავალდებულო სოციალური შენატანები.

არაპირდაპირი გადასახადები ასახულია ნებისმიერი პროდუქციის ღირებულებაში, რომელსაც ადამიანები მოიხმარენ. შესაბამისად, ის ერთნაირია ყველა მომხმარებლისთვის. სავალდებულო სოციალურ შენატანს ყველა იხ-

დის მხოლოდ საკუთარი თავისთვის. საქართველოში სოციალური შენატანები პრაქტიკულად არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით საპენსიო შენატანს, რომელიც რამდენიმე წელიწადია ამოქმედდა. სოციალური გადასახადები (შენატანები) თავისი შინაარსით ახლოსაა საშემოსავლო გადასახადთან. ზოგადი ლოგიკის მიხედვით, ისიც უნდა დაექვემდებაროს პროგრესულობას.

ცხრილ №19-ში მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორია საქართველოს ბიუჯეტში პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების წილი. ცხრილიდან ჩანს, რომ არაპირდაპირი გადასახადების წილი სახელმწიფო ბიუჯეტში მნიშვნელოვნად აღემატება პირდაპირი გადასახადის წილს. როგორც აღვნიშნეთ, არაპირდაპირი გადასახადები რეგრესული ხასიათისაა, რადგან დაბალშემოსავლიან ადამიანებს საკუთარი შემოსავლიდან მეტი წილის გადახდა უწევთ. შესაბამისად, ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების არსებული სტრუქტურა მეტყველებს, რომ საგადასახადო სისტემა ეფექტურად ვერ უზრუნველყოფს უთანასწორობის შემცირებას.

ცხრილი №19. პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადის წილი საქართველოს ბიუჯეტში

გადასახადის ტიპი	**წილი სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადის სახით მიღებულ შემოსავლებში**		
	2019	2020	2021
პირდაპირი (საშემოსავლო, ქონების, მოგების)	42%	42%	39%
არაპირდაპირი (დღგ, აქციზი)	58%	58%	60%

პირდაპირი გადასახადები შეიძლება იყოს ორი ტიპის: პროპორციული და პროგრესული. განსხვავებით საქართველოსგან, სადაც საშემოსავლო გადასახადი პროპორციული სისტემით იბეგრება, ევროპის (და მსოფლიოს) ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში პროგრესული საგადასახადო სისტემა არსებობს. იხილეთ ცხრილი №20, სადაც წარმოდგენილია ევროპის სხვადასხვა ქვეყნის როგორც ეკონომიკურად მაღალგანვითარებული, ასევე საშუალო სიძლიერის ეკონომიკების, მათ შორის პოსტსოციალისტური ქვეყნების, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები.

პროგრესული და პროპორციული საგადასახადო სისტემების შედარების

დროს და მათ ეფექტურობაზე მსჯელობისას უნდა დავსვათ შეკითხვა: რა ლოგიკური და მორალური საფუძველი აქვს იმის აღიარებას, რომ უფრო მაღალი შემოსავლიდან უფრო მეტი თანხა უნდა იქნეს გადასახადის სახით გადახდილი, ვიდრე დაბალი შემოსავლიდან ერთი და იგივე „პროდუქტში“ (სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილ საჯარო სარგებელში)? მთავარ ლოგიკურ და მორალურ საფუძვლად, ალბათ, უნდა ჩაითვალოს ის, რომ ადამიანს დარჩეს ნორმალური ფუნქციონირებისთვის (ცხოვრებისთვის) საკმარისი (მინიმალურად ან საშუალოდ) შემოსავლის ოდენობა და ამავდროულად შეუნარჩუნდეს საკმარისი მოტივაცია ეფექტური ინტენსიური ეკონომიკური აქტივობისთვის.

აშკარაა, რომ პროგრესული განაკვეთი ხელს უწყობს საგადასახადო შემოსავლების ზრდას და, ეფექტური და სამართლიანი გადანაწილების მექანიზმების პირობებში, ხელს უწყობს უთანასწორობის შემცირებას. პროგრესული საგადასახადო ტარიფები (შემოსავლებზე, ქონებაზე, მემკვიდრეობაზე, მოგებაზე...) მიიჩნევა კრიტიკულად მნიშვნელოვან ფაქტორად უთანასწორობის შემცირებისთვის.

ცხრილი №20. პროგრესული საშემოსავლო საგადასახადო სისტემის განაკვეთები ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში 2018-2020 წწ. (წყარო: ევროსტატი-eurostat)*

ქვეყანა	საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები	წლიური შემოსავლის მოცულობა (ევრო)
ავსტრია	0%	11 000 ევრომდე
	25%	11 000 – 18 000
	35%	18 000 – 31 000
	42%	31 000 – 60 000
	48%	60 000 – 90 000
	50%	90 000 – 1 000 000
	55%	1 000 000 – ზემოთ

* *Income taxes abroad Which country can tax you?* Your Europe. იხ.: https://europa.eu/youreurope/citizens/work/taxes/income-taxes-abroad/index_en.htm

ბელგია	25%	11 070 ევრომდე
	30%	11 070 – 12 720
	40%	12 720 – 21 190
	45%	21 190 – 38 830
	50%	38 830 – ზემოთ
ხორვატია (თვიური შემოსავლის მიხედვით)	12%	297,87 ევრომდე
	25%	297,87 – 1787
	40%	1787 – ზემოთ
ფინეთი	0%	17 200 ევრომდე
	6%	17 200 – 25 700
	17,25%	25 700 – 42 400
	21,15%	42 400 – 74 200
	31,25%	74 200 და ზემოთ
	შენიშვნა: ფინეთში დამატებით იხდიან მუნიციპალურ გადასახადს 16,5%-დან 25,5%-მდე.	
საფრანგეთი	0%	9 710 ევრომდე
	14%	9 710 – 26 818
	30%	26 818 – 71 898
	42%	71 898 – 152 260
	45%	152 260 და ზემოთ
საბერძნეთი	22%	20 000 ევრომდე
	29%	20 001 – 30 000
	37%	30 001 – 40 000
	44%	40 000 და ზემოთ
ლატვია	20%	20 004 ევრომდე
	23%	20 004 – 62 800
	31,4%	62 800 და ზემოთ
პოლონეთი	18%	19 770 ევრომდე
	32%	19 770 და ზემოთ

ნიდერლანდები	8,9%	19 982 ევრომდე
	13,15%	19 982 – 33 791
	40,8%	33 791 – 67 072
	52%	67 272 და ზემოთ
ესპანეთი	19%	12 450 ევრომდე
	24%	12 450 – 20 200
	30%	20 200 – 35 200
	37%	35 200 – 60 000
	45%	60 000 და ზემოთ
გერმანია	0%	8820 ევრომდე
	14%	8821 – 54 057
	42%	54 058 – 256 303
	45%	256 303 ზემოთ

გადასახადებთან მიმართებაში საქართველოში არსებულ დამოკიდებულებას და მოქმედ ინსტიტუციურ წესრიგს მნიშვნელოვნად განაპირობებს რამდენიმე ფაქტორი. სსრკ-ის პერიოდში გადასახადის ფენომენი არ იკავებდა მნიშვნელოვან ადგილს არც ინდივიდუალურ და არც სააზოგადოებრივ ცნობიერებაში და, შესაბამისად, პოლიტიკურ დისკურსშიც.

შემოსავლები უპირატესად რეგულირდებოდა სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ (თუმცა ნაწილობრივ გათვალისწინებული იყო შრომის ნაყოფიერება) – თითქმის მთელი შემოსავალი სახელმწიფოს ეკუთვნოდა და თავადვე იტოვებდა ანაზღაურების გაცემამდე მის მიერვე განსაზღვრულ წილს შემოსავლიდან.

შესაბამისად, მოქალაქე მიღებული შემოსავლიდან პრაქტიკულად არ იხდიდა გადასახადს და გადასახადის საკითხი მისთვის არ იყო აქტუალური და, მით უმეტეს, მტკივნეული. 90-იანი წლებიდან, როდესაც იწყება საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრება, მოქალაქეები თავად იწყებენ საკუთარი შემოსავლიდან გადასახადების გადახდას და უჩნდებათ განცდა, რომ ეს მათი ფულია და უჩნდებათ მისწრაფება ტარიფების მინიმიზებისკენ.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში გადასახადი აღიქმება საკუთარი შრომის შედეგად მიღებული შემოსავლის წართმევად. მით უმეტეს სახელმწიფოს მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების გამო (რომელიც სხვა მიზეზებთან ერთად გან-

პირობებულია, ისეთი არგუმენტებით, როგორებიცაა: საბჭოთა სისტემის ტოტალიტარული ხასიათი, სახელმწიფოს მიერ თავისუფლების შეზღუდვა, რესპუბლიკებისა და ხალხების სუვერენიტეტის არარსებობა და დამორჩილება ცენტრალური ხელისუფლების მიმართ – რუსების ბატონობა ქართველებზე, ნაციონალური მისწრაფებების დათრგუნვა და სხვა).

ორი ამერიკული გამონათქვამიდან: „სახელმწიფო არ აგვარებს პრობლემებს, სახელმწიფო თავად არის პრობლემა“ – რონალდ რეიგანი, „ორი რამ არის გარდაუვალი: სიკვდილი და გადასახადები“ – ბენჟამინ ფრანკლინი, პირველი ბევრად პოპულარულია და მის მიმართ პოზიტიური საზოგადოებრივი აზრია, ხოლო მეორე ნაკლებად ცნობილია და მის მიმართ დამოკიდებულებაც ნეგატიურია.

ბიბლიოგრაფია:

1. Sen, Amartya (2009) Idea of Justice. Harvard University Press.
2. Therborn, Goran (2013) The killing fields of inequality. Polity.
3. Rawls, John (1971) A Theory of Justice. The Belknap Press of Harvard University Press.
4. Dahl, Robert A (1998) On Democracy. Yale Univeristy press.
5. იხ. საერთაშორისო გამჭვირვალობის კვლევა – https://transparency.ge/ge/post/sa-kartvelos-parlamentis-2020-clis-archevnebis-kampaniis-dapinanseba-saboloo-angarishi
6. Cage, Julia (2020) The price of Democracy. Harvard University Press.
7. Levitsky, St. and Ziblatt, D. (2018) How Democracies Die. Crown.
8. კაკულია, მ. კაპანაძე, ნ. (2018) საშუალო კლასი საქართველოში: რაოდენობრივი შეფასება და დინამიკა. ფრიდრიხ ებერტის ფონდი https://www.gfsis.org/ge/publications/view/2674
9. კაკულია, მ., კაპანაძე ნ., ქურხული ლ. (2017). ქრონიკული სიღარიბე და შემოსავლების უთანაბრობა საქართველოში. რონდელის ფონდი და ფრიდრიხ ებერტის ფონდი.
10. საქართველოს მდგრადი განვითარების ანგარიში 2021. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი.
11. https://www.brookings.edu/opinions/how-much-do-we-really-know-about-inequality-within-countries-around-the-world/
12. Pikkety, Thomas (2020) Capital and ideology. The Belknap Press of Harvard University Press.
13. World inequality report 2018. https://wir2018.wid.world/
14. პაპავა, ვლადიმერ (2020) არატრადიციული ეკონომიკსი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

უთანაბრობის სამი ასპექტი

იოსებ არჩვაძე

უთანაბრობა ხარჯების მიხედვით

შინამეურნეობის საშუალო სიდიდე შემცირების ტენდენციით ხასიათდება. წლიდან წლამდე მცირდება საშუალო და ერთი შინამეურნეობის წევრთა რაოდენობა. ერთი შინამეურნეობის წევრთა რაოდენობა უკვე დიდი ხანია ჩამოსცდა 4-ს და განაგრძობს კლებას. **2010 წელს შინამეურნეობა საშუალოდ 3.65 წევრისაგან შედგებოდა, 2015 წელს – 3.57, 2020 წელს კი – მხოლოდ 3.42 წევრისაგან.** ამასთან, შინამეურნეობათა სულადობრივი რიცხოვნობის ზრდა საკმაოდ მაღალ დადებით კორელაციაშია შინამეურნეობათა კეთილდღეობის ზრდასთან. საშუალოდ ერთი შინამეურნეობა ყველაზე ღარიბი პირველი დეცილური ჯგუფიდან 2020 წელს შედგებოდა 1.82 წევრისაგან, ხოლო ყველაზე მდიდარი მეათე დეცილური ჯგუფიდან – 4.56 წევრისაგან. აღსანიშნავია, რომ განსხვავება შინამეურნეობათა შემოსავლებსა და ხარჯებს შორის დამოკიდებულია არა მარტო ეკონომიკურ პირობებზე, არამედ შინამეურნეობების წევრთა რაოდენობაზეც.



დიაგრამა 1

ეკონომიკური უთანაბრობა შინამეურნეობების დონეზე უფრო მაღალია, ვიდრე საშუალოდ მოსახლეობის ერთ სულზე. ასე მაგალითად, 2010 წელს მეათე დეცილური ჯგუფის საშუალო შემოსავლები ერთ შინამეურნეობაზე გაანგარიშებით აღემატებოდა პირველი უღარიბესი შინამეურნეობის შემოსავ-

ლებს 17.6-ჯერ, მოსახლეობის ერთ სულზე კი აღნიშნულ ჯგუფებს შორის სხვაობა გაცილებით ნაკლები იყო – მხოლოდ 4.70-ჯერადი. 2015 წელს აღნიშნული სხვაობა იყო, შესაბამისად, 15.5 და 6.2, ხოლო 2020 წელს – 12.8 და 4.9-ჯერ.

ქვემოთ მოტანილი დიაგრამა ამ დინამიკას თვალსაჩინოდ წარმოაჩენს.

დიაგრამა 2



აღნიშნული განსხვავება დიდწილად განპირობებულია ზემოთ ნახსნები განსხვავებებით შინამეურნეობების სულადობრივ შემადგენლობაში მდიდარი და ღარიბი ოჯახების მიხედვით.

დიაგრამაზე მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ პოზიტიურ ტენდენციად უნდა ჩაითვალოს დეცილური კოეფიციენტის შემცირება ბოლო ათწლეულში – ერთ შინამეურნეობაზე გაანგარიშებით იგი შემცირდა საგრძნობლად – 27.3 პროცენტით (4.8 პუნქტით – 17.6 დან 12.8-მდე). აღნიშნული პროგრესის მიღ-

წევა შესაძლებელი გახდა იმით, რომ გაიზარდა უღარიბესი ჯგუფის შემოსავლები და მათი წილი მოსახლეობის მთლიან ხარჯებში – 2010 წლის 1.8 პროცენტიდან 1.9 პროცენტამდე 2015 წელს და 2.0 პროცენტამდე 2020 წელს. იმავდროულად, მიმდინარეობდა შემხვედრი პროცესიც: **მაღალშემოსავლიანთა წილის შემცირება მოსახლეობის მთლიან ხარჯებში. თუ 2010 წელს უმდიდრესი 10 პროცენტის მთლიანი ხარჯები იმდენივე იყო, რამდენიც უღარიბესი 62 პროცენტისა, მომდევნო ხუთ წელიწადში ეს მაჩვენებელი შემცირდა 58 პროცენტამდე, ხოლო 2020 წლისთვის – 53 პროცენტამდე.** პროგრესი ცალსახაა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოების სოციალურ სტაბილურობას საფრთხე ექმნება, თუ დეცილური კოეფიციენტი 10-ს აღემატება, მიზანშეწონილი იქნება, უღარიბეს პირველ ჯგუფზე მოსული ხარჯების წილი მთლიან ხარჯებში გაზრდილიყო არანაკლებ 2.5 პროცენტამდე, ხოლო უმდიდრესი, მეათე ჯგუფის ხარჯების წილი შემცირებულიყო 25 პროცენტამდე.

ფაქტობრივად გამოდის, რომ შინამეურნეობების დონეზე მდიდრებისა და ღარიბების შემოსავლებისა და ხარჯების მიხედვით უთანაბრობის დაახლოებით 2/3 განპირობებულია შინამეურნეობათა განსხვავებული რიცხოვნობით და მხოლოდ 1/3 – შემოსავლებისა და ხარჯების ფაქტობრივი განხვავებით.

თუ საშუალო ხარჯებთან მიმართებაში მოვახდენთ დეცილური ჯგუფების შედარებას, შინამეურნეობათა მიხედვით უფრო „დემოკრატიულია“ განაწილება, ვიდრე მოსახლეობის ერთ სულზე: **2010 და 2015 წლებში შინამეურნეობათა 42 პროცენტს საშუალოზე მაღალი ხარჯები ჰქონდა, 2020 წელს კი – უკვე 44 პროცენტს; მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, 2010 და 2015 წლებში მოსახლეობის 34-34 პროცენტს ჰქონდა საშუალოზე უფრო მაღალი ხარჯები, 2020 წელს კი – უკვე 37 პროცენტს.**

ოჯახებში, შინამეურნეობებში ერთობლივი მოხმარების ეფექტის ფაქტორის გათვალისწინებით, შემოსავლებისა და ხარჯების უთანაბრობა ნაკლებად მწვავე ხასიათს ატარებს, თუ ყველაზე მაღალ და დაბალ შემოსავლიან/მხარჯველ პირებს შორის განსხვავება ხარჯებში 4.9-ჯერადია, იგივე განსხვავება შინამეურნეობათა მიხედვით 12.8-ჯერადია!

იმის გათვალისწინებით, რომ შემოსავლების საკმაოდ დიდი ნაწილი ერთობლივი, ოჯახური მოხმარებისაა, შედარებისათვის უფრო სამართლიანი იქნება ვისარგებლოთ საშუალოდ ერთ შინამეურნეობაზე და არა ერთ სულზე გაანგარიშებული შემოსავალ-ხარჯების მაჩვენებლებით.

შინამეურნეობის შემოსავლების და ხარჯების ზრდის პარალელურად, არ-

სებითად იცვლება ხარჯების სტრუქტურაც. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ ხარჯები სურსათზე ყველაზე მაღალშემოსავლიან შინამეურნეობებში 8.1-ჯერ აღემატება ყველაზე დაბალშემოსავლიანი შინამეურნეობების ანალოგიურ ხარჯებს (მოსახლეობის ერთ სულზე – 3.1-ჯერ), ხარჯების წილი სურსათზე მთლიან შემოსავლებში მათთან თითქმის 1.6-ჯერ უფრო დაბალია დაბალშემოსავლიანებთან შედარებით (შესაბამისად, 23.8% და 37.2%). ამასთან, თუკი საშუალო ხარჯებთან შედარებით ღარიბები ხარჯავენ ერთ შინამეურნეობაზე – 3.9-ჯერ, ხოლო ერთ სულზე – 2.0-ჯერ ნაკლებს, მდიდრები პირიქით, მეტი ხარჯებით გამოირჩევიან. ისინი საშუალოზე მეტს ხარჯავენ: ერთ შინამეურნეობაზე – 2.1-ჯერ, ხოლო ერთ სულზე 1.5-ჯერ მეტს.

დიაგრამა 3



ფაქტობრივად, ხარჯების აბსოლუტური სიდიდისა და მოსახლეობის მიერ მოხმარებული კილოკალორიების აბსოლუტური თანაფარდობის გათვალის-

წინებით, **ყველაზე მდიდარ შინამეურნეობებს ერთეული კალორიის მიღება დაახლოებით 2-ჯერ უფრო ძვირი უჯდებათ, რაც ძირითადად განპირობებულია შედარებით მაღალი შემოსავლების მქონე შინამეურნეობებში დაბალშემოსავლიან შინამეურნეობებთან შედარებით კვების რაციონში ცხოველური წარმომავლობის კალორიების მაღალი წილით და კვების პროდუქტების მოხმარებისათვის მზაობის, წინწაწევის შედარებით მაღალი ხარისხით** (მაგალითად, მოხმარება საზოგადოებრივ კვების ობიექტში, კაფესა და რესტორანში, ნაცვლად საკვების შინ მომზადებისა).

ანალოგიური ტენდენციებით ხასიათდება ხარჯები ტრანსფერებსა და დაზოგვაზე. მაღალშემოსავლიანი ოჯახების ხარჯები ტრანსფერებზე 14.0-ჯერ, ხოლო დაზოგვასა და გასესხებაზე 21.0-ჯერ მეტია დაბალშემოსავლიანი შინამეურნეობების ხარჯებთან შედარებით.

შემოსავლებისა და ხარჯების უთანაბრობა განსაკუთრებით თვალშისაცემია არაპირველადი დანიშნულების საქონლისა და მომსახურების შესაძენად გაღებული ხარჯების მიხედვით. ასე მაგალითად, ყველაზე მაღალშემოსავლიანი მოსახლეობის ხარჯები ყველაზე დაბალშემოსავლიანთა ხარჯებს საშუალოდ 5.0-ჯერ აღემატება, სურსათზე ანალოგიური სხვაობა მხოლოდ 3.1-ჯერადია, საოჯახო მოხმარების საქონელზე კი – 16.5-ჯერადი. შინამეურნეობების მიხედვით, იმის გამო, რომ უფრო მაღალშემოსავლიან შინამეურნეობებში სულადობრივი შემადგენლობაც უფრო მაღალია, შესაბამისი სხვაობაც კიდევ უფრო მაღალია: სურსათზე – 8.1-ჯერ, საოჯახო მოხმარების საქონელზე – 44.3-ჯერადი.



დიაგრამა 4

როგორც დიაგრამაზე მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, ღარიბი მოსახლეობის ხარჯები საცხოვრებელ სახლზე, წყალზე, ელექტროენერგიაზე, გაზზე და სხვა სათბობზე განსაკუთრებით ახლოსაა მდიდარი მოსახლეობის ანალოგიური

ხარჯების სიდიდესთან იმის გამო, რომ, ერთი მხრივ, შეუძლებელია ასეთი სახის მომსახურებაზე უარის თქმა და, მეორე მხრივ, ფაქტობრივად შეუძლებელია მიღებული კომუნალური მომსახურების ხარჯების დაფარვისაგან თავის არიდება.

სამაგიეროდ, იმ საქონელზე, რომელზეც მაღალი ელასტიურობა არსებობს და მათი მიღება-არმიღების (შეძენა-იგნორირების) დისკრეცია მთლიანად მოსახლეობის ხელშია, აშკარად იგრძნობა კოლოსალური სხვაობა ხარჯებში. მაგალითად, ტრანსპორტზე გაღებულ ხარჯების აბსოლუტური სიდიდე მდიდრებში ღარიბებთან შედარებით მაღალია: 30.6-ჯერ – მოსახლეობის ერთ სულზე და 80.9-ჯერ მეტი – ერთ შინამეურნეობაზე გაანგარიშებით.

კოვიდპანდემიამ და ამით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, ხანგრძლივმა ლოკდაუნმა მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა მოსახლეობის კეთილდღეობას, შეამცირა მათი შემოსავლებისა და, შესაბამისად, ხარჯების დონე. 2020 წელს წინა წელთან შედარებით საშუალოდ ერთი შინამეურნეობის ნომინალური ხარჯების სიდიდე თვეზე გაანგარიშებით შემცირდა 9.4 პროცენტით (1146.1 ლარიდან 1035.5 ლარამდე), მათ შორის სამომხმარებლო ხარჯები, შესაბამისად – 6.8 პროცენტით (781.2 ლარიდან 728.4 ლარამდე). ხარჯების კლებას ადგილი ჰქონდა ფაქტობრივად ყველა დეცილურ ჯგუფში, რაზეც წარმოდგენას ქვემორე დიაგრამა იძლევა.

დიაგრამა 5



სამომხმარებლო ფულადი ხარჯების წინა წლის დონეზე შენარჩუნება დაბალშემოსავლიან ჯგუფებში ძირითადად განპირობებულია ხელისუფლების მიერ მოსახლეობისთვის გაწეული ერთდროული დახმარებებით და კომუნალური ხარჯების ზამთრის თვეებ-

ში სუბსიდირებით. მონეტარული და არამონეტარული დახმარებების ძირითადი ადრესატები სწორედ დაბალშემოსავლიანი ოჯახის წევრები იყვნენ, რამაც მათ გამოუთავისუფლა დამატებითი სახსრები სამომხმარებლო ხარჯებისათვის.

ამასთან, მოსახლეობის ფაქტობრივი მდგომარეობის გაუარესება 2020 წელს 2019 წელთან შედარებით კიდევ უფრო დრამატულია, ვიდრე ეს ზემოთ მოტანილი დიაგრამიდან ჩანს, რადგანაც ის არ ასახავს ფასების ცვლილების, ინფლაციის გავლენას – შედარება განხორციელებულია მიმდინარე ფასებით, ინფლაციის ფაქტორის გაუთვალისწინებლად. 2020 წელს ოფიციალურმა საშუალო წლიურმა ინფლაციამ 5.2 პროცენტი შეადგინა, რის გამოც შინამეურნეობის რეალური ხარჯები 2020 წელს წინა წელთან შედარებით 13.9 პროცენტით, ხოლო სამომხმარებლო ხარჯები – 11.4 პროცენტითაა შემცირებული.

უთანაბრობა შემოსავლებისა და ხელფასების მიხედვით

საქართველოში შემოსავლის მიმღებ ფიზიკურ პირთაგან თითქმის 9/10 ხელფასის მიმღები პირები არიან. მართალია, მათი წილი ბოლო წლებში შემცირების ტენდენციით ხასიათდება, თუმცა ეს უკავშირდება არა ხელფასის მიმღებ პირთა რაოდენობის შემცირებას (ასეთ პირთა რაოდენობა 2020 წელს 2010 წელთან შედარებით გაიზარდა 371.0 ათასით – 46.2%-ით), არამედ შემოსავლის სხვა წყაროების მქონე პირთა სწრაფ ზრდას (ასეთ პირთა რაოდენობა ბოლო ათწლეულში გაიზარდა 3.8-ჯერ და მეტად – 2010 წლის 44.3 ათასიდან 2020 წელს 169.9 ათასამდე). ამასთან, მართალია, საშემოსავლო გადასახადით არა მხოლოდ დაქირავებული პირები იბეგრებიან, თუმცა ამ უკანასკნელთა წილად მოდის საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრ ფიზიკურ პირთა და დასაბეგრი შემოსავლების უდიდესი ნაწილი (მიუხედავად ბოლო წლებში ერთგვარი კლებისა).

დიაგრამა 6



საქართველოში მაღალია საშემოსავლო და სახელფასო უთანაბრობა. 2020 წელს, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემებით, 408 935 კაცს ჰქონდა საშუალო თვიური შემოსავალი 200 ლარზე ნაკლები (მათ შორის 200 ლარზე ნაკლები ხელფასი – 295 585 კაცს), აქედან 100 ლარზე ნაკლე-

ბი შემოსავალი გააჩნდა 295 630 კაცს (მათ შორის 191 092-ს – 100 ლარზე ნაკლები ხელფასი). სხვაგვარად რომ ვთქვათ, **შემოსავალი ჰქონდათ: 200 ლარზე ნაკლები – შემოსავლის მიმღებ პირთა 30.5 პროცენტს და 100 ლარზე ნაკლები – 22 პროცენტს.**

ხელფასის მიმღებ პირთა შორის 200 ლარზე საშუალო თვიური ხელფასი ჰქონდა თითქმის მეოთხედს – 24.9 პროცენტს, ხოლო 100 ლარზე ნაკლები – 16.3 პროცენტს.

დაბალშემოსავლიანთა ასეთი მაღალი წილი ძირითადად განპირობებულია შემოსავლებისა და დასაქმების არარეგულარული, მათ შორის სეზონული ხასიათით.

იმავდროულად, საქართველოში 100 ათასზე მეტი წლიური შემოსავალი გააჩნდა 14 741 კაცს (აქედან 100 ათასზე მეტი ხელფასი – 10 143 კაცს) – შემოსავლისა და ხელფასის მიმღებ პირთა, შესაბამისად, 1.10 პროცენტს და 0.86 პროცენტს.

დიაგრამა 7



ბოლო 10 წელიწადში (2020 წელს 2010 წელთან შედარებით) 100 ათასზე მეტი ლარის შემოსავლების მქონე პირთა რაოდენობა გაიზარდა 5.6-ჯერ, ხოლო შესაბამისი კატეგორიის ხელფასის მიმღებ პირთა რაოდენობა – 7-ჯერ. „სამაგიეროდ" დაბალშემოსავლიან პირთა რაოდენობა აღნიშნულ პერიოდში შემცირდა უმნიშვნელოდ: 200 ლარამდე ყოველთვიური ხელფასის მიმღებ პირთა რაოდენობამ იკლო 13.1 პროცენტით, ხოლო 200 ლარამდე შემოსავლიანების რაოდენობა არა თუ არ შემცირებულა, არამედ გაიზარდა კიდეც – 12.2 პროცენტით. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ **საშუალო ხელფასისა და კეთილდღეობის გასაშუალებული მაჩვენებლების ზრდა გამოწვეულია, ძირითადად, საშუალოზე მაღალშემოსავლიანი და მაღალხელფასიანი პირების შემოსავლების ზრდით.**

ამასთან, ბოლო ათწლეულში მთლიანი შემოსავლები გაიზარდა მხოლოდ 3.2-ჯერ (5.842 მლრდ. ლარიდან 18.621 მლრდ. ლარამდე), ხოლო მთლიანად დასაბეგრი ხელფასი – 3.1-ჯერ (4.931 მლრდ. ლარიდან 15.145 მლრდ. ლარამდე).

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საშუალო ხელფასი 2-ჯერ და მეტად გაიზარდა (2010 წლის 512 ლარიდან 1076 ლარამდე 2020 წელს), **საშუალო ხელფასზე ნაკლები ხელფასი აქვთ დაქირავებით დასაქმებულთა 2/3-ს.** ამასთან, **ვისაც საშუალო ხელფასზე დაბალი ხელფასი აქვთ, მათი საშუალო ხელფასი მხოლოდ 373.4 ლარია,** რაც საშემოსავლო გადასახადის გამოკლებით 300 ლარზე ნაკლებია (298.7 ლარი), ანუ დასაქმებულთა უდიდესი ნაწილის შემოსავალიც კი უკიდურესად დაბალ, არადამაკმაყოფილებელ დონეზეა. მართალია, დასაქმებულთა 1/3-ის შრომის ანაზღაურება საკმაოდ ოპტიმისტურ შთაბეჭდილებას ტოვებს (2519 ლარი), თუმცა ასეთი მაღალი დონე მიღწეულია სულ რაღაც დასაქმებულთა 2.3 პროცენტის ხარჯზე (26.7 ათასი კაცი), ვისი საშუალო თვიური ხელფასი 5 ათას ლარს აღემატება და მათი საშულო ანაზღაურება თვეში 11 578 ლარია. ამ კატეგორიის დასაქმებულები კი საშუალო ხელფასზე მაღალი ანაზღაურების მქონეთა მხოლოდ 6.9 პროცენტია. – დანარჩენი 93 პროცენტის საშუალო ანაზღაურება კი 1834.5 ლარია, საშემოსავლო გადასახადის გამოკლებით კი – მხოლოდ 1467.6 ლარი.

კიდევ უფრო მძიმე სიტუაციაა მედიანური ხელფასის მიხედვით. **მედიანური ხელფასი საშუალო ხელფასის მხოლოდ 42.7 პროცენტია (460 ლარი) და ბოლო წლებში საგრძნობლად დაშორდა საშუალო ხელფასს (2010 წელს იყო 48.8 პროცენტი). ვისაც მედიანურ ხელფასზე ნაკლები ანაზღაურება აქვს,**

მათი საშუალო თვიური ანაზღაურება მხოლოდ 233.6 ლარია, რაც საშემოსავლო გადასახადის გამოკლებით მხოლოდ 186.9 ლარია – შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმზე (2020 წ. – 191.4 ლარი), რომელიც ხელოვნურად ისედაც საკმაოდაა შემცირებული და დაშორებულია რეალობას, 2.4 პროცენტით ნაკლები.

ცხრილი 1

საშუალო ხელფასი, მედიანური ხელფასი და მათზე მეტი ან ნაკლები ხელფასის მქონეთა შრომის შესაბამისი ანაზღაურება 2010-2020 წლებში (ლარი)

	2010 წ.	2015 წ.	2020 წ.
საშუალო ხელფასი	512.55	821.34	1076.25
იმათი საშუალო ხელფასი, ვისი ხელფასიც საშუალო ხელფასზე:			
– მაღალია	1314.1	2087.3	2519.1
– დაბალია	193.8	303.3	373.4
მედიანური ხელფასი	250.0	450.6	460.0
იმათი მედიანური ხელფასი, ვისი ხელფასიც მედიანურ ხელფასზე:			
– მაღალია	913.4	1567.9	1920.0
– დაბალია	189.6	205.3	233.6

თუ მედიანური ხელფასი ბოლო ათი წლის მანძილზე გაიზარდა 84.0 პროცენტით, მათი საშუალო ხელფასი, ვისი ხელფასიც მედიანურზე ნაკლებია, გაიზარდა მხოლოდ 23.2 პროცენტით (189.6 ლარიდან 233.6 ლარამდე), მაშინ როდესაც მედიანურზე მაღალი ანაზღაურების მქონეთა საშულო ხელფასი – 110.2 პროცენტით (913.4 ლარიდან 1920.0 ლარამდე). შედეგად, თუ მედიანურზე დაბალი ანაზღაურების მქონეთა ხელფასის თანაფარდობა მედიანურზე მაღალი ანაზღაურების მქონეთა ხელფასთან 2010 წელს შეადგენდა 20.8 პროცენტს, 2020 წელს – უკვე მხოლოდ 12.2 პროცენტს, ანუ შემცირდა 1.7-ჯერ. ერთი ათწლეულის მანძილზე მედიანურზე ნაკლები ხელფასის თანაფარდობა მედიანურ ხელფასთან ასევე საგრძნობლად (1.5-ჯერ) შემცირდა – 75.8 პროცენტიდან 50.8 პროცენტამდე.

ყოველივე ეს ეკონომიკური და სოციალური მზარდი უთანასწორობის გამოხატულებაა.

დიაგრამა 8



აღსანიშნავია, რომ ბევრი ეკონომისტი, ექსპერტი, პოლიტიკოსი (პ. კოღუაშვილი, ი. არჩვაძე, ბ. ნაცვლიშვილი და სხვ.) მიიჩნევს, რომ **ამჟამინდელი ფასების პირობებში რეალური საარსებო მინიმუმი შრომისუნარიან მამაკაცზე გაანგარიშებით 200 ლარი კი არა, 500 ლარია.** შესაბამისად, თუ ამ შეხედულებას დავეყრდნობით, გამოდის, რომ **დასაქმებულთა ნახევარზე მეტს – დაახლოებით 55 პროცენტს – რეალურად საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავალი აქვს.** ამ ასპექტით შრომისა და დასაქმების, უფრო ფართო ასპექტით კი სოციალური პოლიტიკის ორი უმნიშვნელოვანესი მიმართულების გაძლიერების აუცილებლობა იკვეთება: ა) დასაქმების სტრუქტურის გაუმჯობესება, დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა და ბ) ანაზღაურების უფრო სამართლიანი შკალის დამკვიდრება.

შემოსავლების ზრდის კვალობაზე ბუნებრივია, მცირდება დაბალშემოავლიან პირთა რაოდენობა, თუმცა 2020 წლისთვის შემოსავლის მქონე ფიზიკური პირების თითქმის მესამედს (30.5%) საშუალო თვიური შემოსავალი 200 ლარზე ნაკლები ჰქონდა, მათ წილად კი მთლიანი შემოსვლების 1.71 პროცენტი მოდიოდა. ამასთან, ვისაც მაღალი შემოსავლები – 7500 ლარზე

მეტი შემოსავალი ჰქონდათ თვეში, მათი რაოდენობა საგრძნობლად იზრდება – მართალია, ასეთთა რაოდენობა მხოლოდ 1.32 პროცენტია, მაგრამ მათ წილად მოდის ფიზიკურ პირთა მთლიანი შემოსავლების 27.8 პროცენტი.

დიაგრამა 9



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2021-2025 და 2030 წლამდე ეკონომიკური ზრდის პროგნოზით, მიმდინარე ათწლეულში ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპი მიაღწევს 5.6 პროცენტს (წინა ათწლეულში ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპი შეადგენდა 3.5%-ს). თუ ეს ტემპები 2030 წლის შემდგომ პერიოდშიც იქნება შენარჩუნებული, მაშინ საქართველო ევროკავშირის ყველაზე სუსტი ქვეყნის – ბულგარეთის დონეს მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მშპ-ით მიაღწევს მხოლოდ 2029 წელს, საბერძნეთისას, შესაბამისად, 2032 წელს, ჩეხეთისას – 2039 წელს, გერმანიისას – 2043 წელს, ხოლო ევროკავშირის ყველაზე მდიდარი სახელმწიფოს – ლუქსემბურგის დონეს – 2057 წელს. საქართველოს ეკონომიკური ზრდის ყოველი დამატებითი თუნდაც ერთი პროცენტი მნიშვნელოვნად აახლოებს ჩვენი ქვეყნის მიერ დასახელებული ქვეყნების 2020

წლის დონის მიღწევის წელს. ასე მაგალითად, თუ პროგნოზირებულთან შედარებით თუნდაც ერთი პროცენტით მეტი იქნება საქართველოს ეკონომიკური ზრდა, მაშინ 2020 წლის ბულგარეთის დონეს ჩვენი ქვეყანა მიაღწევს 2 წლით ადრე – 2027 წელს, გერმანიის დონეს – 3 წლით უფრო ადრე – 2040 წლისთვის, ხოლო ლუქსემბურგის დონეს – 6 წლით უფრო ადრე – 2051 წლისთვის.

საქართველო ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლით მსოფლიოს 195 ქვეყანათა შორის იდგა: 2019 წელს – 40-ე, 2020 წელს კი- 126-ე ადგილზე. 2021 წელს დიდი შანსი აქვს, რომ ეკონომიკური ზრდის მიხედვით იგი მოხვდეს მსოფლიოს საუკეთესო ქვეყნების ათეულში.

უახლოეს ათწლეულში უთანაბრობის დაძლევის სტრატეგიული ამოცანების უმნიშვნელოვანეს კომპონენტებად უნდა იქცნენ უთანაბრობის არსებითი დაძლევა ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა:

ა) მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მშპ-თი განვითარებული ქვეყნების დონეებთან;

ბ) ეროვნული მეურნეობის ცალკეულ დარგებში არსებული განსხვავება შრომის მწარმოებლურობისა და ანაზღაურების მხრივ;

გ) შრომის საშუალო და მედიანურ ანაზღაურებებს შორის არსებული განსხვავებების შემცირება:

დ) შემოსავლებისა და ხარჯების დეცილური კოეფიციენტის შემცირება საერთო კეთილდღეობის და შემოსავლების არსებითი ზრდის პირობებში.

უთანაბრობა ეკონომიკის ცალკეული დარგების განვითარებაში

2020 წელს კორონავირუსის პანდემიის გამო საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობა უაღრესად დრამატულად წარიმართა. ოპტიმიზმის საფუძვლის 5-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდის იანვრის მაჩვენებელი თებერვალში 2.1 პროცენტამდე შემცირდა, მარტში კი უკვე 2.7-პროცენტიან კლებას ჰქონდა ადგილი. აპრილში დამყარდა აბსოლუტური ანტირეკორდი – დაფიქსირდა 16.6-პროცენტიანი ვარდნა. 2020 წელს სამუშაო ადგილების საშუალო წლიურმა რიცხოვნობამ დაახლოებით 55 ათასით იკლო, მაგრამ თუ პირველ კვარტალს გამოვრიცხავთ (პანდემიის რეალური დარტყმა საქართველოს ეკონომიკამ და მოსახლეობამ ფაქტობრივად მხოლოდ 2020 წლის მეორე კვარტალიდან იგრძნო...), იმ პირთა რაოდენობა, რომლებმაც სამუშაო დაკარგეს, 100 ათასს აღემატება. ჯამში, **2020 წელს ეკონომიკა შემცირდა 6.8 პროცენტით და ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა – 4.2 პროცენტით.**

საქართველოს ეკონომიკის 6.8-პროცენტიანი ვარდნა მეტია, ვიდრე ანალოგიური გლობალური მაჩვენებელი (-3.9%).

ამასთან, ეკონომიკის უკუსვლის მასშტაბები 2020 წელს ეროვნული მეურნეობის დარგების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავებული იყო, უფრო მეტიც, **ეროვნული მეურნეობის დარგების დაახლოებით 1/3-ში წინა წელთან შედარებით ადგილი ჰქონდა არა შემცირებას, არამედ ზრდას.** თუ, მაგალითად, შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის საქმიანობებში, არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოებაში შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის ადგილი ჰქონდა 11.6-პროცენტიან ზრდას, ტურისტულ ინდუსტრიასთან დაკავშირებულ განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების საქმიანობებში პირიქით – ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან, 37.9-პროცენტიან კლებას. ზრდის ტემპების ამპლიტუდა კი ეკონომიკის საქმიანობათა ძირითადი სახეობების მიხედვით საკმაოდ მაღალი იყო – მთელი 49.5 პროცენტი. წინა წელთან დინამიკის უთანაბრობის აბსოლუტური სხვაობა ეროვნული მეურნეობის დარგებში ბოლო 2 წელიწადში ფაქტობრივად გაორმაგდა.

ცხრილი 2

სხვაობა ეროვნული მეურნეობის წინა წელთან შედარებით ზრდის ყველაზე მაღალი და ყველაზე დაბალი მაჩვენებლების მქონე დარგების მიხედვით 2016-2020 წლებში (პროცენტი)

	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.	2019 წ.	2020 წ.
სხვაობა (ვარიაციის მაჩვენებელი)	28.8	28.7	24.9	34.4	49.5
ეკონომიკური ზრდა	2.9	4.8	4.8	5.0	-6.8
ვარიაციის მაჩვენებელი აღემატება ეკონომიკის ზრდის ტემპს, ჯერ	9,93	5,98	5,19	6,88	-7,28

შედეგად, ეკონომიკური საქმიანობის სახეობათა თითქმის ერთ მესამედში, სადაც იქმნებოდა ქვეყნის ეროვნული პროდუქტის 27.8 პროცენტი და დასაქმებული იყო ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 47.4 პროცენტი *(სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა; სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება; განათლება; ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები; სხვა სახის მომსახურება; შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის)*, 2020 წელს დამატებული ღირებულების მოცულობა გაიზარდა 3.9 პროცენტით – დანარჩენ დარგებში დამატებული ღირებულების 9.9 პროცენტით შემცირების პარალელურად.

მიუხედავად კრიზისული პროცესებისა, ეკონომიკის იმ დარგების წილი, სადაც ადგილი ჰქონდა რეალურ ზრდას წინა წელთან შედარებით, მშპ-ში გაიზარდა 2.6 პუნქტით, ხოლო იმ დარგების წილი, სადაც ადგილი ჰქონდა დასაქმებულთა აბსოლუტური რაოდენობის მატებას, დასაქმებულთა წილმა მოიმატა 0.7 პუნქტით.

დიაგრამა 10



ეროვნული მეურნეობის იმ დარგში, სადაც ადგილი ჰქონდა წარმოების რეალურ ზრდას, ეს ზრდა განხორციელდა დასაქმებულთა შესაბამისი კონტინგენტის რაოდენობის არა თუ მატების, არამედ შემცირების (-0.9 პროცენტული პუნქტი) პირობებში. ამასთან, რამდენიმე დარგში, **სადაც იქმნება ქვეყნის სამამულო პროდუქტის 12.9 პროცენტი და დასაქმებულია ეროვნულ ეკონომიკაში დასაქმებულთა საერთო რიცხოვნობის 14.6 პროცენტი,** ერთდროულად დაფიქსირდა ეკონომიკისა და დასაქმებულთა კონტინგენტის ზრდა – შესაბამისად, 2.3 პროცენტით და 3.4 პროცენტით *(სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება; ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები; სხვა სახის მომსახურება).* ამ დარგებზე მოვიდა ეკონომიკური ზრდის მქონე დარგების საერთო ზრდის ნახევარზე მეტი (50.7%).

ეკონომიკის დანარჩენ დარგებში, სადაც 2020 წელს ადგილი ჰქონდა წარმოების შემცირებას, ვარდნის საშუალო მაჩვენებელმა 9.2 პროცენტი შეადგინა.

დიაგრამა 11



ეკონომიკის იმ დარგებზე, რომლებსაც **დასაქმების მხრივ** 2020 წელს კრიზისი არ შეხებია და პირიქით, წინა წელთან შედარებით ადგილი ჰქონდა მომუშავეთა კონტინგენტის ზრდას +3.1%-ით *(ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები; სხვა სახის მომსახურება; ინფორმაცია და კომუნიკაცია; ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები; სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება; პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები; ხელოვნება, გართობა და დასვენება)*, მოდიოდა დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 1/5-ზე მეტი (20.3%); დანარჩენ დარგებში დასაქმებულთა რიცხოვნობა შემცირდა 5.9 პროცენტით.

აღსანიშნავია, რომ გაშუალებული მონაცემებით, ეკონომიკა შემცირდა როგორც დასაქმებულთა რიცხოვნობის მზარდ, ისე კლებად დარგებში (შესაბამისად, 3.0%-ით და 6.7%-ით).

ცხრილი 3

ეკონომიკისა და დასაქმებულთა რიცხოვნობის ცვლილება

2020 წელს 2019 წელთან შედარებით

	მშპ, მლნ. ლარი		**დასაქმებულთა რაოდენობა, ათასი კაცი**		**2020 წ. %-ით 2019 წ.-თან**	
	2019	2020	2019	2020	მშპ	დასაქმებულთა რაოდენობა
სულ	40298.0	37815.8	1295.9	1241.8	93.2	95.8
მათ შორის საქმიანობათა სახეობებშიც, სადაც ადგილი ჰქონდა:						
ეკონომიკის ზრდას	**9057.3**	**9408.9**	**594.1**	**586.6**	**103.9**	**99.1**
წილი ეკონომიკაში/ დასაქმებაში	*25.2*	*27.8*	*45.8*	*47.4*	–	–
ეკონომიკის შემცირებას	**26890.3**	**24418.7**	**701.8**	**653.2**	**90.8**	**93.1**
წილი ეკონომიკაში/ დასაქმებაში	*74.8*	*72.2*	*54.2*	*52.6*	–	–
დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას	**8118.7**	**7870.5**	**244.7**	**252.4**	**97.0**	**103.1**
წილი ეკონომიკაში/ დასაქმებაში	*22.6*	*23.3*	*18.9*	*20.3*	–	–
დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას	**27828.9**	**25955.1**	**1015.1**	**989.4**	*93.3*	*94.1*
წილი ეკონომიკაში/ დასაქმებაში	77.4	76.7	81.1	79.7	–	–

რომ არა პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი, საქართველოს ეკონომიკა 2020 წელს 6.8-პროცენტიანი შემცირების ნაცვლად, წლის დასაწყისში განხორციელებული პროგნოზით, გაიზრდებოდა 5.0 პროცენტით. ანუ განსხვავებამ 2020 წლის საპროგნოზო და რეალურ მაჩვენებლებს შორის 2019 წლის დონის 11.8 პროცენტი შეადგინა. აბსოლუტურ განზომილებაში ეს 5.6 მლრდ. ლარზე მეტია, ხოლო საბიუჯეტო ფისკალური შემოსავლების კლებამ, ადმინისტრირების არსებული დონის გათვალისწინებით, დაახლოებით 1.5 მლრდ. ლარი შეადგინა.

2020 წელს იმ დარგებში, სადაც ვარდნას ჰქონდა ადგილი, შემცირების

ნაცვლად რომ დამატებული ღირებულების წარმოება უცვლელად დარჩენილიყო წინა წლის დონეზე, მშპ მთლიანობაში, „წინ წასულ“ დარგებში გაზრდილი ღირებულების წყალობით, 2019 წელთან 1.0-პროცენტიან ზრდას დააფიქსირებდა.

დანართი

ერთი შინამეურნეობის წევრთა საშუალო რაოდენობა 2010, 2015 და 2020 წლებში

	I (უღარიბესი) ჯგუფი	X (უმდიდრესი) ჯგუფი	საშუალოდ
2010	2,04	4,7	3,65
2015	1,94	4,82	3,57
2020	1,82	4,7	3,42

ერთი შინმეურნების წევრთა რიცხოვნობა ხარჯების დეცილური ჯგუფების მიხედვით 2020 წელს (სული ერთ შინამეურნეობაზე)

	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	საშუა-ლოდ
შინამეურ-ნეობის წევრთა რაოდენობა	1,82	2,34	2,93	3,15	3,46	3,64	3,92	4,15	4,27	4,56	3.42

გენდერული უთანასწორობის ეკონომიკური ასპექტი თანამედროვე საქართველოში

იოსებ არჩვაძე

გენდერული უთანასწორობის გამოვლენის მრავალი ასპექტიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური უთანასწორობაა, რომლის ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულება ქალისა და მამაკაცის საშუალო ხელფასებს შორის სხვაობაა. ბოლო მონაცემებით, საქართველოში ქალთა ხელფასი მამაკაცის ხელფასის 63.8 პროცენტს შეადგენს, თანაც სხვაობა ანაზღაურების სიდიდეთა შორის ბოლო წლებში არა თუ მცირდება, არამედ იზრდება კიდეც (2016 წ. – 65.5%, 2017 წ. – 64.3%, 2018 წ. – 64.2%...). ამჟამად აბსოლუტური სხვაობა მამაკაცისა და ქალის საშუალო ხელფასს შორის (თითქმის 500 ლარი) ფაქტობრივად აღემატება ქალთა საშუალო ხელფასის 2012 წლის სიდიდეს. ქალთა და მამაკაცთა საშუალო ანაზღაურების სხვაობის აბსოლუტური სიდიდე ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე მამაკაცების სასარგებლოდ 8-ჯერ და მეტად გაიზარდა (2001 წ. – 61.7 ლარი, 2020 წ. – 500.0 ლარი).

ცხრილი 1

ქალებისა და მამაკაცების საშუალო ხელფასები საქართველოში 2001, 2010 და 2019 წლებში (ლარი).

	ქალი	მამაკაცი	ქალი %-ით მამაკაცთან
2001 წ.	63.5	125.2	61.7
2010 წ.	426.6	742.8	57,4
2019 წ.	869.1	1361.8	63,8
2019 წ. 2001წ.-თან, ჯერ	13.7	10.9	X

აღნიშნული განსხვავება მით უფრო თვალშისაცემია იმ ფონზე, რომ გაეროს განვითარების პროგრამის მონაცემებით, სწავლების საერთო ხანგრძლივობის მიხედვით, საქართველოში ქალები არა თუ ჩამორჩებიან, არამედ უსწრებენ კიდევაც მამაკაცებს (სწავლების საშუალო ხანგრძლივობა წლებში: ქალი – 15.5 წელი, მამაკაცი – 15.0 წელი. – [6; 357]). ფაქტობრივად, მეტი

ცოდნა და განათლების დონე ვერ/არ კონვერტირდება საზოგადოების მიერ შესაბამის აღიარებაში, რომლის უმნიშვნელოვანესს გამოხატულებას ხელფასის სიდიდე წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ეს არის არა წმინდა ქართული, არამედ გლობალური მოვლენა. **მთელ მსოფლიოში დაქირავებით დასაქმებულ ქალებს, როგორც წესი, განათლების უფრო მაღალი დონე გააჩნიათ, ვიდრე პროფესიის ანალოგიურ ჯგუფებში დასაქმებულ მამაკაცებს** [11]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თანაბარი განათლების მქონეთაგან ქალების შრომა მამაკაცებთან შედარებით, ნაკლებად ნაზღაურდება. ამასთან, მზაობა, უპირობოდ დათანხმდნენ დამქირავებლის მიერ შემოთავაზებულ პირობებსა და ხელფასს, როგორც წესი, მთელ რიგ გარემოებათა გამო ქალებში დაახლოებით 1.4-ჯერ უფრო მაღალია მამაკაცებთან შედარებით [7].

ეკონომიკური უთანასწორობა გამოხატულებას პოულობს მაკროეკონომიკის დონეზეც, კერძოდ, სამამულო (ეროვნული) პროდუქტის (მთლიანი შიდა პროდუქტის) ფორმირებაში შეტანილი წვლილის მიხედვით. საქართველოში ქალების ერთ სულზე შექმნილი ეროვნული პროდუქტი მამაკაცების ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ 47.7 პროცენტია. ეს მნიშვნელოვნად ჩამორჩება როგორც მსოფლიოს (56.6%), ისე განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს (ნორვეგიაში აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს 78.8%-ს, აშშ-ში – 65.4%-ს, ისრაელში კი – 58.4%-ს.).

დიაგრამა 1



რა არის საქართველოში აღნიშნული ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი, განსაკუთრებით უშუალო მეზობლებთან სამხრეთ კავკასიაში – სომხეთთან და აზერბაიჯანთან? ერთი შეხედვით, ამის საფუძველი არ უნდა არსებობდეს, რადგანაც ბევრი ხარისხობრივი მაჩვენებლით საქართველო მეზობლებზე წინაა. მაგალითად, ადამიანისეული განვითარების ინდექსით, ბოლო მონაცემებით (2019 წ.), საქართველო მსოფლიო ქვეყნებში 61-ე ადგილზეა, სომხეთი – 81-ე, აზერბაიჯანი კი – 88-ე ადგილზე; უთანაბრობა სიცოცხლის ხანგრძლივობის მიხედვით სქესობრივ ჭრილში ჩვენთან მეზობლებზე ნაკლებია: საქართველო – 7.9%, სომხეთი – 8.9%, აზერბაიჯანი – 13.9%. [7; 352-354].

ვფიქრობთ, აქ მთავარი მიზეზი სამუშაო ძალის აქტიურობის შედარებით დაბალი დონე და ქალებისა და მამაკაცების აქტიურობის დონეთა შორის საკმად დიდი მარჟაა. კერძოდ, სხვაობა მამაკაცებისა და ქალების აქტიურობის დონეთა შორის საქართველოში 4.6 პუნქტით აღემატება სომხეთის ანალოგიურ მაჩვენებელს და 17.1 პუნქტით – აზერბაიჯანისას. აღნიშნული „უპირატესობა“ ჩვენს მეზობელ ქვეყნებში მიღწეულია კულტურული, მენტალური და ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით და შინამეურნეობებში თვითდასაქმების მაღალი დონით შეიძლება აიხსნას – ქალთა მნიშვნელოვანი კონტინგენტი, რომელსაც საქართველოში ეკონომიკურად *არააქტიურ მოსახლეობას* აკუთვნებენ (დიასახლისები), აზერბაიჯანსა და სომხეთში უპირატესად *თვითდასაქმებულებად* მიიჩნევენ, როგორც ამას აფიქსირებდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ბოლო დრომდე მოქმედი კლასიფიკატორი. 2020 წლის ბოლოს დასაქმების ახალ კლასიფიკატორზე გადასვლის შედეგად ეკონომიკური აქტიურობის დონე ძველი კლასიფიკატორით გაანგარიშებულთან შედარებით საქართველოში მყისიერად შემცირდა 11 პუნქტით, ხოლო დასაქმებულთა საერთო რაოდენობა – დაახლოებით 400 ათასით (23.5 პროცენტით).

შრომის ანაზღაურებაში განსხვავება მამაკაცებსა და ქალებს შორის ძირითადად განპირობებულია ორი მიზეზით: 1. მამაკაცების მიერ უფრო შრომატევადი, რთული შინაარსის შრომის შესრულების გამო მათ უფრო მაღალი ანაზღაურება აქვთ; 2. სამუშაო დრო საშუალოდ მამაკაცებში უფრო ხანგრძლივია, ვიდრე ქალებში.

როგორც უკვე ითქვა, საქართველოში საშუალო ხელფასი ქალებში მამაკაცების ანალოგიური მაჩვენებელის 63.8 პროცენტია. ამასთან, ქალების

შრომითი საქმიანობის საშუალო ხანგრძლივობა მამაკაცების ანალოგიური მაჩვენებლის 82.1 პროცენტია. შესაბამისად, **სამუშაო დროის ფაქტორის გამორიცხვით, ქალების საშუალო ხელფასი მამაკაცების ხელფასის უკვე არა 63.8 პროცენტი, არამედ 63.8% : 0.821 = 77.7%-ია.** ანუ ქალების საშუალო ხელფასი მამაკაცების საშუალო ხელფასის 3/4-ს აღემატება. ამასთან, **ქალისა და მამაკაცის საშუალო ხელფასებს შორის სხვაობის თითქმის 2/5 (38.5%) მოდის ქალთა სამუშაო დროის ნაკლებობაზე მამაკაცების სამუშაო დროსთან შედარებით, ხოლო 3/5-ზე მეტი (61.5%) – მამაკაცების მიერ უფრო მაღალი ანაზღაურებადი სამუშაო ადგილების დაკავების გამო.**

შემოსავლებისა და ეროვნულ ეკონომიკაში შეტანილი წვლილის მიხდვით, გენდერულ განსხვავებაზე გავლენას ახდენს კიდევ ორი გარემოება.

ჯერ ერთი, სამუშაოთა სირთულის, კომპლექსურობისა და საქმიანობის საბოლოო შედეგებზე გავლენის გათვალისწინებით, დამსაქმებლის შემოსავალი, როგორც წესი, დაქირავებით დასაქმებულის ხელფასს მნიშვნელოვნად (არც თუ იშვიათად – ჯერადად!) აღემატება. იმის გათვალისწინებით, რომ ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართული პირებიდან დამსაქმებელთა წილი მამაკაცებში 2-ჯერ აღემატება ქალების ანალოგიურ მაჩვენებელს (შესაბამისად, 2.8% და 1.4%) [3; 27], აღნიშნული გარემოება საგრძნობ გავლენას ახდენს საშუალოდ ერთი პირის შემოსავლის სიდიდეზე როგორც დასაქმების, ისე ზოგადად ერთ სულზე წარმოებული დოვლათის სიდიდეზე გენდერულ ჭრილში.

მეორე, ნარჩუნდება სერიოზული ასიმეტრია შინამეურნეობებში, ოჯახებში დასაქმების მასშტაბების მიხედვით ქალებსა და მამაკაცებს შორის. რაოდენობრივად და ოჯახურ მეურნეობაში დახარჯული დროის მიხედვით, ქალები საგრძნობლად უსწრებენ მამაკაცებს. დასაქმებულთა შორის შინამეურნეობებში დასაქმებულთა წილი ქალებში 2-ჯერ და მეტად აღემატება მამაკაცების შესაბამის მაჩვენებელს (შესაბამისად, 26.8% და 12.9%) [10], ხოლო სამუშაო დროის საერთო ხანგრძლივობით ქალების უპირატესობა მამაკაცებთან შედარებით ემპირიულადაც იმდენად თვალსაჩინოა, რომ არ საჭიროებს სპეციალურ კვლევას.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მიხედვით, დამატებული ღირებულების მაფორმირებელ საქმიანობათა სახეობებში მამაკაცების დომინირებას აქვს ადგილი. კერძოდ, თუ ქვეყნის 15 წელზე უხნესი ასაკის მოსახლეობაში ქალების რაოდენობა მამაკაცებისას თითქმის 15 პროცენტით აღემატება,

დასაქმებულთა რაოდენობაში პირიქით, საგრძნობლად – 21.3 პროცენტით ჩამორჩებიან, ხოლო დასაქმებისა და აქტიურობის დონეები საერთოდ, ქალებში თითქმის 1.5-ჯერ უფრო დაბალია მამაკაცებთან შედარებით (შესაბამისად, 33.9% და 49.5% და 40.2% და 62%).

დიაგრამა 2



უთანასწორობა ვლინდება არა მარტო ღირებულების ფორმირების პროცესში, არამედ, როგორც უკვე ვახსენეთ, არაანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის ხანგრძლივობაშიც, კერძოდ, შინამეურნეობებში (ოჯახებში) შრომის ხანგრძლივობასა და ინტენსივობაში. ამასთან, ის, რომ ემპირიულად ჩანს ქალების, დიასახლისების ოჯახური საქმიანობის საკმაოდ დიდი ხანგრძლივობა, არ ხსნის შესაბამისი კვლევების ჩატარების აუცილებლობას.

სამწუხაროდ, საქართველოში დიდი ხანია აღარ ჩატარებულა კვლევა შინამეურნეობათა დროის ბიუჯეტის თაობაზე, თუმცა სხვადასხვა სოციოლოგიური კვლევებიდან მიღებული ინფორმაციით, **დაქირავებით დასაქმებულ ქალთა შრომის საშუალო სადღეღამისო ხანგრძლივობა ოჯახურ მეურნეობაში თითქმის ორჯერ აღემატება ანაზღაურებადი სამსახურის მქონე მამაკაცების ანალოგიურ მაჩვენებელს.** ამის გარდა, სამუშაო ძალის მიღმა მყოფი ქალების რაოდენობა 1.8-ჯერ აღემატება მამაკაცებისას, რაც კიდევ უფრო ზრდის ქალთა წვლილს არაფულადი გამოხატულების ოჯახური დოვლათისა და სიკეთეების ფორმირებაში.

იმის დაშვების შემთხვევაშიც კი, რომ სამუშაო ძალის მიღმა მყოფი მამაკაცები ოჯახურ მეურნეობაში ხარჯავენ იმდენივე დროს, რამდენსაც ასევე, სამუშაო ძალის მიღმა დარჩენილი ქალები (ქართული რეალობის გათვალისწინებით, ამის დაშვება მხოლოდ დიდი პირობითობით შეიძლება), მაინც მთლიანობაში, ოჯახურ მეურნეობებში დახარჯული დროის სულ ცოტა, 2/3 მოდის ქალებზე, რეალურად კი აღნიშნული მაჩვენებელი დაახლოებით 3/4-ს შეადგენს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **არაანაზღაურებადი შრომის რაოდენობით (ხანგრძლივობით) ქალები საქართველოში მამაკაცებს უსწრებენ დაახლოებით 2-3-ჯერ.** თუ შრომის ანაზღაურებაში არსებული გენდერული სხვაობით ვისარგებლებთ და ოჯახში გაწეულ შრომას შევაფასებთ დაქირავებით დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების ანალოგიურად (ერთ სულზე გაანგარიშებით, ქალების შრომით შექმნილი დოვლათისა და სიკეთეების ღირებულებას ავიღებთ მამაკაცების შრომის ანაზღაურების დაახლოებით 2/3-ის დონეზე) [2; 60-67], დავინახავთ, რომ მთლიანობაში ქალების წვლილის ღირებულებითი შეფასება ოჯახში გაწეულ შრომის ღირებულების პირობით შეფასებაში სულ ცოტა 55 პროცენტია, რეალურად კი – არანაკლებ 65 პროცენტისა.

გამოდის, რომ **თუ აღრიცხვის მეთოდიკის ცვლილებას მოვახდენთ, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ამჟამად უფასოდ დახარჯული სამუშაო დრო, შინამეურნეობებში გაწეული შრომითი დანახარჯების წილი, ქალებზე მოვა აღნიშნული ღირებულების 55-65 პროცენტი, მამაკაცებზე კი – არაუმეტეს 35-45 პროცენტი.** ამასთან, თუ ეროვნულ ანგარიშთა სისტემას გავაფართოებთ და მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებში გავითვალისწინებთ შინამეურნეობებში გაწეული შრომის ღირებულე-

ბასაც, დავინახვთ, რომ ეს ქვეყნის უმთავრეს ეკონომიკურ მაჩვენებელს გაზრდის დაახლოებით 60-65 პროცენტით, ამასთან ქალების წილი ახალ, „გაფართოებულ“ მშპ-ში მიაღწევს 50.5 პროცენტს, ამჟამინდელი 38-40 პროცენტის ნაცვლად (მამაკაცებისა, შესაბამისად, შემცირდება 49.5%-მდე, ნაცვლად ამჟამინდელი 60-62%-სა).

აღნიშნულ გათვლებს არა აქვთ მხოლოდ „მჭვრეტელობითი“ და ადგილობრივი დატვირთვა. McKinsey-ის ჯერ კიდევ 2015 წელს ჩატარებული კვლევით, **მსოფლიო ეკონომიკა გაიზრდება დაახლოებით 37-40 პროცენტით, თუკი მსოფლიოს ქვეყნები უზრუნველყოფენ სრულ გენდერულ თანასწორობას ეკონომიკის სფეროში**. სხვა წყაროებით, გენდერული უთანსწორობის მხოლოდ 25 პროცენტით შემცირება გაზრდიდა მსოფლიო მშპ-ს 5.3 ტრილიონი აშშ დოლარით, ხოლო საბიუჯეტო შემოსავლებს – 1.4 ტრილიონი დოლარით [9].

ამჟამად კი ქალების წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის ნახევარს შეადგენს, მათი წვლილი კი გლობალურ ეკონომიკაში 37 პროცენტს არ აღემატება, ანუ საშუალოდ ერთი დასაქმებული მამაკაცის მიერ შექმნილი ღირებულება 1.7-ჯერ აღემატება დასაქმებული ქალის მიერ შექმნილ ღირებულებას.

საქართველოში ქალების წილი, ჩვენი გაანგარიშებით, საშუალო მსოფლიო მაჩვენებელზე უარესია: დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში – 44 პროცენტი, ეკონომიკაში შექმნილი წვლილი კი (ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მოქმედი მეთოდიკით) – 33 პროცენტი.

უთანაბრობა ეკონომიკაში მაღალ კორელაციაშია გენდერულ უთანაბრობასთან პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში. ქალების წილი პოლიტიკაში, არჩევით და წამყვან თანამდებობებზე საჯარო სამსახურსა თუ კერძო ბიზნესში, დაახლოებით სამჯერ ჩამორჩება მათ წილს მოსახლეობაში. მიუხედავად ბოლო წლებში გამოკვეთილი პოზიტიური ცვლილებებისა, ის მაინც ჯერჯერობით საკმაოდ დაშორებულია ოპტიმალურ დონეს.

დიაგრამა 3



ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში ქალთა წარმომადგენლობის თვალსაჩინო ზრდის მიუხედავად, მათი წილი ჯერჯერობით 1/5-ს არ აღემატება. მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების პირობად უნდა მივიჩნიოთ მიღებული კანონი, რომელიც პარტიებსა და პოლიტიკურ გაერთიანებებს ავალდებულებს საარჩევნო სიებში ყოველი მესამე პირი განსხვავებული სქესის წარმომადგენელი იყოს. ამ პრინციპით, საქართველოს პარლამენტის მომდევნო მოწვევის პარლამენტში, რომელიც მთლიანად პროპორციული წესით აირჩევა, ქალების წილი, სულ ცოტა, პარლამენტარების 1/3-ს მიაღწევს. ჯერჯერობით ამ მაჩვენებლით (2018 წ. მდგომარეობით) საქართველოს მსოფლიოს 192 ქვეყანაში 124-ე ადგილი უკავია.

თავისთავად, ქალთა წარმომადგენლობა საკანონმდებლო ორგანოში მხოლოდ ქმნის შესაძლებლობას ქალთა რეალური თანასწორობისაკენ და

ამას ჯერ კიდევ სჭირდება რეალიზაცია. ქალების წილი პარლამენტში ვერ გამოდგება ქვეყანაში ქალთა უფლებების დაცვისა და დემოკრატიულობის ხარისხის სადემონსტრაციოდ. ბოლო მონაცემებით, ქალები ავღანეთის პარლამენტში (მეჯლის-მელეში) უფრო მეტად არიან წარმოდგენილნი, ვიდრე ისრაელის პარლამენტში – კნესეტში, ხოლო აზერბაიჯანის მილი მეჯლისში უფრო მეტად – ვიდრე ლატვიის სეიმში [8].

ამასთან, პარლამენტში ქალთა წილის ზრდა მხოლოდ ერთ-ერთი ნაბიჯია საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის დასამკვიდრებლად და არაა პანაცეა საზოგადოებაში გენდერული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. ამისათვის საჭიროა კომპლექსური ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ღონისძიებების გატარება, ხელისუფლების ურყევი ნება და საზოგადოების მზაობა, გაითავისოს აღნიშნული ნაბიჯების აუცილებლობა და მართებულობა. ბუნებრივია, იმ სფეროებში, სადაც ქალთა მონაწილეობა, ჩართულობა, განსაკუთრებით ხელმძღვანელ თანამდებობებზე, სახელმწიფო მმართველობა იქნება თუ ბიზნესი, საკმაო დროს საჭიროებს. კოვიდპანდემიამ, მთელი რიგი ექსპერტების შეფასებით, კიდევ უფრო მეტად – მთელი 36 წლით – გადასწია სრული გენდერული თანასწორობის დამყარების დრო პანდემიანდელი პროგნოზული 99.5 წლის ნაცვლად 135.6 წლამდე [5].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ციური ანთაძე. უთანასწორობა შრომის სფეროში. – კრებულიდან: გლობალიზაციის ახალი გამოწვევები მემარცხენეობისათვის: ზოგადი ტენდენციები და საქართველო. თბილისი, 2007, გვ. 45-53.

2. იოსებ არჩვაძე. პირობითობები მაკროეკონომიკური ინდიკატორების გაანგარიშებისას გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში (საქართველოს მთლიანი შიგა პროდუქტის მაგალითზე), „გლობალიზაცია და ბიზნესი", 2017, 2, გვ. 60-67.

3. გენდერული სახელფასო სხვაობა და უთანასწორობა საქართველოს შრომის ბაზარზე. – UN Women, 2020. – https://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications/2020/03/analysis-of-the-gender-pay-gap-and-gender-inequality-in-the-labor-market-in-georgia

4. Global Gender Gap Report 2021. – https://www.weforum.org/reports/global-gender-gap-report-2021/digest

5. The Global Gender Gap Will Take an Extra 36 Years to Close After the COVID-19 Pandemic, Report Finds. – https://time.com/5951101/global-gender-gap-135-years/

6. Human Development Report, 2020, http://hdr.undp.org/sites/default/files/hdr2020.pdf

7. Julie Wilson. Top Issues Fueling Gender Inequality in the Workplace. 25.02.2019. https://www.asyousow.org/blog/gender-equality-workplace-issues.

8. Женщины в политике: представительство в парламентах, министерствах. – The World only. 14.03.2018. – https://theworldonly.org/women-in-politics/

9. Екатерина Чепур, Без преград, *Женщины принесут миру триллионы долларов. Надо лишь подождать пару веков,* Lenta.ru, 2.11.2019. https://lenta.ru/articles/2018/11/02/feminism/

10. МОТ: на рынке труда сохраняется гендерное неравенство. 7.03.2018. – https://news.un.org/ru/story/2018/03/1325272

11. Основные тенденции в области заработной платы. https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_protect/---protrav/---travail/documents/publication/wcms_713900.pdf

12. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. – www.geostat.ge

ისინი, ვინც დაბლა არიან

მარინა მუსხელიშვილი

მმართველობა ვის მიერ და ვისთვის?

ყოველ მოცემულ მომენტში ჩვენ ვიმყოფებით პოლიტიკური უთანასწორობის მდგომარეობაში. არსებობენ ადამიანები, ვისაც მაღალი პოლიტიკური თანამდებობები უკავიათ – მათ აქვთ ძალაუფლება, მიიღონ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, ხოლო ყველა დანარჩენი ამ ძალაუფლებას მოკლებულია.

ეს პოლიტიკური უთანასწორობა ასატანი ხდება ორი პირობის შესრულების შემთხვევაში: პირველი პროცედურულია, ხოლო მეორე – სუბსტანციური, შინაარსობრივი.

პირველ რიგში, უთანასწორობა უნდა იყოს დროებითი და კონკურენტული – დემოკრატიის ინსტიტუტების გამართული ფუნქციონირება ქმნის (თეორიულად) შესაძლებლობების თანასწორობას – ნებისმიერს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესში და იბრძოლოს იმისთვის, რომ თავად დაიკავოს თანამდებობა ან მისთვის მისაღებ პოლიტიკოსს დაუჭიროს მხარი.

ამასთან, გადაწყვეტილებები, რომლებიც მიიღება ლიდერების მიერ, უნდა იყოს რაღაც გაგებით სამართლიანი, ლეგიტიმური და არა ძალისმიერი. ზემოაღნიშნული უთანასწორობა გამართლებულია იმდენად, რამდენადაც საჭიროა, რათა ხელისუფლების მეშვეობით იწარმოოს რაღაცა სასიკეთო – სტაბილურობა, წესრიგი, წინსვლა, კეთილდღეობა და ა.შ.. თუკი დავსვამთ კითხვას – ვის სასარგებლოდ უნდა მიიღებოდეს ეს გადაწყვეტილებები, დემოკრატიის პასუხი მარტივია, თუმცა ბუნდოვანი – ეს არის გადაწყვეტილებები „ხალხისთვის“. მიუხედავად იმისა, რომ პროცედურული თვალსაზრისით საარჩევნო დემოკრატია ძალაუფლებას ანიჭებს უმრავლესობის მიერ არჩეულ ლიდერებს, ის მაინც გულისხმობს, რომ მმართველობის შედეგად მიღწეული სიკეთეებით თითოეულმა ადამიანმა მეტ-ნაკლებად უნდა იხეიროს, ვინაიდან „ხალხი“ – ეს არის ყველა და არა მხოლოდ უმრავლესობა.

მეტნაკლებობა აქ საკვანძო სიტყვაა, ვინაიდან სწორედ მასში ვლინდება სისტემის ფუნქციონირების ხასიათი. მართლაც, თუკი მმართველობის შედეგები სულ უფრო ზრდის საზოგადოებაში უთანასწორობას, სისტემა შესაძლოა

ვერ შენარჩუნდეს. ამდენად, ეს ორი განზომილება, პროცედურა და შინაარსი, ერთმანეთთან კავშირშია. თუკი წარმოვიდგენთ, რომ საწყის მდგომარეობაში სისტემა სრულად აკმაყოფილებდა თანასწორობის პროცედურულ კრიტერიუმებს, რესურსების გადანაწილების მზარდი უთანასწორობის გამო ის საბოლოო ჯამში გადაგვარდება და პროცედურული თანასწორობაც დიდხანს ვერ გასტანს.

საქართველოს პოლიტიკური სისტემა ჩამოყალიბდა ნეოლიბერალური გლობალიზაციის პროცესში და ამ პროცესის გავლენით. ამ გარდაქმნას ერქვა დემოკრატიზაცია – დემოკრატიზაციის მესამე ტალღის ნაწილი, რომელსაც ახასიათებდა წმინდად პროცედურული მიდგომა.

ამ ნეოლიბერალური წარმოდგენის მიხედვით, დემოკრატია არის არა ხალხის მმართველობა „ხალხის მიერ“ და „ხალხის-თვის“, არამედ მხოლოდ ინდივიდების პოლიტიკური შესაძლებლობების თანასწორობა: საყოველთაო ხმის უფლება, სიტყვის თავისუფლება, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება და სხვა, რაც უზრუნველყოფს მმართველების კონკურენტულ ცვლას და მათ კონტროლს. ყველაზე კარგად ამ წარმოდგენას შეეფერება შუმპეტერისეული ხედვა, რომლის მიხედვითაც, მმართველობა ვერ იქნება ხალხისა, ვინაიდან ხალხმა თავად არ იცის და ვერც ეცოდინება, რა უნდა. ერთადერთი, რასაც ის იძლევა, ეს არის მმართველი ელიტების იძულება, თავი მოაწონონ ამომრჩევლებს, რათა ძალაუფლება შეინარჩუნონ ან მოიპოვონ:

> *„პირველ რიგში, ჩვენი ხედვის თანახმად, დემოკრატია არ ნიშნავს და ვერც ნიშნავს იმას, რომ ხალხი მართლაც მართავს, „ხალხის“ და „მმართველობის“ რაიმე აშკარა მნიშვნელობით. დემოკრატია ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ხალხს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს ან უარყოს ის ადამიანები, ვინც მას მართავენ. მაგრამ, ვინაიდან მათ ეს შეუძლიათ, გადაწყვიტონ სრულად არადემოკრატიული გზებით, ჩვენ მოგვიწია ჩვენი განმარტების დაკონკრეტება დამატებითი კრიტერიუმის, დემოკრატიული მეთოდის იდენტიფიცირებით: ლიდერობის მსურველთა თავისუფალი კონკურენცია ამომრჩეველთა ხმებისთვის. ამდენად, ამის ერთ-ერთი ასპექტი შეიძლება, ჩამოყალიბდეს ასე: დემოკრატია პოლიტიკოსების მმართველობაა“.*[1]

ამ პროცესში ბუნებრივად ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი აზრი, რომელიც მმართველობის კარგ, სასურველ შედეგებს დემოკრატიული პროცე-

დურების არსებობით ხსნის. მაგალითად, როდესაც საზოგადოება მოითხოვს, რომ მედია და სასამართლო იყვნენ დამოუკიდებლები, ხოლო არჩევნები არ ყალბდებოდეს, იგულისხმება, რომ ეს ყოველივე მიგვიყვანს სასურველ შედეგებამდე – მიუკერძოებელი მედია, სამართლის პრინციპებზე აგებული სასამართლო, ხალხის ნების ერთგული პოლიტიკური მმართველობა, ანუ პოლიტიკური ბაზრის უხილავი ხელი პროგრესის მომტანი იქნება. შესაბამისად, თუკი მმართველობის შედეგი არ არის კარგი, მიზეზად სახელდება პროცედურების ნაკლოვანება: ცუდი არჩევნები, მედიის არასაკმარისი დამოუკიდებლობა, სასამართლოს მოუწყობლობა და სხვა.

გარდა ამისა, ნეოლიბერალურმა რეფორმებმა, რომლებმაც ქვეყნის განვითარებას უალტერნატივო ერთგანზომილებიანი ხასიათი შესძინეს, წარმოქმნეს პოლიტეკონომიური რეალობა, რომელიც მოქალაქეთა საარჩევნო ქცევაზე ზემოქმედებს. ეს რეფორმები აჩენენ კონფლიქტს ინდივიდების მოკლევადიან და გრძელვადიან რაციონალობას შორის. რაც უფრო სწრაფად და რადიკალურად შემოდის კაპიტალიზმი და გლობალიზაცია, მით უფრო იზრდება უთანასწორობა და მოსახლეობის დიდი ნაწილის „ჩამორჩენა“. ჩნდება მმართველობა წარმატებული „უმცირესობისთვის“. ეს მდგომარეობა ლეგიტიმაციას იძენს დომინანტური დისკურსით, მაგრამ, ამასთან, აჩენს იმ განცდას, რომ ის მორგებულია ელიტების ინტერესებზე და არა ხალხის საჭიროებებზე. მოსახლეობას ესმის, რომ განვითარების ამ გზაზე წინსვლა მოითხოვს რეფორმებს, რომელთა შედეგადაც უმრავლესობა მოკლევადიან პერსპექტივაში წააგებს. მოკლევადიან და გრძელვადიან რაციონალობას შორის კონფლიქტის პირობებში პოლიტიკის დღის წესრიგში დგას ერთი საკითხი – მდგომარეობის შენარჩუნება თუ ცვლილება. ჩნდება უნდობლობა მმართველების მიმართ და მოსახლეობის გაუცხოება სახელმწიფოსგან.

პოლიტიკისა და ეკონომიკის ამგვარი მოწყობის ფონზე საქართველოში ჩამოყალიბდა ის, რასაც შეიძლება, დავარქვათ ნეგატიური საზოგადოებრიობა და ვერტიკალური დემოკრატია. სახელმწიფოსადმი და მმართველობისადმი უნდობლობით გამსჭვალული მოქალაქეები საკუთარ საარსებო სივრცესა და ავტონომიას იცავენ ძალაუფლებისგან დისტანცირებით და არა მისი დაუფლებით, ხელისუფლების კონტროლით და არა მმართველობით, უარყოფით და არა მტკიცებით. ხოლო პოლიტიკურ ტაქტიკებში დომინირებს, ერთი მხრივ, საპროტესტო აქციები, დაუმორჩილებლობა, უხეში პოპულისტური პოლარიზება, ხოლო, მეორე მხრივ – თავდაცვა და მდგომარეობის სტაბილურობის შენარჩუნებაზე აპელირება.

ვერტიკალური დემოკრატია, პოპულიზმი და ელიტიზმი

ძალაუფლებრივი ურთიერთობების კონფიგურაცია ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთა დიდი ნაწილი პოლიტიკური სისტემის მიღმა არსებობს. ამდენად, ერთი და იმავე ფორმალური ინსტიტუტების ფარგლებში დემოკრატია შესაძლოა, საკმაოდ განსხვავებულად ფუნქციონირებდეს. ის შეიძლება, მოქმედებდეს ჰორიზონტალურად, ცდილობდეს თანასწორუფლებიანი ინტერესების მაქსიმალურ ინტეგრირებასა და დაკმაყოფილებას, ან ვერტიკალურად – ახდენდეს ინტერესთა ერთი ნაწილის მიერ საპირისპირო ინტერესების დელეგიტიმაციას და გააჩნდეს უმცირესობაზე სტაბილური უპირატესობის მოპოვების მისწრაფება.

ნეოლიბერალურმა გლობალიზაციამ და ტექნოლიგიურმა წინსვლამ განვითარებულ, დასავლურ დემოკრატიებში ძალაუფლებრივი ურთიერთობები მნიშვნელოვანად შეცვალა. ეკონომიკა და სოციალური ცხოვრება გასცდა ეროვნული სახელმწიფოს საზღვრებს, პოლიტიკამ პარლამენტებიდან ფართო მასებში გაჟონა, შემცირდა სახელმწიფოს როლი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვაში, უზომოდ გაიზარდა კორპორაციების გავლენა და სიმდიდრე ვიწრო ელიტების ხელში აკუმულირდა.

ამ გავლენების შედეგად დემოკრატიის ის მოდელი, რომელიც მეოცე საუკუნეში შეიქმნა და, რომელსაც საქართველო წლების განმავლობაში ეტალონად მიიჩნევდა, თანდათან ტრანსფორმირდება და ახალ მახასიათებლებს იძენს. ჰორიზონტალურ, წარმომადგენლობით პარტიულ პოლიტიკას სულ უფრო უტევს ვერტიკალური პოპულიზმი.

მნიშვნელოვნად შერბილდა ადრე არსებული, საზოგადოებაში ღრმად ფესვგადგმული სოციალურ-ეკონომიკური კონფლიქტები. პირველ რიგში, ეს იყო კლასობრივი და რელიგიური დაპირისპირებები, რომლებმაც პარტიული რეპრეზენტაციის გზით შექმნეს მყარი ჰორიზონტალური დღის წესრიგი პოლიტიკაში.[2] პოლიტიკის მიღმა ამ დაპირისპირებებით განპირობებულ დღის წესრიგს ევროპაში სტაბილურს ხდიდა შესაბამისი არაპოლიტიკური, საზოგადოებრივი ინსტიტუტები – პროფკავშირები და ეკლესია, რომლებმაც ბოლო ათწლეულებში გავლენის დიდი წილი დაკარგეს.

საშუალო ფენის ზრდისა და საზოგადოების „მასიფიკაციის“ ფონზე მეოცე საუკუნის ბოლოსკენ ეს სოციალურ-ეკონომიკური კონფლიქტები შესუსტდა და წამყვანი ადგილი იდენტობის პოლიტიკამ დაიკავა. პოლიტიკის დღის წეს-

რიგში ეკონომიკურმა საკითხებმა გადაინაცვლეს მეორე ადგილზე, დაიწყო „პოლიტიკურის“ ველის გაფართოება და კონკურენცია ამ ველში საკუთარი პრობლემატიკის, ინტერპრეტაციისა და დღის წესრიგის დასამკვიდრებლად.

იმავდროულად, იმატა განხეთქილებამ ამომრჩევლებსა და ელიტებს შორის, გაიზარდა საზოგადოების უკმაყოფილება მმართველობის შედეგებით, რომლებიც სულ უფრო მზარდად განიხილება როგორც კორუფციული და მხოლოდ ელიტების ინტერესებზე მორგებული. ხელისუფლების მიმართ ფართო უნდობლობა საზოგადოებაში ბადებს, ერთი მხრივ, ხელისუფლებაზე მეტი კონტროლის მოთხოვნილებას, ხოლო, მეორე მხრივ, აპოლიტიკურ ან ანტიპოლიტიკურ თვითიდენტიფიკაციას.

დემოკრატიის ამ ახალ კონფიგურაციაში, რომელსაც როზენვალონი „კონტრ-დემოკრატიას“ უწოდებს, მთავარი პოლიტიკური კითხვა არის არა „რა“, არამედ „როგორ“. მმართველების მიმართ უნდობლობით აღსავსე ხალხი არ ესწრაფვის მართოს (განსაზღვროს, თუ რა უნდა აკეთოს მთავრობამ), არამედ მხოლოდ აკონტროლოს ის, კორუფციისა და სხვა უკანონო ქმედებების აღსაკვეთად. არჩევნებისა თუ საჯარო პროტესტების გზით ის დროდადრო ვეტოს ადებს (აღკვეთს) გარკვეულ ქმედებებს, ან სულაც ცვლის მთავრობებს და ეს კეთდება არა დაჩაგრული უმცირესობის, არამედ ხალხის სახელით.[3]

ნეგატიური პოლიტიკის ამ ტოტალობაში, სადაც ამომრჩევლები ერთიანდებიან არა რაღაცის მხარდასაჭერად, არამედ რაღაცის უარსაყოფად, მასების უკმაყოფილებამ და ხელისუფლებით გულგატეხილობამ შესაძლოა, მიაღწიოს იმ ემოციურ დონეს, საიდანაც იწყება პოპულიზმი. მაშინ მთელი სამოქალაქო აქტივობა დაიყვანება მხოლოდ პროტესტზე, ხდება მმართველობის სტიგმატიზება, როგორც კორუმპირებული მტრისა, რომლის ინტერესები ხალხის წინააღმდეგაა მიმართული. ყალიბდება ხალხის (უბრალო ხალხის), როგორც ერთობის, პოზიტიური იდენტობა მის ოპოზიციაში მტრებთან, რომლებიც მას ზიანს აყენებენ, სარგებლის მოტანის ნაცვლად.

„პოპულისტური მოძრაობები, როგორც წესი, უარყოფენ ჰორიზონტალურ გახლეჩვებს (როგორიცაა – მემარცხენე/მემარჯვენედ დაყოფა) და ხელს უწყობენ ხალხის ფუნდამენტურ ერთობას, ამავდროულად, შემოაქვთ ახალი ვერტიკალური განზომილება, რომელმაც შესაძლოა, გარიყოს, მაგალითად, ელიტები (ზედა დონეზე) და უცხოელები (ქვედა დონეზე)“.[4]

პოპულისტი ლიდერები, ლაპარაკობენ რა ხალხის სახელით, არ ცნობენ ოპონენტებს, აჭარბებენ ძალაუფლებას, არ აღიარებენ წაგებული არჩევნების შედეგებს;[5] კანონები, ფაქტები და მეცნიერება მათთვის ავტორიტეტს არ წარმოადგენს, ვინაიდან პოპულიზმის ფუნქცია მდგომარეობს პოლიტიკურის საზღვრების გაფართოებაში, ახალი რეალობის კონსტრუირებაში, რასაც ფაქტები, კანონები და მეცნიერება უშლის ხელს.

მიუხედავად იმისა, რომ პოპულიზმი ანტიელიტისტურ განწყობებს ეფუძნება, ის თანაარსებობს ელიტიზმთან, რომელსაც აქ შემდეგნაირად განვმარტავთ: წარმოდგენა იმის თაობაზე, რომ საზოგადოებაში არსებობენ უკეთესი ადამიანები – უფრო პროგრესული, განათლებული, წარმატებული, დაწინაურებული, ვინც წინ უნდა უძღოდეს დანარჩენ, შედარებით ჩამორჩენილ ხალხს. პოპულიზმისა და ელიტიზმის საერთო ნიშანთვისება მდგომარეობს პლურალიზმის, ანუ პოლიტიკური თანასწორობის უარყოფაში. ელიტიზმი, მართალია, უფრო მეტად ასოცირდება არადემოკრატიულ რეჟიმებთან (მაგალითად, რუსეთი[6]), მაგრამ პოპულიზმის დისკურსი ავლენს, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს და პოლიტიკურ ხასიათს სძენს იმ უთანასწორობებს, რომლებიც სხვაგვარად ლეგიტიმურობის პრეტენზიით ხასიათდებოდა (პოპულიზმის მიერ უთანასწორობების პოლიტიზირება და მათთვის ელიტიზმის სტიგმის მიკერება დაბლა უფრო დაწვრილებით იქნება განხილული).

განსხვავებით დასავლური დემოკრატიებისგან, სადაც პოპულიზმი ფუნქციონალური წარმომადგენლობითი სისტემის ფონზე გაძლიერდა და ჯერჯერობით არსებული ინსტიტუტების კონტროლს ექვემდებარება, საქართველოში პოპულიზმისა და ელიტიზმის არსებობას სისტემური ხასიათი მიეცა.

საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესი თავდაპირველად ვერტიკალური დაძაბულობით ხასიათდებოდა – ხელისუფლების ცვლის ყოველი შემდგომი ეტაპი წინა მმართველობის დანაშაულებრივი ხასიათის არგუმენტს ეყრდნობოდა. ხალხი ჯანყდებოდა ხელისუფლებაში მყოფი „უვარგისი, დამნაშავე, კორუმპირებული“ მმართველების წინააღმდეგ სისტემური ცვლილებების იმედით. ამდენად, შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ თუკი დღესაც სახეზეა კონფლიქტი „ხალხსა“ და სახელმწიფოს შორის, ეს დაუსრულებელი დემოკრატიზაციის შედეგია. თუმცა დამკვიდრებული დემოკრატიების გამოცდილება გვაფიქრებინებს, რომ ვერტიკალური დაძაბულობის გაჩენა შესაძლოა, ნეოლიბერალური გლობალიზაციის გარდაუვალ შედეგადაც განვიხილოთ.

ვერტიკალური დემოკრატიის ქართული ფენომენოლოგია

90-იან წლებში, როდესაც მიმდინარეობდა ძირითადი სტრუქტურული გარდაქმნები პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებში, არსებობდა მოლოდინი, რომ ახლადშექმნილი ინსტიტუტები მალევე დაიწყებდნენ ფუნქციონირებას დანიშნულებისამებრ – რაც, თავის მხრივ, გულისხმობდა თანასწორ კონკურენციას, პლურალიზმს და ყოველივე ამას მოყვებოდა საზოგადოების განვითარების ახალ ეტაპზე, ახალ დღის წესრიგზე გადასვლა, სადაც ვერტიკალურ დაპირისპირებას რაციონალური პოლიტიკა ჩაანაცვლებდა. ის, რომ შემდგომი ათწლეულების განმავლობაში ვერტიკალურობა შენარჩუნდა და ნაცვლად ჰორიზონტალური სოციალურ-პოლიტიკური კონფლიქტის დამკვიდრებისა გადავიდა მტრების ძიებისა და პოლიტიკიდან განდევნის პოპულისტურ დისკურსში, პირველ რიგში, მიხეილ სააკაშვილსა და ტელეკომპანია რუსთავი 2-ს უკავშირდება. თუმცა მიზეზ შედეგობრივად უნდა ვივარაუდოთ, რომ თავად ამ აქტორების წინ წამოწევა და მათი როლი ქართული პოლიტიკის პოპულისტური ხასიათის ფორმირებაში შედეგია იმ ზოგადი ტენდენციებისა, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ, როგორც საქართველოზე, ასევე სხვა ქვეყნებზე. ამდენად, ამ სტატიაში პოპულიზმის ფენომენი განიხილება ზოგადად, როგორც სისტემის მახასიათებელი და არა როგორც ცალკეული პოლიტიკური აქტორების მიერ დამკვიდრებული რეალობა.

იმ მომენტისთვის, როდესაც ეს სტატია იწერება, საქართველოში პოლიტიკურ პარტიებს შორის მიმდინარეობს მწვავე პოლარიზებული ბრძოლა ძალაუფლებისთვის. პოლიტიკური რიტორიკა არატოლერანტულია და ხშირად პიროვნულად შეურცხმყოფელი. ოპოზიციაში გაერთიანებული პარტიების ჭრელი სპექტრი არ ცნობს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს და ლაპარაკობს „რუსულ ოლიგარქზე“, ბიძინა ივანიშვილზე, რომელმაც მოახდინა ძალაუფლების უზურპაცია. „ქართული ოცნება“ საპირისპიროდ არ აღიარებს ოპოზიციისა და მისი ძირითადი ბირთვის – „ნაციონალური მოძრაობის“ – უფლებას, მოვიდეს ხელისუფლებაში და საერთოდ იყოს პოლიტიკაში ადრე ჩადენილი დანაშაულებების გამო, რომლებიც შესაძლოა, განმეორდეს მათი ხელახალი მმართველობის პირობებში. წამყვანი ტელევიზიები ჩამოყალიბდნენ პარტიულ პროპაგანდისტულ რგოლებად, რომლებიც ქმნიან რეალობის ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ სურათებს. არანაკლე-

ბი დაძაბულობა იგრძნობა საზოგადოებაშიც – ლგბტქ უმცირესობის პარადის ჩატარება-არჩატარების საკითხი იწვევს რადიკალური მემარჯვენე ჯგუფების მხრიდან ძალადობრივ თავდასხმას ჟურნალისტებზე და მომიტინგეებზე. პოლიტიკის დღის წესრიგიდან პრაქტიკულად გამორიცხულია ის საკითხები, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოების წინსვლისთვის.

ამგვარი ვითარება მიანიშნებს იმაზე, რომ პოლიტიკური პროცესის ყველა თანამონაწილე ძალაუფლების არსებულ კონფიგურაციას აღიქვამს ან როგორც ამ მომენტისთვის არალეგიტიმურს, ან როგორც ლეგიტიმაციის დაკარგვის საფრთხის წინაშე მყოფს. შესაბამისად, მაღალია ალბათობა იმისა, რომ დემოკრატიის პოპულისტური პოლარიზება გადაიზარდოს მის ავტორიტარულ გადაგვარებაში ამა თუ იმ მმართველობის ქვეშ.

განსხვავებით ეკონომიკური უთანასწორობისგან, რომელსაც აქვს მკაფიოდ განსაზღვრული მხარეები – მდიდრები და ღარიბები, პოლიტიკურ ძალთა ბალანსი არასდროს არის ცალსახა, ის ექვემდებარება ინტერპრეტაციას და რეინტერპრეტაციას, რომელიც ემსახურება არჩევნების გზით „სტატისტიკური“ უმრავლესობის მოპოვებას და შეადგენს არჩევნებს შორის პერიოდში საზოგადოებრივი აზრით პოლიტიკური მანიპულირების არსს. პირველ რიგში, აქ მოიაზრება „ხალხის“, როგორც ლეგიტიმაციის წყაროს კონსტრუირება.

„ხალხი“, როგორც ერთობა, რომელზედაც აპელირებენ და, რომელსაც აკონსტრუირებენ პოპულისტი ლიდერები პოლიტიკური პროცესის ლეგიტიმაციის მიზნით, მყარად დამკვიდრდა ქართულ საჯარო დისკურსში. დაწყებული ვარდების რევოლუციით, როდესაც საპროტესტო გამოსვლების ფლაგმანი ოპოზიციური ტელეარხი „რუსთავი 2“ საკუთარ თავს „ხალხის ტელევიზიად“, ხოლო რევოლუციის შემდეგ – „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიად“ მოიხსენიებდა და დამთავრებული ახალი მემარცხენე მოძრაობით „ხმა“ (ლოზუნგით „ხალხი ითხოვს უკეთეს ცხოვრებას“, „ხალხი მართალს ამბობს!“) „ხალხი“ მოიაზრება დაპირისპირებაში ელიტებთან, რომლებიც მის ინტერესებს არ იცავენ.

ამ მხრივ, ხალხზე აპელირებას არა აქვს არც მემარჯვენე და არც მემარცხენე იდეოლოგიური დატვირთვა. პარადოქსია, მაგრამ მემარჯვენე პოლიტიკური ძალების სტრატეგია ხშირად მემარცხენე ლაკლოს ხედვას მიყვება, ვისთვისაც პოპულიზმი ემანსიპაციური სტრატეგიაა, რომელმაც პოლიტიკაში მარგინალიზებული სოციალური ჯგუფები უნდა დააბრუნოს:

„პოპულიზმი – ასკვნის ლაკლო – არის არა იდეოლოგია, არამედ პოლიტიკის აწყობის ისეთი ხერხი, რომელიც საზოგადოების ორ ნაწილად დაყოფას ეყრდნობა და „იმათ, ვინც დაბლა არიან“ მოუწოდებს მობილიზებისკენ არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. პოპულიზმი ჩნდება ყოველ ჯერზე, როდესაც საზოგადოებრივი წყობა აღიქმება, როგორც არსებითად უსამართლო და, როდესაც არსებობს კოლექტიური მოქმედების ახალი სუბიექტის – ხალხის ფორმირებისკენ მოწოდება, რომელსაც შეეძლება ამ წყობის გარდაქმნა მის საძირკველშივე. პოპულიზმი არ არსებობს ახალი გლობალური კოლექტიური ნების ფორმირებისა და აგრეგაციის გარეშე“.[7]

„ისინი, ვინც დაბლა არიან“, ქართულ რეალობაში არის არა სოციალური ფენა ან კლასი, არამედ ყველა, ვინც ყოველ მოცემულ მომენტში ხელისუფლებაში არ იმყოფება. კოლექტიური ნების კონსტრუირებისას იქმნება „შეუძლებელი კოალიციები“ პრინციპით „ყველა ერთის წინააღმდეგ“, სადაც ერთიანდებიან სრულიად განსხვავებული ხედვების მქონე ძალები – მაგალითად, „ნაციონალური მოძრაობა“, “ლეიბორისტები,“ „გირჩი“ და „დემოკრატრიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“.

მაგრამ, ვინაიდან პოპულისტური ძალები ხან ოპოზიციაში და ხან – ხელისუფლებაში არიან, მათ უწევთ არჩევნებში მონაწილეობა და უმრავლესობის მოპოვება, „ხალხი“ მათ დისკურსში ვერ იქნება მუდმივად დაბლა, მას ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სჭირდება რეინტერპრეტაცია, რომელიც ლიდერებს ისევ მის სათავეში ამყოფებს. ამ ინტერპრეტაციას ვეღარ უზრუნველყოფს მარტოოდენ ბრალდებები ხელისუფლების მისამართით.

ლაკლოს მიხედვით, პოპულისტმა ლიდერმა უნდა შეძლოს, გააერთიანოს სოციალური ჯგუფების ჭრელი სპექტრი და ამისთვის უნდა გახდეს „ცარიელი აღმნიშვნელი“ – სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა და ინტერესების თვალში ნიშნავდეს ყველაფერს და არაფერს.[8] ამგვარი ლიდერობა უჭირთ ყველაზე ნიჭიერ პროპაგანდისტებსაც კი, ისეთსაც კი, როგორიც იყო სააკაშვილი. ვარდების რევოლუციის შემდეგ მან შეძლო გარკვეული პერიოდის განმავლობაში ყოფილიყო დავით აღმაშენებელი კონსერვატორებისთვის, პროდასავლური რეფორმატორი – ლიბერალებისთვის, „ჩვენი პატარა სტალინი“ კორუფციონერების მტრებისთვის, მაგრამ ყველა ეს ინტერპრეტაცია, საბოლოო ჯამში, მტრის ხატის სტაბილურ იმიჯს საჭიროებდა და

ეს გახდა რუსეთი, პუტინი და საქართველოში მათ აგენტებად შერაცხული ყველა, ვინც არ იყო სააკაშვილის მომხრე.

„აღმნიშვნელის“ ამგვარი პოპულისტური „სიცარიელე“ ცხადყოფს, რომ არსებობს განსხვავება „ხალხოსნობასა“ და პოპულიზმს შორის. მიუხედავად იმისა, რომ თავად ტერმინის საწყისები რუსეთის „ნაროდნიკობასთან“ ან ამერიკულ ფერმერთა პარტიასთან მიდის, მათ შორის სხვაობა არსებობს. „ხალხოსნობის“ მაგალითად შეიძლება წარმოვიდგინოთ „რიონის ხეობის მცველთა“ მოძრაობა, რომელიც აპროტესტებდა ნამახვანჰესის მშენებლობას რიონის ხეობაში. პროტესტში ძირითადად მონაწილეობდა ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც ძლიერ რელიგიურ და ტრადიციონალისტურ ღირებულებებს ეყრდნობოდა. მიუხედავად ბევრი სხვა მახასიათებლისა, რომელიც მათ პოპულიზმთან აახლოებს (ქარიზმატული ლიდერი, ძლიერი უნდობლობა პარტიების მიმართ, გაცხადებული აპოლიტიკურობა პოლიტიკური მოთხოვნების ფონზე), ეს მოძრაობა უფრო ტრადიციულ ინტერესთა ჯგუფად უნდა წარმოვიდგინოთ, სწორედ, ძლიერი ტრადიციონალისტურ-რელიგიური ორიენტაციის გამო.

ტრადიციონალისტური ხალხოსნობა გლობალურ ნეოლიბერალიზმში ნამდვილად „დაბლა“ ყოფნის განცდით ხასიათდება, მაგრამ ის „ხალხის“ ინტერპრეტაციის მხოლოდ ერთი და არა ერთადერთი ფორმაა. მის საპირისპიროდ არსებობს ხალხის გლობალისტური ინტერპრეტაცია: „ჩვენ ვართ ქართველები, მაშასადამე ვართ ევროპელები“.

მიუხედავად მისი აშკარა პოლიტიკური კონიუნქტურობისა, ზურაბ ჟვანიას ამ ფრაზამ მყარი ადგილი დაიმკვიდრა ქართველების ცნობიერებაში. ის გამოხატავს ერთდროულად რამდენიმე სულისკვეთებას და, ამდენად, ლაკლოსეული ცარიელი აღმნიშვნელის როლს თამაშობს.

ლიბერალებისთვის ეს გამონათქვამი იკითხება როგორც პროდასავლურობის დეკლარირება, ცივი ომის დღის წესრიგის გაგრძელება, სადაც ერთ მხარეს დგას საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმი, ხოლო მეორე მხარეს – ლიბერალური დემოკრატია და საბაზრო ეკონომიკა. 90-იან წლებში ეს განწყობა „დემოკრატიზაციის“ ლოზუნგის ქვეშ ოპერირებდა, ხოლო ვარდების რევოლუციის შემდეგ დემოკრატიზაცია, როგორც განვითარების ორიენტირი, ევროინტეგრაციამ ჩაანაცვლა.

ნაციონალისტები ამ გამონათქვამს გარკვეულწილად ელიტისტურ მნიშვნელობას ანიჭებენ და ეროვნული სიამაყის წყაროდ იხილავენ. ჩვენ ვართ

ქართველები, რომლებსაც ევროპულობის რეალიზებაში საუკუნეების განმავლობაში ხელს უშლიდა ოკუპანტი რუსეთი. ევროპულობა ამ შემთხვევაში იმავდროულად არის ანტიაზიურობა, რეგიონის სხვა ერებზე აღმატებულობა და ევროცენტრული ცივილიზაციური განწყობა.

ბიძინა ივანიშვილმა პროევროპულობას კიდევ ერთი, ტრადიციონალისტური მნიშვნელობა შემატა. ამ ინტერპრეტაციაში ევროპულობა ანტიგლობალისტურია, ის ნიშნავს „ბებერ ევროპას“, რომელიც საკუთარ იდენტობას იცავს მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებების საპირისპიროდ. ნიშანდობლივია, რომ ივანიშვილს, სააკაშვილისგან განსხვავებით, ახასიათებს მისწრაფება არა პოლიტიკური რეფორმების ლიდერობისკენ, არამედ ხალხის სახელით ხელისუფლების კონტროლისკენ სისტემის მიღმა ყოფნის პოზიციიდან. ამ პოზიციაში იგრძნობა მმართველების მიმართ უნდობლობისა და მათი კონტროლის განხორციელების მისწრაფება, რომელიც ვერტიკალური დემოკრატიის ყველაზე გავრცელებულ სამოქალაქო პოზიციას განასახიერებს.[9]

პოლიტიკურ დისკურსში ჟვანიას გამონათქვამი ტრანსლირებულია ევროინტეგრაციის მისწრაფებაში, რომელიც შიდა რეფორმებსა და საგარეო პოლიტიკას აერთიანებს. ხელისუფლების დისკურსში ვარდების რევოლუციიდან – დღემდე „ევროინტეგრაცია“ უკავშირდება ისე, როგორც ქვეყნის ევროპეიზაციას, ანუ ევროპულ ყაიდაზე ცხოვრების დალაგებას, ასევე ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივას. ტერმინით ამ მანიპულირების საჭიროება განპირობებულია იმით, რომ ევროკავშირი არანაირად არ სთავაზობდა საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივას, ხოლო სამეზობლო პოლიტიკა და ასოცირების შეთანხმება არ წარმოადგენენ ეტაპებს ევროკავშირში საბოლოოდ შესვლისთვის. მაგრამ მოსახლეობას სჭირდებოდა პოლიტიკური პერსპექტივის ჩვენება და ის დაარწმუნეს ამ პროცესების იდენტურობაში იმ დონემდე, რომ 2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდეგაც, დისკურსი შენარჩუნდა. დღესდღეობით ქვეყნის განვითარების პერპექტივად დასახელებულია 2024 წელს გაწევრიანებისთვის მზაობა და ეს იმ ფონზე, როდესაც ამ გაწევრიანების შეთავაზება ან მინიმალური წახალისებაც კი არ მოდის ევროკავშირიდან.

ევროპეიზაციის და ევროკავშირში ინტეგრაციის დისკურსულმა გაიგივებამ თავისი შედეგი გამოიღო. სოციოლოგიური კვლევები აჩვენებს, რომ ევროატლანტიკური ინტეგრაციის განზომილება წარმოადგენს ყველაზე მდგრად და გავლენიან პოლიტიკურ ფაქტორს, რომელიც დიდწილად განა-

პირობებს ამომრჩეველთა ქცევას. ევროატლანტიკურ ინტეგრაციას მეტი მომხრე ყავს და ეს მომხრეები უპირობოდ დომინირებენ საჯარო სივრცეში. [10]

ამდენად, ევროინტეგრაციამ, როგორც ქვეყნის წინსვლის უალტერნატივო მიმართულებამ, ჩაანაცვლა წინა ეპოქების მიზნები – კომუნიზმი და შემდგომ დემოკრატია. ის, მართალია, შინაარსობრივად განსხვავებულია მათგან, მაგრამ სტრუქტურულად იმავე ფუნქციას ასრულებს – სახავს განვითარების შორეულ მიზანს, რომელიც საზოგადოებამ ერთობლივი ძალისხმევით უნდა მიაღწიოს, კომპეტენტური ლიდერების ხელმძღვანელობით. ეს უალტერნატივობა ქმნის ვერტიკალურობის ფენომენის მყარ დასაყრდენს. უთანასწორობები და კონფლიქტები, რომლებიც არსებობს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის და შესაძლოა, წარმოქმნიდეს მომავლის განსხვავებულ ხედვებს, უკანა პლანზე გადადის. პოლიტიკური შეფასებების პლურალიზმისგან რჩება მხოლოდ ერთი კრიტერიუმი – ხელისუფლების კომპეტენტურობა და ეფექტიანობა განისაზღვრება ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიზნის მიღწევის გზაზე წარმატება-წარუმატელობით. ეს განსჯა კი ეყრდნობა რეტროსპექტულად პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური ძალების წარსული წარმატებების თუ დანაშაულებების შეფასებას და გარდაიქმნება ნდობა-უნდობლობის ფაქტორში, რომელიც, ევროინტეგრაციასთან ერთად, პოლიტიკური განწყობის მეორე უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.[11]

ნიშანდობლივია, რომ 2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების თანახმად, კონსტიტუციის გარდამავალ დებულებებში ჩაიწერა, რომ სახელმწიფომ უნდა იმოქმედოს „ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად“. პოლიტიკური ხედვების კონსტიტუციაში ჩაწერა პოპულიზმისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ნიშან-თვისებაა.

პროცედურული თანასწორობა და შუამავალი ინსტიტუტები

ამ სტატიაში ძირითადად აქცენტი გაკეთებულია პოლიტიკური პროცესის შინაარსზე და მის შედეგებზე. მაგრამ, ცხადია, ყველაზე იდეალურ დემოკრატიაშიც კი არსებობს პრობლემები, რომლებიც პროცედურულ თანასწორობას შეეხება. აქვს თუ არა ყველა მოქალაქეს თანაბარი შანსი და შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს იმაზე, თუ რა ხდება მმართველობაში?

როგორც წესი, ეს პრობლემა განიხილება საარჩევნო პროცესის კონტექსტში. მსჯელობა ეხება არჩევნების გამართულ ფუნქციონირებას, მათ კონკურენტულობას, შესაძლო გაყალბებას, პოლიტიკურ დისკრიმინაციას, მოსყიდვას, მოტყუებას და ა. შ. – მოკლედ იმას, რასაც შეიძლება, არაკეთილსინდისიერი ან არასრულყოფილი პოლიტიკური კონკურენცია დავარქვათ. ის ადამიანები, ვინც აქ ხედავენ ქართული დემოკრატიის მთავარ პრობლემას, დღევანდელ ვითარებას ინტერპრეტირებენ, როგორც ტრანზიტულს – დემოკრატიის მშენებლობა, რომელიც 30 წლის წინ დაიწყო, ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი. მთავარი გამოწვევა მდგომარეობს იმაში, რომ კიდევ მეტი გაკეთდეს ამ მიმართულებით, რათა სისტემა დალაგდეს, ხოლო ძირითადი აღმოსაფხვრელი პრობლემები შესაძლოა ორი დიდი კატეგორიის ქვეშ დაჯგუფდეს: არჩევნებში ადმინისტრაციული რესურსისა და ფულის არაკეთილსინდისიერი გამოყენება. არსებითად ორივე ეს კატეგორია დაიყვანება ერთზე: ფულადი რესურსების ფლობა, იქნება ეს კერძო ფული, სახელმწიფო სახსრები თუ არალეგალური (უცხოური) დახმარება, წარმოადგენს გადამწყვეტ უპირატესობას არჩევნებში გამარჯვების მოსაპოვებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასება არგუმენტირებულია, ის არასაკმარისად ჟღერს. იმისთვის, რომ ფული გახდეს პოლიტიკურად რელევანტური, ის საჭიროებს ტრანსლირებას საზოგადოებრივ აზრში და ამომრჩეველთა ქცევაში, რაც გარანტირებული არ არის. ამ პროცესში ჩართულია მედია, საზოგადოება, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა ინსტიტუტები, რომლებიც არჩევნებს შორის ფუნქციონირებენ. მათ აქვთ გავლენები, რომლებიც უნდა „რეზონირებდეს“ პოლიტიკაზე გაწეულ ხარჯებთან იმისთვის, რომ ამ ხარჯებმა “იმუშაონ“. ამ ქვეთავში ამ ინსტიტუტებზე, ანუ, ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოებაზე იქნება საუბარი.

როგორც ამას ალექსის დე ტოკვილი აღნიშნავდა, თანასწორობისთვის ბრძოლა ამერიკელების ყველაზე დიდ ლტოლვას წარმოადგენს. თანასწორობისკენ ეს მიდრეკილება არ არის სპეციფიურად ამერიკული – ქართული საზოგადოების მაგალითზე შეგვიძლია, დავინახოთ ანალოგიური განწყობა. რა არის ის თანასწორობა, რომელსაც ესწრაფვიან ქართველები და რამდენად განხორციელებადია ის ვერტიკალური დემოკრატიის პირობებში?

ჯერ კიდევ საბჭოთა დროიდან ეროვნული იდენტობით სიამაყის განცდა უკავშირდებოდა დამოუკიდებლობისკენ ლტოლვას; ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობით დაიწყო სამოქალაქო აქტივობა. დამოუკიდებლობის

მოპოვების კვალდაკვალ, საქართველომ რუსეთთან თანასწორუფლებიანი ურთიერთობებს ვერ მიაღწია, ხოლო რუსეთი არ წავიდა დათმობაზე საქართველოს ტერიტორიებთან მიმართებით. ამ ფაქტორების გათვალისწინებით დღის წესრიგში დარჩა რუსეთის გავლენისგან თავის დაღწევის სწრაფვა, თუმცა ამ ყოველივეს ახალი უთანასწორობებიც დაემატა. პატარა და ღარიბი საქართველო გლობალიზაციის პირობებში აღმოჩნდა ძლიერი გარე გავლენების ქვეშ, რომლებიც იქცნენ უთანასწორობის ბევრად უფრო აქტუალურ წყაროებად, როგორც ინდივიდუალური და ჯგუფური წინსვლისა და სოციალური მობილობის განპირობებაში, ისე ინდივიდუალური და ეროვნული იდენტობის განცდაში.

აშკარაა, რომ გარე სამყაროსადმი გახსნილობა და ნეოლიბერალური გლობალიზაციით შექმნილი ძალაუფლებრივი ურთიერთობები ქმნიან უთანასწორობის იმ ახალ ვერტიკალს, რომელთანაც დაკავშირებულია თითოეული ადამიანის ცხოვრება. ეს უთანასწორობა ვერტიკალურია იმდენად, რამდენადაც გავლენის ცენტრები, მათ შორის ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური, ქვეყნის გარეთ იმყოფება და მოქალაქეთა კონტროლს არ ექვემდებარება. ამ ახალ გარემოში მოსახლეობამ მიმართა უფრო ადაფტაციურ სტრატეგიას, რომლის წარმატება-წარუმატებლობა ასევე არათანაბრადაა გადანაწილებული.

აქ, სავარაუდოდ, უნდა ვეძებოთ მთავარი სხვაობა ტოკვილისეულ საზოგადოებრივ აქტიურობასა და საქართველოს რეალობას შორის. ტოკვილისეული მოქალაქეები ქმნიან მრავალრიცხოვან და ჭრელ გაერთიანებებს, რათა მიაღწიონ საერთო მიზნებს და გადაჭრან კოლექტიური პრობლემები სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. ამის საპირისპიროდ, ქართველები ერთიანდებიან ძირითადად მაშინ, როდესაც ან სახელმწიფოს უნდა მოსთხოვონ რამე, ან აიცილონ ის, რაც სახელმწიფოსგან მოდის. თვითმმართველობა, სოციალური კონფლიქტების კონტრაქტული რეგულირება და კოლექტიური მოქმედების სხვა ფორმები იშვიათი პრაქტიკაა.

ნებისმიერი სოციალური პრობლემის ადრესატი ყოველთვის არის ხელისუფლება, რომელმაც უნდა დაარეგულიროს ვითარება კანონის ძალით, აღკვეთოს დანაშაული და სხვა. მოქალაქეები არ არტიკულირებენ თავის ინტერესებს (რომლებიც სუბიექტურია), არამედ მოითხოვენ უფლებებს. ასე მაგალითად, შრომითი ურთიერთობები არ აღიქმება, როგორც კონფლიქტი დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის, არამედ ინტერპრეტირდება, როგორც კონფლიქტი

სახელმწიფოსა და ხალხს შორის. ჟურნალისტები არ ერთიანდებიან თავისი პროფესიული უფლებების დასაცავად დამსაქმებლების წინააღმდეგ მაშინაც კი, როდესაც მათ სიცოცხლისთვის საშიშ პირობებში უწევთ მუშაობა; ისინი დამსაქმებლებთან ერთად ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხს აყენებენ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ადამიანები შედარებით ადვილად ეგუებიან ეკონომიკურ უთანასწორობას, როგორც ლეგიტიმურს, ან ერიდებიან მდიდარ და გავლენიან ადამიანებთან დაპირისპირებას. მდიდრებსა და ღარიბებს შორის პოლიტიკური დაპირისპირება შესაძლოა ერთ-ერთი ის მიზეზია, რის გამოც ქართული სამოქალაქო საზოგადოება, მართალია, გათავისუფლდა სახელმწიფოს კონტროლისგან, სამაგიეროდ პოლიტიზირებულ მსხვილ დაფინანსებაზე დამოკიდებულების აშკარა ნიშნებს ატარებს.

ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობა გავლენას ახდენს სამოქალაქო აქტივობაზე არა მარტო საქართველოში, არამედ დამკვიდრებულ დემოკრატიებშიც. ეს ყველაზე კარგად ამერიკის მაგალითზეა გამოკვლეული. მიუხედავად იმისა, რომ დაბალი სოციალური ფენები მეტს საჭიროებენ, ზედა სოციალური ფენები გაცილებით მეტად აქტიურობენ და მეტი გავლენითაც სარგებლობენ.[12] გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს არა აქვთ საკმარისი თავისუფალი დრო და მატერიალური რესურსები, რათა საკუთარი ინტერესები პოლიტიკის დღის წესრიგში დააყენონ. შესაბამისად, იქმნება გარკვეული დისპროპორცია განსხვავებული კლასების ღირებულებების საჯარო რეპრეზენტაციაში.

საქართველოს სამოქალაქო სივრცეს აქვს ამერიკულისგან ოდნავ განსხვავებული სტრუქტურა. მთავარი სხვაობა ამ სტრუქტურის ეკონომიკაში მდგომარეობს. საქართველოში თითქმის არ არსებობს ტოკვილისეული მასობრივ ნებაყოფლობით აქტივობაზე და საწევრო შენატანებზე დაფუძნებული გაერთიანებები. ხოლო მრავალრიცხოვანი არასამთავრობო ორგანიზაციები არსებობენ უცხოური გრანტებითა და ასაქმებენ პროფესიულ კადრებს. წარმოადგენენ რა დასაქმების ფორმას მათთვის, ვინც დაინტერესებულია პოლიტიკური და საზოგადოებრივი საქმიანობით, ისინი არა ზედა სოციალური ფენებისგან შედგებიან, არამედ ქმნიან სოციალურ ლიფტებს, განსაკუთრებით დაბალშემოსავლიანი ახალგაზრდებისთვის. ამ სტრუქტურიდან გამომდინარე, არასამთავრობო სექტორი არის უფრო გლობალური და არა ლოკალურად წარმოქმნილი სამოქალაქო სივრცის ნაწილი. შესაბამისად, ის პრეტენზიას გამოთქვამს ექსპერტობაზე, ვიდრე რომელიმე ჯგუფის წარ-

მომადგენლობითობაზე. დისკურსულად ეს ორგანიზაციები, როგორც წესი, ლაპარაკობენ ადამიანთა უფლებებზე და არა ცალკეული ჯგუფების ინტერესებზე. მიუხედავად მათში არსებული იდეოლოგიური სიჭრელისა, არასამთავრობოები ვერ ახერხებენ ჰორიზონტალური პლურალიზმის შექმნას და მეტწილად პროტესტულ სამოქალაქო აქტივობასა და ხელისუფლების მაკონტროლებელ უნდობლობას აძლიერებენ.

მრავალრიცხოვანი პოლიტიკური პარტიები თითქოს უნდა სთავაზობდნენ ამომრჩევლებს პლურალისტურ არჩევანს, თუმცა აქაც თავს იჩენს დიდი ფულის დომინირება მოქალაქეთა მასობრივ შენატანებზე და დემოკრატიული ცენტრალიზმის საბჭოური ტრადიცია, რომელიც პარტიის წევრობას გავლენას უკარგავს. გახსნილი და ინკლუზიური ორგანიზაციების ნაცვლად, ისინი ემსგავსებიან ექსკლუზიურ, დახურულ და ვიწრო ერთობებს, რომლებიც შეკრულია ერთგულების და არა პრინციპების ლოგიკით. საჯარო დისკურსში პარტიების აღმნიშვნელად დომინირებს ტერმინი „გუნდი“ – პერსონიფიცირებული ელიტარული ჯგუფი, რომლიდანაც გასვლა ღალატის ტოლფასია, ხოლო ერთგულება – გაუმჭვირვალეობას მოითხოვს.

საჯარო სივრცის მთავარ ინსტიტუტებს წარმოადგენენ ტელევიზიები, რომლებიდანაც საზოგადოება ძირითადად ღებულობს ინფორმაციას. განსხვავებით არასამთავრობო ორგანიზაციებისგან, სადაც პროექტების უმრავლესობა მცირე ოდენობის დაფინანსებით კეთდება, ტელევიზიები საჭიროებენ მსხვილ ინვესტიციებს. ეს ინვესტიციები ადგილობრივი ბიზნესმენების მიერ ხორციელდება. აქ იკვეთება პოლიტიკისა და ეკონომიკის შეზრდის ოლიგარქიული, კლიენტალიზმისთვის დამახასითებელი სტრუქტურა. კერძო და პოლიტიკური ინტერესების შერწყმის ამ ვარიანტში ტელევიზიები იძენენ მკვეთრად პოლიტიზირებულ ხასიათს და ეწევიან პოლიტიკურ პროპაგანდას. მხოლოდ ის პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც ემსახურება ესა თუ ის სატელევიზიო არხი, ახერხებენ არჩევნებში წარმატებას და პარლამენტში მოხვედრას. ნიშანდობლივია, რომ მაუწყებლობის ამგვარი სტრუქტურა დამახასიათებელია სწორედ იმ ქვეყნებისთვის, სადაც პოპულიზმი ბატონობს (მაგალითად, ლათინული ამერიკა).[13]

როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ინტერესები ტელევიზიებს უბიძგებენ იბრძოლონ რეიტინგებისთვის და გაუწიონ ერთმანეთს კონკურენცია. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ეს ხელს უწყობს პოლარიზების ზრდას. სკანდალები, პერსონალიებს შორის დაპირისპირებები და ხელისუფლების

მიმართ მხილებითი პოზიციის დაკავება ტიპური მიდგომაა ყურებადობის უზრუნველსაყოფად.[14] სატელევიზიო თოქ-შოუებში მონაწილეობენ ე.წ. „ექსპერტები“ და თითქმის არ ჩანან უბრალო ადამიანები ანუ „ხალხი“, რომელიც ეკრანს მიღმა მოიაზრება.

სწორედ ტელევიზიების პოლიტიზირება განაპირობებს იმას, რომ დიდ ფულს განუზომლად მეტი პოლიტიკური გავლენა მოაქვს. მას მერე, რაც სახელმწიფო აღარ და ვეღარ ზღუდავს ახალი ტელეარხების წარმოქმნას, ეს სფერო თითქმის მთლიანად კერძო მესაკუთრეებით იმართება.

განსხვავებით მასიფიცირებული სატელევიზიო სივრცისგან, სოციალური ქსელები, თითქოს, უნდა ყოფილიყო პოლიტიკური და ეკონომიკური ზეგავლენებისგან თავისუფალი კომუნიკაციის ადგილი, რომელსაც ფლობს საზოგადოება ან, როგორც მინიმუმ, მისი ზედა ფენა. მოქალაქეთა პოლიტიკური აქტივობის დიდი ნაწილი სწორედ ამ სივრცეში იყრის თავს ჯერ კიდევ სააკაშვილის მმართველობის დროიდან. თუმცა ეს სივრცეც იქცა დაფინანსებული შეტყობინებების ადგილად, რომელიც, სატელევიზიოსთან შედარებით, ბევრად საშიშია, რადგან ყალბი ინფორმაციის, ბულინგისა და პირდაპირი პიროვნული შეურაცხყოფისგან არანაირი ეთიკური დამცავი ქმედითი ინსტრუმენტი არ გააჩნია. სოციალურ მედიაში წარმოებული პოლიტიკური კამპანიები წმინდად პოპულისტურია, მათი დანიშნულებაა უნდობლობის გაღვივება და რეალობის კონსპიროლოგიური სურათის შექმნა.

მედიისგან და არასამთავრობოებისგან განსხვავებით, პოლიტიკურად მოტივირებული დაფინანსება თითქმის არ მიედინება ისეთ დაწესებულებებში, როგორებიცაა უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები. ფინანსირების დისბალანსი ცოდნის წარმოებასა და პოლიტიკურ ინტერპრეტაციებს შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ იხრება, რაც კიდევ უფრო აძლიერებს პოპულიზმის გავლენას მოსახლეობაზე.

ინფორმაციული ეკონომიკა და კოვიდ 19-ის პანდემია

პოპულისტური დემოკრატიისთვის დამახასიათებელი უნდობლობა მმართველობის მიმართ შესაძლოა სულაც არ არის ირაციონალური ემოცია. ნეოლიბერალიზმის ბატონობის შედეგად სახელმწიფომ უკანა პლანზე დაიხია, შეიკუმშა და დიდწილად დაკარგა საყოველთაო სიკეთის წარმოების

უნარი. ნეოლიბერალური კაპიტალიზმი მოქმედებს როგორც სოციალიზმი უმცირესობისთვის და ველური კაპიტალიზმი – ყველა დანარჩენისთვის. ამ დროს კი ახალი, თანამედროვე გამოწვევები, რომელთა წინაშეც დადგა კაცობრიობა, მოითხოვს მმართველობას ყველასთვის და არა მარტო ცალკეული ნაწილისთვის. მეტიც, ისინი საჭიროებენ მთელი კაცობრიობის სოლიდარულ, ტრანსნაციონალურ ძალისხმევას საერთო, განუყოფელი კეთილდღეობის მისაღწევად. ამგვარი გამოწვევებია გლობალური დათბობა და კოვიდ 19-ის პანდემია. არც ერთი და არც მეორე არ შეიძლება დაძლეულ იქნას ინდივიდუალური მისწრაფებების დაკმაყოფილების აგრეგირებით. კლიმატის ცვლილების პრობლემაზე ზრუნვა და პანდემიის დაძლევა კოლექტიურ ღირებულებებს ეყრდნობა – ისინი მიღწევადია ან ყველასთვის ან არავისთვის.

როგორც გლობალურ დათბობას, ასევე პანდემიას აქვთ ერთი საერთო თვისება – ისინი უხილავია ჩვენი პრაქტიკული ყოველდღიური უშუალო დაკვირვებისთვის. საჭიროა მეცნიერების მიერ წარმოებული ცოდნა, რათა დავიჯეროთ, რომ, მაგალითად, დათბობა და არა დივერსია იწვევს გახშირებულ გვალვებსა და ტყის ხანძრებს, ან რომ პირბადის ტარება ამცირებს კოვიდით დაავადების შანსებს. განსხვავებით უმუშევრობისგან ან სიღარიბისგან, რომლებსაც მოსახლეობა უშუალო ცხოვრებაში აღიქვამს და ინდივიდუალური გამოცდილებით აფასებს, აქ ადამიანს საქმე აქვს უხილავ მტრებთან, სითბურ გაზებთან და ვირუსთან, რომელთა არსებობის ან წარმომავლობის დადასტურებას სჭირდება სპეციალიზებული ცოდნა და კვლევა.

შესაბამისად, მოქალაქესა და მის რაციონალურ ქცევასა თუ განსჯას შორის დგება შუამავალი – სპეციალისტის სახით, რომლის მიმართ მას შეიძლება ჰქონდეს ნდობა ან უნდობლობა. ეს სპეციალისტი დასაყრდენია არა მარტო მოქალაქისთვის, არამედ სახელმწიფოსთვისაც, სადაც უნდა გადაწყდეს პრობლემის დაძლევის სტრატეგია. პოლიტიკურ უთანასწორობას, რომელიც ადრე წარმომადგენლობას ეყრდნობოდა, ანაცვლებს ვერტიკალური იერარქია, სადაც მაღლა დგას სპეციალიზებული ცოდნით აღჭურვილი ტექნოკრატი, რაც განსხვავებულად აყენებს ამ იერარქიის ლეგიტიმაციის საკითხს.

პანდემიამ განსაკუთრებით თვალნათლივ გამოააშკარავა ის ახალი რეალობა, რომელიც უკვე კარგა ხანია მომწიფდა ახალი ტექნოლოგიური მიღწევების ფონზე. ეს რეალობა უკავშირდება უთანასწორობის ლეგიტიმაციას, რომელიც ახალ, ინფორმაციულ კაპიტალიზმს ახასიათებს – მიმართება ცოდნასა და ინფორმაციას შორის.

ცოდნას – აქ ჩვენ განვმარტავთ, როგორც იმ ინფორმაციას, რომელმაც გაიარა დასაბუთების ინსტიტუციური პროცესი. ინსტიტუციური პროცესი მოიცავს როგორც მეთოდებს (არგუმენტაცია, ექსპერიმენტი, შერჩევა და სხვა...), ასევე სპეციალიზებულ ინსტიტუტებს (აკადემიური დაწესებულებები, სასამართლო პროცესი) და მრავალრიცხოვან ინდივიდებს, ვინც ცოდნის ვერიფიკაციასა და ლეგიტიმაციას ეწევა. სასამართლოს განაჩენი, სამედიცინო დასკვნა, დაპატენტებული გამოგონება თუ სხვა – იმ ინფორმაციის მაგალითებია, რომელსაც აქვს პრეტენზია, იმსახურებდეს ნდობას იმიტომ, რომ ის სწორია.

ისევე, როგორც დემოკრატიის შემთხვევაში, ინსტიტუტები (ანუ თამაშის წესები), რომლებითაც იქმნება ცოდნა, უნდა აკმაყოფილებდეს პროცედურული თანასწორობის კრიტერიუმს – ყველას უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა, მიიღოს მონაწილეობა მის შექმნაში. ეს თანამონაწილეობა შეიძლება იყოს გაშუალებული განათლების სისტემით და მოითხოვდეს სპეციალიზებული ცოდნის მიღების შესაძლებლობას, მაგრამ ასევე ის უშვებს ინდივიდუალურ და კოლექტიურ კრიტიკას ფაქტებზე და არგუმენტებზე დაყრდნობით. თანამონაწილეობის ეს მეორე ფორმა აქტუალურს ხდის ნდობა-უნდობლობის საკითხებს და ცრუ ინფორმაციის ფენომენს, რომლებმაც განსაკუთრებით თავი იჩინეს მასობრივი ვაქცინაციის პროცესში.

მაგრამ, ისევე როგორც პოლიტიკურ თანასწორობის პრობლემის შემთხვევაში, აქ დგება მეორე საკითხიც: არსებითია არა მარტო ის, თუ ვინ აწარმოებს ცოდნას, არამედ ისიც, თუ ვისთვის იწარმოება ის? რამდენად არის ეს ცოდნა და მისი შედეგები თანაბრად ხელმისაწვდომი და სასარგებლო ყველასთვის? ეს კითხვა აქტუალური ხდება საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ვინაიდან ინფორმაციულ კაპიტალიზმში ცოდნა იძენს წამყვან როლს, როგორც წარმოების საშუალება, რომელიც ბევრად უფრო მომგებიანია, ვიდრე მატერიალური წარმოების ტრადიციული რესურსები. ამდენად, ცოდნის ფლობასა და მის წარმოებაში სულ უფრო მეტად ებმის ერთმანეთს პოლიტიკური და ეკონომიკური შინაარსები.

პრობლემის არსი კარგადაა აღწერილი რობერტ რაიხის წიგნში Saving Capitalism: For the Many, Not the Few (2016). რაიხი აღნიშნავს, რომ თამაშის ის წესები, რომლებიც მართავენ ეკონომიკას, შექმნილია ადამიანების მიერ, მათში არაფერია არც ბუნებრივი და არც უეჭველი. თითოეულ საკუთრებას, მონოპოლიას, ტრანზაქციასა თუ სხვა ეკონომიკურ მოვლენას ამყარებს კანონი,

ნორმა, რომელსაც აწესებს და აღასრულებს პოლიტიკური სისტემა და პოლიტიკური ნება, რომელიც ამ სისტემას ამოძრავებს. თუკი ძირითადი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენები თავმოყრილია ვიწრო ჯგუფის ხელში (რაც ბოლო ათწლეულების ტენდენციას წარმოადგენდა), სისტემა იწყებს მოქმედებას ამ ჯგუფის სასარგებლოდ. ის ქმნის და აღასრულებს ისეთ წესებსა და კანონებს, რომლებიც ამ ჯგუფის ინტერესებს ემსახურება. შედეგად კაპიტალიზმი ვეღარ უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობის ზრდას, არამედ ხდება მზარდი უთანასწორობისა და უსამართლობის წყარო. ამდენად, პრობლემა მდგომარეობს არა იმაში, თუ რამდენი რეგულირება ან დერეგულირება სჭირდება ბაზარს – რაც, ტრადიციულად, მემარჯვენე-მემარცხენე დებატების საგანს წარმოადგენს, არამედ იმაში, რომ ეს დებატები არარელევანტურია: ბაზრის ყველა პარამეტრი უკვე წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესების შედეგს.

> *„პრობლემის გადაწყვეტა არ მდგომარეობს მცირე ან დიდ მთავრობაში. პრობლემა მთავრობის ზომა კი არ არის, არამედ ის, თუ ვისთვის არის ეს მთავრობა. გამოსავალი ის იქნება, რომ დიდმა უმრავლესობამ მოახერხოს გავლენის დაბრუნება ბაზრის მოწყობაზე.“* – წერს რაიხი თავის ნაშრომში.[15]

ინფორმაციული ეკონომიკის განვითარება კიდევ უფრო ამწვავებს ამ პრობლემას და განსაკუთრებით ართულებს ბაზრის წესების რეგულირების საკითხებს. მატერიალური საკუთრებისგან განსხვავებით, ინტელექტუალური საკუთრება რთულად ექვემდებარება დაკვირვებას და ხშირად რთულად გასაგებია ფართო საზოგადოებისთვის. საზოგადოება ხედავს შედეგებს, რომლებიც მოყვება მათთვის უხილავ წესებს და რეგულირებებს, მაგრამ არ იცის რა ქნას და რა გააპროტესტოს, როდესაც სისტემა მის წინააღმდეგ იწყებს ფუნქციონირებას.

კოვიდის პანდემიამ ნათლად დაგვანახა ის პრობლემა, რომელსაც აღწერს რაიხი. იმ პირობებში, როდესაც გადამდები ინფექცია კოლექტიური უსაფრთხოებისა და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხებს წინ წევს, სახელმწიფო ხდება ვალდებული ზომები მიიღოს. ერთ-ერთი პირველი ზომა, რაც განახორციელეს განვითარებულმა ეკონომიკებმა, იყო კოვიდის ვაქცინის შემუშავების დაფინანსება საბიუჯეტო ფულის გამოყენებით. შესაბამისად, მათ მიიღეს პრივილეგია, დაეწყოთ საკუთარი მოსახლეობის აცრა

სხვებზე ადრე. ვაქცინები, მათი შეზღუდული რაოდენობის გამო, აღმოჩნდა საზოგადოებრივი და არა საბაზრო პროდუქტი. მიუხედავად იმისა, რომ ფარმაცევტულ სფეროში არსებული ცოდნა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერების თანამონაწილეობით იწარმოება, გლობალური სოლიდარობის პრინციპმა, რომელსაც პროპაგანდირებდა ამ პერიოდში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (უსამართლობაა აიცრან ახალგაზრდები მდიდარ ქვეყნებში, სანამ ღარიბი ქვეყნების რისკჯგუფები არ არიან აცრილი), ვერ იმუშავა. ტრამპისეული ლოზუნგი „ამერიკა უპირველეს ყოვლისა," რომელმაც სიმბოლურად მონიშნა ნეოლიბერალური გლობალიზაციის უნივერსალისტური პრინციპების დასასრული, გაგრძელება ჰპოვა ბაიდენის პოლიტიკაში, რომელიც ამერიკის მოსახლეობისთვის მაქსიმალურად სწრაფი აცრის უზრუნველყოფაზე იყო მიმართული.

საქართველომ შედარებით გვიან მიიღო ვაქცინების საკმარისი რაოდენობა, რათა მასობრივი ვაქცინაცია დაეწყო. მაგრამ ამან არ გამოიწვია რაიმე ცხადი პროტესტი გლობალური უთანასწორობის წინააღმდეგ. ეს აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ქართველები უთანასწორობას, როგორც ასეთს, შეგუებულები არიან. უთანასწორობის გაპროტესტების ნაცვლად, ვაქცინების გამოჩენასთან ერთად თავი იჩინა საზოგადოებრივმა უნდობლობამ. ვაქცინაციამ საზოგადოებრივი აზრი დაყო აცრის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად.

კოვიდ პანდემიის მართვამ საქართველოში პირველი ტალღიდან – მეოთხემდე საოცარი ევოლუცია განიცადა. თუკი დასაწყისში ქვეყანა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული იყო ვირუსის გავრცელების შეზღუდვაში, მეოთხე ტალღის დროს ის უკვე სიკვდილიანიობითა და ინფიცირებით მსოფლიოს ერთ-ერთ პირველ ადგილზე გავიდა. ამ ევოლუციის მთავარი მიზეზი, სავარაუდოდ, სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური რესურსის ამოწურვა აღმოჩნდა. პირველი ტალღის დროს დაწესებული მკაცრი შეზღუდვები, საგანგებო მდგომარეობა და ხელგაშლილი ფინანსური კომპენსაციების გაცემა მხოლოდ ერთჯერადად მოხერხდა და შემდგომი ტალღების დროს ვეღარ განმეორდა. მკაცრი შეზღუდვების დაწესება საჭიროებდა 2020 წლის საპარლამენტო და 2021 წლის ადგილობრივი არჩევნების გადადებას, რაც პოლიტიკურ სისუსტედ იქნებოდა აღქმული და გამოიწვევდა ტურიზმზე ორიენტირებული ეკონომიკის კიდევ უფრო დაცემას. შესაბამისად, დაინფიცირების აცილებაზე პასუხისმგებლობამ სახელმწიფოდან დიდწილად საზოგადოებაზე

გადაინაცვლა. საზოგადოების განწყობების და უნდობლობის პრობლემებმა კი განსაკუთრებით იჩინეს თავი მას მერე, რაც 2021 ზაფხულში ქვეყანაში შემოვიდა დიდი ოდენობით ვაქცინა და საყოველთაო ვაქცინაცია დაიწყო.

ვირუსის დელტა ვარიანტის გავრცელებით და ავადობისა და სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლით აბსტრაქტული საფრთხის კატეგორიიდან კოვიდი თითოეული ოჯახისთვის პრაქტიკულ რეალობად აქცა, რამაც, გარკვეულწილად, შეუწყო ხელი საზოგადოებრივი აზრის გადახრას ვაქცინაციის სასარგებლოდ, მიუხედავად სოციალურ ქსელებში მრავლად გავრცელებული ანტივაქსერული შინაარსებისა. შეიძლება ვივარაუდოდ, რომ ის ადამიანები, ვისაც ჰქონდა მეტი გახსნილობა და ნდობა ხარისხიანი ინფორმაციისა და ცოდნის შემქმნელი ინსტიტუტების მიმართ, აღმოჩდნენ პრივილეგირებულ მდგომარეობაში. მათ უფრო ადრე გაიარეს ვაქცინაცია და ამით საკუთარი გადარჩენის შანსი გაზარდეს. ამდენად, კოვიდმა ფაქტობრივად ინფორმაციული სისტემის მიმართ ნდობა-უნდობლობის საკითხი ვირტუალური სივრციდან ემპირიულ რეალობაში გადაიტანა.

სოციოლოგიური კვლევები ადასტურებენ, რომ საქართველოში, ანალოგიურად სხვა ქვეყნებისა, განათლების დონე კორელირებს ინდივიდის განწყობასთან – გაიაროს ვაქცინაცია თუ არა,[16] შესაბამისად, ჩნდება მისწრაფება ვაქცინაციის მიმართ წინააღმდეგობა დაძლეულ იქნას სწორი და ფართო პროპაგანდით, ახსნითა და ინფორმაციის მიტანით თითოეულ ადამიანამდე. მაგრამ ისევე, როგორც სხვა უთანასწორობები, ინფორმაციულ უთანასწორობასაც აქვს პოლიტიკური მდგენელი, მაგალითად, აშშ-ში ვაქცინაციის მიმართ განწყობა ასევე ძლიერ კორელაციაშია რესპონდენტის პარტიულ პრეფერენციებთან.[17] საქართველოშიც მმართველი პარტიის მომხრეები უფრო მეტად არიან განწყობილები აიცრან, რაც საკითხის პოლიტიზირებაზე მიუთითებს.[18] პოლიტიკურ კომპონენტს კი საკითხი გადააქვს თანასწორობის (იზონომიის), და არა იერარქიის ჭრილში.

პრობლემის ტექნოკრატიული გადაჭრა მდგომარეობს ვაქცინაციის სავალდებულოობის დადგენაში. არის თუ არა ეს გზა ერთადერთი ალტერნატივა იმისა, რომ მოსახლეობის ნაწილი თავად არ დაზარალდეს და დანარჩენებიც საფრთხის ქვეშ დააყენოს სისტემის მიმართ უნდობლობის გამო? თუ პირიქით, ინდივიდუალური თავისუფლება, საბოლოო ჯამში, გვთავაზობს რაღაც ღირებულს, რასაც ცოდნის არსებული იერარქია ვერ უზრუნველყოფს? ცალსახა პასუხი ამ კითხვაზე არ არსებობს, მაგრამ ცხადია, რომ ბრძო-

ლა ინფორმაციული უთანასწორობის პოლიტიზირების (ანუ ჰორიზონტალურ ჭრილში გადაყვანის) და დეპოლიტიზირების (ვერტიკალურ იერარქიაში მოქცევის) თაობაზე არ ეხება მხოლოდ პანდემიის საკითხს. პანდემიამ მას უბრალოდ თვალნათლივი და საყოველთაო ხასიათი შესძინა.

დასკვნა

ამ სტატიაში ქართული დემოკრატია დახასიათებულია როგორც პოპულისტური, ვერტიკალური დაპირისპირება, რომელშიც პოლარიზებული პოლიტიკური მორალიზმი ესწრაფვის ოპონენტების სამუდამო გარიყვას პოლიტიკური ველიდან. ვინაიდან პოპულიზმი, როგორც ტერმინი, ხშირად განსხვავებულად ინტერპრეტირდება, საჭიროა, კიდევ ერთხელ გავიმეოროთ და დავაზუსტოთ, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება მას აქ.

თანამედროვე მედიაში ყველაზე ხშირად ტერმინი „პოპულიზმი“ გამოიყენება ცალკეული ლიდერების და არა მთლიანად სისტემის აღსაწერად. ამბობენ, რომ დონალდ ტრამპი ან ვიქტორ ორბანი პოპულისტები არიან და, რომ ცალკეული ევროპული პარტიები მისდევენ პოპულისტურ რიტორიკას, რომელიც მემარჯვენე ექსტრემიზმით ხასიათდება. ამ მიდგომისგან განსხვავებით, მოცემულ ნაშრომში „პოპულიზმი“ გამოიყენება არა ცალკეული პოლიტიკური ლიდერების მახასიათებლად, არამედ მთლიანი პოლიტიკური სივრცის ლოგიკის, დემოკრატიის ფუნქციონირების გარკვეული სტილისა და სულისკვეთების აღმნიშვნელად. ამ მხრივ, ვერტიკალური პოპულისტური დემოკრატია არის ტერმინი, რომელიც უფრო მიგვანიშნებს თამაშის წესებზე და საზოგადოების ქცევაზე, ვიდრე ცალკეულ ლიდერებზე.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია განვასხვაოთ პოპულიზმი და პოპულარობა. არსებობს ცდუნება, პოპულისტის სახელი მიენიჭოს ყველა იმ პოლიტიკურ ლიდერს, ვინც ცდილობს, უმრავლესობა მიიმხროს და ამისთვის არ ერიდება დემაგოგიას თუ ემოციებით მანიპულირებას. თუმცა ეს არამართებულია და პოპულიზმი პოლიტიკური ლიდერობის სხვა სტილებისგან უნდა განვასხვაოთ. პირველ რიგში, მისი ნიშანია მტრის ხატის შექმნა და ოპონენტების მიმართ ხალხის სიძულვილის გაღვივება იმ დონემდე, რაც მის უკიდურეს გამოვლინებებში დემოკრატიის მარცხამდე და ფაშიზმის დამკვიდრებამდე შეიძლება მივიდეს (როგორც ამას არაერთი ისტორიული მაგალითი გვიჩვენებს).

პოპულიზმი, როგორც უკვე ითქვა, არ არის იგივე, რაც ხალხოსნობა. დემოკრატიზაციის პროცესში მყოფი პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის დამახასიათებელია ამ ორის გაიგივება ლიბერალური ელიტიზმის მხრიდან. ამ ინტერპრეტაციაში ყველა არალიბერალური პოლიტიკური განწყობა სტიგმატიზებულია პოპულისტურ რეაქციად, რომელიც ლიბერალური დემოკრატიის დამკვიდრებას საფრთხეს უქმნიან. სინამდვილეში, ლიბერალური ელიტიზმი წარმოქმნის ხალხოსნობას როგორც თავის ანტიპოდს, ხოლო პოპულიზმი ჩნდება როგორც ამ ორი დაპირისპირებული მხარის ვერტიკალური შეჭიდების მახასიათებელი ორივე მხრიდან.

ამ განწყობებით განმსჭვალული ვერტიკალური პოპულისტური დემოკრატია წარმოადგენს შუალედურ წარმონაქმნს დემოკრატიასა და ავტორიტარიზმს შორის. ის, ერთი მხრივ, აღიარებს პლურალისტური არჩევნებით ფორმირებული უმრავლესობის მმართველობას, ხოლო, მეორე მხრივ, პოლიტიკური ბრძოლის მთავარ მისწრაფებად იტოვებს ოპონენტის სამუდამო დელეგიტიმაციას და პოლიტიკური ველიდან განდევნას.

ამ მისწრაფებაში, სინამდვილეში, არაფერია ახალი ან განსაკუთრებული. ლიბერალური კონსტიტუციური დემოკრატიის გამართული ფუნქციონირება ყოველთვის ეფუძნება „პოლიტიკურის“ ველის გარკვეულ შემოფარგვლას, პრობლემებისა და ხედვების ნაწილის პოლიტიკიდან გარიყვით, მათი მარგინალიზებითა და კრიმინალიზებითაც კი. ასე მაგალითად, ორი საუკუნის წინ ამერიკაში არსებობდა მონობა, ერთი საუკუნის წინ – კუ-კლუქს კლანი, რომელიც მილიონობით ამერიკელს აერთიანებდა, ხოლო დღესდღეობით ამერიკის საჯარო სივრცეში მონობის მოწონება წარმოუდგენელია არა მხოლოდ რომელიმე პოლიტიკოსისგან, არამედ რიგითი მოქალაქისგანაც. ეს ხედვა გაქრა პოლიტიკის ველიდან პოლიტიკური პროცესის შედეგად, რომლის ერთ-ერთ ეტაპს სამოქალაქო ომი წარმოადგენდა.

საპირისპიროდ, ერთ დროს მარგინალიზებული და პოლიტიკიდან გარიყული ხედვები შესაძლოა, ახალი დღის წესრიგის მეშვეობით ბრუნდებოდნენ, როგორც ეს ხდება ევროპაში ულტრამემარჯვნეობასთან დაკავშირებით. ამგვარი დაბრუნება სწორედ პოპულიზმის გზით, „პოლიტიკურის“ ადრე დამკვიდრებული საზღვრების გადახედვით ხდება. ამდენად, პოპულიზმისგან დემოკრატიის დაცვის პრობლემა, მდგომარეობს არა უსაზღვრო პლურალიზმის დაცვაში (რაც შესაძლოა იწვევდეს ქაოსს) და არც დამკვიდრებული „პოლიტიკურის“ უცვლელობაში (ელიტისტური და ავტორიტარული გადაგვა-

რების რისკით), არამედ პოლიტიკური კონკურენციის ისეთი სახით შენარჩუნებაში, რომელიც არ გადადის სამოქალაქო ომში და სისტემის კრახში.

ვერტიკალური დემოკრატია შეიძლება მივამსგავსოთ ქვიშის საათს – ზევით მმართველობა, დაბლა ხალხი და შუაში ვიწრო ყელი, რომელშიც ნელ-ნელა იყრება ქვიშა – როგორც ნდობა, რომელსაც კარგავს მმართველობა. დროებით ნდობის აღდგენა შესაძლებელია საათის გადაყირავებით, მაგრამ გადაყირავების მომენტით დაწყებული ნდობა – ქვიშა – ისევ იწურება, და ასე უსასრულოდ.

დემოკრატია, რომელიც ქვიშის საათის მსგავსად მოქმედებს, შორსაა იმ იდეალისგან, რომელიც, ლინკოლნის მიხედვით, არის ხალხის მმართველობა ხალხის მიერ და ხალხისთვის. ბევრი ავტორის აზრით, ამ პრობლემის საწყისი ის ვიწრო ყელია, რომელიც გაჩნდა ზედა და ქვედა ნაწილს შორის. დემოკრატიის გაძლიერება საჭიროებს შუამავალი ინსტიტუტების რეფორმას ამომრჩევლებსა და სახელმწიფოს შორის. არასამთავრობოები, მედია, პარტიები. ეს არის ის მექანიზმები, რომლებიც ანიჭებენ ლეგიტიმაციას უთანასწორობების სხვადასხვა სახეობებს და იმავდროულად საზღვრებს უწესებენ მათ: სახელმწიფოსა და მოქალაქეს, ცოდნასა და ინფორმაციას, მდიდრებსა და ღარიბებს შორის (ამ მხრივ განსაკუთრებით აქტუალურია ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული რეგულაციები). საქართველოს მაგალითზე თვალნათლივ აშკარაა, რომ ამ ინსტიტუტებზე დომინირებს კერძო ინტერესები და ფინანსური ბერკეტები. სამოქალაქო სივრცის დაცვა, არა მარტო სახელმწიფო, არამედ ფინანსური წნეხისგან, აშკარად წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა.

შუამავალი ინსტიტუტების გაძლიერება და რეფორმირება აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა იმისთვის, რომ დემოკრატიამ ეფექტურად იმუშაოს. მთავარი, რაც ამ რეფორმირების შედეგად უნდა გაჩნდეს, არის ისეთი პოლიტიკური შეთავაზებები საზოგადოების მიმართ, რომლებიც მიმზიდველი იქნება უმრავლესობისთვის, მათ შორის მოკლევადიან პერსპექტივაში და არა შორეულ მომავალში. მანამ, სანამ განვითარების ყველა სტრატეგია ორიენტირებულია საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილის წინსვლაზე, აბსტრაქტული „ხალხის“ იმიჯით მანიპულირების გზით, სისტემა შეინარჩუნებს მყიფე ვერტიკალურობას.[19]

1. Schumpeter, J. (2003) Capitalism, Socialism and Democracy, London: Routledge., გვ.: 284-285.

2. Dalton, R. J. (1966) Political Cleavages, Issues and Electoral Change. In: Ledue L., Niemi R.G., and Norris P., Thousand Oaks (eds), Camparing Democracies: Elections.

3. Rosanvallon, P. (2008) Counter-Democracy. Politics in the Age of Distrust. Cambridge University Press.

4. Mény, Y. and Yves Surel (2002) The Constitutive Ambiguity of Populism. In: Mény, Yves and Yves Surel (eds), Democracies and the populist challenge. Palgrave გვ.12.

5. Urbinati, Nadia. (2019). Me The People: How Populism Transforms Democracy. Harvard University Press.

6. Pain E.A., Fediunin S.Yu. Populism and Elitism in Contemporary Russia. – Polis. Political Studies. 2019. No. 1. გვ.: 33-48. (In Russ.). https://doi.org/10.17976/jpps/2019.01.04

7. ერნსტ ლაკლო, ციტირებული წიგნში Pierre Rosanvallon, Le siècle du populisme : histoire, théorie, critique. Paris, Seuil, 2020, გვ. 275.

8. Laclau, E. (2005) On Populist Reason. Verso.

9. მეტი ამ თემაზე სტატიაში Марина Мусхелишвили (2018). Грузия-2017: политика в эпоху взаимной ненависти. КАВКАЗ-2017. Ежегодник Института Кавказа / Ред. А.Искандарян. – Ер.: Институт Кавказа,– 144 с. 39-51. https://c-i.am/ru/yearbooks-ru/#pll_switcher

10. Marina Muskhelishvili, Lia Mezvrishvili, Ivane Kechakhmadze, Mariam Iakobidze, 2015. The Choice. CSS, ASCN, Universali, Tbilisi 2015.

11. იქვე.

12. Russell J. Dalton. The Participation Gap. Social Status and Political Inequality. Oxford University Press 2017.

13. Hallin, Daniel C. and Stylianos Papathanassopoulos (2002). "Political Clientelism and the Media: Southern Europe and Latin America in Comparative Perspective." Media Culture & Society 24(2): 175–95.

14. უფრო დაწვრილებით ამ თემაზე: მ. მუსხელიშვილი, ლ.მეზვრიშვილი, ი.კეჭაყმაძე, მ.იაკობიძე. არჩევანი CSS, ASCN, უნივერსალი, თბილისი 2015. http://cssge.ge/wp-content/uploads/2015/12/The_Choice_geo.pdf

15. Robert B. Reich. Saving Capitalism: For the Many, Not the Few. Vintage books 2016.

16. NDI-ს დაკვეთით 2021 წლის ივლისში ჩატარებულ კვლევაში პასუხი კითხვაზე „გაიკეთებდით თუ არა ვაქცინას/აცრას?" კორელირებს რესპოდენტის განათლების დონესთან, კოეფიციენტით 0.2033.

17. https://www.kff.org/coronavirus-covid-19/dashboard/kff-covid-19-vaccine-monitor-dashboard/

18. NDI-ს იმავე კვლევის თანახმად, ქართული ოცნების მომხრეების 55% აპირებს აცრას ან უკვე აიცრა, მაშინ როდესაც ოპოზიციის მომხრეებში და დანარჩენ მოსახლეობაში აცრის მომხრეთა წილი 42-40%-ია. https://www.ndi.org/georgia-polls

რომელ სკოლელი და რომელ „კლასში“ ხარ?

ალექსანდრე ცაგარელი

შესავალი

მშობლებისა და მთლიანად ოჯახის გავლენა მოსწავლეთა შედეგებსა და შემდგომ მათ ცხოვრებისეულ წარმატებაზე არ ახალია (Erola, J., Jalonen, S., & Lehti, H. , 2016), (Breen, 2004), (Buis, 2013). მეტიც, რთულად თუ მოიძებნება სოციალურ მეცნიერებებში სხვა საკითხი, რომელზეც, ამ დისციპლინისთვის შეუსაბამოდ, „მტკიცებითი“ ფორმითაც კი შეგვიძლია საუბარი.

მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ცალკეული მაგალითი ვიცით, როდესაც ჩვენი შეჭირვებული ნაცნობის „გოგო ან ბიჭი მოეწყო უმაღლესში“, ცალსახაა მარტივი დაშვება, რომ მაღალი შემოსავლის და განათლების დონის მქონე მშობლების შვილები უკეთესს შედეგებს აღწევენ როგორც განათლების ფორმალურ შეფასებებში, ასევე კარიერაში (Erola, 2012), (Mayer, S. E., & Leone, M. P., 1997), (Heckman, 2006). ამის დამამტკიცებელ ფაქტებს კი ამ ნაშრომშიც შეხვდებით. ეს სიმართლეა არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ დედამიწის ნებისმიერ წერტილშიც.

განათლების უნივერსალიზაციასთან ერთად მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისიდან არსებობდა რწმენა, რომ ცოდნის საშუალებით ბევრად სამართლიან საზოგადოებებს მივიღებდით, ანუ წინასწარ არსებულ კლასობრივ განსხვავებებს განათლების საშუალებით აღმოვფხვრიდით და ყველა ადამიანს ექნებოდა თანაბარი, მერიტოკრატიული, სოციალური მობილობის შანსი.

არადა, მშობლების სოციალურ-ეკონომიკური წარმომავლობის გავლენა საკუთარ შვილებზე საგანმანათლებლო უთანასწორობის 2 დონეს (Boudon, 1974) წარმოშობს:

- **პირველადი ეფექტი (განათლებაში):** *განსხვავება ბავშვების საგანმანათლებლო შედეგებს შორის, მათი სოციალურ-ეკონომიკური წარმომავლობის მიხედვით,* რაც ოჯახის მდგომარეობიდან გამომდინარეობს, როგორიცაა: კვება, სახლში ცოდნის დამატებით რესურსებზე წვდომა, ოჯახში კითხვის და შემეცნების კულტურა, კოგნიტური უნარები და სხვა;

- **მეორადი ეფექტი (განათლებიდან):** *განსხვავება საგანმანათლებლო არჩევანსა და საგანმანათლებლო გზაში მათი სოციალურ-ეკონომიკური წარმომავლობის მიხედვით,* რაშიც ოჯახების ფინანსური შესაძლებლობებიდან, კულტურული და სოციალური კაპიტალიდან გამოწვეული განსხვავებული პროფესიული თუ ცხოვრებისეული არჩევანი იგულისხმება. მარტივად რომ ვთქვათ, რა სფეროს და რატომ ირჩევენ, რამდენად შორს მიდიან სწავლაში და, საბოლოოდ, როგორია მათი პოზიცია სამუშაო ბაზარზე.

მხოლოდ კლასიკური კვლევითი მიდგომები, რაც გულისხმობს სკოლის დამთავრების თუ წერა-კითხვის ცოდნის დონის განსაზღვრით ქვეყნების შეფასებას, საქართველოს შემთხვევაში არ იქნება საკმარისი, რადგან რთულად თუ მოიძებნება ქვეყანა, რომელშიც მოსახლეობის ამხელა წილი იყოს სოფლის მეურნეობით დაკავებული და ამავდროულად ამხელა „literacy rate" ჰქონდეს.* ეს II მსოფლიო ომის შემდგომ საქართველოში რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში შეძლებული საზოგადოების არსებობისგან მემკვიდრეობად შემორჩენილი კულტურული ჩვევაა.

შესაბამისად, სტატიის სათქმელი საგანმანათლებლო პირობებში პირველადი ეფექტის უთანასწორობის კვლევასთან ერთად მინდა, იყოს ის, რაც გაცილებით ნაკლებად შესწავლილი და არსებითია საქართველოში განათლების უთანასწორობის სრული სურათისთვის, რაშიც იგულისხმება საქართველოს საგანმანათლებლო უთანასწორობაში სოციალური კავშირების, კულტურული კაპიტალისა და კლასობრივი ურთიერთობების მნიშვნელობა.

თუ ევროპაში ისმევა კითხვა, თუ „რამდენი ხანი ისწავლე?", რაც განათლების საშუალო დონის მრავალსაფეხურიან სისტემაზე მიუთითებს, სადაც მშობელს და სკოლას უწევთ გადაწყვიტონ, სად გააგრძელებს მოსწავლე სწავლას – პრაქტიკულ ხელობებზე თუ პირდაპირ უმაღლესი განათლებისკენ მიმავალ გზაზე, ამერიკაში უფრო რელევანტურია კითხვა – „სად ისწავლე?" უცნაურია, თუმცა საქართველოს შემთხვევა ბევრად ახლოს არის ამერიკულ რეალობასთან.

აშშ-ში საგანმანათლებლო უთანასწორობის ყველაზე ადექვატურ ინდიკატო-

* Knoema – Georgia – Adult (15+) literacy rate. იხ.: https://knoema.com/atlas/Georgia/topics/Education/Literacy/Adult-literacy-rate

რად zip code-ს,* ანუ საფოსტო მისამართს იყენებენ, რადგან ამით საცხოვრებელი რაიონი, შესაბამისად, ოჯახის მიახლოებითი შემოსავალი, ეთნიკურ-რასობრივი შემადგენლობა და ადგილობრივი სკოლის დონის განსაზღვრაც კი შეიძლება (Frankel, D. M., & Volij, O., 2011). ჩვენი zip code კი ჩვენი სასწავლებლებია. ბაღიდან დაწყებული – სკოლით და უმაღლესით დამთავრებული.

ალბათ, საქართველოში ერთხელ მაინც გსმენიათ: „რომელ სკოლელი ხარ?“, „რომელი სკოლა დაამთავრე?“ ან „რა და სად გაქვს დამთავრებული?“, თუ კითხვა უმაღლეს სასწავლებელს ეხება სრული სურათის შესაქმნელად – „უცხოეთში თუ საქართველოში?“, რაზეც, ხშირად ერთგვარი ფსიქო-სემანტიკური კომპლექსის გამო, არა მშობლიურ ენაზე გვპასუხობენ: „პიისიატ პიატი“, „შისტოი“, „პიისიატ ტრეწი“, „ტრიცაწ პერვი“, „ალასანია“, უნივერსიტეტი (ანუ თსუ) და ა.შ.. მათ ეს სახელები ნუმერაციაში მდგომი სხვა სკოლების და უნივერსიტეტებისგან გამოარჩევს.

საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში კერძო სკოლების გაჩენის შემდეგ კი თავისთავად დასახელებებმა: „ბაქსვუდი“, „ამერიკული აკადემია“, „ნიუტონი“, „ბრითიშ აკადემია“, „ფრიუნი“, „აგრუნი“ „გაუ“ და სხვა, ეს საქმე მეტად გაამარტივა და უფრო დიდი ზღვარი გაავლო, ერთი მხრივ, კერძო ელიტარულ და, მეორე მხრივ, საჯარო სკოლებს შორის.

ამ კითხვების, „რომელ სკოლელი ხარ?“ ან „რომელი სკოლა დაამთავრე?“ და მათზე პასუხის უკან კი მთელი სოციალური სხეულის დადგენის სურვილი დგას. სკოლის განსაზღვრით შესაძლოა წარმოდგენა შეიქმნას პიროვნების სოციალური პოზიციების, კავშირებისა და მდგომარეობის შესახებ, მიახლოებითი შემოსავლების და საქმიანობის განსაზღვრის დონეზეც კი.

ერთი შეხედვით, რა უნდა იყოს უკეთესი, თუ განათლებაა წარმატების და მობილობის მთავარი განმსაზღვრელი? მაგრამ აქ დაისმის კითხვები, რომლებზეც ეს სტატია ცდილობს პასუხის გაცემას:

- რამდენად თანასწორია განათლების შედეგები საზოგადოების სხვადასხვა ნაწილისთვის?
- და საქართველოში განათლება ასრულებს უთანასწორობის შემცირების თუ გაღრმავების ეფექტს?

* Lary Kelley – NYT (2020) იხ.: https://www.nytimes.com/interactive/2020/05/14/opinion/inequality-schools-teachers.html

რამდენადაც უცნაურად არ უნდა ჟღერდეს, ხომ არ ხდება განათების სისტემით უთანასწორობის არა თუ შემცირება, არამედ ზრდა? ხომ არ ჩნდება საზოგადოებაში დაუძლეველი უხილავი კედლები სხვადასხვა სოციალურ წრეს შორის იმის მიხედვით, თუ სად და რა ისწავლეს?

ამის გასაგებად ნაშრომში გამოყენებული იქნება მონაცემთა ანალიზის სხვადასხვა პარამეტრი. ამასთანავე, არსებული სოციალური კავშირებისა და კლასობრივი სტრუქტურის ეფექტის შესაფასებლად აუცილებელია, მივმართოთ სოციალური კომუნიკაციის თეორიას.

თეორიული ჩარჩო

ჩვეულებრივ განათლების სოციოლოგიაში მოსწავლის აკადემიურ თუ კარიერულ მოსწრებაზე მისი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ეფექტის გასაზომად ე.წ. „OED სამკუთხედს“ იყენებენ (Bukodi, E., & Goldthorpe, J. H., 2018), რომელსაც ამ სტატიის საბაზისო კონცეპტუალური ჩარჩოც ეყრდნობა.

სურათი №1. *სოციალური მობილობის სამკუთხედი*



სადაც O არის ოჯახური წარმომავლობა, რომელშიც იგულისხმება მშობლების განათლების დონე, დასაქმების სტატუსი, შემოსავალი და სხვა. E – განათლების დონე/სფერო და შედეგები. D-ში კი იგულისხმება ზრდასრული ადამიანის სოციალური მდგომარეობა, რაც მოიცავს: დასაქმების სტატუსს, შემოსავალს, კლასობრივ კუთვნილებას და სხვა ნიშნებს, რომლებიც ერთად განსაზღვრავენ ადამიანის პოზიციას საზოგადოებაში.

O-დან გამომავალი ორივე ხაზი საბოლოოდ D ნიშნულამდე მიდის. თუ ქვეყანაში საბოლოო პოზიციის დასაკავებლად განათლების როლი ძლიერია, მაშინ წარმომავლობის ეფექტი ჯერ გადის განათლების სფეროს და აქ მიღებული შედეგებით იკავებს მისთვის შესაფერისს ადგილს საზოგადოებაში, ხოლო რაც უფრო ძლიერია ადამიანების შემდგომ წარმატებაში წარმომავლობის ეფექტი, ის უფრო ახლოს არის ქვედა ხაზთან, ანუ პირდაპირ ეფექტთან.

არასწორია ის წარმოდგენა, რომ თითქოს სამკუთხედის ზედა წვერზე, ანუ განათლებაზე გამავალი სოციალური მობილობა უფრო მერიტოკრატიულია, ხოლო პირდაპირი კავშირი წარმომავლობასა და საზოგადოებაში დაკავებულ ადგილს შორის არა. მიზეზი კი კვლავ საგანმანათლებლო უთანასწორობის ორივე დონეა, რადგან ოჯახის სტატუსი და შესაძლებლობები თავიდანვე განსაზღვრავს შვილების პოტენციურ შედეგებს და მიღებულ ბენეფიტებს განათლებაში.

მაგალითად, თუ მშობლებს დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი აქვთ, ეს უკვე თავიდანვე განსაზღვრავს განათლებიდან სავარაუდო დაბალ ამონაგებს და შემდგომ სუსტ (დაბალ კლასობრივ საფეხურზე) ადგილს საზოგადოებაში ისევე, როგორც მაღალი სოციალური წარმომავლობის შედეგად შეძენილი საჭირო კონტაქტები და კავშირები შესაძლოა, სამუშაო ბაზარზე ადამიანის დაბალი აკადემიური შედეგების სრული კომპენსატორი გამოდგეს (Erola, 2012). ეს გამოვლინდება კონტაქტების დახმარებით კარგად შერჩეულ პროფესიაში ან შემდგომ სამუშაო ბაზარზე წარმატების მისაღწევად საჭირო კონტაქტების გამოყენებაში.

იმის უკეთ გასაგებად, თუ როგორ მუშაობს სოციალური კავშირები, უნდა ვნახოთ სოციალური მოქმედების კომუნიკაციის სქემა (Coleman, The Demand for Effective Norms, 1990), ე.წ. „კოლემანის კიდობანი“ განათლებაში.

ეს OED-ს ამობრუნებული ვერსიაა და კარგად გამოხატავს, თუ როგორ მოქმედებს მაკრო სოციალური ფაქტორები პირად საგანმანათლებლო გზაზე და რა სქემით აისახება ადამიანების ინდივიდუალური საგანმანათლებლო არჩევანი თუ ქცევა ისევ მაკრო დონეზე სოციალურ უთანასწორობაზე. სქემა მოცემულია სურათ 2-ზე.

სურათი №2. *Coleman-ის სოციალური ქმედების მაკრო-მიკრო სქემა (ნავი)*



წყარო: (Lucelle Collamat, Maurenee, Salagada el, 2020).

მარცხენა ზედა კუთხეში, მაკრო-დონეზე, კლასობრივი გარემოა. აქ იგულისხმება სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები და როლს საზოგადოებაში, რომელიც, ერთი მხრივ, განსაზღვრავს **ინდივიდუალურ მახასიათებლებს** – როგორიცაა დამოკიდებულებები სწავლისა და საქმის მიმართ, ასევე სასწავლო მატერიალურ და კულტურულ პირობებს. ეს კი, თავის მხრივ, გავლენას ახდენს უშუალოდ სწავლის დონის მიკრო-შედეგებზე, **ანუ ინდივიდუალურ საგანმანათლებლო შედეგებზე. I ხაზის** დანიშნულების ბოლო წერტილი **საზოგადოებაში ადგილის** განსაზღვრაა. მარტივად რომ ვთქვათ, კარგი შედეგები = კარგ სამსახურში მუშაობის დაწყებას = კარგ შემოსავალს = პრესტიჟულ პოზიციებს საზოგადოებაში.

იგივე ბოლო გაჩერებამდე მიდის სქემის შუა **II ხაზიც**, კლასობრივი კუთვნილება განსაზღვრავს შენს საკომუნიკაციო წრეს, ანუ ვისთან გაქვთ ურთიერთობა და ვინ არიან შენი კონტაქტები, **სოციალურ ინტერაქციას**. ის, თუ ვისთან ვურთიერთობთ, ერთი მხრივ, დამოკიდებულია ჩვენს წრეზე, რა ადგილი გვიკავია საზოგადოებაში, სად ვცხოვრობთ, რას ვსაქმიანობთ, ვინ არიან ჩვენი ნაცნობები თუ მეგობრები და ა.შ., მეორე მხრივ, **სოციალური სტრუქტურაც**, ანუ იგივე პარამეტრები, კვლავ ჩვენი წრის მსგავს ხალხთან გვაკავშირებს. ჩვენი ნაცნობების საშუალებით ახალ დამატებით კავშირებზე გავდივართ, ეს ორი ფაქტორი კი **ურთიერთდამოკიდებულია**. სოციალურმა წრემ შესაძლოა გავლენა მოახდინოს შენს საგანმანათლებლო გზაზეც, მაგალითად: რა პროფესიას აირჩევ. მეორე მხრივ, ასევე „საჭირო" კონტაქტების გავლით სოციალური სტრუქტურა პირდაპირაც განსაზღვრავს შენს კლასობრივ **ადგილს საზოგადოებაში**. ეს ყველაფერი კი სოციალური კაპიტალის, ანუ ურთიერთობების და კავშირების საშუალებით ხდება, რაც ადამიანებს შორის ნდობას, განჭვრეტად მოლოდინებს, ანუ მოვალეობებს ერთმანეთის მიმართ, ინფორმაციის გაცვლას, მსგავსი ცხოვრებისეული ღირებულებებისა და ქცევის წესებისადმი ერთგულებას გულისხმობს (Coleman, The Demand for Effective Norms, 1990).

ალბათ, ყველას გაგიგიათ ფრაზა „არ მინა, ჩემი შვილი ცუდ წრეში მოხვდეს" ან პირიქით „მინდა, კარგი სამეგობრო წრე ჰყავდეს". როგორც ვიცით, ადამიანები მათი სოციალური პოზიციის მქონე მსგავს ადამიანებს ენდობიან და მათ მსგავსად იქცევიან (McPherson, M., Smith-Lovin, L., and Cook, J. M., 2001), (Raabe, 2018). შესაბამისად, შეგვიძლია დავუშვათ, რომ განათლებაშიც ასე იქცევიან. ანუ მსგავსი სოციალური მდგომარეობის მქონე მშობლებს შვილებიც მსგავს სკოლებში, წრეებზე და აქტივობებზე დაჰყავთ.

ლოგიკურია, რომ რაც უფრო დახურული და მჭიდროა კავშირები, მით მეტია ნდობაც და ღირებულებების საერთო გაზიარება. ასეთი მჭიდრო კავშირის საუკეთესო მაგალითია მაფია ან კლანი, სადაც ყველა წევრი ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებელია და მსგავსი ღირებულებების მატარებელია. ასე იქმნება ჩაკეტილი სოციალური წრეები, სადაც ადამიანები თავისი „წრის" ხალხთან ურთიერთობენ და შემდგომ მათი შვილებიც იგივე წრეში იზრდებიან. ამის კარგი ილუსტრაცია კოლემანის თაობათა შორისი შეჭიდულობის სქემაა.

სურათი №3. *Coleman-ის თაობათა შორისი სოციალური შეჭიდულობის ღია/ჩაკეტილი სქემა*



წყარო: (Coleman, Social capital in the creation of human capital., 1988).

ამ სურათზე **B და C ორი კლასელია, ხოლო A და D – მათი მშობლებია**. თუ მათ მშობლებს შორის არ არსებობს „თანხმობა“, საერთო ღირებულებების გაზიარება, მაშინ „დასჯა“ და წახალისება, ანუ ის, რომ შვილებს მსგავსი ღირებულებები და ქცევები ასწავლონ, არაეფექტურია, რადგან ძალისხმევა ცალ-ცალკე იფანტება მიმართულებით. ხოლო თუ მშობლებს შორისაც არსებობს კავშირი, ზედა A და D ხაზიდან მომდინარე აღმზრდელობითი ძალისხმევა ეფექტურია, რადგან მათ შეუძლიათ მსგავსი ქცევის სტანდარტები დაუწე-

სონ შვილებს, მათ შორის ერთმანეთის შვილებიც მათი წრისთვის შესაფერისი ქცევის და ღირებულებების ერთგულებაში გააკონტროლონ, მთლიანობაში შვილებს ერთმანეთის მსგავსი ცხოვრების სტილი შეუქმნან.

თუმცა, იმისთვის, რომ ორივე მშობლის ოჯახი მეტ-ნალებად ერთ ღირებულებებს იზიარებდნენ, საჭიროა მსგავსი სოციალური პოზიციების ქონა. შესაბამისად, ერთი სოციალური პოზიციის მქონე მშობლების შვილებიც იმავე კლასობრივ გარემოში ტრიალებენ. ამას თაობათა შორისი შეჭიდულობა ჰქვია. ეს კი უსასრულოდ გრძელდება თაობიდან თაობამდე. **მარტივად რომ ვთქვათ, მშობლების საკომუნიკაციო წრე არის მათი შვილების სამეგობრო წრის მშობლები ან პირიქით, შვილების წრე არის მშობლების წრის შვილები.**

შესაბამისად, ეს ჩაკეტილი წრე შემდგომ თაობებში კვლავწარმოებაშია და გადაეცემა შვილიდან – შვილზე, რა დროსაც „უცხოს“ შეღწევა ჩაკეტილ წრეში უფრო და უფრო ძნელდება, ანუ ხდება საზოგადოების შიგნით სეგრეგაცია.

ვუშვებ ვარაუდს, რომ როგორც ამერიკისთვის zip-code არის მთავარი ინდიკატორი, ჩვენთან ასეთი წრეების შექმნის მთავარი მედიუმი სასწავლებლებია, სადაც პრესტიჟული სკოლის მოსწავლეთა მშობლებიც შეიძლება იმავე სასწავლებლების კურსდამთავრებულები იყვნენ, განსაკუთრებით სკოლების შემთხვევაში, რადგან ისინიც იმავე უბანში დაიბადნენ და გაიზარდნენ. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ურბანული განვითარების გზას, სადაც რომელიმე ერთ უბანში ძირითადად ე.წ. „ინტელიგენციის შთამომავლები“ ცხოვრობენ, მეორეში კი – რეგიონებიდან ემიგრირებულები. ეს პოლიტიკა საქართველოში ურბანიზაციასთან ერთად დამკვიდრდა, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება ახალ გაშენებულ უბნებში ბინებს პროფესიული ნიშნით ანაწილებდა. შესაბამისად, ერთ უკვე წარმატებულ წრეს მუდამ ჰყავს საჭირო კონტაქტები, მეორე კი ვერ ახერხებს მათ მოპოვებას, ანუ ამ მოჯადოებული წრის გარღვევას.

ეს უთანასწორობა კიდევ უფრო მძაფრდება თუ მხედველობაში მივიღებთ სასწავლო სისტემის პრივატიზაციას, როდესაც საჭირო კონტაქტებს და პოზიციებს ემატება ახალი, დაუძლეველი ბარიერი, ფინანსური საშუალებები. **ახლა ყველაფერთან ერთად „მაღალ“ წრეში შესაღწევად ახალი ვიზა, ფულია საჭირო.**

იმისთვის, რომ გავზომოთ უთანასწორობის ორივე დონე, უნდა ვნახოთ სასწავლო გარემო-პირობები, მშობლების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, უნდა დავაკვირდეთ მშობლების ჩართულობას და ზედამხედვ-

ელობას, ოჯახებს თუ მოსწავლეებს შორის შეჭიდულობას და მსგავსებებს. ასევე ეს მონაცემები შევაფასოთ კერძო-საჯარო და ცენტრი-პერიფერიის დიქოტომიის ჭრილში.

მონაცემთა აღწერა

ბაღი

დავიწყოთ ყველაზე ადრეული სასწავლო რგოლით – ეს არის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი, ან, როგორც ყოველდღიურ ენაში გამოიყენება, საბავშვო ბაღი. იყო დრო, როდესაც ბაღის მნიშვნელობა განათლების უთანასწორობაში კვლევის და ინტერესის მიღმა იყო, მაგრამ უკანასკნელ ორ ათწლეულში განათლების სოციოლოგია და ფსიქოლოგია აბსოლუტურად საპირისპირო მიმართულებით წავიდა. ახლა ამ რგოლის მნიშვნელობა აშკარაა შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურებზე წარმატებაში. საბოლოოდ კი ბაღი საზოგადოებაში კარგი პოზიციის მოსაპოვებლად კრიტიკულად მნიშვნელოვნად მიიჩნევა (Meyers, M. K., & Gornick, J. C., 2003), (Gracia, P., & Esping-Andersen, G., 2015), (Duncan, 2010).

გასაკვირი არ არის, რომ პედაგოგებისა და ბავშვების მსგავსად, საბავშვო ბაღების რაოდენობა თბილისში გაცილებით მაღალია, ვიდრე დანარჩენ საქართველოში.* საბავშვო ბაღი ის ეტაპია, როდესაც განათლებაში უთანასწორობა, ანუ I დონის უთანასწორობა არა შედეგების მიხედვით, არამედ დასწრების დონით შეგვიძლია დავთვალოთ. მიუხედავად სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში უკანასკნელ წლებში ბავშვების ჩართულობის სტაბილური ზრდისა, **ის კვლავ ჩამორჩება საერთო ევროპულ ნიშნულს – 95%-ს (UNICEF, 2018) და 2019 წლის** MICs-ის (Geostat; Mics; **თავი 7. სწავლა) მონაცემებით, მთელ საქართველოში შეადგენს 77.9%-ს.** თუმცა დიდია უთანასწორობა ქალაქსა და სოფელს შორის, სადაც სხვაობა 17%-მდეა. მონაცემები რეგიონების მიხედვით კიდევ უფრო მნიშვნელოვნად განსხვავდება, განსაკუთრებით აღსანიშნავია აზერბაიჯანულენოვანი დასახლებები. **თუ შინამეურნეობის უფროსი აზერბაიჯანული ეროვნებისაა, შანსი იმისა, რომ ამ ოჯახიდან ბავშვი ივლის საბავშვო ბაღში – 50%-ით ნაკლებია საშუალო ეროვნულ შედეგზე.**

* საქსტატის მონაცემები ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ. ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/58/adreuli-da-skolamdeli-aghzrda-da-ganatleba

სავარაუდოდ, ამ რეგიონში კიდევ უფრო დიდია განსხვავება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გოგოებისა და ბიჭების სიარულს შორის.

როგორც თავში აღვნიშნეთ, ზოგადად მშობლებს, ამ ასაკის ბავშვისთვის კი განსაკუთრებით დედას (Erola, J., Jalonen, S., & Lehti, H. , 2016), გადამწყვეტი როლი აქვს ბავშვის შემდგომ საგანმანათლებლო გზაზე.

ცხრილი №1.1. *ბავშვების ბაღში სიარულის მაჩვენებელი საქართველოში, დედის განათლების მიხედვით*

დედის განათლების დონე	შვილის ბაღში სიარულის %
დაწყებითი ან არასრული საშუალო (საბაზო)	51.2%
სრული საშუალო	73.7%
პროფესიული განათლება	83%
უმაღლესი	84.1%

წყარო: საქსტატი; Mics; თავი 7; ცხრილი LN.1.1..

როგორც ამ გრაფაზე ვხედავთ, რაც უფრო იზრდება დედის საგანმანათლებლო დონე, მით მაღალია მისი შვილის ბაღში სიარულის მაჩვენებელი, რაც, ერთი მხრივ, განპირობებულია იმით, რომ განათლებულ ოჯახებს აქვთ გაცნობიერებული, რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვის კოგნიტური და კომუნიკაციური უნარებისთვის სკოლამდელი განათლება, მეორე მხირვ, კი შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უმაღლესი განათლების მქონე დედა დასაქმებულიც არის და ბავშვის სახლში მეურვეობის დრო არ აქვს.

თუ მხედველობაში მივიღებთ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსს, მაშინ განსხვავებები კიდევ უფრო იზრდება არა მხოლოდ დასწრების კუთხით, რომელიც **საზოგადოების უმდიდრესი მეხუთედის ბავშვებისთვის 86% შეადგენს, ხოლო უღარიბესი კვინტილისთვის კი – მხოლოდ 61%-ს,** არამედ უფრო საყურადღებოა განსხვავება, თუ რა ტიპის ბაღში დადიან სოციალურ-ეკონომიკური სტატუსით განსხვავებული ოჯახების შვილები, კერძოში თუ საჯაროში. როგორც MICs-ის რეპრეზენტატული კვლევა გვაძლევს ინფორმაციას, კეთილდღეობის მატებასთან ერთად ოჯახები უპირატესობას კერძო ბაღებს ანიჭებენ. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ, განათლების სტატუსის მიხედ-

ვით, კერძო ბაღში ყველაზე მეტად უმაღლესი განათლების მქონე დედის (საკარაუდოდ მამისა) შვილები დადიან.

ცხრილი №1.2. *კეთილდღეობის ინდექსის მიხედვით ბავშვების სხვადასხვა ტიპის ბაღში სიარულის გადანაწილება საქართველოში*

კვინტილები	დადიან საჯაროში	დადიან კერძოში	არ დადიან
1	60.5%	0.5%	39.0%
2	73.5%	0.9%	25.6%
3	78.0%	2.8%	19.2%
4	76.5%	7.5%	16.0%
5	76.0%	10.8%	13.3%

წყარო: საქსტატი; Mics; თავი 7; ცხრილი LN.1.1. შენიშვნა: კვინტილი კეთილდღეობის ინდექსი: 1 უღარიბესი 20%, 5 უმდიდრესი 20%.

გარდა სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვების სიარულისა, შემდგომი წინსვლისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია მშობლების ჩართულობა მათ განვითარებაში (Honig, 1979). ჩართულობას 2 ნაწილად ყოფენ (Lavrijsen, J., & Nicaise, I., (2015)).

1. მხარდაჭერა – გულისხმობს მშობლებთან გატარებულ დროს, დახმარებას განათლებასა და კოგნიტური უნარების განვითარებაში. სოციალური კაპიტალი, გენეტიკაც კი და სხვა;

2. ინვესტიცია – იგულისხმება მატერიალური სასწავლო პირობები, ფულადი დანახარჯი მათ განათლებაზე და სხვა.

მართალია, მათ შორის მკაფიო წყალგამყოფი არ არსებობს, მაგრამ მაინც, პირველი ფაქტორის გამოსაკვლევად გამოდგება ისევ MICs-ის 2018 წლის კვლევა, რომლის მიხედვითაც 2-4 წლის ბავშვთან შინამეურნეობიდან ზრდასრული წევრის მიერ 4 ან მეტ აქტივობაში ჩართვას ითვლიან.

ცხრილი №1.3. *შინამეურნეობის სრულწლოვანი წევრის 2-4 წლის ბავშვთან 4 ან მეტ აქტივობაში ჩართულობა ბოლო 3 დღის განმავლობაში*

ეროვნება		დედის განათლება		კეთილდღეობის ინდექსი კვინტილი	
ქართველი	აზერბაიჯანელი	დაწყებითი ან არასრული საშუალო (საბაზო)	უმაღლესი	უღარიბესი	უმდიდრესი
81.2%	44.4%	58.8%	85.6%	67.7%	84.5%

წყარო: საქსტატი; Mics; თავი 6; ცხრილი TC.10.1. შენიშვნა: ჩართულობა აქტივობაში, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის განათლებას და სკოლისთვის მზაობას.

ამ მონაცემების მიხედვით, არ დგინდება ბიჭებსა და გოგოებს ან ქალაქსა და სოფელს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა, მაგრამ კვლავ **დიდია განსხვავება ქართულენოვან და აზერბაიჯანულენოვან ოჯახებს შორის. მათ შორის განსხვავება თითქმის ორმაგია – 81% ქართულენოვანი და 44% – აზერბაიჯანულენოვანი ოჯახისთვის.** ანუ ყოველი მეორე ეთნიკურად აზერბაიჯანელი ბავშვი მოკლებულია ოჯახის წევრისგან ზედამხედველობას და ჩართულობას, რომელიც მის გონებრივ და ემოციურ განვითარებას გულისხმობს.

როგორც ცხრილზე ხედავთ, მნიშვნელოვანია სხვაობა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის და კიდევ უფრო მეტად მშობლების (დედის) განათლების დონის მიხედვით, რომელთა შორის განსხვავება 27% შეადგენს.

მეორე ინდიკატორი, რომელიც გულისხმობს კულტურულ კაპიტალს, ანუ ოჯახში შემეცნებისადმი დამოკიდებულებას, შეგვიძლია შინამეურნეობაში საბავშვო წიგნების რაოდენობის მიხედვით შევაფასოთ. საბავშვო წიგნის ქონა, ერთი მხრივ, გულისხმობს გარკვეულ დანახარჯს ბავშვის უნარების გასავითარებლად და, მეორეს მხრივ, კულტურულ კაპიტალს, თუ რამდენად მნიშვნელოვნად მიაჩნია ოჯახს ბავშვის გაზრდაში შემეცნებითი აქტივობები და რესურსები. აქ სხვაობა კიდევ უფრო დრამატულია როგორც სოციალურ-ეკონომიკური კუთხით, ისე ტრადიციული უთანასწორობით ქალაქად თუ სოფლად, თუ ეთნიკური მახასიათებლის მიხედვით.

ცხრილი №1.4. *ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც ცხოვრობენ შინამეურნეობებში, სადაც ბავშვებისთვის აქვთ 3 ან მეტი საბავშვო წიგნი*

დასახლების ტიპი		ეროვნება		კეთილდღეობის ინდექსი კვინტილში	
ქალაქი	სოფელი	ქართველი	აზერბაიჯანელი	უღარიბესი	უმდიდრესი
68.30%	37.80%	61.50%	11.60%	26.20%	75.40%

წყარო: საქსტატი; Mics; თავი 6; ცხრილი TC.10.2..

აზერბაიჯანულენოვან ოჯახებში კატასტროფულად დაბალი, რეპრეზენტატულად გამოკითხული ოჯახების 11%-ია, სადაც 3 ან მეტი საბავშვო წიგნი აქვთ. ანუ, უხეშად რომ ვთქვათ, მხოლოდ ყოველ მე-10 ეთნიკურად აზერბაიჯანელ ბავშვს აქვს 3 ან მეტ წიგნზე წვდომა. ასევე, როგორც ჩანს, უღარიბეს კვინტილში მყოფი ოჯახებისთვის მსგავსი ხარჯის გაწევა დიდ სირთულეს წარმოადგენს და კეთილდღეობით უმდიდრეს მეხუთედ მოსახლეობასთან ამ მახასიათებლით მათი განსხვავება თითქმის 50% შეადგენს.

როგორც ბაღში სიარულის, ისე მშობლების ჩართულობის კუთხით ვხედავთ, რომ უკვე ისედაც სოციალურ-ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებული ოჯახის შვილები დამატებით ბენეფიტებს იძენენ, ერთი მხრივ, კერძო, მაღალ ხარისხიანი ბაღის აღზრდით, მეორე მხრივ, კი ოჯახის წევრების აქტიური ჩართულობით მათ შემეცნებით განვითარებაში და ეს ბავშვები უკეთ მომზადებულები ხვდებიან სასკოლო განათლებას.

ამას იმასაც თუ დავუმატებთ, რომ კერძო ბაღების უმრავლესობა თბილისში, კერძოდ კი მარჯვენა სანაპიროზეა განლაგებული,* რომელშიც როგორც ჩვენი ურბანული განვითარებიდან ვნახეთ, უფრო მეტად მაღალი განათლების და კეთილდღეობის მქონე ოჯახის შვილები დადიან. ამით ადვილია ვივარაუდოთ, რომ მივიღებთ დამატებით უპირატესობას, რასაც სოციალური კაპიტალი, ანუ საჭირო და გამოსადეგი კავშირები ვუწოდეთ. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ქალაქებში ურბანული განაწილება კლასობრივ საფუძველს ეყრდნობა. ანუ ერთი დაწინაურებული კლასის შვილები ერთი და იგივე ბაღში დადიან, რაც როგორც მშობლებს, ისე ბავშვებს შორის ადრეული ასაკიდან

* „კერძო საბავშვო ბაღების პირობები და ფასები“, ნეტგაზეთი, 2017 წელი. იხ.: https://netgazeti.ge/life/206633/

ნაცნობობას, მეგობრობას და სოციალურ შეჭიდულობას აჩენს, რაც შემდგომ სკოლის და უმაღლესი სასწავლებლის პერიოდშიც გრძელდება. მშობლების აქტიური ჩართულობა ბავშვთა ადრეული ასაკიდან მათ აღმზრდელობით და საგანმანათლებლო ცხოვრებაში კი ამ წრის ბავშვების მსგავსი ღირებულებებით და ქცევის წესებით აღზრდას უწყობს ხელს.

მთლიანობაში ეს ყველა გარემოება ქმნის ე.წ. Matthew effect-ს,* რომელიც სოციალურ მეცნიერებებში რობერტ მერტონის ნაშრომთან "The Matthew Effect in Science" (Merton, 1968) არის დაკავშირებული, რაც გულისხმობს ადრეულ ეტაპზე წარმატებულთა შემდგომაც მუდამ უპირატეს მდგომარეობაში ყოფნას, რაც საბოლოოდ კიდევ უფრო ზრდის მათ შორის განსხვავებებს. სახელი და იდეა მათეს სახარებაში ტალანტების (ფულის ერთეულის) დარიგების ამბის** ალუზიიდან მომდინარეობს.

სკოლა

ბაღისგან განსხვავებით სკოლა ის საგანმანათლებლო რგოლია, რომლის კავშირი სოციალურ გარემოსთან კარგად და ღრმად არის შესწავლილი სოციალური მეცნიერებების მიერ ((Breen, 2004), (Erikson, R., & Goldthorpe, J. H., 2002). სკოლაში უკვე შესაძლებელია მოსწავლის საგანმანათლებლო მიღწევების დათვლა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა, (Breen, R., & Jonsson, J. O., 2005), (Erikson, R., & Jonsson, J. (Eds.)., 1996) თუ რა პირობებში და სოციალურ გარემოებებში აღწევენ ერთნი წარმატებას, მეორენი კი – წარუმატებლობას. გასაკვირი არ არის, რომ მოსწავლეთა დიდი კონცენტრაცია თბილისშია. საქსტატის მონაცემებით*** სკოლის მოწაფეთა 1/3 თბილისის სკოლებშია 2/3 კი – დანარჩენ საქართველოში. როგორც ამ ცხრილზე ხედავთ, სკოლების რიცხოვნობა თბილისში 13%-ს არ აღემატება, თუმცა პრაქტიკულად ყველა მათგანი დიდ სკოლად**** მიიჩნევა. თბილისის სკოლების 60% საჯაროა, ხოლო 40% კერძო მაშინ, როდესაც რადიკალურად სხვა სურათია დანარჩენი საქართველოსთვის.

---

* *Matthew effect*, Wikipedia. იხ.: https://en.wikipedia.org/wiki/Matthew_effect

** მათე. 25:13-30. იხ.: http://www.orthodoxy.ge/tserili/diachenko/11kvira.htm

*** საქსტატის მონაცემები – სკოლებისა და მოსწავლეების რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით. ხელმისაწვდომია: http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database__Social%20Statistics__Education__School/Number_of_schools_and_Pupils_by_Regions.px/?rxid=10f743e8-2295-448f-8e38-133b2c3679a6

**** განათლების სამინისტროს კატეგორიზაცია დიდი, საშუალო და პატარა სკოლა.

ცხრილი №2.1. *კერძო და საჯარო სკოლების გეოგრაფიული განაწილება*

სკოლების განაწილება			საჯარო სკოლები, სულ ↓	კერძო სკოლები, სულ ↓
საქართველო, სულ →	**სკოლების რაოდენობა**	2 313	2086	227
თბილისი →	**სკოლების რაოდენობა**	291	8%	51%
	კერძო	40%		
	საჯარო	60%		
დანარჩენი საქართველო →	**სკოლების რაოდენობა**	2022	92%	49%
	კერძო	5%		
	საჯარო	95%		

წყარო: Unicef ბავშვები და მოზარდები საქართველოში 2015-2020.

მეტიც, **მთელი კერძო სკოლების 51% თბილისშია თავმოყრილი მაშინ, როდესაც საჯარო სკოლების მხოლოდ 8%-ია დედაქალაქში.** ეს მეტყველებს რამდენად უპირატეს მდგომარეობაში იმყოფება თბილისი დანარჩენ საქართველოსთან შედარებით, რამდენად დიდი არჩევანის საშუალება აქვთ მშობლებს სურვილის შემთხვევაში შეარჩიონ სკოლა.

უფრო საინტერესოა, თუ როგორ შეიცვალა ბოლო 20 წლის განმავლობაში კერძო და საჯარო სკოლების მოსწავლეთა თანაფარდობა. მიუხედავად იმისა, რომ კერძო და საჯარო სკოლის მოსწავლეების რაოდენობას შორის სხვაობა დღესაც თითქმის ათმაგია, ტენდენცია კერძო სკოლის მოწაფეების ზრდას გვიჩვენებს. 2000 წლის შემდეგ, ზოგადად, სკოლის ასაკის ბავშვების რაოდენობის შემცირებასთან ერთად, 5-ჯერ გაიზარდა კერძო სკოლის მოსწავლეების რაოდენობა, 12 ათასიდან – 60 ათასამდე.

გრაფა №1. *საქართველოში მოსწავლეების გადანაწილება სკოლის ტიპის მიხედვით*



წყარო: საქსტატი.

ცხადია, მეტად მნიშვნელოვანია ვნახოთ რეგიონულ, სოციალურ-ეკონომიკურ თუ სხვა ჭრილში, რა საგანმანათლებლო შედეგებთან არის დაკავშირებული ასეთი გარემოებები. როგორც OECD-ის (ატარებს PISA ტესტს) 2019 წლის დასკვნაში ვკითხულობთ, *„საქართველოში უკანასკნელ წლებში სწავლის შედეგები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. თუმცა საქართველოში მიღწეული პროგრესი მოსახლეობის ყველა ჯგუფს თანაბრად არ შეეხო. მოსწავლეები ქალაქად უსწრებენ თანატოლებს სოფლად; სოციალურ-ეკონომიკურად პრივილეგირებული მოსწავლეები უსწრებენ თავიანთ სოციალურად დაუცველ თანატოლებს; ხოლო, ის მოსწავლეები, რომლებიც შინ ქართულად ლაპარაკობენ, უსწრებენ თავიანთ თანატოლებს, რომელთა მშობლიური ენა ქართული არ არის. სამწუხაროდ, სწავლის ხარისხში ეს უთანასწორობა 2009-2015წწ. პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა.“**

<u>შესაბამისად, საინტერესოა, რა ტიპის უთანასწორობებზეა საუბარი და რომელი ფაქტორები ახდენენ სწავლის შედეგებზე განსაკუთრებულ გავლენას?</u>

* მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა PISA 2018: საქართველოს ანგარიში. ხელმისაწვდომია: https://naec.ge/uploads/postData/20-21/kvlevebi/PISA2018-Georgia%20(1).pdf

ცხრილი №2.2. *PIRLS-ის მონაცემები პრივილეგირებული და შეჭირვებული სკოლების შესახებ*

სკოლების კომპოზიცია მოსწავლეთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით (PIRLS 2016)						
ქვეყანა	შეძლებული სკოლები, სადაც მოსწავლეთა 25% ან მეტი მოდის ეკონომიკურად პრივილეგირებული ოჯახიდან და მოსწავლეთა 25% ან ნაკლები მოდის ეკონომიკურად შეჭირვებული ოჯახიდან		თანაბრად – არც ეკონომიკურად პრივილეგირებული და არც შეჭირვებული		შეჭირვებული სკოლები, სადაც მოსწავლეთა 25% მოდის ეკონომიკურად შეჭირვებული ოჯახიდან და მოსწავლეთა 25% ან ნაკლები მოდის ეკონომიკურად პრივილეგირებული ოჯახიდან	
	მოსწავლეთა %	კითხვის საშ. ქულა	მოსწავლეთა %	კ ი თ ხ - ვის საშ. ქულა	მოსწავ-ლეთა %	კ ი თ - ხვის საშ. ქულა
აზერბაიჯანი	11	502	23	469	66	471
დანია	63	554	29	538	7	538
საფრანგეთი	41	524	30	517	29	489
საქართველო	23	507	31	484	46	486
გერმანია	22	560	48	547	30	504
ლატვია	21	562	69	560	10	533
ლიეტუვა	65	560	23	539	13	503
სინგაპური	42	597	44	568	13	536
მოსკოვი (რუს. ფედ)	80	615	18	600	1	~
შვედეთი	78	562	18	539	4	508
აშშ	15	588	21	566	63	532
საერთაშორისო საშუალო	38	530	33	513	29	487

წყარო: PIRLS 2016; შენიშვნა: აზერბაიჯანის მონაცემები სრულად არ არის დათვლილი.

როგორც კითხვის უნარების საერთაშორისო კვლევის (PIRLS 2016) მონაცემებზე დაყრდნობით ვხედავთ, საქართველოში ისეთი სკოლების რიცხვი, სადაც მოსწავლეების ძირითადი ნაწილი ეკონომიკურად შეჭირვებული ოჯახებიდან მოდიან, ძალიან მაღალია. **თითქმის ყოველი მეორე მოწაფე – 46% დადის სკოლაში, რომელიც ძირითადად შეჭირვებული ოჯახის შვილებისგან შედგება.** სავარაუდოდ, ეს სკოლები ძირითადად სოფლად არის განლაგებული. ასევე, საერთაშორისო საშუალოსთან შედარებით, საკმაოდ დაბალი და 23%-ს შეადგენს მოსწავლეთა რიცხვი, რომელიც უმეტესად შეძლებული ოჯახის შვილებისგან შემდგარ სკოლაში დადის და, სავარაუდოდ, ისინი ძირითადად ქალაქებში, მითუმეტეს თბილისში უნდა იყვნენ თავმოყრილნი.

ეკონომიკურად სუსტი სკოლის მოწაფეების რიცხვი 2-ჯერ აღემატება პირველ ჯგუფს, რაც კიდევ ერთხელ გვაფიქრებს, თუ რამხელა სეგრეგაციაა პრივილეგირებულებსა და ეკონომიკურად დაუცველ მოსახლეობის ჯგუფებს შორის, მათ შორის სკოლის დონეზე. **არსებობს სოციალურად და მატერიალურად ძლიერი პატარა უმცირესობა და დიდი ნაწილი გაჭირვებული ოჯახებისა, თუმცა საინტერესოა, რომ ამ ჯგუფების კითხვის უნარს შორის სხვაობა საერთაშორისო საშუალო 43-ქულიან მაჩვენებელთან შედარებით საკმაოდ დაბალია და 21 ქულას შეადგენს** (NAEC, 2020).

<u>რით შეიძლება იყოს განპირობებული ეს განსხვავება?</u>

PISA-ს საერთაშორისო ტესტის შედეგებზე დაყრდნობით, ქვედა გრაფაზე, შუა ხაზზე დატანილია კითხვაში საშუალო ქულა, ხოლო დიაპაზონის ზედა და ქვედა ნაწილები აღნიშნავს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პარამეტრებით (ESCS*) უმაღლესი და უმდაბლესი 25%-ის კითხვის საშუალო შედეგებს.

* OECD PISA-ს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ინდიკატორი.

გრაფა №2. *PISA-ს საერთაშორისო ტესტის მიხედვით, საშუალო ეროვნული ქულა კითხვაში; სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრებით ზედა და ქვედა მეოთხედის საშუალო ქულა კითხვაში საქართველო და OECD საშ.*



წყარო: OECD, PISA 2018 მონაცემთა ბაზა; **Student performance in reading (mean score);** Table I.B1.4. შენიშვნა: საქართველოს 2012 წლის მონაცემებისთვის აღებულია იმ დროისთვის უკანასკნელი, 2009 წლის მონაცემები ხელახლა, რადგან 2012 წელს საქართველოში PISA-ს ტესტი არ ჩატარებულა.

განსხვავება სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით ყველაზე მაღალ 25%-სა და ყველაზე დაბალ 25%-ს შორის საქართველოში 68 ქულას შეადგენს მაშინ, როდესაც OECD საშ. – 89, ლიეტუვა – 89; თურქეთი – 76; მხოლოდ რუსეთშია 2018 წლის მონაცემებით 1 ქულით დაბალი უთანასწორობა – 67 ქულა. მეორე მხრივ, საქართველო საგრძნობლად ჩამორჩება როგორც აღნიშნულ ქვეყნებს, ისე OECD-ის ყველა ქვეყანას კითხვის საშუალო ეროვნული შედეგით, სულ 380 ქულა, როდესაც OECD საშ. შეადგენს 487 (ლიეტუვა – 476; თურქეთი – 466; რუსეთი – 479) (Table II.B1.2.1…6).

შესაძლოა ეს საქართველოში სკოლის განათლების დაბალი დონიდან მომდინარეობდეს. შედეგად, მიუხედავად სკოლის მოწაფეთა სოციალურ-ეკონომიკური კომპოზიციისა, სკოლებში სწავლების დონე და უნარები საკმაოდ ახლოა ერთმანეთთან. როგორც ვხედავ, საქართველოდან სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრებით უმაღლესი 25%-ში მყოფი მოსწავლეთა შედეგებიც კი ვერასდროს აღწევს OECD მოსწავლეების ყველაზე ღარიბი მეოთხედის საშუალო შედეგს.

ამ შედეგების ფონზე გასაკვირი არც ის უნდა იყოს, რომ აკადემიური მიღწევებით Top 10%-ს და Bottom 10%-ს შორის ქულებში სხვაობა საქართველოში გაცილებით დაბალია, 88 ქულა, ვიდრე, მაგალითად, რუსეთში 99 ქულა და OECD 140 (Table II.B1.2.1…6).

<u>მაგრამ, მაშინ ვუბრუნდებით მთავარ კითხვას, რა ისეთ უპირატესობას ფლობენ ერთნი მეორეზე, რაც საბოლოო ჯამში საზოგადოებაში ერთი ჯგუფის მიერ სხვებზე უკეთესი პოზიციების დაკავებას უზრუნველყოფს?</u>

თუ კოლემანის სქემის I ხაზს გავყვებით, უნდა ვნახოთ დიდი აღმნიშვნელებიდან რა ფაქტორების მიხედვით არის მაღალი უთანასწორობა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია გეოგრაფიული უთანასწორობა. **სოფლად მცხოვრებ მოსწავლეთა ჩამორჩენა ქალაქში მცხოვრებთაგან 44 ქულას შეადგენს, რაც მიახლოებით 1,5 სრულ აკადემიურ წელს უდრის.** თეორიულად, ამდენი ხანი სჭირდებათ დამატებით სოფლის სკოლის მოსწავლეებს იგივე შედეგების მისაღწევად, რაც ქალაქში მცხოვრებ სკოლის მოწაფეებს აქვთ. განსაკუთრებული ჩამორჩენა აღინიშნება აზერბაიჯანულენოვანი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ მოსწავლეებსა და დანარჩენ საქართველოს შორის (NAEC, 2020).

გრაფა №3. *PISA-ს საერთაშორისო ტესტის მიხედვით გენდერული განსხვავება მათემატიკის, საბუნებისმეტყველო საგნებისა და კითხვის საშუალო ქულაში; საქართველო, OECD საშ.*



წყარო: OECD, PISA 2018 მონაცემთა ბაზა, Gender differences in (math; science; reading); GPSEducation შენიშვნა: წითელი ხაზი საქართველო; ლურჯი ხაზი OECD საშ..

სამწუხაროდ, კიდევ ერთი გამოკვეთილი ადგილი უკავია გენდერულ უთანასწორობას. როგორც PISA 2018-ის მონაცემებზე დაყრდნობით ვხედავთ, გოგო და ბიჭ მოწაფეთა განსხვავება კითხვას, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში საქართველოში გაცილებით მაღალია, ვიდრე OECD-ის საშუალო მაჩვენებელი. **საქართველოში, კითხვაში 38 ქულაა განსხვავება გოგოების სასარგებლოდ, რაც 8 ქულით მეტია, ვიდრე საშუალო ქულა OECD-ს ქვეყნებისთვის.** რაც უფრო გასაკვირია, მათემატიკაში, სადაც ყველა ქვეყანაში ტრადიციულად ბიჭები უკეთეს შედეგებს აჩვენებს, საქართველოში კვლავ გოგოები ჯობნიან ისევე, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, სადაც 14 ქულიანი განსხვავებაა OECD-ს საშუალო 2 ქულასთან შედარებით.

ამ მხრივ საქართველო ერთ-ერთი ანტირეკორდსმენია არა მხოლოდ ევროპულ ქვეყნებს, არამედ PISA-ს ტესტის ყველა მონაწილე ქვეყანათა შორისაც კი.

მაგრამ საკმარისია კი დემოგრაფიული ფაქტორები საქართველოში სკოლის დონეზე უთანასწორობის ამოსახსნელად?

კოლემანის სქემის II ხაზს რომ გავყვეთ, აუცილებელია ვნახოთ, როგორ აისახება სკოლაში სოციალური კავშირები და სოციალური სტრუქტურა შემდგომ ცხოვრებისეულ უთანასწორობაზე და თავად სკოლა აწარმოებს თუ არა დამატებით უთანასწორობებს.

აშშ-ში 1954 წელს უმაღლესი სასამართლოს მიერ საქმეზე „ბრაუნი განათლების საბჭოს წინააღმდეგ“* გამოტანილი განაჩენის შემდეგ სეგრეგაციის თემა სკოლებში განათლების მკვლევართათვისაც საინტერესო საკითხი გახდა (Reardon, Sean F., and Ann Owens, 2014). მართალია, ამ სასამართლო განჩინების მსგავსად სასკოლო სეგრეგაციის კვლევის მთავარი ობიექტი რასობრივი ნიშნით დაყოფა იყო, თუმცა სეგრეგაციის გაგება განათლების სფეროში ეტაპობრივად გაფართოვდა და ის სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე მოსწავლეებისა თუ სტუდენტების კვლევაზე გახდა ფოკუსირებული (Jenkins, S. P., Micklewright, J., & Schnepf, S. V., 2008). ნათელი გახდა, რომ მხოლოდ **მაღალი ან დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახების შვილების კონცენტრაცია სკოლებში საბოლოოდ გავლენას ახდენს მოსწავლეების შედეგებზე და საბოლოო დიდ სხვაობს აჩენს სკოლებს შორის (კლასელების ეფექტი, Peer Effect)**, (Lavy, V., Silva, O., & Weinhardt, F, (2012)). ეს ეფექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაბალი მოსწრების მქონე სტუდენტებისთვის, რადგან ისინი უფრო მეტად განიცდიან „კარგი თუ ცუდი“ გარემოს და კლასელების გავლენას, რაც ბუნებრივია, რადგან მათ ოჯახური და პირადი ძალისხმევა არასაკმარისია სასკოლო წარმატებისთვის (Mendolia, S., Paloyo, A. R., & Walker, I, (2018)).

იქიდან გამომდინარე, რომ როგორც ვნახეთ, საქართველოში აკადემიური შედეგებით მოსწავლეები ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდებიან, უფრო საინტერესოა ვნახოთ სოციალურ-ეკონომიკურად განსხვავებული მოწაფეები სკოლებში რამდენად გადაიკვეთებიან ერთმანეთთან.

ამის გასარკვევად PISA-ს კვლევაში მოცემულია რამდენიმე ინდიკატორი, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია გავზომოთ სოციალური და აკადემიური სეგრეგაცია და იზოლაცია, რაც გულისხმობს, თუ რა დონით არიან

* თეთრი და შავკანიანი მოსწავლეებისთვის ერთ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლების შესახებ.

განცალკევებული მოსწავლეები ერთმანეთისგან, ანუ, შესაბამისად, რამდენად სხვადასხვა „სოციალურ ბუშტებში“ იმყოფებიან. ამის გასაგებად ნაშრომი იყენებს PISA-ს იზოლირების (isolation) ინდექსს, რომელიც ადგენს, თუ სკოლებში რამდენად იქმნება მოსწავლეთა კლასტერები, რომელიც ერთი ტიპის, მაგალითად, შეძლებული ოჯახის შვილებს აძლევს/არ აძლევს საშუალებას, კონტაქტში იყვნენ სხვა მახასიათებლების მქონე ბავშვებთან. მაღალი isolation ინდექსი ნიშნავს, რომ ერთნაირი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ან აკადემიური მიღწევების მქონე მოსწავლეები დაჯგუფებულები არიან მსგავს სკოლებში, ანუ სეგრეგირებულები არიან ერთმანეთისგან (OECD, 2019). 0 არის, როდესაც ორივე კლასტერი ერთ სკოლაშია მოქცეული, 1 – როდესაც ორივე ჯგუფი აბსოლუტურად სხვადასხვა სკოლებშია თავმოყრილი.

გრაფა №4. *PISA-ს საერთაშორისო ტესტის მიხედვით სკოლებში მოსწავლეების ერთმანეთისგან დისტანცირებული კლასტერები, შეძლებული და ღარიბი წარმომავლობის მიხედვით*



წყარო: (OECD, 2019); Chapter 3, Figure 3.3* შენიშვნა: 1. პრივილეგირებული და არა პრივილეგირებული მოსწავლეები დათვლილია ESCS-ის მიხედვით. 2. პ-ს-გ-ჟ (პეკინი; შანხაი; ჯიანგსუ; ჟეშიანგი).

* კვლევა ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://www.oecd-ilibrary.org/sites/f16ac394-en/index.html?itemId=/content/component/f16ac394-en

როგორც ამ გრაფაზე ვხედავთ, **საქართველოში ორივე ჯგუფის, როგორც მდიდარი, ისე შეჭირვებული სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ოჯახური ფონის მქონე მოსწავლეების ერთმანეთისგან სოციალური იზოლაცია OECD საშუალოზე მაღალია,** რაც ნიშნავს, რომ საქართველოში საშუალოდ ნებისმიერ სკოლაში, ძირითადად, დადიან ან მხოლოდ ESCS-ის მიხედვით შეძლებული ოჯახური მდგომარეობის მქონე მოსწავლეები, ან შეჭირვებული წარმომავლობის ბავშვები. მცირედით სოციალური იზოლაციის შედეგები უფრო მაღალია პირველი ჯგუფისთვის ისევე, როგორც ძირითადად სხვა ქვეყნებშიც. **აღსანიშნავია, რომ ევროპული ქვეყნებიდან ორივე ჯგუფისთვის საქართველოზე უფრო მაღალი სოციალური გაუცხოება მხოლოდ 5 ქვეყანაშია**, რაც კარგად გვაჩვენებს ამ სიტუაციის სიმწვავეს.

ამ მონაცემების მიხედვით, საქართველოში უფრო საგრძნობია ღარიბი ოჯახის წარმომავლობის მქონე მოსწავლეების ერთად შეჯგუფება, რაც, სავარაუდოდ, უფრო მეტად მკვეთრად ღარიბი რეგიონების ეფექტია, რადგან სოფლებში იშვიათად არსებობს ალტერნატივები სკოლებს შორის არჩევანის გასაკეთებლად.

ხაზგასასმელია ის, რომ საქართველოში უფრო მცირეა განსხვავება მდიდარი ოჯახის შვილების იზოლაციის სასარგებლოდ, არადა ეს ტრენდია უმეტეს OECD ქვეყნებში. ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს იმით, რომ კერძო სკოლები საქართველოში ჯერ ისევ არაა მრავლად. ასევე მიზეზი შესაძლოა იყოს ისიც, რომ საქართველოში პირველ კლასელ ბავშვთა უნარების მიხედვით შერჩევის სისტემა პრაქტიკულად არ არსებობს.

საქართველოში ძალიან იშვიათად თუ შეხვდებით სკოლაში ჩარიცხვის მსურველ ბავშვს, რომელსაც კოგნიტურ და არა კოგნიტურ უნარებზე ამოწმებდნენ, ან მშობლებს ინტერვიუს უტარებდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ იღებდნენ ბავშვის მიღება არ მიღების თაობაზე გადაწყვეტილებას. ეს კი მრავალ ქვეყანაში ჩვეული პრაქტიკაა. სკოლის არჩევას, გარდა ფინანსური შესაძლებლობებისა, სკოლაში ნაცნობი მასწავლებლის არსებობა და სკოლის სახლთან ახლოს ყოფნა განაპირობებს – „შორს არ მინდა ვატარო ბავშვი ყოველ დილით“ – არგუმენტით.

ცხადია, სკოლების კომპოზიცია ხშირად იმითაა განპირობებული, თუ სად მდებარეობს ის, რა ტიპის უბანში (Epple, D. N., & Romano, R. , 2003). მეორე მხრივ, კი პრესტიჟული სკოლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ოჯახებისთვის იმის გადასაწყვეტად, თუ სად იცხოვრებენ, ამიტომ ეს ორი ფაქტორი

მუდამ ერთმანეთს განაპირობებს. PISA-ს მიხედვით, OECD ქვეყნების, კერძო სკოლის მოსწავლეებში მხოლოდ 10-დან 1-სთვის არის სკოლის მდებარეობა გადამწყვეტი მაშინ, როდესაც საჯარო სკოლაში მოსიარულე ყოველი მეორე ბავშვის ოჯახისთვის ეს სკოლის ასარჩევად მნიშვნელოვანი კრიტერიუმია. ხშირად სხვადასხვა ქვეყანაში სკოლის და საცხოვრებლის მიმართება რეგულირებულიც არის (Peña-López, 2019).

მთლიანობაში ეს მონაცემები მიგვანიშნებს, რომ ორივე ჯგუფი ერთმანეთისგან სოციალურად მნიშვნელოვნად სეგრეგირებულია და სხვა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ნიშნების მქონე ბავშვებთან ძალიან ნაკლებად აქვთ ურთიერთობა, როგორც მინიმუმ სკოლის ფარგლებში.

მსგავსი შედეგები შეიძლება კიდევ იმითაც აიხსნას, რომ ქალაქებში საშუალო (ჩვენ შემთხვევაში – მაღალი. ავტ.) კლასის ოჯახები ცდილობენ, საკუთარი შვილები „კარგ“, პრესტიჟულ სკოლებში ატარონ, რომელიც პრესტიჟულ უბნებშია განლაგებული (Frankel, D. M., & Volij, O., 2011). ერთ ან მეორე სკოლაში შვილის შეყვანის და გადაყვანის გადაწყვეტილებას კი იქ არსებული კონტინგენტის მიხედვით იღებენ – დადიან თუ არა ოჯახისთვის „მისაბაძი სხვები“ იქ. ეს კიდევ უფრო ხაზს უსვამს უთანასწორობას, რადგან იგივე უბნებშია კონცენტრირებული სხვა ყველანაირი კაპიტალიც, შესაბამისად, ქართულ „მაღალ საზოგადოებაში“ ადვილად დგება კოლემანის AD-BC ჩაკეტილი ოთხკუთხედი, სადაც მშობლებიც და შვილებიც ერთ სოციალურ ბუშტში არიან. **ისინი იქ სწავლობენ, სადაც ცხოვრობენ და ეს სკოლები, ისევე როგორც უბნები, უკვე პრივილეგირებულია**. ეს კიდევ უფრო ასუსტებს ღარიბი ოჯახური მდგომარეობის მქონე ახალგაზრდებს, რადგან საჭირო კონტაქტებს მუდმივად მოწყვეტილნი არიან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორივე კლასტერი საკუთარ ჩაკეტილ წრეში ტრიალებს, თუმცა **ერთგან ეს კავშირები „მომგებიანია“, მეორეგან კი – არა**.

გარდა ამისა, აღნიშნული სუსტი მატერიალური ფონის მქონე კლასელ(ებ)ის ყოლა შეძლებულ ბავშვებს მეტად პროსოციალურს, თანასწორობის მომხრეს და გულუხვს ხდის ცხოვრებაში (Rao, 2019), რაც შემდგომში საზოგადოებაში სოლიდარობასა და ნაკლებ კონფლიქტს გულისხმობს.

საინტერესოა ვნახოთ, სად ვლინდება სკოლებში ეს სეგრეგაცია და რა ტიპის სკოლებშია ის მაღალი?

ამ მიზნისთვის ნაშრომში გამოყენებულია PISA-ს სოციალურად არამრავალფეროვნების (no diversity) ინდექსიც. იზოლაციის ინდექსისგან განსხვავებით, ის სოციალურ სეგრეგაციას ზომავს იმის მიხედვით, თუ ქვეყნის დონეზე არსებულ მოსწავლეთა განსხვავებები რამდენად ზუსტად არის ასახული სკოლებში SES-ის მრავალფეროვნებაში. ანუ სკოლის მიკრო დონე რამდენად ზუსტად ასახავს მაკრო დონეზე არსებულ რეალობას, სადაც 0 აღნიშნავს თანაბარ გადანაწილებას, მიუხედავად სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, ხოლო 1 აღნიშნავს მდგომარეობას, როდესაც სკოლები არასდროს იღებენ ერთმანეთისგან განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე მოსწავლეებს. (OECD, 2019)

გრაფა №5. *PISA-ს საერთაშორისო ტესტის მიხედვით სკოლებში სოციალური სეგრეგაციის მთლიანი დონე და სეგრეგაციაში კერძო და საჯაროს სკოლების წილი*



წყარო: (Peña-López, 2019); Chapter 4; Figure 4.7.

რა თქმა უნდა, სეგრეგაცია განსხვავდება სკოლის ტიპების მიხედვით. ალბათ, გასაკვირი არ არის, რომ კერძო სკოლებში სოციალური მრავალფეროვნება უფრო დაბალია, ვიდრე საჯაროში, ეს სიმართლეა პრაქტიკულად ყველა

ქვეყნისთვის. შესაბამისად, შემთხვევითი არ იყო, როდესაც ბრიტანეთის ლეიბორისტულმა პარტიამ 2019 წლის საპარალამენტო არჩევნებზე წამოაყენა იდეა, აეკრძალათ კერძო სკოლები,* რომლებიც იწვევენ დიდ სოციალურ ხიდჩატეხილობას და უთანასწორობას საზოგადოებაში. თუმცა საჯარო და კერძო სკოლებს სხვადასხვა წონა აქვთ მთლიანად ქვეყნის მასშტაბით სკოლების სეგრეგაციაში. ამ გრაფაზე ორივე ტიპის სკოლა სრულ სეგრეგაციაში საკუთარი სიმძიმის მიხედვით არიან შეფასებულნი.

სკოლებში საერთო არამრავალფეროვნების მონაცემებით, 0.16 ქულით საქართველო, სამწუხაროდ, ევროპის კონტინენტზე მე-5 ადგილზეა. ჩვენ მხოლოდ ლიეტუვა, ლატვია, უნგრეთი და სლოვაკეთი გვისწრებენ, სადაც სკოლებში სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების მქონე ბავშვების გადანაწილება კიდევ უფრო მეტად არის აცდენილი ქვეყნის მასშტაბით მოსწავლეთა შესაბამისს პროპორციებს. ასევე, **საჯარო და კერძო სკოლებს შორის სეგრეგაცია საქართველოში ორმაგია იმისა, რაც OECD-ის ქვეყნებისთვის საშუალოა.** ეს ნიშნავს, რომ საქართველოში ფინანსური, კულტურული თუ სხვა ბარიერი საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებს შორის უფრო დიდია, ვიდრე ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაში, გარდა ესპანეთის და მალტისა. თუმცა, იგივე ბრიტანეთისგან განსხვავებით, სადაც კერძო სკოლები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დიდ ნაწილს შეადგენს, საქართველოს სასკოლო სისტემის საერთო სეგრეგაციაში კერძო სკოლების შეწონილი** წვლილი OECD-ის საშუალოზე დაბალია, ხოლო საჯარო სკოლების კი უფრო მაღალია 0.13, 0.10-თან შედარებით. ამ მონაცემის პარალელურად, ორმაგი განსხვავება საჯაროსა და კერძოს შორის კიდევ უფრო ხაზს უსვამს იმას, რომ უკიდურესად მცირე მოსწავლეთა ნაწილი იმყოფება პრივილეგირებულ მდგომარეობაში და მთლიანად დაკომპლექტებულია მსგავსი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ოჯახის შვილებისგან, მეორე დიდი ნაწილი კი ყველა დანარჩენია.

ამასთან, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური ნიშნით, კითხვისა და წერის შედეგებში როგორც სკოლებს შორის ან სკოლის შიგნით, ასევე კერძო და საჯარო სკოლას შორის განსხვავებები უფრო დაბალია, ვიდრე OECD-ის საშუალო მაჩვენებელი. მაგალითად,

* Richard Adams and Kate Proctor, *Labour delegates vote for plan that would abolish private schools;* The Guardian; 2019. ხელმისაწვდომია: https://www.theguardian.com/education/2019/sep/22/labour-delegates-vote-in-favour-of-abolishing-private-schools

** მისი წილი საერთო მოცულობაში.

საქართველოში კითხვაში საშუალო განსხვავება სკოლებს შორის 19%-ია მაშინ, როდესაც OECD-ში 30%-ია, ისევე როგორც სკოლის შიგნით 53% და 69% შედარებით (PISA-ს ინდიკატორები, Table II.B1.4.12, chapter 4). ეს მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ მატერიალური გარემოებები არ, ან ჯერ კიდევ არ გადაითარგმნება აშკარა საგანმანათლებლო უპირატესობებში. ეს უცნაური ფენომენია, რაც ზოგადად სკოლის საალმზრდელო და საგანმანათლებლო ფუნქციების სისუსტეზე მეტყველებს, ისევე როგორც ოჯახების მხრიდან შვილების სასწავლო განვითარებაში შესაძლო დაბალ ინტერვენციაზე. ამავე დროს ეს უფრო უსამართლო გარემოზე მიგვითითებს, რადგან სკოლის ასაკში ერთმანეთის მსგავსი სასწავლო შედეგების მიუხედავად, საბოლოო უთანასწორობა მოსახლეობაში ძალიან მაღალია.*

როგორც ვნახეთ, სკოლებს შორის სოციალური ნიშნით სეგრეგაცია მაღალია, აკადემიური განსხვავებები კი არა. *ნიშნავს თუ არა ეს, რომ სუსტი სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების მქონე და აკადემიურად წარმატებულ მოსწავლეებს შორის სოციალური დაშორება, იზოლაცია არ არსებობს?*

გრაფა №6. *PISA-ს საერთაშორისო ტესტის მიხედვით გაჭირვებული ოჯახური ფონის მქონე მოსწავლეების კითხვაში ეროვნული უმაღლესი შეფასების მქონე მოსწავლეებისგან იზოლაციის (სკოლებში არ გადაკვეთის) მაჩვენებელი*



წყარო: (OECD, 2019); Chapter 3, Figure 3.4.

* Georgia - GINI Index. იხ.: https://tradingeconomics.com/georgia/gini-index-wb-data.html

როგორც ვხედავთ, **საქართველოში მიახლოებით 6-დან ერთია იმის შანსი, რომ დაბალი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე მოსწავლეს მაღალი აკადემიური შედეგების მქონე კლასელი/სკოლელი ჰყავდეს,** ანუ უმეტესი მოსწავლეები ღარიბი ოჯახებიდან კონცენტრირებულები არიან იმ სკოლებში, რომლებსაც არ ჰყავთ არც ერთი მოსწავლე, რომელმაც PISA-ს კითხვის ტესტში ეროვნული მაღალი შედეგები აჩვენა. კლასელების გავლენა კი (Burke, M. A., & Sass, T. R., 2013), როგორც ვიცით, დაბალი შედეგების მქონეებისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე წარმატებული მოსწავლეებისთვის (Lavy, V., Silva, O., & Weinhardt, F. , 2012).

როგორც ჩანს, მცირე აკადემიური განსხვავებები იმით აიხსნება, რომ შეძლებულ მოსწავლეებს შორისაც მრავალია დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე. სოციალური მახასიათებელი კი პირდაპირ აკადემიურ მიღწევებში ჯერ არ გადათარგმნილა.

ეს შედეგები სხვა რამეზე მეტყველებს სუსტი სოციალურ-ეკონომიკური გარემოს მქონე მოსწავლეებისთვის. ისინი ორმაგ უთანასწორობას განიცდიან (გრაფა№5). ერთი მხრივ, შეჭირვებული ოჯახის შვილები ისედაც მოწყვლადები არიან სუსტი საგანმანათლებლო პირობებისთვის როგორც ოჯახში, ისე სკოლებში – მსგავს სეგრეგაციაში ისინი განიცდიან კონტაქტების ნაკლებობას მაღალ სოციალურ წრესთან, რაც მათ მომავალი ცხოვრების განმავლობაშიც საჭირო კავშირების ნაკლებობისთვის სწირავს. მეორე მხრივ კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაბალი მოსწრების მქონე კლასელების ყოლა მათ შედეგებს კიდევ უფრო ასუსტებს (Peer Effect).

ამ შემთხვევაში გამოდის, რომ სკოლა არა თუ ათანაბრებს შანსებს, არამედ კიდევ უფრო აღრმავებს და აძლიერებს უთანასწორობას და საზოგადოების მომავალ თაობას მუდმივ სეგრეგაციაში აქცევს. ორმა მკვლევარმა, ბელარინომ და ბერნარდიმ, (Ballarino, G., & Bernardi, F., (2016)) 14 განვითარებული ქვეყანა გამოიკვლიეს და აღმოაჩინეს, რომ განათლება ყველაზე სტაბილური გზაა უთანასწორო SES-ის მშობლებისგან შვილებზე გადასაცემად, DESO (Direct Effect of Social Origin), მათ შორის არა კოგნიტური (non-cognitive) უნარების გადასაცემად.

<u>შეიძლებელია ვივარაუდოთ, რომ გამორჩეულად მაღალი სოციალური სეგრეგაცია, რომელიც საქართველოს სკოლებში ვნახეთ, ურთიერთკავშირში იყოს ქვეყნის ასეთ დაბალ ეროვნულ მოსწრებასთან?</u>

ამისთვის უნდა ვნახოთ გრაფა, რომელიც გვიჩვენებს, რა კორელაციაშია ერთმანეთთან კითხვაში ეროვნული საშუალო ქულა და ამ ქვეყნის სკოლებში არამრავალფეროვნების (სოციალური სეგრეგაციის) დონე.

გრაფა №7. *PISA-ს საერთაშორისო ტესტის მიხედვით სკოლებში სოციალური სეგრეგაციისა და ქვეყნის კითხვაში საშ. ეროვნული ქულის ურთიერთკავშირი (კორელაცია)*



წყარო: (Peña-López, 2019); Chapter 4; Figure 4.10. შენიშვნა: 1. რუსეთი 2. იტალია 3. ნიდერლანდები 4. ფინეთი 5. დანია 6. შვედეთი 7. კორეა 8. ახალი ზელანდია 9. ჩინური ტაივანი 10. სლოვენია 11. აშშ 12. გაერთიანებული სამეფო 13. პოლონეთი 14. ესტონეთი. შენიშვნა 2: პ-შ-ჯ-ჟ (პეკინიი; შანხაი; ჯიანგსუ; ჟენშიანგი).

მართალია, კორელაცია არ არის ძლიერი, თუმცა აშკარაა, რომ **რაც უფრო მატულობს საშუალო ეროვნული ქულა, მით იკლებს სეგრეგაციის ხარისხი და პირიქით.** საქართველო ზედა მარცხენა კუთხეშია, რაც იმას გვაჩვენებს, რომ ჩვენ მოსწავლეებს კითხვის საშუალო შედეგებში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ქულა აქვთ. ამ მხრივ საქართველო ბოლოდან მე-6 ადგილზეა და დანარჩენ 6-ს

შორის არც ერთი ევროპული ქვეყანა არაა. ამავდროულად, როგორც ზევითაც ვნახეთ და ამ გრაფაზეც დასტურდება, ევროპულ ქვეყნებში მე-5 ადგილზე ვართ სკოლებში სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური წარმომავლობის მოსწავლეების არათანაბარი გადანაწილებით, ანუ მათი სეგრეგაციით. აქედან გამომდინარე, ლოგიკურად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სოციალური სეგრეგაციის დაწევა სკოლებში ხელს შეუწყობს სუსტი მოსწრების მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესებასაც.

მომავალის ჭვრეტა და გზა უმაღლესისკენ

Rational Theory-ის (Breen, R., & Goldthorpe, J. H., 1997) მიხედვით, ოჯახები შვილების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებას 3 რაციონალური პრინციპით უყურებენ და ამით ხელმძღვანელობენ, ღირს თუ არა მსგავსი „რისკის“ გაღება:

1. საჭირო ხარჯები – სწავლის და ცხოვრების საფასური (საქართველოს შემთხვევაში სწავლის საფასურის გარდა ეს რეგიონების წარმომადგენლებისთვის ძირითადად გულისხმობს საცხოვრებლის ქირის ფულს (სუმბაძე, 2015));
2. რამდენად რეალურია წარმატების მიღწევა განათლებაში შედეგების მიხედვით;
3. წინა შედეგების აწონ-დაწონვით – რამდენად სჯერათ, რომ მათი შვილები მიაღწევენ ცხოვრებისეულ წარმატებას და სასურველ კლასში მოიპოვებენ ან გაიმყარებენ პოზიციებს.

ანუ ადგილი აქვს საგანმანათლებლო უთანასწორობის II დონეს, როდესაც სოციალურ-ეკონომიკური ნიშნით განსხვავებული ოჯახები სხვადასხვა პროფესიულ არჩევანს აკეთებენ. მაგალითად, ოჯახები, რომლებსაც დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი აქვთ, ან არ შეუძლიათ მსგავსი ნაბიჯის გადადგმა ფინანსური ბარიერების გამო, რადგან სახელმწიფო პროგრამების, გრანტების ეფექტი მინიმალურია (Gugushvili, 2013), ან არ სჯერათ მათი შვილის რეალური წარმატების, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, მათ შვილს იგივე ან უკეთესი შედეგები ჰქონდეს, ვიდრე მდიდარი და მაღალი სოციალური კაპიტალის მქონე ოჯახის შვილს (Erola, J., Jalonen, S., & Lehti, H. , 2016). შესაბამისად, აქედან მოდის ჩვენს რეალობაში ფრაზა „რამე ხელობა ისწავლე, სჯობს“, „რამე ხელობა მაინც გესწავლა“, „ძაან დაფრინავს“.

PISA-ს მონაცემებით, ICT* პროფესიების გარდა ყველა სხვა მაღალ კვალიფიციურ პროფესიებში, როგორიცაა მედიცინა, მეცნიერება და ინჟინერია, სამეცნიერო ტექნიკოსები და პროფესიონალები, დასაქმების მოლოდინი ქართველ მოსწავლეებს უფრო დაბალი აქვთ, ვიდრე საშუალოდ OECD 37 ქვეყნაში. ასეთი მოლოდინი არ შეიმჩნევა მათ შორის მაღალი მოსწრების მქონე მოსწავლეებშიც კი (PISA-ს ინდიკატორები, Table II.B1.8.20/21, chapter 8), ეს როგორც ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაბალი დონით, ასევე განათლებასა და დასაქმებას შორის სუსტი კავშირებით უნდა იყოს გამოწვეული. თუმცა განსხვავება 2018 და 2015 წლებს შორის საქართველოში უფრო პოზიტიური და ზრდადია ყველა მიმართულებით, ვიდრე OECD-ის ქვეყნებში საშუალოდ (PISA-ს ინდიკატორები, Table II.B1.8.22, chapter 8), რაც, სავარაუდოდ, საქართველოში OECD ქვეყნებთან შედარებით აქამდე არსებული მაღალი უმუშევრობით და შრომის ბაზრის ახლად დაწყებული პოლარიზაციით** შეიძლება იყოს გამოწვეული.

არსებობს 2 დიდი განსხვავება ჯგუფებს შორის საკუთარ საგანმანათლებლო მომავალზე ჭვრეტისას. ისინი უმაღლესი განათლების გზის არჩევისას 2 შემდეგი პრინციპით ხვდებიან განსხვავებულ მდგომარეობაში.:

1. ვერტიკალური (პოზიცია, ადგილი...);
2. ჰორიზონტალური (სფერო).

ხშირად, სასწავლო სფეროს არჩევა თავისთავად გულისხმობს შემდგომ ვერტიკალურ პოზიციას იმის მიხედვით, თუ რამდენად კვალიფიციური პროფესია აირჩია მოსწავლემ*** (Raabe, 2018).

მეტიც, არათუ მშობლების/ოჯახის საყოფაცხოვრებო დონე განსაზღვრავს შვილების ვერტიკალურ (პოზიცია) დონეს სამუშაო ბაზარზე, არამედ მამების პროფესია განსაზღვრავს შვილების პროფესიულ არჩევანსაც კი, რაც კიდევ უფრო მეტად ამყარებს კლასობრივ სტრუქტურას (Van de Werfhorst, H. G., & Luijkx, R., 2010), რადგან ასეთი გავლენის შედეგად შვილების მიერ პროფესიების შესაძლო შეზღუდული ჩამონათვალი თაობიდან თაობას გადაეცემა. შესაბამისად, ჰორიზონტალური (სფერო) არჩევანი, ის თუ რამდენად კვალიფიციურ პროფესიას აირჩევენ, საბოლოო ჯამში, სამუშაო ბაზარზე

* საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

** სამუშაო ბაზრის პოლარიზაცია, როდესაც მხოლოდ მაღალი და დაბალი კვლაიფიციური პროფესიები არსებობს.

*** *International Standard Classification of Occupations,* Wikipedia. იხ.: https://en.wikipedia.org/wiki/International_Standard_Classification_of_Occupations

ვერტიკალურ პოზიციაზე მოქმედებს, რადგან ბავშვებიც თავის თავს ხედავენ და ცხოვრებისეულ პროგნოზებს სვამენ ქცევების, რწმენების და საკუთარი დემოგრაფიული ნიშნების მიხედვით. ეს ნიშნები კი ძირითადად ოჯახური გარემოდან გამომდინარეობს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ღარიბი ოჯახის მოსწავლეს შეიძლება კარგი სასწავლო შედეგებიც კი ჰქონდეთ, თუმცა ბევრად ნაკლებად ამბიციური ინტერესებს ავლენენ.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმის დამატება, რომ ჯგუფური იდენტობის პრინციპით, ერთნაირი სოციალურ-კულტურული მახასიათებლების მქონე ახალგაზრდები ერთმანეთს ბაძავენ და მსგავს პროფესიებსაც კი ირჩევენ. მაგალითად, ქალებს აინტერესებთ ის სფეროები, რაც სხვა ქალებსაც აინტერესებთ და ა.შ. (McPherson, M., Smith-Lovin, L., and Cook, J. M., 2001).

გრაფა №8. *PISA-ს საერთაშორისო ტესტის მიხედვით 15 წლის მოსწავლეების %, რომლებსაც არ აქვთ მკაფიო ხედვა მათი მომავალი სამსახურის შესახებ, მდიდარი და ღარიბი ოჯახების მიხედვით*



წყარო: OECD, PISA 2018 მონაცემთა ბაზა, **Students who have no clear idea about their future job among disadvantaged/advantaged students,** GPSEducation.

როგორც ვხედავთ, **საქართველოში 15 წლის მოსწავლეთა მიახლოებით მესამედისთვის ნათელი არ არის საკუთარი მომავალი სამსახური, რაც საგრძნობლად მეტია OECD-ის საშუალო მაჩვენებელზე, მითუმეტეს 10%-იანი**

განსხვავება სუსტი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე მოსწავლეთათვის საკმაოდ დიდია. ეს ნიშნავს, რომ, სინამდვილეში, კავშირი განათლებასა და შემდგომ ცხოვრებისეულ წარმატებას შორის საკმაოდ სუსტია და ის უფრო მეტად დამოკიდებულია არასაგანმანათლებლო ფაქტორებზე, მითუმეტეს ღარიბ ოჯახებში. ამას ადასტურებს ისიც, რომ **საქართველოში, OECD საშუალოსთან შედარებით, თითქმის 2-ჯერ ნაკლებ მოსწავლეს უტარდება კარიერული კონსულტაცია სკოლებში** და, განსხვავებით წარმატებული ქვეყნებისგან, საქართველოში ამითაც უფრო მეტად შეძლებული მოსწავლეებისგან დაკომპლექტებული სკოლები სარგებლობენ, ვიდრე ისინი, ვისაც ეს რეალურად სჭირდებათ, ვინაიდან შეძლებული მაღალი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ფონის მქონე ოჯახებისთვის სამომავლო პერსპექტივები ისედაც უფრო ნათელია.

ცხრილი №3.1. *PISA-ს საერთაშორისო ტესტის მიხედვით კარიერული კონსულტაციის მქონე სკოლები მოსწავლეების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით*

მოსწავლეთა % რაოდენობა სკოლებში, სადაც კარიერული კონსულტაცია ოფიციალურად შეყვანილია მოსწავლეზე გამოყოფილ დროში				
ქვეყნები	ყველა მოსწავლე	ღარიბი სკოლები	მდიდარი სკოლები	განსხვავება
OECD საშუალო	67.6%	71.6%	63%	-8.6%
საქართველო	36.5%	31.5%	37.8%	6.3%

წყარო: OECD. PISA 2018 მონაცემთა ბაზა; Table II.B1.6.10; chapter 6, How school systems prepare students for their future; შენიშვნა: მდიდარი და ღარიბი სკოლა გამოთვლილია სკოლის საშუალო ESCS.

ეს ყველაფერი კი ხდება იმის ფონზე, რომ საქართველოში მოსწავლეთა 74% სჯერა, რომ მიიღებს უმაღლეს განათლებას, რაც 5%-ით მეტია OECD-ის საშუალო მაჩვენებელზე (PISA-ს ინდიკატორები, Table II B1.6.5; chapter 6).

იმის გარდა, რომ გაჭირვებულ მოსწავლეებში პროცენტულად უფრო მეტია მომავლის სამუშაოზე ბუნდოვანება, ეს მათთვის უფრო მძიმე ტვირთია, რადგან როგორც ტექსტში არაერთხელ აღინიშნა, შეძლებული ოჯახის შვილებს ფინანსური თუ სოციალური კაპიტალით აქვთ შანსი, დააბალანსონ

და გაანეიტრალონ ეს ეფექტი, ხოლო პირველ ჯგუფს არსენალში სხვა იარაღი არ გააჩნია. სწორედ მათ არ აქვთ კონკრეტული ხედვა საკუთარი სამომავლო ცხოვრებისეული წარმატების შესახებ. ისინი, განსხვავებით შეძლებული თანატოლებისგან, ცხოვრებისეული წარმატებისთვის საჭირო კონტაქტების ქონის იმედსაც კი ვერ ჩაეჭიდებიან.

დასკვნა

როგორც ამ სტატიაში ირკვევა, საგანმანათლებლო უთანასწორობაში, გარდა ჩვეული სოციალურ-ეკონომიკურ ფონს შორის განსხვავებებისა, არსებობს კიდევ დამატებითი სოციალური კავშირების უთანასწორობა, რომელიც მათ შორის აკადემიურ მიღწევებზეც ახდენს გავლენას. როგორც ტექსტში ვხედავთ, საქართველოში ჩამოყალიბდა ერთგვარი კასტები, ერთი მხრივ, შეძლებული უმცირესობა და, მეორე მხრივ, გაჭირვებული უმრავლესობა. ასეთმა დიფერენციაციამ არათუ შეაღწია მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არამედ თავად ბაღები და განსაკუთრებით სკოლები აქცია არსებული კლასობრივი სტრუქტურის მწარმოებლებად. როგორც ვხედავთ, საქართველოში სკოლის დონეზე მნიშვნელოვანი განსხვავებებია დედის განათლების დონის, კეთილდღეობის მდგომარეობის და ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით. აშკარაა, რომ აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობა დრამატულად ჩამორჩება როგორც ბავშვების კოგნიტურ განვითარებაში ხელშეწყობის, ისე ოჯახის აქტიურობის თუ დანახარჯების მხრივ. ამ დონეზეც უკვე შესამჩნევია მზარდი ტენდენცია სოციალური ფონით მნიშვნელოვანი განსხვავებებისა, რაც არსებული რეგიონული და შიდა ურბანული განვითარების გზით გადაითარგმნება დამატებით სოციალური კაპიტალის უთანასწორობაში.

ეს ტენდენციები კიდევ უფრო აშკარაა სასკოლო განათლების დონეზე, სადაც საგრძნობი გეოგრაფიული უთანასწორობაა სასწავლებლებზე წვდომაში, მითუმეტეს სკოლის არჩევანის შესაძლებლობაში. საგანგაშოა ის, რომ ძალიან მაღალია სოციალური მდგომარეობის მიხედვით ერთმანეთთან სეგრეგაციის მაჩვენებელი „მდიდარ“ და „ღარიბ“ მოსწავლეებს შორის, განსაკუთრებულად აღსანიშნავია კერძო სკოლისა და საჯარო სკოლის მოწაფეებს შორის სოციალური დისტანცია, რომელიც OECD საშუალოს ორმაგი ოდენობისაა. ასევე უთანაბრობაა აკადემიურად წარმატებულ მოსწავლეებსა და სოციალურ-ეკონომიკურად დაბალ საფეხურზე მდგომ მათ თანატოლებს შორის, რაც

მათ ორმაგ უთანასწორობაში ამყოფებს, ერთი მხრივ, ოჯახური ფონის გამო, მეორე მხრივ, კი სუსტი აკადემიური გარემოს, თანატოლების გამო. ეს კი იმის ფონზე, რომ საქართველოში OECD საშუალოზე გაცილებით დაბალი განსხვავებებია რეალურ აკადემიურ მოსწრებაში სოციალური წარმომავლობის თუ სხვა ნიშნების მიხედვით (გარდა გენდერულისა), რაც შესაძლოა ქართველი მოსწავლეების დრამატულად დაბალი შეფასებით იხსნებოდეს.

ტექსტში ნაჩვენებია, რომ ასეთი დაბალი აკადემიური მოსწრების ერთ-ერთი ამხსნელი სწორედ სოციალური სეგრეგაცია შეიძლება იყოს, რადგან ამ ორ ფენომენს შორის არსებობს კორელაციური კავშირი, როდესაც მაღალი სოციალური სეგრეგაცია თანხვედრაშია დაბალ საშუალო ეროვნულ ქულასთან.

მთლიანობაში აშკარაა, რომ უკვე პრივილეგირებული სოციალური კლასი თავის მდგომარეობას გადასცემს საკუთარ შვილებს დ სკოლა არათუ ათანასწორებს ამ მდგომარეობას, არამედ ხელს უწყობს, რომ საჭირო კავშირების მქონეებმა (მაღალი სოციალური კაპიტალი) ერთი, საერთო სოციალური წრე შექმნან, რომელში შეღწევაც სულ უფრო და უფრო რთული იქნება სხვებისთვის. ამის მიზეზი კი კლასებში ერთმანეთისადმი დაგროვებადი გაუცხოება და ახლა უკვე დამატებით, ფინანსური (კერძო ბაღი, სკოლა, უცხოური უმაღლესი განათლება) ბარიერები იქნება.

ამავეს ადასტურებს მომავლის ხედვა 15 წლის მოსწავლეებში. მოლოდინებში სოციალური წარმომავლობის მიხედვით განსხვავებების გარდა, აშკარაა, რომ სკოლები არ უზრუნველყოფენ არათუ უპირატესად, არამედ თანაბრადაც კი გაჭირვებული მოსწავლეებისთვის სამომავლო, კარიერულ და ინფორმაციულ ხელშეწყობას.

ბიბლიოგრაფია:

allarino, G., & Bernardi, F.. ((2016)). The intergenerational transmission of inequality and education in fourteen countries: a comparison. In G. &. Ballarino, *Education, occupation and social origin* (pp. 255-282). Edward Elgar Publishing.

Boudon, R. (1974). *Education, opportunity, and social inequality: Changing prospects in western society.* New York: Wiley-Interscience.

Breen, R. (. (2004). *Social mobility in Europe.* Tilburg: OUP Oxford.

Breen, R., & Goldthorpe, J. H. (1997). Explaining educational differentials: Towards a formal rational action theory. *Rationality and society, 9(3)*, 275-305.

Breen, R., & Jonsson, J. O. (2005). Inequality of opportunity in comparative perspective: Recent research on educational attainment and social mobility. *Annu. Rev. Sociol., 31*, 223-243.

Buis, M. L. (2013). The composition of family background: The influence of the economic

and cultural resources of both parents on the offspring's educational attainment in the Netherlands between 1939 and 1991. *European Sociological Review*, 593-602.

Bukodi, E., & Goldthorpe, J. H. (2018). *Social mobility and education in Britain: Research, politics and policy.* Cambridge: Cambridge University Press.

Burke, M. A., & Sass, T. R. . (2013). Classroom peer effects and student achievement. . *Journal of Labor Economics, 31(1)*, 51-82.

Coleman, J. S. (1988). Social capital in the creation of human capital. *American journal of sociology, 94*, 95-120.

Coleman, J. S. (1990). The Demand for Effective Norms. In J. S. Coleman, *Foundations of social theory* (pp. 241-299). Cambridge, Massachusetts, and London, England: The Belknap Press ofHarvard University Press.

Duncan, G. J.-G. (2010). Early-childhood poverty and adult attainment, behavior, and health. *Child development*, 306-325.

Epple, D. N., & Romano, R. . (2003). Neighborhood schools, choice, and the distribution of educational benefits . *The economics of school choice*, 227-286.

Erikson, R., & Goldthorpe, J. H. . (2002). Intergenerational inequality: A sociological perspective. *Journal of Economic Perspectives*, 31-44.

Erikson, R., & Jonsson, J. (Eds.). (1996). Understanding educational inequality: The Swedish experience. . *L'Année sociologique (1940/1948-)*, 345-382.

Erola, J. (2012). Family background and the life cycle effects of father's class and income. *Social Stratification: Trends and Processes*, 85-99.

Erola, J., Jalonen, S., & Lehti, H. . (2016). Parental education, class and income over early life course and children's achievement. *Research in Social Stratification and Mobility*, 33-43.

Frankel, D. M., & Volij, O. (2011). Measuring school segregation. . *Journal of Economic Theory*, 1-38.

Gracia, P., & Esping-Andersen, G. (2015). Fathers' child care time and mothers' paid work: A cross-national study of Denmark, Spain, and the United Kingdom. *Family Science*, 270-281.

Gugushvili, A. (2013). Social Origin, Education and Occupation in Georgia. *Caucasus Social Science Review*, 1-26.

Heckman, J. J. (2006). Skill formation and the economics of investing in disadvantaged children. *Science, 312(5782)*, 1900-1902.

Honig, A. S. (1979). Parent involvement in early childhood education. In A. S. Honig, *Parent involvement in early childhood education* (pp. 426-455). DC Washington: National Association for the Education of Young Children.

Jenkins, S. P., Micklewright, J., & Schnepf, S. V. (2008). Social segregation in secondary schools: how does England compare with other countries? *Oxford Review of Education*, 21-37.

Lavrijsen, J., & Nicaise, I. ((2015)). Social inequalities in early school leaving: The role of educational institutions and the socioeconomic context. *European Education, 47(4)*, 295-310.

Lavy, V., Silva, O., & Weinhardt, F. ((2012)). The good, the bad, and the average: Evidence on ability peer effects in schools. *Journal of Labor Economics, 30(2)*, 367-414.

Lucelle Collamat, Maurenee, Salagada el. (2020). Inequality in Education: A Literature Review. *InternationalJournal of Trends in Scientific Research and Development*, 1169-1173.

Mayer, S. E., & Leone, M. P. (1997). *What money can't buy: Family income and children's life chances.* Harvard University Press.

McPherson, M., Smith-Lovin, L., and Cook, J. M. (2001). Birds of a Feather: Homophily in Social Networks. *Annual Review of Sociology*, 415{444.

Mendolia, S., Paloyo, A. R., & Walker, I. ((2018)). Heterogeneous effects of high school peers on educational outcomes. *Oxford Economic Papers, 70(3)*, 613-634.

Merton, R. K. (1968). The Matthew effect in science: The reward and communication systems of science are considered. *Science, 159(3810)*, 56-63.

Meyers, M. K., & Gornick, J. C. (2003). Public or private responsibility? Early childhood education and care, inequality, and the welfare state. *Journal of Comparative Family Studies*, 379-411.

NAEC. (2020). მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა *PISA 2018.* Tbilisi.

OECD. (2019, 11 01). https://www.oecd-ilibrary.org/. Retrieved from oecd.org: https://read.oecd-ilibrary.org/education/balancing-school-choice-and-equity_fd096939-en#page1

Peña-López, I. (2019, 12 03). www.oecd-ilibrary.org/education. Retrieved from oecd.org: https://www.oecd-ilibrary.org/sites/2a009264-en/index.html?itemId=/content/component/2a009264-en#n-ch4-1

Raabe, I. J. (2018). Social Aspects of Educational Inequality. oxford, UK.

Rao, G. (2019). Familiarity does not breed contempt: Generosity, discrimination, and diversity in Delhi schools. *American Economic Review, 109(3),* , 774-809.

Reardon, Sean F., and Ann Owens. (2014). "60 years after Brown: Trends and consequences of school segregation.". *Annual Review of Sociology Vol.40/1*, 199-218.

Schelling, T. C. (1971). DYNAMIC MODELS OF SEGREGATION. *Journal of mathematical sociology, 1(2),*, 143-186.

UNICEF. (2018). საქართველოში სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევა. Tbilisi: UNICEF Georgia.

Van de Werfhorst, H. G., & Luijkx, R. (2010). Educational field of study and social mobility: Disaggregating social origin and education. *Sociology, 44(4),* , 695-715.

სუმბაძე, ნ. (2015). *უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა: ბარიერები და მათი დაძლევის გ ზები.* Tbilisi: საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი.